

776
1988/3

3 ✓

ISSN 0206-5746



კრიტიკა

50
W
Y

• როგორ ვპატრონობთ მარგალიტს
 გაუჩინარებული სიტყვები
 მემკვიდრეობა
 ვაჟა-ფშაველას გამოსათხოვარი
 მწერალი გვირჩევეს
 „როგორ გატყუებთ ჩემი იერი“
 კოლეგია
 თევზის კუდიტ ღაზერა არ იქნება
 მინისოველები

4

1988



ქართული

საქართველოს
მწერალთა კავშირის
ორბანო

4

50

შ ი ნ ა ბ რ ს ი

ჩვენ სხვა ვიკითხოთ...	3
როგორ ვპატრონობთ მარბალიტს	
მურმან თავდიშვილი. „ვეფხისტყაოსნის“ დაფანტული სტროფები	5
ქეთევან ჭილაშვილი. რატომ, „შავ-გულო“?	14
ბონდო კარტოზია. ჯოგი თუ ჯორი?	16
სიტყვა და საკმე	
არჩილ კობრიძე. დავით აღმაშენებლის აპოლოგია	17
ანდრო მირიანაშვილი. ფრიდონ ხალვაშის ახალი რომანი	26
გიორგი პაპუაშვილი. წიგნი, რომელიც ჩვენთან რჩება	37
ჯემალ ჭაყელი. ლირიკული გმირის ხასიათი	47
თემას გვპარნახოვს ცნობრება	
დავით შვედლური. გაუჩინარებული სიტყვები	50
ენო ჩხიკვაძე. „შავი შავი ჩიოდა“...	56
ელბერდ ბატიაშვილი. კიდევ ერთი „წყვეტა-გრულებიანი საკითხავი“	59
ნოდარ ივანიძე. დროზე მივხედოთ	68
სუფთა ფურცელი ჩემს მამბიდაზე	
ემზარ კვიციანიშვილი. გრიგოლ აბაშიძე. აკაკი გაწერელია. ოტია იოსებელიანი.	72
რომან შამინოშვილი	74
სუფთა ფურცელი ჩემს მამბიდაზე	74
ლიტერატურული ურთიერთობანი	
არჩილ დავითიანი. სამეფო პოლოხიანი. გრიგორ ნარეკაცი	77
კლასიკოსთა გაკვეთილები	
დავით წოწყლოაური. ტრადიციული და ახალი ვაჟა-ფშაველას კაი უმის	83
სახეში	94
ზურაბ ბოცვაძე. იაკობ გოგებაშვილი და ქართული ქერნალიტიკა	94
მემკვიდრეობა	
გრიგოლ რობაქიძე. ვაჟა-ფშაველას გამოსათხოვარი	105
ავთანდილ ვართაგავა. ნახევარი საუკუნის წერე	106
რევაზ დანელია. გარიჟრაჟის წითელი მდინარე	109
მწერალი გვიჩვენებს	
ქარჭი ფხოველი. ფურცლები	112
მურმან ჭაუშურიანი. თევზის კედლით დაქვერა არ იქნება	115



კოლემიკა

დავით თევზაძე. „რეცენზიის ეპილოგი“ თუ რექვიემი?

ახალი წიგნები

რენე კალანდია. სილუეტი შავი ზღვის ფონზე	124
ავთანდილ ჩხაიძე. „როგორ გატყუებთ ჩემი იერი“	127
ავთანდილ მეგრელიშვილი. გიორგი წერეთლის საბავშვო პოეზია	134
აპოლონ ცანავა. „რასა სწერთ მთვარის სხივებო“	137
ლუიზა ხოჩოვა. წემოქმედებითი აღმავლობის გზაზე	138

კრიტიკოსის ახალი წიგნი

ალექსანდრე სიგუა. დრო და თანამედროვენი	143
ლიზილის წუთები	145

მთავარი რედაქტორი:

რედაქციის მდივანი

სამუშაო კოლეგია:

ანდრო ბეჟუბაძე (პასუხისმგებელი მდივანი), გურამ ბინაშვილი, აკაკი ბაყრაძე, გიორგი ბაჩიანი, გურამ გვერდუთელი, კობა იმედა-
 შვილი, ეშუარ კვიციანი, გიორგი მარკვილაძე, თამაზ ნატროშვილი,
 სოსო სიგუა, ალექსანდრა სახსონია, როსტომ ჩხეიძე, ვლადიმერ ჯინა-
 რია, ზრიგოლ ჯუღუშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ნაზი ჯუსსიძე.

მისამართი: თბილისი რუსთაველის პროსპექტი, 40/1,
 ტელეფონები — მთავარი რედაქტორი 99-81-68, მთავარი რედაქ-
 ტორის მოადგილე და პასუხისმგებელი მდივანი 99-81-80, განყო-
 ფილები და კორექტორი 98-28-78.



იგვიანებს გარდაქმნის ლიტერატურა. ახლა, როცა შემოქმედს საშუალება მიეცა ხალად, გაბედულად, მართლად შეაფასოს ჩვენს მიერ საბჭოთა ეპოქაში გამოვლილი გზა, თვალი გაუსწოროს სინამდვილეს და ქეშმარიტების ლამპრით წარუძღვეს თავის ხალხს, ხდება ისე, რომ ტრადიციულად მებრძოლი ბუნების მქონე ქართველი მწერალი თითო-ორჯერ ნაწარმოებით, კანტი-კუნტადლა თუ შეახსენებს მკითხველს თავს და განუშტკიცებს აზრს, რომ იგი ისევ ფეოტავს და ეროვნული მედროშის მისიის დათმობას არა და არ აპირებს.

მინც რას გულისხმობს პირობითი ტერმინი, გარდაქმნის მწერლობა? იმგვარ მხატვრულ ნაწარმოებს, რომელშიც ალეგორიებით და მიეთ-მოეთებით კი არა, პირდაპირ იქნება ნათქვამი თუნდაც მწარე სიმართლე იმაზე, რაშიც ათეული წლების განმავლობაში ცხვირი გვექონდა წაყოფილი, მიუდგომლად იქნება ასახული ის გარდამავალი, დაბნეულობითა და გაურკვევლობით დაჭულ-ლული, მაგრამ პრაქტიკულად სწორი კურსით განათებული პროცესი, რომელსაც ახლა განვიცდით და ბრძენი კაცის გონიერებით იქნება განჭვრეტილ-შეფასებული სამომავლო გზები. დღეს მკითხველს ის ლიტერატორი უფრო სჭირდება, რომელიც ყუჩი ესთეტური სალონიდან კი არ უქნევს მარაოს, არამედ სახელოაკაპიწებული მის გვერდით დგას და ყოველდღიურ რჩევას აძლევს საკმაოდ ძნელი მდგომარეობიდან გამოსასვლელად. თანამედროვე მწერლის სწორედ ეს ფუნქცია წამოსწია წინ პარტიის მეცხრამეტე კონფერენციამ.

რა დახამალია და დღეისდღის კაწმული სიტყვა ისე სისხლსავსედ არ გამოაყურება, როგორც ეს ჩვენს მწერლობას ეკადრება. ამ მხრივ საყვედური არ ეთქმის ჩვენს მებრძოლ პუბლიცისტიკას. გამოქვეყნდა რამდენიმე სწორედ რომ გულის მოსაფხანი წერილი, მაგრამ ის, რაც უმთავრესია, რაც ეპოქებს უნდა შერჩეს ჩვენი დღეების მხატვრულ მატთანედ, რაც დღესვე უნდა დაეხმაროს ქვეყანას გამრუდებული გზის გასწორებაში, ისეთის სიმძლავრით არ დულს და გადმოდულს, როგორც მოველოდით.

რა მოხდა? ქართველი მწერალი, რომელმაც პირველმა დაიწყო სამოციან წლებში კრიტიკული და პოლემიკური ლაშქრობა იმის წინააღმდეგ, რაც მომდევნო წლებში სულისშემბუთველ ბორკილად გვექცა, მესიტყვი, რომელიც სადი აზრის საყოველთაო მარწუხების ძნელ წლებში გაბედულების სასწაულებს ახდენდა და ხან მითოსურ-ბიბლიური პასაჟებით, ხან ისტორიაში გადანაცვლებით, ხან ეწობეს ენით და სიმბოლო-ალეგორიებით მკითხველს მშვენივრად აგებინებდა თავის სათქმელს, დღეს, როცა პირდაპირ ეთქმის შედარებითი თავისუფლების ეპოქა დადგა, რა ყოყმანმა და საინერციოდ უკანსვლაზე წარუწამა მოიცვა? ნუთუ შესენება სჭირდება მწერალ-ერისკაცს იმისა, რომ მკითხველი ყველა მოკალმის შემართებას, ლეგალურ თუ არალეგალურ საწადმართო, საქვეყნო რუდუნებას მადლობის გრძნობით ხვდება, მაგრამ, უბიკველეს ყოვლისა, იმისი ხმა და აზრი აინტერესებს, ვისაც ღონიერი შემოქმედებითი ფრთები მიშამადა ბუნებამ?

თქ. სსრ კვ მარქს
სსს. საბ. ინსტიტუტი

ღმერთმა დაგვიფაროს, რომ დაკვირვებულ ლიტერატურისმცოდნეს დღესაც არ ჰქონდეს ხელთ აშკარა სიმპტომები იმისა, თუ რა მონდომებით იქნება ხმაღს ჩვენი მწერლობის მეწინავე რაზმი საყოველთაო გარდაქმნის ფერხულში, როგორ იქცა არაერთი ლექსი თუ მოთხრობა ლამის საგარდაქმნო მარსელიოზად და რა მშვენიერი შეფასება მოუძებნა ეპოქის მებეირახტრემ იმ ისტორიულ დღეებს, ამჟამად რომ განვიცდით.

მაგრამ ქარს ზოგჯერ ავად გასაგონი. უსიამო ხმებიც რომ მოაქვს? კინკლაობის, ამბიციური ანგარიშსწორების, პატარაკაცური ჩასაფრების, ზურგსუკან ქირქილის ექო რომ აწევბა ყურს ზოგჯერ ამ საჭაროობისა და დემოკრატიის დღეებში? რა დამართა, ვინ დაგვიწყევლა ასე ზოგი ჩვენი მოღვაწე, კარიერისტულ ნევრაჯს და შიშის ფსიქოჯს რომ შეუპყრია? ერთ დროს ასე ლალი და ჯანმრთელი, საქვეყნოდ ავაზასავით შემართული, ისე როგორ შეიცვალა, რომ მაღალ ტრიბუნას თავისსავე ძმებთან ანგარიშის გასასწორებლად იყენებს და იმ ამქარს, რომელსაც ავტორიტეტს უნდა უშაღლებდეს, მოუზომავი ეპითეტებით ჩირქსა სცხებს? ან რამ აუმიღვრია ასე სისხლი მავანის ხელაჩქარებულ ოპონენტს, კაცის მიერ წლების განმავლობაში შექმნილისა და ერისთვის შეწირულის ერთი ხელის დაკვრით გაცამტვერება რომ გადაუწყვეტია? რა ზიზლი უნდა ჰქონდეს გულში მისივე კოლეგისა, ასე უღმერთოდ რომ გაწიროს და ინსინუაციის კორიანტელში გაახვიოს?

და ხაერთოდ ვინ მისცა ან ერთს, ან მეორეს უფლება, ქართველი მწერლის სახელი ასე ააბურთაონ ქვეყნის თვალში და ჩვენი ეროვნული ბრძოლის ახპარჯს მათი პირადული ქიჩმაჩისათვის ადგილი შეუმიცორონ, მკითხველის ყურადღება ამ ისტორიული საცრის გრანდიოზული დგანდგარის დროს უმიზეზოდ გააბურთულ, ჭირვეულ მოქალაქეთა შუღლზე მოაცდინონ?

გული მხოლოდ იმაზე მტკივა, რომ არახსაკადრისი იღეთებით გაჩაღებულ ამ ორთაბრძოლაში ხაერთოდ ქართველი მწერლის სახელი იბდაღება.

ნუთუ ასე ძნელი გასაგებია, რომ ერთმანეთთან ურთიერთობის გარკვევა ისედაც ხაორღლისო ამ წუთისოფელში, სასაცილოა იმ საუკუნურ ბრძოლასთან შედარებით, ქართველ მწერალს რომ გაუმართავს საქართველოს გადახარჩენად?

საქმე; რომ იტყვიან, თავზე საყრელად გვაქვს. იქნებ, როგორც არასდროს, სწორედ დღეს გვჭირდება ეროვნული თვისებების შენარჩუნებისა და ერის სახელის სიწმინდის საგუშაგოზე თვალმოუხუჭავად დგომა. მტერ-მოყვარეს პასუხის გაცემა უნდა. თავი წამოყვეს უმწიფარა ვაიჟურნალისტებმა და ჩვენს ეროვნულ ღირსებებზე გაურკვეველი მიზეზებით გაბრაზებულმა კლდოსნებმა. იწერება გულისამრევი სტრიქონები ცალკეულ პიროვნებათა პიროვნული ნაკლის საზოგადოდ ქართულ სასიათთან გაიგივების ავბნელი განწრაზებით, იქმნება უსუსური მითები კომპლექსიან ქართულ „ფენომენზე“, ერის ღირსების შეურაცხყოფელი სიტყვები გაისმის ეგრეთწოდებულ „ქართულ შეცდომებზე“, რომლის მონანიების საშუალებას, თითქოსდა, დიდსულოვნად გვაძლევენ.

ამ უღიმღამო კორებს ხაერთო არა აქვს რა იმ მაღალ ღირსებასთან, რითაც ქართველს შეუძლია თავაწიულად იაროს ისტორიის გზებზე და იმ შეფასებასთანაც, სუფთა გულის მქონე დიდ სტუმრებს რომ მოუციათ სხვადასხვა დროს ჩვენი ქვეყნისათვის. ...აი, საითკენ უნდა იქნას მიმართული ქართველი მწერლის გულისყური. ერის მაღალი ღირსებისათვის ბრძოლა ეწერა ყოველი ქვეშაირიტი შემოქმედის ფარს გუშინ და ამ საქვეყნო ფიქრით დღესაც ათენაღამებს ილია ჭავჭავაძის შთამომავალი.

რედაქტორი



მუშავან თავდუხვილი

„პირველს სიტყვასს მოვიდეთ“

პოემის კანონიკური ტექსტის დადგენისას მკვლევარს მრავალი ფაქტორის გათვალისწინება მოუწევს. აქედან უმთავრესი უნდა იყოს შემდეგი. ამისათვის, პირველ, უნდა თვით პოემა გვექონდეს შეთვისებული: მისი აზრი და არსება შეგნებული, და მისი ენა და სტილი შესწავლილი. მერე, რა გონებაში ჩასახული გვექნება მისი ენა და მეხსიერებაში სტილი, ჩავიკითხოთ რიგზე თითო ხანა და... შევადაროთ ჩვენს გულში შთაბეჭდილს¹. გარდა ამისა, უნდა გავითვალისწინოთ არა იმდენად მეცნიერ-ინფორმატორთა, რამდენადაც პრაქტიკოს-შემოქმედთა მითითებანი. საქმე ისაა, რომ პრაქტიკოსი მწერალი უფრო ღრმად იცნობს მწერლურ, შემოქმედებით შინაღობორატორიას, ტექსტათხზვის შინაგან მექანიზმს, კომპოზიციის ფსიქოლოგიას. ამიტომ, როგორც ამას ქვემოთ არაერთხელ დაგინახავთ, მათი შენიშვნები ყოველთვის უფრო წონადი, სიმართლესთან მიახლოებულია. მის. ჯავახიშვილი რუსთველის სტილის ერთ ისეთ კომპონენტზე მიგვითითებს, რომელიც პოემის ტექსტის დამდგენს ზედ გულისფიცარზე უნდა ჰქონდეს დაწერილი, სინამდვილეში ეს მითითება ჩვენს ტექსტოლოგებს „ჩაღად უჩნთ, მითვე ჩალისა წონითა“. აი, ეს აუცილებლად გასათვალისწინებელი დაკვირვება: „მოეტი არსად არ ენდობა მკითხველს. ის დაწვრილებით აგვიწერს ყველაფერს და მცირე ხერხელებსაც კი გულმოადგინედ ავხებს, რათა მკითხველს უფლოდიკობის ეჭვიც კი არ დაეხადოს... რუსთველი მეორე რიგის გმირებსაც... მეტად სათუთი ყურადღებით ეპყრობა“².

ჩვენმა შესანიშნავმა სწავლულმა, ბატონმა ალექსი კინჭარაულმა ამ რამდენიმე წლის წინათ ერთი შეხედვით დიდად დამარწმუნებელი არგუმენტების მოხმობით სცადა ტექსტიდან გაეძეგებინა ცნობილი ერთადერთი ოცმარცვლიანი სტროფი:

შეკრა წითელი ახი ათახი პირად მუქმან და ტანად ხარომან,
 ხამახი თავი სტავრა-ატლახი უხემან, ნიადგ მიუმცთარომან,
 ხამოცი თვალი ლაღ-იაგუნდი ფერად მართ ვითა მიუმხვლარომან.
 კაცი გაგზავნა ვაზირისასა, ესე ყველაი მისთვის არო მან.

მკვლევარის არგუმენტები ამგვარი გახლდათ: სტროფი მეტრისა და, მისადაამე, რიტმის თვალსაზრისით ამოვარდნილია პოემიდანო. სხვა არგუ-

1. ალ. სარაჯიშვილი, ვეფხისტყაოსნის ყალბი ადგილები, „მოამბე“, 1895, XI, გვ. 4.

2. მხ. ჯავახიშვილი, წერილები, ტ. 6, თბ., 1960, გვ. 214.

მენტი ის იყო, რომ, თითქოსდა, ავთანდილმა ვეზირს ხუმრობით უღებრა „მე-
ფესთან მიმეგზავნე, უცხო მოყმის დასახმარებლად გამიშვას და „ასი ათასი
წითელი შენ ქრთამად შეიწირეო“. ეს ხუმრობით ნათქვამი ინტერპოლატორმა
ვერ ვაიგო, სერიოზულ დაპირებად მიიჩნია და რუსთველის „გულმგობრებას“
ბა“ იმით გამოასწორა, რომ აღნიშნული, პოემის რიტმიდან ამოვარდნილი,
სტროფი შეთხზაო.

დავარღვიოთ ეს არგუმენტები და ვნახოთ, ეს უცნაური ზომის (20-მარც-
ვლიანი) სტროფი არის თუ არა რუსთველური?

ჯერ ერთი, ბატონ ალ. ჭინჭარაულს ჯეროვანი წარმოდგენა არა აქვს ინ-
ტერპოლატორზე, პოემის ინტერპოლატორები (იხ. ალ. ბარამიძის ჩამონათ-
ვალი¹) იყვნენ აზნაურები, ფრიად განათლებული და „სიტყვასა შინა გახე-
ლოვნებული“ კალმოსნები. ისინი წლობით ჩხრეკდნენ, სწავლობდნენ პოე-
მას, გადაწერდნენ, მხატვრულად ამკობდნენ ან ამკობინებდნენ; მათ გამოწვე-
ლილვით იცოდნენ ტექსტის ნიუანსები, მით უფრო — რიტმულ-მეტრული
კომპონენტი. შაირი (16-მარცვლიანი ლექსი) და ოცმარცვლიანი ფისტიკაური
მათ ერთმანეთში არასოდეს აერეოდათ. სწორედ ინტერპოლატორი ვერ მოი-
მარჯვებდა განსხვავებულ, არარუსთველურ ოცმარცვლიან საზომს, ადვილად
შენიშნავენ ჩანართის არარუსთველურობასო. ვფიქრობ, ამდენი გონიერება
კი უნდა შეგარჩინოთ ინტერპოლატორს. მეტსაც ვიტყვოდი: ერთ-ერთი მათ-
განი, ვინმე მესხი მელექსე, ვფიქრობ, პოეტური სიტყვის ჯადოქარია. დიახ,
ჯადოქარი და ამ დივიდენდის გაღება სულაც არ მაშინებს. სტროფი „გასრულ-
და მათი ამბავი“ ამის თავდებია.

მეორეც, ვნახოთ, გავსინჯოთ ავთანდილი ვეზირს მართლა ეხუმრება „ასი
ათასი წითელი შენ ქრთამად შეიწირეო“ თუ არა?

გავიხსენოთ სიტუაცია.

როსტევეანს ავთანდილი შეილივით უყვარს. „სჯობან ყოვლთა მოყვარულ-
თა პატრონ-ყმანი მოყვარულნი“. უცხო მოყმის საქებრად სპასპეტი პირველ
ჯერზე მოტყუებით გაეპარა როსტანს. იცოდა, არ გაუშვებდა; მეორეჯერ კი
მოტყუება აღარ გაუვიდოდა და ვეზირი უნდა მიეგზავნა. ავთანდილს ეჩქარე-
ბა: თუ როსტანი არ გაუშვებს, გაიპარება, ვერაფერი დააკავებს; თუ საჭირო
გახდება, ხმალსაც მისცემს მძლე ნებას. ასეთია ვითარება, როცა ქარ-ცეცხლ-
ში მყოფი ავთანდილი, გარეგნულად მშვიდი, შინაგანად ქარიშხლიან ზღვასა-
ვით მღელვარე, ვეზირს ესტუმრება. ვეზირმა უმასპინძლა, აჭამა, ასვა, „მისი
ყველაი დამოსა“, ძღვენი უძღვნა შესაფერი, ვით წესი იყო. ერთი სიტყვით,
„უქნა ზენი“. ყმამ აუხსნა საქმის ვითარება. თან დასძინა: „ოდეს წამოვი-
შევჭიცი ფიცითა საშინელითა: კვლა მოვალო“. მერე იტყვის: „მიმელის და
ვერ მისრულვარ, ესე მიდებს ცეცხლსა ცხელსაო“; გთხოვ, როსტევეანს ჩემი
გაშვების ნება გამოსთხოვო. ავთანდილმა ვეზირს დააფიცა. გამეგზავნე, მიშ-
ველე რამეო. ჯერ ვეზირს სიტყვაც არ უთქვამს, ხოლო ავთანდილი რამდენ-
ნიმე სტროფის მანძილზე არწმუნებს და ეხვეწება, დაეხმაროს. ესე იგი, წინ-
დაწინ იცის, რომ ვეზირიც წინააღმდეგი იქნება მისი გაშვებისა. ამიტომ ავ-
თანდილმა ორმაგი წინააღმდეგობა უნდა გატეხოს — ჯერ ერთი, ვეზირი დაი-
თანხმოს მის გაშვებაზე, მეორეც, თვით ეს ვეზირი მიუგზავნოს მეფეს შუამავ-
ლად. ავთანდილს ყველაფერი ეს წინდაწინ გათვალისწინებული აქვს, ვინაი-

¹ აკად. ალ. ბარამიძე წერს: „ინტერპოლატორთაგან ცნობილნი არიან: სარგის თმოველი (სარგის II ან III — მ. თ.), ნანუში ანუ მანუშარი, იოსებ თბილელი საყაქე, გიორგი თუმანიშვილი, ვინმე მესხი მელექსე“. იხ. კ. კეკელიძე, ალ. ბარამიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1962, გვ. 304.

დან, როგორც იმავე კარის ბოლო სტროფშია ნათქვამი, იცოდა, სად როგორ მოქცეულიყო, სად ხმალი მოემარჯვებინა, სად — ოქრო, სად — ტკბილი სიტყვა. „კაცი იყო საქმისაცა შესაფერი, შესატყვისი; ასრე უნდა მოხმარებოდა ვიდოდის ვისცა ვისი“. ამიტომაც, ვაზირის გულის მოსანადირებლად ავთანდილმა ხვეწნა-მუდარგსა და მუქარას (თუ არ გამიშვებთ, გავიპარებოთ), ძღვენიც (მამინდელი ტერმინით „ქრთამი“) ზედ დაუტოო — ასი ათასი წითელი ჩემზე იყოს, ოღონდ „თავი გაიგმირო“.

კვლა პირ-მზე ეტყვის ვაზირსა: „მე სიტყვა შევამტირეო,
წა, ესე ჰკადრე მეფესა, შე-ვიან-ვიადოდე ვირეო;
მიაჩე ამოდ გაშვება და თავი გაიგმირო,
ახა ათასი წითელი შენ ქრთამად შეიწირეო“.

როგორც ვხედავთ, ავთანდილს სახუმაროდ სრულიადაც არ. სცალია. კაცს, ვეზირს, საპატიო დიდებულს მეფესთან აგზავნის. თვითონაც და ვაზირ-მაც წინდაწინ იციან: მეფე შეარცხვენს ვეზირს, სირცხვილს აჰმევს. აკი ეუბნება კიდევ მასპინძელი სტუმარს:

ვაზირმან უთხრა სიცილით: „ქრთამი შენ გქონდეს შენია!
შენგან კმა ჩემად წყალობად, რომე გზა გაიჩენია.
მაგას რა ვკადრებ მეფესა, რაცა აწ თქვენგან მსმენია,
ვცცი, უცილოდ ამავსებს, შოება არ-საწყენია“.

ეს არის ირონია. ვეზირის საშოვარი ის იქნება, რომ როსტევანი მას გაკლავს, გაიციხავს, გაათახავს. აქ სწორედ ამას განახავს ვეზირის ირონია, იუმორი. მართლაც, ის მალე ხუმრობას თავს ანებებს და საუბარს ასე აგრძელებს:

თავმან მისმან, მუნვე მომკლავს, ვეჰვ, წამიცა არ წამაროს!
შენი ოქრო შენვე დაგრჩეს, მე გლახ, მიწა მესამაროს.

ბაბა, სადაა აქ ხუმრობა? ვეზირს ავთანდილის დანაქადი სულაც არ მიუღია ხუმრობად, რადგან სახუმაროდ არ იყო ნათქვამი. მერე ვეზირი ფარდას ხსნის — იმასვე ამბობს, რასაც წინდაწინ ელოდა ბრძენი ავთანდილი: მეფე არ გაგიშვებს და, რომც გაგიშვას, ჩვენ და ლაშქარი ვერ გაგიშვებთ, როგორ მოგიცილოთ, მტერი დაგვჯახნის უშენოდო. „თუ მეფეცა გაგიშვებდეს, თვით ლაშქარნი რად მოლორდენ! რად გაგიშვან, რად დალონდენ, ანუ მშესა რად მოლორდენ?“

ამის მერე ატირებული ავთანდილი კვლავ ემუდარება და ეაჯება ვეზირს და ვეზირმაც თავი გაწირა, „თავი გაიგმირა“, როგორც ადრე დაავალა ავთანდილმა: „მიაჩე ამოდ გაშვება და თავი გაიგმირო“. ამოდ გაშვება ნიშნავს როსტევანის თანხმობით გაშვებას, თორემ ისე ხომ გაიპარება და გაიპარება! მეფემ ვეზირი გალახა, ამხელა კაცი შეარცხვინა, სკამი ესროლა, გამოავდო, სირცხვილი აჭამა. ატირებული მასპინძელი უკან დაბრუნდა, ავთანდილს ყოველივე აუწყა. მართალია, ცუდ ხასიათზეა, სიმწრის ცრემლიც სდის, მაგრამ მასპინძელია და სტუმარს სათანადო პატივით ექცევა:

ქრთამსა სოხოვს და ამხანაგოხს, თუცა ცრემლსა ვერ იწურვებს.

აი, აქ ნამდვილად ხუმრობს ვეზირი. ხუმრობს სიმწრის ხუმრობით. ხუმრობს, რათა სტუმარს სათანადო პატივი მიაგოს, თორემ „სად სცალია სახუმაროდ. კიდევ აღნიშნავს რუსთველი:

— მიკვირს, რად სცალს წყლიანობად, რად არ გულსა შეიურვებს.

მაგრამ იქვეა ჩვენთვის მეტად საჭირო სტრიქონები, რომლებიც რუსთველს ეკუთვნის და რომლებშიც ხუმრობის ნატამალიც კი არაა. თანაც ეს არის ცნობილი რუსთველური განზოგადების ნიმუში, ბრწყინვალე აფორიზმი:

ვინ არ მიხევის კადებულსა, მოურავსა მოიმდურვებს,
თქმულა: „ქრთამი საურავსა ჯოჯოხეთსცა დაიურვებს“.

ავტორი გვეუბნება, ჯერ ერთი, დანაქადებს ვინ არ შეასრულებსო. მით

უფრო ითქმის ეს ავთანდილზე, ვინც სიტყვის გატეხას ჩვეული არაა. მეორეც: წამით დაუშვავთ, ავთანდილმა ხუმრობით შესთავაზა ასი ათასი წითელი, მერე რა? ვანა ამ, თუნდაც ხუმრობით, დანაქადებს შემდგომ აღარ შეასრულვდა? შეასრულა და მერე როგორ! აქვე გავიხსენოთ მის. ჯავახიშვილის შეგონება: რუსთველს არაფერი ავიწყდება და ყველა წერილმანს აღგვიწერს, საკითხს ძირისძირობამდე მიჰყვებაო.

ვეზირმა კვლავ „უყო ზენი“ და გააცილა პირვარდი ლომი. ამასობაში მოსაღამოვდა. „სახლად ჩადგეს მხისა წვერნი“. შინდაბრუნებულმა სპასბეტმა „შეკრა წითელი ასი ათასი“, სხვა რამეც დაუმატა ამ ოქროს და ვეზირ გაუგზავნა. როგორც ვხედავთ, ყველაფერი ლოგიკურია. „ვინ არ მისცემს ქადებულსა?“ მოურავს ვინ მოიმღურებს? ესე იგი, ავთანდილმა სამაგიერო პატივი მიაგო, „უყო ზენი“ ვეზირს.

ამრიგად, სტროფი აუცილებელია. იგი მთელი ამ კარის ცენტრალური პასაჟია; აზრობრივად ლოგიკურია, მხატვრულად უმაღლესი ბრწყინვალეობით აღბეჭდილი, მუსიკალურად — სრულიად რუსთველური. ამიტომაც იყო, ბორის დარჩიამ შენიშნა: სტროფის საკითხი არამც და არამც არ დადგებოდა, ის რომ 16-მარცვლიანი ყოფილიყო.

ახლა საკითხს სხვა ასპექტითაც შევხედოთ: ამ სტროფის ამოღებით იმსხვრევა არა მარტო ეს ქვეთავი, არამედ მთელი პოემა.

თუ მას პოემიდან გავაძევებთ, მაშინ უნდა გავაძევოთ ყველა ის სტროფი, რომელშიც „წითელი“, ან ქრთამია ნახსენები. ასეთი სტროფებია: ა) „კვლავ პირშივე ეტყვის ვაზირსა“, სადაც ვკითხულობთ: „ასი ათასი წითელი შენ ქრთამად შეიწირეო“; ბ) „ვაზირმან უთხრა სიცილით: „ქრთამი შენ გქონდეს შენია!“ გ) „თავმან მისმან, მუნვე მომკლავს“; დ) „ქრთამსა სთხოვს და ამხანაგობს“.

ამრიგად, ოცმარცვლიან სტროფს თან უნდა გაჰყვეს ოთხი რუსთველური სტროფი (ეს ჯერ-ჯერობით!). დაუშვავთ, ამ ოთხ სტროფში ხუმრობითაა საუბარი ქრთამზე, წითელზე, მაგრამ რაღა ვუყოთ ოცმარცვლიანის მომდევნო სტროფს, რომელიც აზრობრივად აგრძელებს არა მარტო ოცმარცვლიანს, არამედ მთელ თავს, მეტიც, მთელ ამ კარს აგვირგვინებს? ეს სტროფი ასე იწყება:

შეხვალა, თუ: „რაცა გმართებს, ვით მოგცე და ვით გაქონო,
ვალთა შენთა გარდახედელად რა ნაცვალი მოვიგონო?
თულა დაგრჩე, შენთვის მოგვკვდე. თავი ჩემი დაგამონო,
სიყვარული სიყვარულსა შეგიცალო, შეგიწონო.“

რა გამოდის? ოცმარცვლიანი სტროფის შინაარსი აქაც გრძელდება. ოცმარცვლიანის მიხედვით, ავთანდილმა „კაცი გაგზავნა ვაზირისასა“. ამ კაცს საჩუქრები გაატანა, თანაც გაატანა არა ზუსტად დაქადებული, არამედ მეტი. ზედ დაურთო სამისი თავი სტავრა-ატლასიც და სამოცი თვალი ლალ-იაფუნდი. არა მგონია, ინტერპოლატორს გაებედა და დანაქადებზე („ასი ათასი წითელი“) მეტი გაეგზავნა ვეზირისათვის. არა, ამას თვით ავტორი აკეთებს, რათა ხაზი გასუფას ორ გარემოებას: ა) ავთანდილის სიუხვეს; ბ) შეცვლილ სიტუაციას. ავთანდილი როსტანის რისხვას კი მოელოდა, მაგრამ თუ ამნაირად გამოიმეტებდა ვეზირს, ეს არ ეგონა. ასე თუ უყვარდა გამზრდელს, ვეღარ წარმოედგინა. ამ სიტუაციით რუსთველი ყველანაირად ცდილობს წარმოგვისახოს ავთანდილის ძიძართ პატრონის უსაზღვრო სიყვარული. ამიტომაცაა, პირვანდელ პირობას („ასი ათასი წითელი“) გადაუხვია და სხვა საჩუქრებიც დაუმატა. შემდეგ: ეს ყველაფერი კი გაატანა კაცს, ოღონდ სიტყვიერადაც ხომ უნდა დაებარებინა რაიმე? ეს სიტყვიერი დაბარება მჭიდრო კავშირშია ნივ-



თიერ ამანათთან. ამიტომაც მომდევნო სტროფი ასე იწყება: თან შეუთვალაო: „შესთვალა, თუ: „რაცა გმართებს, ვით მოგცე და ვით გაქონო, შენთა ვალთა გარდასახდელად რა ნაცვალი მოვიგონო“. ამ კონტექსტში გასაგები ხდება, რატომ „ასი ათასზე“ კიდევ დაუსართა სპასპეტმა სხვა საჩუქრებიც. რაც ჩემთვის შენ გააკეთე, იმას მატერიალური სანაცვლოთი ვერ გადავიხდი. ამიტომ, თუ ცოცხალი დავრჩი და მოვბრუნდი, თავს განაცვალე. ამგვარ კონტექსტში დანაქადების ზუსტი აღსრულება ავთანდილის სიძულწეს უფრო გაუსვამდა ხაზს, ვიდრე სიუხვეს. ამიტომ აუცილებელი შეიქნა სხვა საჩუქრებიც: „სამასი თავი სტავრა-ატლასი“, „სამოცი თვალი ლალ-იაგუნდი“.

ოცმარცვლიან სტროფს (მატერიალური საჩუქარი) და მომდევნო სტროფს (სიტყვიერი მადლობა) შორის ორგანულ ერთიანობას „ვეფხისტყაოსნის“ სხვა პასაჟითაც ვადასტურებ. გავიხსენოთ გულანშაროს ამბავი. ავთანდილს კეთილად წაადგნენ ფრიდონის მონები, ჯეროვანი სამსახური გაუწიეს. კმაყოფილმა სპასპეტმა მათ მეკობრეებისათვის წანართმევი ლარი უბოძა: „აწ წაიღეთ ყველაკაი, მეკობრეთა წანალები“, მაგრამო, ამით თქვენს ვალს ვერ გადავიხდი, მეტი გეკუთვითო. ეს მეტი კი მათ რაინდმა სიტყვით გადაუხადა. ფრიდონს აუწყა: „ამა მონათა ჩემზედა გარდაუხდელი ვალიაო“.

ამრიგად, სიტუაცია განმეორდა. აქაც მატერიალურ დაჯილდოებას თან ერთვის სიტყვიერი მადლობა.

ასე რომ, ოცმარცვლიანის გაძევებას მოჰყვება მეხუთე სტროფის გაძევებაც. რა გამოდის? გამოდის, რომ, თუ ალ. ჭინჭარაულის მოსაზრებას გავიზიარებთ, მაშინ უნდა გამოვემშვიდობოთ კარის ექვს სტროფს. ეს ექვსი სტროფი კი ავთანდილის ვეზირთან ვიზიტის საკვანძო საკითხებს ეხება. ამიტომ, თუ ამ ექვს სტროფს შეველევიტ, მაშინ მთლიანად ამ თავს უნდა შევევლიოთ, რადგან იმსხვრევა მისი კომპოზიცია: ავთანდილი იმპროვიზირებს არაბეთიდან, რომ მეფემ არ გაუშვა; რომ არ გაუშვა, ეს აღნიშნულ კარშია ნაჩვენები. ამიტომ, თუ ამ თავს შეველევიტ, მაშინ ავთანდილი როსტანს არ უნდა გაეპაროს, ხოლო, თუ არ უნდა გაეპაროს, მაშინ ანდერძიც აღარ უნდა დაწეროს. ხოლო უანდერძო „ვეფხისტყაოსანი“ „ვეფხისტყაოსანი“ აღარაა!

როგორც ვხედავთ, ოცმარცვლიან სტროფს თავისი ბუდიდან ვერავითარი შემძღავრი ძელაყინების გამოყენებით ვერ ამოვადგებთ!

ამ სტროფთან დაკავშირებით აღიძერის ერთი გრამატიკული საკითხიც. „ვეფხისტყაოსანი“ ძველი და ახალი ქართულის გზაჯვარედინზე დგას. ამიტომაც მასში როგორც ძველი (მონანი, კაცთა...), ისე ახალი (მონები, კაცების...) ფორმები. სადავო სტროფი ამ მხრივაც საინტერესოა. ვინმე პიროვნების სახელში მისვლას რუსთველი ძირითადად ძველი ქართულით გადმოსცემს:

ზოგჯერ უხმის ფატმან მისსა, ზოგჯერ იყვის ფატმანისსა.

ესე იგი, ზოგჯერ ფატმანს თავისთან, თავის ბინაში მიიყვანდა, ზოგჯერ თვითონ ავთანდილი მიდიოდა ფატმანისას. ამრიგად, აქ, ასევე ბევრგან სხვაგანაც ნანათესაობითარი მიცემითის ძველ ფორმას იყენებს რუსთველი. არა ფატმანისას, არამედ ფატმანისსა, არა მისას, არამედ მისსა; მაგრამ ერთგან ახალ, თანამედროვე, ჩვენთვის უფრო ახლობელ ფორმას მიმართავს:

გარდახდეს ფრიდონისსა, სრა ნახეს მონაწონები.

აქ არის ახალი ფორმა ფრიდონისსა ან არა ძველი — ფრიდონისსა. ამნაირი ახალი ქართულის მეორე შემთხვევა გვეძლევა სწორედ საკამათო სტროფში:

1 ბ. დარჩია სამართლიანად შენიშნავს, რომ მკვლევართა მიერ წამოყენებული საბუთები საკმარისი არ არის ჩანართობის დასამტკიცებლად.

„კაცი ვაგზავნა ვაზირისასა“. აქ არის არა ძველი ვაზირისხა, არამედ ახალი ვაზირისხა.

ამრიგად, ამ მხრივაც ეს სტროფი პოემას ერთგულს.

მაგრამ ჩვენ შორს წავედით. „და აწ პირველსა სიტყვასა მოვიდეთ“.

ცნობილია, რომ „თამარიანი“ შეიცავს 20-მარცვლიან სტროფებს, ოღონდაც მასში სამიოდე სტროფი („თამარ წყნარი“, აგრეთვე XIII—XIV სტროფები) შიირითაა გაწყობილი. „ვეფხისტყაოსანი“ თავიდან ბოლომდე შიირითაა გაწყობილი, მაგრამ ზემოაღნიშნული ერთადერთი სტროფი ოცმარცვლიანია. ასე რომ, მსგავსი პრაქტიკა რუსთველს ცხვირწინ ჰქონდა. განა ამანაც არ უნდა შეგვაეჭვოს, როცა საკამათო სტროფს ხელგყოფთ? მეტრული შეუსაბამობის მომიზეზებით მეც ხომ შემიძლია განვაცხადო: „თამარიანის“ სამი თექვსმეტმარცვლიანი სტროფი ჩახრუხადისა არ უნდა იყოს-მეთქი?

საგულისხმოა ერთი მომენტიც: ძველ ქართველ მწერლებსა და მკვლევარებს ამ ფისტიკაური სტროფის რუსთველურობა საეჭვოდ არ გაუხდიათ. იოანე ბატონიშვილი 1813—1826 წლებში შეთხზულ „კალმასობაში“ ბრძანებს: „ხოლო რუსთველს უთქვამს ფისტიკაური“-ო და იქვე მოჰყავს სტროფიც¹.

ვფიქრობ, მეტი მტკიცება საჭირო აღარაა, აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ სტრიქონების საერთო სტილი, სხვა ხერხები სავსებით რუსთველურია.

მაგრამ ამასობაში ჩვენ შორს წავედით. „და აწ პირველსა სიტყვასა აღვიდეთ“.

ბატონი ალექსი ჭინჭარაული, ვფიქრობ, შეაეჭვა აღნიშნულ ქვეთავში თხრობის სკრუპულოზურობამ. მან ისევე, როგორც სხვებმა, 20-მარცვლიანი სტროფი ნატურალისტურ დაწვრილმანებად მიიჩნია და ინტერპოლატორს მიაწერა. კარგი იყო, მკვლევარს ყურად ეღო მიზ. ჯავახიშვილის დაკვირვება: „პოეტი არსად არ ენდობა მკითხველს. ის დაწვრილებით აღწერს ყველაფერს და მცირე ხერხელებსაც კი გულმოდგინედ ავსებს...“ და ა. შ. მართლაც, აღნიშნულ კარშიც არ ღალატობს შემოქმედი თავის სტილს და ავთანდილის არა მარტო დაბირებას („ასი ათასი წითელი შენ ქრთამად შეიწირეო“) მოგვახმენინებს, არამედ საქმეს ბოლომდე მისდევს და თვალნათლივ გვიჩვენებს, თუ როგორ აღასრულა დანაქადი სიტყვის ერთგულმა-რანდმა, ხოლო შემდეგ კი დასძინა განმაზოგადებელი ფრაზა: „კაცი იყო საქმისაცა შესატყვისი, შესაფერი“, იცოდა, სად რა გავიდოდა, სად რა უნდა მოემარჯვებინაო. პოემის იდენტაც, მართლაც, სწორედ ასეთი უნარიანი კაცია საჭირო. ვადაკარგული ნესტანის საპოვნელად.

ამ რამდენიმე ხნის წინათ ერთი მკვლევარი ცდილობდა დამტკიცებინა, თითქოსდა „ვეფხისტყაოსანში“ დაცული იყოს „ხმლის ეტიკეტი“, კერძოდ, თუ ტარიელის ან ავთანდილის მოწინააღმდეგე ღირსეული პიროვნებაა, დიდგვაროვანია, მაშინ „ამომადერებს“ ხმალს (ღირსეულ იარაღს), ხოლო, თუ მეტოქე დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენელი ან მონაა, მაშინ ხმალს არ „სერის“, მათრახის ანდა სულაც მკლავის ძალით ამარცხებსო. ამის მაგალითად მოყვანილი იყო როსტევეან მეფის მონების დახოცვა.

გარნა ეგ აგრე არ არის.

არ არის, რადგან მკვლევარს ბუნდოვნად ესმის „ვეფხისტყაოსნის“ მონის არსი.

შემიძლია იმის უამრავი მაგალითი მოვიყვანო, რომ ხმლის მოხმარების ამგვარი ეტიკეტი პოემაში არ დასტურდება. ტარიელი უმადლესი არისტოკ-

¹ ი. ბატონიშვილი, კალმასობა, ქართული პროზა, წ. 6, გვ. 310.

რატის წარმომადგენელთა წინააღმდეგაც ხმარობს მათრახს და ეს არის არა მეტოქის დამცირება, არამედ საკუთარი ძლიერების გამოხატვის საშუალება. სხვათა შორის, ეს ასეა „ამირანდარეჯანიანშიც“.

ხატაეთის ომში ტარიელის პირისპირ იდგნენ „ხასი“, ესე იგი, (პატრონი) რაინდებიცა და დაბალი სოციალური წარმოშობის მებრძოლებიც, მაგრამ ტარიელი შუბითა და ხმლით იბრძვის. „შუბი გატყდა, ხელი ჩაფყავ, ვაქებ, ზრმალო, ვინცა გლესა!“ შემდეგ მკლავის ძალასაც იყენებს და „კაცი კაცს შემოსტყორცის“.

მეორე მხრივ, ტარიელი ფრიდონის ღირსეულ მეტოქეებს მათრახით და ქვით ებრძვის: „ქვითა დავლენწით წვფები, ჩვენ იგი გავანატენითო“. იგივე ითქმის ქაჯებზედაც. ქაჯთა წინააღმდეგ ტარიელი ხშირად ხმალსაც არ ხმარობს, არადა, ქაჯნი ყველანი „ხასნი“ არიან: „კაცსა უკრავად დაბნედდის ხმა ტარიელის ხაფისა“. აეთანდლილი მეკობრეებს ხმლით ხოცავს: „დაკოდილნი მკვდართა შუა იმაღვიან, მალვენ ხმასა“. ხატაელი ძმები დიდებულნი არიან: „ღია გვაქვს ციხე-ქალაქი ხატაეთს არე-მარეთა“. აი, ამგვარი მეფე-რაინდები ტარიელმა „მათრახითა შეამწიფინა“.

ამრიგად, ხმლის ეტიკეტი პოემაში არ დასტურდება. ასე რომ, მათრახის ან რაიმე სხვა იარაღის გამოყენებით ტარიელი არ ამცირებს მეტოქეს, მის მიერ როსტევეანის მონების მათრახით დახოცვა არაფრით არ ნიშნავს იმას, რომ, ეს მონანი უგვარონი არიან და ტარიელმა მათზე თავისი ხრმალი არ „დასვარა“.

გაცხივით, თუ რა მონებია როსტევეანის მონანი. ვიქტორ ნოზაძემ საგანგებოდ გამოიკვლია სიტყვა „მონა“ და დაამტკიცა: „ვეფხისტყაოსნის“ მონა უდრის მოყმეს, რაინდს, რიცარს, დიდებულს, ვეზირს, აზნაურს და არა მონას („რაბ“) დღევანდელი გაგებით. მეკლევარი ბრძანებს: „მონა უდრის კარგ ყმებს... ესენი ჩვეულებრივი უბრალო მონები არ არიან, არამედ ჭაბუკნი, კავალერნი“¹. დღევანდელი გაგების მონად ნაგულისხმევია მხოლოდ მონა-ზანგი (ეთიოპიელი, შავი), ოღონდ ამგვარი მონები ომსა და ნადირობაში არასოდეს გაჰყავდათ. ისინი ასრულებდნენ ოთახის მეწესის („გორნიჩნაია“) და შიკრიკის როლს. ხოლო, სადაც კი მონადირე ან მეომარი მონაა ნახსენები, ყველგან იგულისხმება თავადი, ხასი (თავადში აქ იგულისხმება პატრონი).

მართლაც, როშაქი არის დულარდულტ მეფის მონა, მაგრამ, იმავდროულად ბევრი მონის თავადიცაა: „როშაქ მონაა, თავადი მონისა ბევრის ათისა“. ესე იგი, როშაქი პატრონყმურ საზოგადოებაში ერთდროულად მონაცაა და პატრონიც. აქ მონა როშაქი უდრის მოყმე როშაქს, რაინდს, დიდებულს. მართლაც, იგი, მონა როშაქი, ქაჯეთის ლაშქრის მთავარსარდალია.

ახლა ვნახოთ, თუ რა მონებია როსტევეანის მონები.

ერმთანეთის გასაჯიბრებლად სანიადიროდ გასვლის წინ როსტევეანმა განაცხადა, მოწმედ და არბიტრებად კარგი მოყმეები წავიყვანოთო. „კარგთა ყმათასა ვიქმოდეთ მოწმედ ჩვენთანა ხლებასა“. კარგთა ყმათასა არის როსტევეანის მონები, ოღონდ არა მონა-ზანგები (დღევანდელი გაგების მონები — „რაბი“)².

¹ ვ. ნოზაძე, ვეფხისტყაოსნის საზოგადოებათმეტყველება, სანტიაგო დე ჩილე, 1958, გვ. 65.
² პოემაში ორგვარი მონა გვხვდება: ა) მონა-თავადი, მოყმე, გაზრდილი, დიდგვაროვანი; ბ) მონა-ზანგი-პინდო, შავკანიანი, რომელსაც საომარი საქმე არ ეტება. ამიტომ ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ ინდო (ინდოელი, ტარიელის თანამემამულე) და პინდო (ეთიოპიელი, შავი „მართ ვითა ფისანი“). ეს უნდა გაითვალისწინონ გამომცემლობებმა ტექსტის ბეჭდვისას და ჰ ასო მიუმატონ ინდოს, როცა იგი მონა-ზანგს გულისხმობს.

მეორე დღეს „უბრძანეს: „მონა თორმეტი მოდიო, ჩვენთანა ვლოდითა“. და ერთ-ერთ სტროფში, რომელსაც 1966 წლის გამოცემა არ თვლის პოემის ნაწილად (და ჩვენი ამ ნარკვევის მიხედვით გამოჩნდება, რომ უბრძანეს ტექსტის აუცილებელი ელემენტია), ნათქვამია: როსტევეანს 12 მონა (რაინსი, ხასი) უწყობდა ხელს ნადირობაში, ხოლო ავთანდილს ერთი მონა — შერმადინო. მაგრამ ეს შერმადინი იმ თორმეტის ტოლი და ფარდი იყო:

კვლა ბრძანეს: „მონა თორმეტი შევსხათ ჩვენ თანა მარებლად,
თორმეტი ჩემდა ისრისა მომრთმევლად, მოხანზარებლად, —
ერთაი შენი შერმადინ არს მათად დასადარებლად, —
ნასროლ-ნაკრავსა სთვალვიდენ უტყუვრად, მიუშვცდარებლად“.

ეს სტროფი პოემის ზოგ გამოცემაში უსამართლოდაა ამოღებული. სასკოლო გამოცემაში თუმცა კია შეტანილი, მაგრამ განმარტებულია ასე: „ამ სტროფის რუსთველურობა საეჭვოა, რადგან ქვემოთ, ნადირობის აღწერისას, მხოლოდ თორმეტი მონა იხსენება, ხოლო შერმადინი ნახსენები არაა“ (სასკოლო გამოცემა, 1986, გვ. 521).

მკვლევარი გიორგი არაბული, რომელსაც როსტევეანის მონები ჩვეულებრივ მონებად შიპინია, ბრძანებს: შერმადინი ნადირობას არ დასწრება, თუნდაც დასწრებოდა, ის ისეთი „მონა“ არ არის, ნადირობისას ავთანდილს უკან სდიოს და ისარი მიაწოდოს. შერმადინი დიდებულია, ავთანდილის გამზრდელი (ალბათ, ავტორს უნდოდა ეთქვა — „გაზრდილი“) და მრჩეველი. ამიტომ მეფე მას არ აკადრებდა რიგითი მსახურივით დაესაქმებინაო¹.

მაგრამ ვიმეორებ: ეს მონები კარგი ყმებია, თავადებია (ხასებია) და არა მონა-მსახურები, მონა-ზანგები, გავისხნოთ როსტევეანის სიტყვები: „კარგთა ყმათასა ვიქმოდეთ მოწმად ჩვენთანა ხლებასა“. კარგი ყმები მონა-ზანგები კი არ არიან, არამედ შერმადინისნაირი დიდებულნი. ამიტომაც არაფერი უშლის ხელს შერმადინს, ისევე ემსახუროს ავთანდილს, როგორც 12 მონა-თავადი ემსახურება როსტევეანს.

ვინც ამ სტროფს ავი თვალთ უცქერის, ავიწყდება მთავარი — ეს პასაჟი გადაბმულია, გადაჯაჭვულია პოემის ერთ მეტად საგულისხმო სტროფთან, რომელიც ამ სტროფს აუცილებლობით მოითხოვს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, 72-ე სტროფში ვხედავთ 82-ე სტროფის ფესვებს. 72-ე სტროფში ყურადღებას იპყრობს ბოლო სტრიქონი: 12 მონა ვიასლოთ შერმადინთან ერთად, რათა „ნასროლ-ნაკრავსა სთვალვიდენ უტყუვრად, მიუშვცდარებლად“. 82-ე სტროფში არბიტრი მონების ამ წინასწარი დარიგების შედეგი ჩანს: „მონათა კჳადრეს: „მართალსა გჳადრეთ და ნუ გემცდარებით“. დააკვირდით: წინა სტროფში — უტყუვრად, მიუშვცდარებლად, მომდევნოში — მართალი და გემცდარებით.

გარდა ამ სარწმუნო არგუმენტებისა, გვაქვს კიდევ ერთი ფრიად მნიშვნელოვანი საბუთიც. „ვეფხისტყაოსნის“ გაგრძელებებში, კერძოდ, ავთანდილის სიკვდილისწინა ანდერძ-ნამავში, რომელიც, სიტყვის დიდოსტატ „ვინმე მესხ მელექსეს“² ან იოსებ სააკაძეს უნდა ეკუთვნოდეს, ავთანდილი შერმადინს მოაგონებს როსტევეანისა და მის გაჯიბრებას ნადირობაში. ავთანდილი ხაზს

¹ გ. არაბული, ნარკვევები „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის შესახებ, თბ., 1983, გვ. 82.

² „ვინმე მესხი მელექსე“ რომ სიტყვის დიდოსტატია, ამას, ერთი მხრივ, მოწმობს უბადლო სტროფი — „გასრულდა მათი აზბაგი“, მეორე მხრივ, ბრწყინვალე პოეტურ სახეს გვათავიზობს იგი ერთგან, როცა მტირალ თვალებს აღუღებული მელნის ტბას ადარებს, რომელიც გიშრის ტყის (წაშვამების) ძირებს ეჩლება და ასველებს: „აღელდა, მელნისა ტბაო, გიშრის ტყის ძირს ეხანეთა“ (იხ. ს. კაკაბაძე, ვეფხისტყაოსანი — ნამდვილი და ჩანართი, ტფ., 1913, გვ. 237).

უსვამს იმას, რომ შერმადინი ძლიერი მოყმეა, რომ იგი 12 მონის საქმეს ერთი აკეთებდა ნადირობის დროს:

გახსოვს, როსტევან მიბრძანა ველთ სრვა ნადიროთა ზოცისა,
რაც მხეცთა სასხლი მინდორთა ვახხეთა, რისხვა ვსცით ოცისა,
თორმეტი ისრის მიმრთმეულად, მაშინ მყვი მარტო მოცისა.¹



ეს გაგრძელება შეთხზული უნდა იყოს XVII საუკუნეში. ყოველ შემთხვევაში, მას იცნობს არჩილ მეფე, როცა თავის „გაბაასებაში“ თეიმურაზ პირველს რუსთველისთვის ათქმევინებს: „ერთი ამბავი აიწყე, ბოლოც სხვათ შეგითავესა“.

ამრიგად, პოემიდან გაძვევებულ სტროფს იცნობს XVII საუკუნის გამგრძლებელი. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ იგი რუსთველისეულია და ძველთაგანვე ტექსტის შემადგენელი ნაწილი ყოფილა. „მესხი“ ან სააკაძე მას კანონიკურ ტექსტად თვლის.

გარდა ამისა, გვაქვს კიდევ ერთი ფრიად საგულისხმო არგუმენტი. როსტევანს დაეთხოვა და თავის საკარგავ-საბატონოში მივიდა ავთანდილი. იგი შერმადინს პირდაპირ, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე ეუბნება: თინათინმო „მიბრძანა: „მიცან ამბავი მის ყმისა დაკარგულისა“. აქ საინტერესოა შემდეგი — ავთანდილი შერმადინს მის ყმის შესახებ არაფერს ეუბნება, არაფერს აუწყებს. რატომ? იმიტომ, რომ შერმადინი თავად ახლდა ბატონს ნადირობისას და უცხო მოყმის ამბავი მშვენიერად მოეხსენება. ამიტომაც არის: სპასპეტი საკიროდ არ მიიჩნევს აუხსნას თავის მონას უცხო მოყმის ავან-ჩაფანი. ამიტომაცაა, არც ფრიდონი ეკითხება ბატონს — ვინაა ის უცხო მოყმე, ვის საქებრადაც გავიწვევიაო.

ვფიქრობ, შესაძლებელია დავასკვნათ: სტროფი პოემაში უნდა აღსდგეს; 12 მონა ისეთივე დიდგვაროვანი მოყმეა, როგორც შერმადინი. შერმადინი ავთანდილის მონაა, ოღონდ ეს მონა თავადია, ზასია, დიდებულია და ავთანდილის სამეფოს მოურავია. ასე რომ, რა შეფარდებაცაა როსტევანსა და თორმეტ მონას შორის, იგივე დამოკიდებულებაა ავთანდილ-შერმადინს შორის.



¹ სააკაძე, ეფთხისტყაოსანი, ტფ., 1913, გვ. 248.

რატომ „შავ-გული“?

გავიხსენოთ „წიგნი ნესტან-დარეჯანისა საყვარულთაჲთა“:
 „მე ჩემო, ეხე უსტარი არს ჩემგან მონაღვაწები,
 ტანი კალმად მაქვს, კალამი ნადველსა ამონაწები,
 მე გული შენი ქაღალდად გულსავე ჩემსა ვაწები, —
 გული შავ-გული, დაბმულხარ, ნუ აეხსნები, აწ ები!...“¹

მართალია, შავი ფერი მწუხარების მიმანიშნებელია და ამ უსტარის წერის დროსაც ნესტანი დიდ სევდა-ნადველთან არის შეჭიდებული, მაგრამ თუ კარგად ჩავუკვირდებით ამ ბოლო სტრიქონში სევდიანი გული არ იგულისხმება.

განა შეიძლება ადამიანი თავის დარდიან გულს მოუწოდებდეს „დაბმულხარ, ნუ აეხსნები აწ ები!“ თუ პირიქით, ისწრაფვის განქარვებას. განა ამავე უსტარში არა ნატრობს ნესტანი: „მომცნეს ფრთენი და აღვფრინდე, მივჰხვდე მას ჩემსა ნდომასა, დღისით და ღამით ვჰხედვიდე მზისა ეღვათა კრთომასა“. მზე კი მისი მიჯნურია: იგი მიმართავს ტარელს: „მზე უშენოდ ვერ იქმნების, რათგან შენ ხარ მისი წილი... მუნა განხო, მადვე გასხო, განმინათლო გული ჩრდილი“ (გვ. 270), ამგვარად, ნესტან-დარეჯანს სულაც არა აქვს მარადიული სევდა-ნადველის სურვილი და ეს საესეებით ბუნებრივია. თავად გულის სევდას „ჩრდილით“ გამოხატავს, ჩრდილი კი დროებითია.

პოემაში დარდიანი გული ხშირად მოხსენებულია „ბნელად“ — „გულო, ბნელ-გულო“. მაგალითად „...შენსა მე ვეძებ ნათელსა, შენ ხარ გულითა ბნელითა“ (გვ. 157), ან „გულსა ბნელი განმინათლდა, ზედა ღვინი ადგა სვეტად“ (გვ. 91), „ჩემი თქვი, რა ვქმნა ბნელ-ქმნილმან, მზე მიმეფაროს, მი, ცისა?“ (გვ. 152); რამდენადაც თვალი და გულისყური გავაწვდინეთ პოემას, სიტყვა „შავი“ მხოლოდ ფერის გამოხატველია და არა სულიერი განწყობილების. მაგალითად: „შავი ცხენი სადავითა, ჰყვა ღომსა და ვითა გვირსა“ (გვ. 24), „არ დაგმორჩილდეს, დამჭოლე შავისა ქვისა ყორითა“ (გვ. 267).

შავად მგოსანი მოიხსენებს ცხენსაც: „ნახა, შავი შამბთა პირსა დგა სადავე-უკუყრილი“ (გვ. 185) და სხვა.

ფატმანთან მიწერილ წიგნში, სადაც ნესტანი ტარელს ნიშნის უკან გაგზავნაზე წერს, — ამბობს:

„ესენი ჩემთვის მის გამო ტურფანი სანახავნია,

თუცა თუ ფერად ბედისა ჩემისა მსგავსად შევნია“. (გვ. 267) საბას ლექსიკონშიც შევბედი — ბედ დაშავებული ასეა განმარტებული. ბედი სხვაა, გული — სხვა! ბედი შეიძლება იყოს შავი, მაგრამ გული ნათელი!

აღსანიშნავია, რომ სხვაგან გული არსად მოიხსენიება შავად. გავიხსენოთ ტარიელი მტირალი წყლისა პირსა: „ცრემლსა ვარდი დაეთრთვილა, გულსა მღულრად ანატირსა“... „მუნვე წვიმს წვიმა ბროლისა, ჰგია გიშრისა ღარი სად“ (გვ. 24). მოსალოდნელი იყო „გიშრის ცრემლები“ (შავი ცრემლები,

¹ გვ. 268 (წერილში მოყვანილი სტრიქონები და სიტყვათა განმარტება ამოღებულია წიგნიდან — „ვეფხისტყაოსანი“ 1957 წ. სახელგამი).

შავი წვიმა), მაგრამ მგოსანი მიჯნურთა გულებს და მათ ცრემლს არ ამღვრევს. „ფერს“ არ უცვლის. თვალსაც კი გიშრად მოიხსენებს და არა შავად. თავს-
დამტყდარი მწუხარებანი და ტანჯვანი მათ ნისლივით აქვთ „გარედან“ შემთხვეული
ხვეული და ისინიც მათ გასაფანტად იღვწიან. პოემაში გული მიჯნურთა შე-
ტაფორებით „ფეთქავს“.

ასე გადმოგვცემს თავის სულიერ განწყობილებას თინათინი: „ვბოვე წამა-
ლი გულისა, აქამდის დადაგულისა“ (გვ. 151), „მიკვირს, თუ გული აღმა-
სი შავმან წამწამმან დალა რად!“ (გვ. 153).

გული აღმასია, გარემოა ბნელი.

მხედველობაში ისიც უნდა მივიღოთ, რომ „შავგული სულ სხვა ცნებაა და
ხალხი ბოროტი ზრახვების ადამიანს მოიხსენებს ამგვარად („თეთრი კბილი,
შავი გული“, პირშავი და სხვა).

ყოველივე ამის გამო, „გულო „შავ-გულო“ არ უნდა იყოს სწორი. მაშ, რა
უნდა ყოფილიყო „შავის“ მაგიერ?

ჩვენი დიდად მოკრძალებული ვარაუდი ასეთია:

გულო, შაბ-გულო დაბმულხარ, ნუ აეხსნები აწ ები!

„შაბა“ საბას განმარტებული აქვს ასე — მოსაწონი. აკადემიკოსი ა. შანი-
ძე იზიარებს, — მოწონების შემახილიაო.

„შეჯდა, ქორნი მოუტივნა, ღურაჯები დაინაბა,

მშვიდლოსანნი გასაგანა, იტყოდიან: „შაბა, შაბა!“ (გვ. 78).

„ვეფხისტყაოსნის“ 1896 წლის გამოცემის ლექსიკონში „შაბა“ განმარტებუ-
ლია — ბარაქალად. ი. აბულაძე ასე განმარტავს — „ნეტარება შენ“. ყველა
განმარტება აზრობრივად ესადაგება ერთმანეთს. ამრიგად, მოტანილი სტრი-
ქონი შინაარსობრივად ასე გვესახება.

გულო, ბარაქალა (ნეტარება შენ), დაბმულხარ (ე. ი. გამიჯნურებულხარ),
ნუ აეხსნები, აწ ები! ნესტანს მოსწონს, რომ ის მიჯნურია და გულს სამარა-
დისო ერთგულებისაკენ მოუწოდებს.

ძალიან ადვილი შესაძლებელია, რომ „შაბ“ გადამწერთა ხელში ქცეული-
ყო „შავ“-ად. ჭერ კიდევ საბა არ საყვედურობდა მათ: „შადი“ (ქსოვილი)
„ვეფხისტყაოსანში“, რომელთა მწერალთა „შარდად“ აღუწერიათ უმცარე-
ბითაო“?



ჯოგი თუ ჯორი?

„ვეფხისტყაოსანი“ ჩვენი ეროვნული განძია და მისი ხელყოფის უფლება არავის არა აქვს, არც სპეციალისტს და არც უბრალო მკითხველს. „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტში ცვლილებების შეტანა დიდ სიფრთხილეს და დაკვირვებას მოითხოვს, მით უფრო ტექსტიდან ამა თუ იმ სტროფის ან ნაწილის ამოღება. არც ის ვარგა, რომ არაფერი არ გავასწოროთ და საუკუნეების მანძილზე განუკითხავი ინტერპოლაციებით შერყვნილი ტექსტი ხელუხლებლად დაგვტოვოთ. რა თქმა უნდა, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი, პირველ ყოვლისა, რუსთაველოლოგების საპატრონოა, მაგრამ რიგით მკითხველსაც უნდა ჰქონდეს თავისი აზრის გამოთქმის საშუალება.

აღმანახ „კრიტიკის“ მეორე ნომრის სარედაქციო წერილმა „როგორ ვპატრონობთ მარგალიტს“ და „ვეფხისტყაოსნისადმი“ მიძღვნილმა სტატიებმა დაგვარწმუნა, რომ საბოლოო ტექსტის დასადგენად ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი, გამოაშკარავდა მიუტყევებელი შეცდომებიც. ამ წერილის მიზანია გამოეხმაუროს „კრიტიკის“ მოწოდებას პატარა შენიშვნით „ვეფხისტყაოსნის“ ერთი სტროფის შესახებ. სტროფი ეხება თინათინის გამეფებას.

დაუფიქსარი ეპიზოდია. როსტევეანმა თავისი ასული სამეფო ტახტზე აიყვანა. არაბეთში დიდი ზეიმი. მამის რჩევა-დარიგებით თინათინმა დაიწყო „დიდთა და წვრილთა“ დასაჩუქრება.

„უბრძანა: „წადით, გახსენით, რაცა სად საქურკლენია!

ამილახორო, მოასხი რემა-ჯოგი და ცხენია!“

მოიღეს, ვასცა უზომო, სიუხვე არ მოსწყენია.

ლარსა ხვეტდიან ლაშქარნი, მართ ვითა მეკობრენია“. („ვეფხისტყაოსანი“, 1986.

მესამე სასკოლო გამოცემა, სტროფი 55.)

ამ სტროფის მეორე სტრიქონში ადგილი აქვს სიტყვების უაზრო გამეორებას. რემა ხომ ცხენების ჯოგია, მაშასადამე, გამოდის, რომ ამილახვარმა უნდა მორეკოს ჯოგი, ჯოგი და ცხენი. დიდი მიხვედრა არ უნდა იმას, რომ აქ გადამწერის უბრალო შეცდომასთან გვაქვს საქმე. ჯოგის ნაცვლად უნდა იყოს ჯორი. რემა ზოგადი სახელია, რომელსაც მოსდევს განმარტება — რისი რემა? ჯორისა და ცხენის და არა ჯოგისა და ცხენის. რემაში ცხენებთან ერთად ჯორებიც შეიძლება იყოს, ჯორი ნახევრად ცხენია. ყველას ხომ არაბული ტიპი არ შეხვდებოდა „ქვენაბამი, ნასუქალი“; ზოგი ჯორსაც დასაჩერდებოდა, ზოგს ლარიდან (ძვირფასი ნივთები და ქსოვილები) ერგებოდა რამე და ა. შ. ისე, რომ ზეიმი გულნატენს არ დასტოვებდა „არცა ყმას და არცა ქალსა“.

სხვათა შორის, ჯორი ცხენის გვერდით სხვა ადგილებშიც გვხვდება. ასე მაგ. „აბჯარი და საგებელი, ერთი ჯორი, ერთი ცხენი“ (სტროფი 1027), „ერთი ტიპი უებრო მით უნაგირთა სრულითა... ერთსა ჯორსა წვივ-მიგარსა საგებელი აუკიდა“ (სტროფები 1028, 1029). ჩემი აზრით, 55-ე სტროფი უნდა დაიწეროს ასე:

„უბრძანა: „წადით, გახსენით, რაცა სად საქურკლენია!

ამილახორო, მოასხი რემა—ჯორი და ცხენია!“

მოიღეს, ვასცა უზომო, სიუხვე არ მოსწყენია.

ლარსა ხვეტდიან ლაშქარნი, მართ ვითა მეკობრენია“.

ბრილ კონკრეტში

დავით აღმაშენებლის აბოლოგია

კაცობრიობის განვითარების მთელი ისტორია გვიჩვენებს, რომ დიდი ეპოქები წარმოშობენ დიდ აღამიანებს, რომლებიც აქტიურ ზეგავლენას ახდენენ გარემომცველ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებზე, მძლავრი გონებითა და შინაგანი ინტელექტით ზედმიწევნით იცნობიერებენ დროის უმთავრეს მოთხოვნებს, ხოლო პატივმოყვარეობაში გადაზრდილი გამბედაობით იბრძვიან მათი მაქსიმალური რეალიზაციისათვის. ამ აზრის თვალსაჩინო დადასტურებაა ალექსანდრე მაკედონელის, იულიუს კეისრის, ჰენრიხ IV-ის, რიშელიეს, პეტრე დიდის, ოლივერ კრომველის, ნაპოლეონ ბონაპარტესა და სხვათა სამხედრო-პოლიტიკური მოღვაწეობა.

მრავალსაუკუნოვანი ქართული ცივილიზაცია იცნობს პიროვნებებს, რომლებმაც ერთდროულად იკისრეს სულიერი მოძღვრის, პოლიტიკური ბელადისა და მთავარსარდლის ფუნქციები. ჩვენს ისტორიაში ყველაზე უფრო ხანგრძლივი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ფორმაცია ფეოდალიზმია, ხოლო მთელი შუა საუკუნეების პერიოდში ერის მეთაურის ასეთი კრებითი ხატი, უპირველეს ყოვლისა, მეფეებში პოულობდა გამოხატულებას. საქართველოს სინამდვილეში სწორედ ასეთად წარმოგვიდგება დავით აღმაშენებელი, კაცი, რომლისთვისაც ჭეშმარიტად მთელი სამყარო იყო „მონარქია და იერარქია“ (თომას კარლეილი).

ბუნებრივია, სახელოვანი ქართველი მეფის შთამომავლობას გვსურს ყოველივე ვიცოდეთ დიდი წინაპრის ბიოგრაფიიდან. ამიტომ ყურადღებით ვეკიდებით და გულმოდგინედ ვეცნობით ამ თემაზე გამოსულ ყოველ განმარტებულ ნაშრომს. ამით აიხსნება ის დაინტერესება, რაც გამოიწვია როინ მეტრეველის მონოგრაფიამ „დავით IV აღმაშენებელი“ (გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1986 წელი), რომელიც საფუძვლიანად აშუქებს საქართველოს წარსულის ერთ-ერთი უშესანიშნავესი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ-კულტურულ ისტორიას.

მონოგრაფიის ავტორმა დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის შესწავლას მრავალი ნაშრომი უძღვნა და საზოგადოებას მიაწოდა ფრიად საყურადღებო განმარტებელი მონოგრაფია, რომელიც ემყარება მდიდარ წყაროთმცოდნეობით და ისტორიოგრაფიულ ბაზას, კვლევის მარქსისტულ-ლენინურ მეთოდოლოგიას და საინტერესოდ გვისურათებს მაშინდელ ეპოქას.

ნაშრომს წამძღვარებული აქვს წინათქმა, შესავლის მაგიერ — „წოდება


„აღმაშენებლის“ და რიგითი (IV) ნომრისათვის“. მიმოხილულია დავით IV-ის ირგვლივ არსებული ქართული თუ უცხოენოვანი წყაროები, მდიდარი ლიტერატურა და მოცემულია მათი საფუძვლიანი ანალიზი. შემდეგ გაშუქებულია ჩვენი სამშობლოს პოლიტიკური ცხოვრება ბაგრატ III ბაგრატიონის დროს ვით აღმაშენებლამდე.

ავტორი საინტერესოდ და ცოცხლად გვაცნობს საქართველოს იმდროინდელ მდგომარეობას, ურთიერთობას როგორც გარე სამყაროსთან (ბიზანტია, თურქ-სელჯუკები), ისე ქვეყნის შიგნით გაშლილ მძაფრ კლასობრივ თუ შიგა-კლასობრივ ბრძოლებს, მიგვითითებს ნიანია ქვაბულის ძის, ივანე ლიპარიტის ძისა და ვარდან სვანთა ერისთავის მეფისაგან განდგომაზე 1073 წელს. მსხვილ ფეოდალთა ამ გამოსვლის შიგაკლასობრივი ხასიათი ექვეს არ იწვევს, მაგრამ მკვლევარი მართებულად აღნიშნავს, რომ განდგომის მეთაურთა ვერავითარი ავტორიტეტი ვერ დარაზმავდა ქვეყნის ცალკეულ მხარეებს სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ, რომ დიდგვაროვანთა დასაყრდენ რეგიონებში გამწვანებული არ ყოფილიყო კლასობრივი ბრძოლა, რასაც, წიგნის ავტორის აზრით, ადასტურებს ეგრისისაგან სვანების შევიწროება (გვ. 55). ბარის მიერ მთაზე გაბატონების ცდა მხოლოდ ამ კონკრეტული სიტუაციისათვის არ არის დამახასიათებელი. გავიხსენოთ, რომ ჯერ კიდევ V საუკუნის 60-70-იან წლებში სვანები მედგრად იბრძვიან ეგრისელთა წინააღმდეგ, რასაც პრისკე პანიონელის ცნობაზე დაყრდნობით დამაჯერებლად მიუთითებენ კ. თუმანოვი, ა. ბოგვერაძე, დ. მუსხელიშვილი, მ. ლორთქიფანიძე.

ნაშრომის ამ ნაწილში რ. მეტრეველი ცდილობს კრიტიკულად მიუდგეს ივანე ჯავახიშვილიდან მომდინარე გიორგი II-ის პიროვნების უარყოფით შეფასებას და ამ მეფეს სათანადო ადგილი მიუჩინოს თავისი ქვეყნის თავდადებულ მოღვაწეთა შორის. საკითხის ამ კუთხით დაყენების პრიორიტეტი ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში თვით წიგნის ავტორს ეკუთვნის. მის წერილში „გიორგი მეორის მოღვაწეობის შეფასების საკითხი“ (ნარკვევები ფეოდალური საქართველოს ისტორიიდან, 1972, გვ. 29-60) მოცემულია ამ ქართველი მონარქის რეაბილიტაციის ცდა. სავსებით ბუნებრივი იყო, რომ პატრიცემულ მეცნიერს თვით განეგრძო ამ მხრივ კვლევა-ძიება, მაგრამ როგორც სარეცენზიო ნაშრომმა დაგვარწმუნა, იგი ჯერჯერობით მხოლოდ მიღწეულით დაკმაყოფილდა, თუმცა ამ პრობლემაზე მომუშავე მომავალ ისტორიკოსთა საყურადღებოდ თავის ახალ ნაშრომში საგანგებოდ აღნიშნავს, რომ „XI საუკუნის მეორე ნახევრის (კერძოდ, 70-80-იანი წლები) საქართველოს ისტორია საგანგებო კვლევის საგანი უნდა გახდეს (ფიქრობთ, რომ მთელი სიღრმით ეს ჯერჯერობით არ გაკეთებულა), ყურადღება მიექცეს იმდროინდელ საშინაო თუ საერთაშორისო მდგომარეობას (კერძოდ, წინა აზიასა და კავკასიაში შექმნილ ვითარებას) და ამ ფონზე იქნეს განხილული საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული მდგომარეობა. ამავე დროს არსებული ქართული და უცხოური სხვადასხვა სახის ისტორიული წყაროების გაანალიზებისა და შეჯერების საფუძველზე გაკეთდეს გარკვეული დასკვნები და, გამომდინარე აქედან, ობიექტური შეფასება მიეცეს თვით გიორგი მეორის მოღვაწეობასაც“ (გვ. 67).

მეცნიერი სამართლიანად აღნიშნავს, რომ დავით აღმაშენებელი ტახტზე ასვლისთანავე იწყებს ენერგიულ ბრძოლას ქვეყნის გაძლიერება-განმტკიცებისათვის. უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო სახელმწიფოს შიგნით არსებული ფეოდალური ოპოზიციის დამარცხება-განადგურება, მეფე-მონარქის თვითმპყრობელური ძალაუფლების გაზრდა, ქართული მიწა-წყლის გაერთიანების

პროცესის დამთავრება და საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს ავტორიტეტის, მისი სამხედრო-ეკონომიკურ-პოლიტიკურ-კულტურული შემდგომი ამოღება.



დავით IV გაბედულად შეუტია ურჩ ქვეშევრდომებს. 1093 წელს იპყრო ლიპარიტ IV, რომელიც მონაწილის შემდეგ გაათავისუფლა, თუმცა 1094 წელს მეფეს კვლავ დასჭირდა მისი დაპატიმრება: განთავისუფლებულმა თავკერძა ვასალმა ისევ განაგრძო „მამა-პაპათა კვალზე სვლა“. დავით აღმაშენებელს ლიპარიტი ურჩი წლის განმავლობაში ციხეში ჰყოლია, ხოლო 1096 წელს საქართველოდან გაუძევებია. ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ ურჩი ფეოდალის განდევნის შემდეგ მეფემ გააუქმა კლდეკარის საერისთავო. რ. მეტრეველი ჯერ კიდევ 1972 წელს გამოსულ თავის ნაშრომში „ნარკვევები ფეოდალური საქართველოს ისტორიიდან“ არ დაეთანხმა ამ მოსაზრებას და საერისთავოს გაუქმება დაუკავშირა ზედაზენთან დავითის გამარჯვებას, რომლის თარღად წყართა სკრუპულოზური ანალიზის შედეგად მიიჩნია 1103 წელი და სავსებით სწორად მიუთითა, რომ კლდეკარის საერისთავოს გაუქმება იყო „უკიდურესად გადაჭრელი ზომა“. ურჩი ვასალებისადმი ასეთი დამოკიდებულება საერთოდ დამახასიათებელია ქართველი მეფე-მონარქის მთელი მოღვაწეობისათვის. მკვლევარის აზრით, 1103 წელსვე გამოვიდნენ საქართველოს დიდი მეფის წინააღმდეგ ძაგან და მოღისტოს აბულეთისძენი. ვფიქრობთ, სწორია სიუზერენის წინააღმდეგ ძაგანის ბრძოლის დავით IV-ის მიერ ზედაზენის ციხის აღებასთან დაკავშირება. იქნებ რატი ბაღვაში სწორედ ამ დროს დაუპირისპირდა უკანასკნელად ქართველთა მიწა-წყლის დიდი გამაერთიანებლის ზრახვებს, რამაც ზედაზენის დაკავების შემდეგ მეფეს უკარნახა კლდეკარის საერისთავოს გაუქმება. დავით აღმაშენებელმა ერისთავთა ხელისუფლებას დაუპირისპირა მოხელე-მოსაკარგავენი და მათი მეშვეობით შეეცადა არამარტო ცალკეულ ფეოდალ-ობოზიაციონერთა განადგურებას, არამედ მათი წარმომშობი სოციალური ინსტიტუტის სრულ მოსპობას.

ისეთი ენერგიული, მიზანსწრაფული და თვითმპყრობელი მონარქი, როგორც დავით IV იყო, ბუნებრივია ვერ შეურცხვებოდა თურქ-სელჯუკებისათვის ხარკის ძლევას, რაც მალიქ-შაჰის წინაშე თავისივე ნებით ივალდებულა გიორგი II. სავსებით მისაღებია მკვლევარის მოსაზრება, რომ მაშინდელი სამეფო კარის ეს ნაბიჯი „გაბედული გადაწყვეტილება იყო და, ალბათ, ერთადერთი სწორი გზაც შექმნილ ვითარებაში. ერისა და ქვეყნის გადარჩენის მიზნით საქართველოს სულთნის ყველა მოთხოვნა უნდა შეესრულებინა“ (გვ. 61).

მოგვიანებით საერთაშორისო ვითარება შეიცვალა. ასპარეზზე გამოჩენილმა ჯვაროსნებმა საგრძობლად შეარყიეს თურქ-სელჯუკთა პოზიციები. არც სასულთნოს შიგნით იყო სტაბილური ვითარება: აქ-იქ შეინიშნებოდა პარტიკულარისტული ტენდენციები, რაც, საერთო ჯამში, უარყოფით გავლენას ახდენდა სელჯუკთა სახელმწიფოზე. ეს კარგად გაითვალისწინა დავით აღმაშენებელმა და როგორც კი ოდნავ მოაღონიერა თავისი ქვეყანა, ევროპელ რაინდთაგან ანტიოქია-იერუსალიმის აღების შემდეგ სულთანს შეუწყვიტა ხარკის მიცემა. ამ დიდმნიშვნელოვან ფაქტს ივანე ჯავახიშვილი 1097 წლით ათარილებდა, რასაც იზიარებდა თითქმის ყველა, ვინც საქართველოს ისტორიის ჩვენთვის საინტერესო პერიოდს ასე თუ ისე ეხებოდა. თავის ნაშრომში რ. მეტრეველმა დაასაბუთა, რომ დავით IV თურქ-სელჯუკებს ხარკის მიცემა შეუწყვიტა არა 1097, არამედ 1099 წელს.

შიგაფეოდალური ობოზიციის განადგურება, ქვეყნის დამოუკიდებლობის

აღდგენა (თურქ-სელჯუკთა ხარკის უკუგდება) იყო იმ დიდი გეგმის მტკიცე ნაწილი, რასაც ტახტზე ასვლის დღიდან ჰაბუჯი მეფე ნელ-ნელა, მეთოდურად ახორციელებდა. ზედაზნის ციხის აღებისა და კლდეკარის საერისთავოს დაპყრობების შემდეგ კახეთის (კახეთ-ჰერეთი) სამეფოს ბედიც თითქმის გადაწყვეტილი იყო. საქართველოს დიდი პოლიტიკური მომწესრიგებელი ვერ მოითმენდა ამ პოლიტიკური ერთეულის დამოუკიდებლობას, მაგრამ ახალგაზრდა გვირგვინოსნის მისწრაფებათა პრაქტიკული რეალიზაცია, ალბათ, დააჩქარა თვით კახეთის სამეფო კარზე დატრიალებულმა ამბებმაც. საქმე ის იყო, რომ ზედაზნის აღების წლისთავზე, 1104 წელს, გარდაიცვალა კვირიკე IV (აქამდე ისტორიკოსები ამ ფაქტს გარკვეული მიზეზების გამო ათარიღებდნენ 1102 წლით) და სამეფო ტახტზე ავიდა მისი ძმისწული აღსართან II, რომელიც ქარაფშუტა, ცუნდრუჯი და უსამართლო ყოფილა. მეცნიერი სწორად მიუთითებს, რომ ასეთი მოწინააღმდეგის ძლევა დავით IV არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა. როგორც ჩანს, „აფხაზთა და ქართველთა“ მეფეს თავისი მომხრეებიც ჰყოლია კახეთ-ჰერეთში და სწორედ მათ — არიშიანმა, ბარამმა და ქავთარ ბარამის ძემ აღსართან II შეიპყრეს, დავით აღმაშენებელს გადასცეს და კახეთის სამეფომაც შეწყვიტა დამოუკიდებელი პოლიტიკური არსებობა.

ამ ამბის გადმოცემისას რ. მეტრეველი ჰერ დიდებულთაგან ჩერდება მხოლოდ არიშიანზე და იგი მიიჩნია დავითის ისტორიკოსთან მოხსენიებული დიდებულის სახელად (ოლონდ გარკვევით არ ამბობს, არიშიანი საკუთარი სახელია თუ ტიტული, თუმცა წყაროზე დაყრდნობით მიუთითებს, რომ ამ პიროვნებას აჯის უფლება აქვს), შესაძლებლად თვლის, რომ ეს სახელი დაკავშირებული იყოს ძველი ჰერეთის ამავე სახელწოდების პუნქტთან და უკანასკნელი გვევლინებოდეს სწორედ მის მფლობელად, გამგებელად. ჩვენ უფრო სწორად მიგვაჩნია დიდი მეფის ანონიმი ისტორიკოსის თხზულების ნიკო ბერძენიშვილისეული ინტერპრეტაცია. იქ ხაზგასმულია, რომ ამ ადგილას „1. ან უნდა იკითხებოდეს არიშიანმან ბარამ, ან 2. არიშიანმა, ბარამ, მაგრამ არიშიანმან აქ უბრალო საკუთარი სახელი კი არაა, როგორც ბარამ, არამედ ერისთავის დიდმოხელის ტიტული უსაკუთარსახელოდ“ (ნ. ბერძენიშვილი, სის, ტ. VIII, გვ. 630). თუ გავითვალისწინებთ ნიანია გრიგოლ მაოხრებლის შვილისათვის მიცემული დავით აღმაშენებლის სიგელის მონაცემებს (ეს დოკუმენტი დამოწმებული აქვს რ. მეტრეველს), მაშინ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ არიშიანი მოხელის, თანამდებობის პირის აღმნიშვნელი სიტყვაა (როგორც დადიანი და შერვაშიძე) და მისი აჯა მოწმობს, რომ ეს პირი უფლებამოსილია მეფის წინაშე იშუამდგომლოს დიდი მნიშვნელობის აქტზე, როგორც ამას ფიქრობდა ნიკო ბერძენიშვილი (სის, ტ. VIII, გვ. 628-629).

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ კახ და ჰერ დიდებულთა შორის ყველა როდი იყო საქართველოს და ამიერკავკასიის დიდი მომწესრიგებლის პოლიტიკური კურსის მომხრე. სეპარატისტულად განწყობილი ქართული ფეოდალური ელიტის სწორედ ეს ნაწილი ეახლა განძის ათაბაგს (რომელიც სულთნის მოხელე იყო) და დახმარება სთხოვა დავით აღმაშენებელთან საბრძოლველად. „აფხაზთა, ქართველთა, კახთა“ მეფის წინააღმდეგ დაიძრა განძის ათაბაგი, რომელსაც თან ახლდა სულთნის ლაშქარი და კახეთ-ჰერეთის დიდებულთა ნაწილი. ბრძოლა მოხდა 1104 წელს ერწუსს, სადაც დავით IV მტერზე ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. ქართველი ისტორიკოსი მიუთითებს, რომ ქართველი გვირგვინოსანი სრულად არ ჰგავდა იმთ, ვინც „ხურგით უდგა ოდენ სპათა თუსთა, ანუ შორით უხაზებდა, ვითარცა ერთი მთავართაგანი ვინმე, არამედ უპირატეს ყოვლისა თვთ წინა უვიდოდა, და ვითა ლომი შეუხაზებდა



და კმითა მალღოთა, და ვითა გრიგალი მი-და-მო იქცეოდა; და თვთ გოლიათებრ მიმართებდა და მკლავითა მტკიცითა დაამხოზდა ახოვანთა, სრვიდა და დასცემდა წინა დამთხვეულთა ყოველთა“ („ქ. ც.“ ტ. 1, გვ. 329). რ. მეტრეველი თავის ნაშრომში იმოწმებს დავითის ისტორიკოსის ამ აღგილს, მანამ არ მიუთითებს თუ ვის გულისხმობს სახელოვანი მეფის ცხოვრების ავტორი იმ „სხვა ვინმეში“, ვინც „ზურგით უდგა ოდენ სპათა“. ვფიქრობთ, არ შეეცდებით თუ ვიტყვით, რომ ეს „სხვა ვინმე“ არის ლეონტი მროველთან მოხსენიებული ჰაოსი, რომელიც ნებროთის სპის წინააღმდეგ გამოსულ თავის ძმათა ჯარს „სპითა უძლიერესითა დაუდგა უცნით, ზურგით... ზოლი ჰაოს უდგა ზურგად ვმირთა მისთა, ძალ-სცემდა და ნუგეშის-ცემდე კმითა საზარლითა, რომელი მსგავსი იყო მეხის ტეხისა“ („ქ. ც.“ ტ. 1, გვ. 6-7). ამ ორი აღგილის ურთიერთ-შეჯერების შემდეგ, ალბათ, აშკარაა, რომ ანონიმ ქართველ ისტორიკოსს ფარული პოლემიკა აქვს გამართული ლეონტი მროველთან და, სავსებით მართებულად, „ზურგიდან ჭგომას“ სრულიადაც არ უთვლის ჰაოსს დიდ დამსახურებად.

ერწუხის გამარჯვების შემდეგ დავით აღმაშენებელმა საეკლესიო საქმეებისთვისაც მოიცალა. რ. მეტრეველმა სათანადო მონაცემებზე დაყრდნობით გვიჩვენა, რომ არა 1103, არამედ 1104 წელს მოიწვია მეფემ რუის-ურბნისის დიდი საეკლესიო კრება და დასახა სახელმწიფოს ამ იდეოლოგიური დასაყრდენის გარდაქმნა-მოწესრიგების ქმედითი ღონისძიებები. კრებამ დიდი როლი შეასრულა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ქართველმა გვირგვინოსანმა ჩამოიცილა მრავალი არასასურველი პირი და მათ აღგილებზე დანიშნა თავისი ერთგულები, რითაც ეკლესია მტკიცედ ჩააყენა სახელმწიფოს (მონარქიის) სამსახურში. მეცნიერის მტკიცებით, 1104-1105 წლებში დაწესდა ჭყონდიდელ-პიგნობართუხუცესის თანამდებობა, რაც, მისი აზრით, რუის-ურბნისის კრების გადაწყვეტილებათა განხორციელების ლოგიკური განგრძობა იყო.

ჩინებულად გაწვრთნილი, ორგანიზებული და ძლიერ მონოლითური არმიით დავით IV განახორციელა უმნიშვნელოვანესი სამხედრო ოპერაციები — აიღო სამშვილდე, ძერნა, რუსთავე, გიში, ლორე, აგარანი, მწარე დამარცხება აგემა თურქ-სელჯუკებს და საგრძნობლად შეარყია მათი ხელისუფლება ამიერკავკასიაში.

მოპოვებულ წარმატებათა მიუხედავად მეფე ხედავდა, რომ მაინც არ ჰყოფდა საჭირო რაოდენობის ლაშქარი. მისი მეომრები ხშირად სწყდებოდნენ მიწის სამუშაოებს და ეს მძიმე ტვირთად აწვა ქვეყანას. ამ გარემოების ვათვალისწინების შედეგად დავით აღმაშენებელმა გადაწყვიტა საქართველოში ყივჩაღები ჩამოესახლებინა, მიწაზე დაემკვიდრებინა, გაეჭრისტიანებინა და მათი საშუალებით უზრუნველყოს სამხედრო პოტენციალის შემდგომი გაძლიერება. რ. მეტრეველი მართებულად მიუთითებს (ეს სხვა დროსაც აღნიშნულა), რომ ყივჩაღთა დაბალი სოციალური განვითარება ჩვენი ქვეყნისათვის სასარგებლოც კი იყო. ისინი იოლად შეეგუენ გარემო პირობებს და სწრაფად, უმტკივნეულოდ გაქართველდნენ.

ახალი სამხედრო ძალის შემატების შემდეგ დავით აღმაშენებელმა უფრო ენერგიულად შეუტია თურქ-სელჯუკებს, დაამარცხა ისინი ბოტორასთან, დაიკავა შირვანი და აიღო მისი ქალაქი ყაბალა, სძლია მოწინააღმდეგეს აშორნიასთან, სევგულამეჯთან, ხუნანთან და ხელთ იგდო ბარდავი.

ძლიერი და ენერგიული მეფე-მონარქი შეებრძოლა ცალკეულ ქალაქ-კომუნებს, რომელთა დამოუკიდებელი არსებობის პირობას ქმნიდა XI-XII საუკუნეების საქართველოს საგარეო და საშინაო პირობები. როგორც ცნობილია,

ქალაქები თავდაპირველად მხარში ედგნენ ქართველ მეფეებს და მათი ბრძელობით ცდილობდნენ ფეოდალური პარტიკულარიზმის დაძლევის. მოგვიანებით ვითარება თანდათან შეიცვალა. დავით აღმაშენებელი საფუძველს უწყობს ახალ ეტაპს სამეფო ხელისუფლებისა და ქალაქ-კომუნების ურთიერთობაში, გვემაზომიერად ახორციელებს მათი გაუქმება-დამორჩილების პოლიტიკას.

თავისთავად ცხადია, დამარცხებისთან შეგუება არ სურდათ არც თურქ-სელჩუკებს და არც ქალაქ-კომუნათა წარმომადგენლებს (უპირველეს ყოვლისა, თბილისის მცხოვრებთ), მაგრამ ამ უკანასკნელთათვის ასეც ნათელი იყო, რომ დავით IV ლაშქარს მარტო ვერ გაუმკლავდებოდნენ. ამის გამო 1121 წელს განჯელ-თბილელ-დმანელი ვაჭრები ეახლნენ სპარსეთის და სხვა მუსლიმან მმართველებს და დახმარება სთხოვეს დავით აღმაშენებელთან ბრძოლაში. წიგნი ვრცლად და დამაჯერებლად არის აღწერილი ეს გრანდიოზული ბრძოლა, რომლის დროსაც მთელი სისრულით წარმოჩნდა დავით აღმაშენებლის, როგორც სამხედრო სტრატეგის, გენიალობა. მკვლევარმა მიერ მოყვანილი წყაროები და უხვი სამეცნიერო ლიტერატურა თვალნათლად მიგვითითებს იმ როლსა და მნიშვნელობაზე, რაც მან შეასრულა არამარტო საქართველო-ამიერკავკასიის, არამედ მამინდელი მსოფლიოს ისტორიაში.

ქართველთა გამარჯვებას დიდგორის ომში მოჰყვა თბილისის შემოერთება. ნიკო ბერძენიშვილი სწორად შენიშნავდა, რომ „თბილისს, უეჭველია, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ამ დროს აღმოსავლეთის ვაჭრობისათვის ამიერკავკასიაში. ის ცენტრში იყო აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობისა და როგორც სავაჭრო, ისე სტრატეგიული პუნქტიც იყო. მის გარშემო მდებარე ქალაქები: სამშვილდე, ლორე, რუსთავი, ხუნანი — ესენი თბილისს იცავდნენ. ამათ ლაშქრობის შემდეგ აზრი ჰქონდა თბილისის დაპყრობას და, პირუკუ, თბილისის დაპყრობა ასრულებდა ამ ქალაქების დაპყრობას“ (სის, ტ. IX, გვ. 97). მეცნიერის სწორედ ამ დებულების ყოველმხრივი გათვალისწინება გვაძლევს იმის სერიოზულ საფუძველს, რომ არ დავეთანხმოთ რ. მეტრეველის მტკიცებას, თითქოს ქალაქების დამორჩილების ახალი ეტაპი გახდა დავით აღმაშენებლის მიერ თბილისისათვის ბრძოლის დაწყება, რასაც პრაქტიკულად 1120 წელს ეყრება საფუძველი (გვ. 187). ჩვენი აზრით, ქალაქებთან დამოკიდებულებაში „აფხაზთა, ქართველთა, კახთა, რანთა“ მეფეს თავისი მოღვაწეობის რომელიმე პერიოდში ახალი ეტაპი არ დაუწყია. თვით მისი მმართველობის დასაწყისი იყო სწორედ ახალი ეტაპი, ერთი მხრივ, სამეფო ხელისუფლებისა და, მეორე მხრივ, თავისუფალ ქალაქ-კომუნათა ურთიერთობაში. მეფობის პირველი წლებიდანვე დავით IV თანამიმდევრულად, დაქინებით იბრძოდა ქალაქთა დამორჩილებისათვის. სწორია ნიკო ბერძენიშვილის მოსაზრება, რომ სამშვილდე, ლორე, რუსთავი, ხუნანი თბილისს იცავდნენ და მათი დაკავებისათვის საქართველოს მეფის შეუპოვარი ბრძოლა ლოგიკურად გულისხმობდა ბრძოლას თვით თბილისის დაკავებისათვის. ამ ქალაქების სრული დამორჩილება „ამიერკავკასიის მასშტაბით მოქმედი პოლიტიკოსის პირველი ეტაპი სწორედ ასე უნდა ყოფილიყო“ (სის, ტ. IX, გვ. 97), ხოლო მისი დასასრული — თბილისის დაკავება დავით IV მიერ. აი, სწორედ ასეთი პოლიტიკური კურსი გახდა იმის საბაბი, რომ განძელ-თბილელ-დმანელმა ვაჭრებმა გაძლიერებული მონარქისაგან თავისი უფლებების დაცვა სთხოვეს მუსლიმანურ კოალიციას და იგი, როგორც აქტიური, ქმედითი ძალა, დაუპირისპირეს დავით აღმაშენებელს (სხვათა შორის სწორედ ასე აქვს გააზრებული თბილისისათვის ბრძოლა ირაკლი აბაშიძეს თავის პოემაში „რას გადაუტრია თბილისი“).

თბილისის შემოერთებამ ახალი ფურცელი გადაშალა ჩვენი ხალხის ისტო-



როსი. მართალია, მეფე მკაცრად გაუსწორდა ერთიანი საქართველოს მომავალ დედაქალაქში მისი შესვლის მოწინააღმდეგეებს, მაგრამ ისიც კარგად ესმოდა, რომ მართო შიშველ ძალაზე დაყრდნობა ვერ მოუტანდა სასურველ შედეგებს. მრავალეროვანი ქალაქის საბოლოოდ შემოსამტკიცებლად საქირო იყო სწორი, მოხერხებული პოლიტიკის შემუშავება. საქართველოს გაერთიანება-აღორძინებისა თუ მთელი ამიერკავკასიიდან თურქთა განდევნის დიდი ამოცანა დავით IV უბიძგებდა ტოლერანტული პოლიტიკის წარმოებისაკენ. ამის საქიროება განსაკუთრებით იგრძნობოდა თბილისის მოსახლეობასთან ურთიერთობის მოსაწესრიგებლად, მით უმეტეს, რომ საქართველოს ახალი დედაქალაქის მცხოვრებთა დიდი ნაწილი ქართული არ იყო (რაც დამახასიათებელია შუა საუკუნეების ქალაქებისათვის). ისანი ვაჭრობას ეწეოდნენ და შეცვლილ პირობებში რელიგიური განსხვავებულობის გამო თავი არ უნდა ეგრძნოთ შევიწროებულად. როგორც ჩანს, დავით აღმაშენებელმა ეს ყოველივე კარგად გაითვალისწინა და არაქართველ მოსახლეობასთან ურთიერთობაში დაადგარჯულშემწყნარებლობის კურსს. რ. მეტრეველს მოჰყავს იმის დამადასტურებელი ცნობები, რომ თვით მუსულმანები თავისუფლად ცხოვრობდნენ თბილისში. უფრო მეტიც: როგორც იმდროინდელი წყაროები გადმოგვცემენ, საქართველოს დიდი გამაერთიანებელი თვითონ დადიოდა მეჩეთში და ყურანის ცალკეულ სურათა ირგვლივ ზოგჯერ კამათსაც უმართავდა მოლებს (წიგნის ავტორი მიუთითებს, რომ მსგავს რელიგიურ პოლიტიკას არ იცნობდა არც დასავლური და არც აღმოსავლური სამყარო).

მართალია, დიდგორთან თურქებმა სასტიკი მარცხი განიცადეს, მაგრამ ისინი არ კარგავდნენ რევანშის აღების იმედს. ალბათ, სწორედ ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი, რომ 1123 წელს სულთანი მაჰმუდი მიადგა შირვანს, აიღო მისი დედაქალაქი, შეიპყრო დავით IV ერთგული ყმადნაფიცო შარვან-შაჰი, ხოლო ქართველ მონარქს გამოუგზავნა კადნიერებით აღსავსე წერილი: „შენ ტყეთა მეფე ხარ და ვერაოდეს გამოხვალ ველთა; ხოლო მე ესე-რა შირვანშია შევიპყარ კელითა და ხარაჯს ვითხოვ; შენ თუ გენებოს, ძღვენი ჭეროვანი გამოგზავნე, და თუ გინდა სამალავად გამოიდი და მნახე“ („ქ. ც“. ტ. 1, გვ. 343).

ბუნებრივია, საქართველოს სამეფო კარი გაქირვებაში არ მიატოვებდა თავის ერთგულ ყმადნაფიცს და არც თვითმპყრობელი მეფე მოითმენდა სულთანის ასეთ თავხედობას. იგი საჩქაროდ გაემზადა მაჰმუდ სულთანთან საბრძოლველად, რომელიც ძღვეამოსილი მეტოქის მიახლოებისთანავე აიყარა და ითხოვა „გზა სამლტოლვალო“. სულთანს ირანის ათაბაგი მიეშველა, მაგრამ სასტიკად დამარცხდა, რის შემდეგ ბაქია მაჰმუდი საჩქაროდ უკანვე გაბრუნდა.

შირვანიდან თურქ-სელჯუქთა განდევნა ამით არ დასრულებულა. დავით მეფეს ერთი თვის შემდეგ, 1123 წლის ივნისში, კვლავ მოუხდა მათ წინააღმდეგ ლაშქრობა. როგორც რ. მეტრეველი აღნიშნავს, საქართველოს ძღვეამოსილი მონარქისა და შირვანელთა ერთობლივ ბრძოლას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა: ამიერიდან საქართველო და შირვანი მჭიდროდ დაუკავშირდნენ ერთმანეთს.

ახალი, სახელოვანი გამარჯვებები მოიპოვა საქართველომ 1124 წელს: მარტში დავით აღმაშენებელმა აიღო დმანისი, აპრილში — შაბურანი, დაახლოებით მაისში სომხეთის ციხეები — გავნი, ტერონაკალი, ქავაზინი, ნორბედი, მანასგომნი, ტალინჯაქარი, ივნისში — ჯავახეთი, კოლა, კანრიფორა, ბასიანი გაწმინდა თურქ-სელჯუქებისაგან. იმავე წელს აგვისტო-სექტემბერში დაიკავა ქალაქი ანისი, რამაც აღფრთოვანება გამოიწვია ამიერკავკასიის სომხურ

მოსახლეობაში (ამ ფაქტს მურმან ლებანიძემ უძღვნა შესანიშნავი პოემა „ან-სის აღება“).

მეფე-მომწესრიგებელმა თავისი მმართველობის პერიოდში საქართველოს საზღვრები ნიკოფსიიდან დარუბანდამდე, ოსეთიდან არგაშამდე და ამით განუზომლად გაზარდა ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო მნიშვნელობა. ქართველი მემკვიდრის სიტყვებით რომ ვთქვათ, „სულტანი მუნ, სადა იყო, ძრწოდა შიშისაგან მისისა (ლაპარაკია დავით აღმაშენებელზე — ა. კ.), და არცაღა თვთ ძუელად ქონებულთა ქალაქთა და ქუეყანათა (პგონებდა თუსად ქონებდა, არამედ რამდენცა შორს იყო, ეგენცა ეოცებოდა მძინარესა შიში და მღვძირესა სიკვდილი“ (ქ. ვ. ტ. 1, გვ. 346).

რ. მეტრეველი თავის ნაშრომში გვისურათებს დავით აღმაშენებლისდროინდელ საქართველოს ეკონომიკურ და სამართლებრივ მდგომარეობას. ნიკო ბერძენიშვილი ერთგან შენიშნავს, რომ თამარი უფრო მდიდარი იყო, ვიდრე დავითი, შავრამ დავითი უფრო ძლიერი იყო, ვიდრე თამარი. განსვენებული მეცნიერის ეს დებულება მეტ დამაჯერებლობას იძენს, როცა ვეცნობით სარეცენზიო ნაშრომის შესაბამის ნაწილს. ავტორი საფუძვლიანად მომოიხილავს ქვეყნის სოფლის მეურნეობის მაშინდელ მდგომარეობას, საგანგებოდ ჩერდება საქალაქო ცხოვრებაზე, აღნიშნავს, რომ იმდროინდელი საქართველოს ქალაქების დიდი აღმავლობა განაპირობა სატრანზიტო გზებთან სიახლოვემ, ხელოსნობა-ვაჭრობამ და ექსპორტ-იმპორტმა სხვადასხვა ქვეყანასთან. XII საუკუნის საქართველოს ქალაქებში წარმოდგენილია ხელოსნობის თითქმის ყველა დარგი, რომელიც საერთოდ ფეოდალურ სახელმწიფოში არსებობდა. მათგან მკვლევარი გამოყოფს ოქრომჭედლობას, მეჭურჭლეობას, მეაგვეგობას, მეთუნე-მეკეცეობას, რაც შეეხება ვაჭრობას, მას ქართველებთან ერთად ბევრი მუსულმანიც ეწეოდა და, რელიგიური განსხვავებულობის მიუხედავად, არ იყო მათ შორის რაიმე შეზღუდვა რომელიმეს სასარგებლოდ იმ შეღავათებში, რასაც სამეფო კარი აწესებდა საერთოდ ვაჭრების სასარგებლოდ.

დავით აღმაშენებელმა ქვეყანაში განახორციელა ფინანსური ღონისძიებები — შეეცვალა მონეტის ტიპი და განამტკიცა მისი კურსი. მუსულმანური ტიპის ფულის პარალელურად იჭრებოდა და მიმოქცევაში იყო ქართული მონეტებიც.

დავით IV სახელთანაა დაკავშირებული სასამართლო დაწესებულების — სააჯო კარის ვარდაქმნა, რომელსაც მეფემ სათავენი ჭყონდიდელ-მწიგნობათუხუცესი ჩაუყენა. მკვლევარი იზიარებს ჩვენს სამართალმცოდნეობაში გამოთქმულ აზრს, რომ დავით აღმაშენებლისდროინდელ საქართველოში არსებობდა მაღალგანვითარებული სახელმწიფოებრიობის შესაბამისი სასამართლო სისტემა. ეს უკანასკნელი იქცა ქვეყნის მართვა-გამგეობისაგან განცალკევებულ დაწესებულებად, რაც ქართული სამართლის დიდი წარმატებაა.

საყოველთაოდ ცნობილია ის დიდი როლი, რასაც ხალხთა მასები ასრულებენ ისტორიაში და ამ მხრივ გამოწვევისი არც XII საუკუნის ფეოდალური საქართველოა. რ. მეტრეველი იძლევა ჩვენთვის საინტერესო პერიოდში ქვეყანაში მცხოვრები ფართო ფენების ცხოვრებისა თუ საზოგადოებრივი მდგომარეობის ამსახველი ცნობების ღრმა ანალიზს. გვიჩვენებს, რომ XII საუკუნის (განსაკუთრებით მისი პირველი მეოთხედის) საქართველოში მთელი სიგრძისიგანით მიმდინარეობდა, ერთი მხრივ, მწვავე შიგაკლასობრივი ბრძოლა, ხოლო მეორე მხრივ, დაბალი სოციალური ფენების (გლეხები, ხელოსნები, ყმა-ვაჭრები) მძიმე ექსპლოატაცია.

სარეცენზიო ნაშრომი ვრცლად ეხება იმ კავშირთიერთობას, რაც სა-

ქართველოს ჰქონდა გარესამყაროსთან — ჩრდილოელ თუ სამხრეთ-აღმოსავლელ მეზობლებთან, ბიზანტიასთან თუ ევროპელ ჯვაროსნებთან. რამაც გარკვეულად განაპირობა განათლებისა და კულტურის შემდგომი განვითარება ქვეყანაში. ერთი მხრივ, ქართველი მოღვაწეები თვით ქმნიდნენ ეროვნულ-მეცნიერულ თუ მხატვრულ ლიტერატურას, კიდევ უფრო აღრმავებდნენ და სრულყოფდნენ თავიანთ მიღწევებს ფილოსოფიაში, ისტორიოგრაფიაში, არქიტექტურაში, მხატვრობასა თუ სხვა დარგებში, მეორე მხრივ, ითვისებდნენ მათი მომიჯნავე ქრისტიანული თუ მუსულმანური სამყაროდან ყოველივე მოწინავეს და ამკვიდრებდნენ მშობლიურ ნიადაგზე, ხოლო, მესამე მხრივ, თვით ახდენდნენ გავლენას მეზობელი ხალხების კულტურულ განვითარებაზე.

1106 წელს დავით აღმაშენებელი იწყებს გელათის მშენებლობას. ბრძენი ხელმწიფე 1106-1110 წლებში იქვე არსებს აკადემიას, რომელიც „შეიქმნა რეალური მოთხოვნების ნიადაგზე და უწინარა იმ იდეოლოგიურ მოძრაობას, რომელიც გზას უკაფავდა ქართულ რენესანსს“ (შალვა ნუცუბიძე, შრომები, ტ. VIII, გვ. 545-546). გელათის აკადემიაში, ბიზანტიის იმდროინდელი უმაღლესი სკოლების მსგავსად, ისწავლებოდა მეცნიერების შვიდი ძირითადი დარგი: ფილოსოფია, გრამატიკა, რიტორიკა, არითმეტიკა, გეომეტრია, მუსიკა და მხატვრობა. მისი პირველი რექტორი იყო არსენ იყალთოელი, რომელიც XII საუკუნის 20-იანი წლებიდან იყალთოს აკადემიაში გადასულა. დავით IV საქართველოში მოიწვია დიდი ქართველი ფილოსოფოსი იოანე პეტრიწი და გელათში შეუქმნა მეცნიერული მუშაობის ხელსაყრელი პირობები. ამიერკავკასიის გენიალური პოლიტიკური მომწესრიგებელი ხელს უწყობდა კულტურული ცენტრების მომძლავრებას საზღვარგარეთ, რაც საერთაშორისო ასპარეზზე მისი დიდი ავტორიტეტის დადასტურებაა. დღენიადაგ იღვწოდა სხვადასხვა ქვეყანასთან კულტურულ-საგანმანათლებლო კონტაქტების შემდგომი განმტკიცებისათვის. მას, მუსულმანი მწერლების გადმოცემით, ცალკე სახლიც კი აუშენებია უცხო ქვეყნის (არაქრისტიან) მეცნიერთა, ფილოსოფოსთა და პოეტთათვის. ყოველმხრივ ზრუნავდა თავისი ქვეყნის შემდგომი აყვავება-გაძლიერებისათვის. მისი მეთაურობით აღორძინებული საქართველოს წინაშე ისახებოდა უდიდესი გეგმები, მაგრამ სიკვდილმა 1125 წლის 24 იანვარს გულისძგერა შეუჩერა 53 წლის გვირგვინოსანს, რომელმაც ქართლს „ხმალი შეარტყა“, აღორძინა, განამტკიცა და გააერთიანა თურქ-სელჯუქთა მიერ ფერულადქცეული საქართველო.

ნაშრომის დასასრულ მოთავსებულ განაცხედში „ბოლოთქმის მაგიერ“ მოცემულია დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილი ხალხური ზეპირსიტყვიერებისა თუ მხატვრული ნაწარმოებების მოკლე მიმოხილვა (ამ მხრივ სრულიად განსაკუთრებულია კონსტანტინე გამსახურდიას ღვაწლი). მეკვლევარი გაკვრიოთ ჩერდება „გალობანი სინანულისანზე“ და მიუთითებს, რომ ბრძენი ხელმწიფე უბრალო მეფურ ვალს კი არ იხდიდა ზოგადსაკაცობრიო პრობლემების პოეტურ სახეებში გადმოცემით, არამედ მთელი არსებით ეძლეოდა შემოქმედებითს შთავგონებას.

დავით აღმაშენებლის სახელი ერთიანი, ძლიერი, მონოლითური საქართველოს სიმბოლოა, რომლისადმი მიძღვნილი ნაშრომის ეს ზოგადი მიმოხილვაც კი გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს იმ დიდ და მრავალმხრივ მუშაობაზე, რაც მონოგრაფიის ავტორს გაუწევია. რ. მეტრეველის წიგნის ღირსება მართო ის კი არ არის, რომ თვალნათლად გადაგვიშლის საქართველო-ამიერკავკასიის გენიალური პოლიტიკური მომწესრიგებლის, დიდი აღმაშენებლის მრავალმხრივ, ბობოქარ ცხოვრებას, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ის, რომ გვა-

ფიქრებს ჩვენს მოქალაქეობრივ, მამულიშვილურ ვალზე სამშობლოს წინაშე და გვიჩვენებს მშობელი ქვეყნის, მთელი ხალხის ერთგული, თავდადებული, უანგარო სამსახურის ბრწყინვალე მაგალითს.

კულტურულ, ცივილიზებულ ერს ისტორია ესაჭიროება არა მხოლოდ წინაშეა და არამედ გააზრებული, ქმედითი, აქტიური ცხოვრების ფუძედ, რომელზეც უნდა აშენდეს სამშობლოს უკეთესი მერმისი. რამდენადაც უფრო სრულად, ღრმად ეცოდინება მას თავისი წარსული, იმდენად უფრო უკეთ გაიცნობიერებს მომავალს. სწორედ ეს ფუნქცია აკისრია როინ მეტრეველის ამ სოლიდურ მონოგრაფიას და სწორედ ამიტომ მოექცა იგი ჩვენი საზოგადოების ყურადღების ცენტრში.



ანდრო მირიანაშვილი

ფრიდონ ხალვაშის ახალი რომანი

ფრიდონ ხალვაშს ჩვენი მკითხველი კარგად იცნობს როგორც ნაყოფიერ მწერალსა და აქტიურ საზოგადო მოღვაწეს. მისი ლექსები, პოემები, მოთხრობები, რომანები, პიესები, პუბლიცისტური წერილები გამოირჩევა ამაღლებული პატრიოტიზმითა და მახვილი მოქალაქეობრივი პათოსით.

თავისი დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებულ ერთ-ერთ ინტერვიუში ფრ. ხალვაშმა თქვა: „მთავარი წიგნი დასაწერი მაქვს“.

ეს უკმარობის გრძნობა და მომავალი შემოქმედებითი მიღწევების იმედიანი მოლოდინი მკითხველისა და თავის წინაშე პასუხისმგებლობის მქონე ყველა მწერლისათვის არის დამახასიათებელი. მათ ხომ მთელი თავიანთი შემოქმედება მხოლოდ შესავლად მიაჩნიათ „მთავარი წიგნისა“ და მის დასაწერად გულმოდგინედ ემზადებიან.

მართალია, ასეთი წიგნი თითქმის ყოველთვის დაუწერელი რჩებათ, მაგრამ, სამაგიეროდ, წერენ წიგნებს, რომლებსაც მათთვის შემოქმედებითი გამარჯვება და მკითხველისათვის სიამოვნება მოაქვს.

ერთ-ერთ ასეთ შემოქმედებით გამარჯვებად, თუმცა არა საოცნებო „მთავარ წიგნად“, არამედ „მთავარი წიგნის“ შექმნის გზაზე კიდევ ერთ წინ გადადგმულ ნაბიჯად მიგვაჩნია ფრ. ხალვაშის რომანი „ჩემი და შენი“, რომელიც ქურ. „მნათობში“ (1987 წ., № 8-მ) გამოქვეყნდა.

„ჩემი და შენი“ ორიგინალური კომპოზიციის რომანია. მას არა აქვს მტკიცედ შეკრული, მკვრივი სიუჟეტი სადაც ყოველი მოვლენა, ყოველი მხატვრული ეპიზოდი ერთმანეთთან ქრონოლოგიურად თანმიმდევრულ, მკაცრ მიზეზ-შედეგობრივ კავშირშია. პირი-

ქით, მისი სიუჟეტი ამჟამად „გაფანტულია“. აქ ავტორის თხრობას და დიალოგებს წშირად ენაცვლება დღიურების სახით წარმოდგენილი ან ნოველის ფორმის მოგონებები შორეულ თუ ახლობელ წარსულზე, რომლებიც წშირად სიუჟეტიდან განზე დგას, მაგრამ რომანის მხატვრულ ღირსებას კი არ ენებს, არამედ უფრო მეტი ინტერესით საკითხავს ხდის. რაც მთავარია, ნაწარმოებს უფრო ფართომბლანაინად აქცევს, სინამდვილეს უფრო მასშტაბურად წარმოგვიდგენს და პრობლემათა ფართო წრეს მოიცავს. მწერალს ატრეხებს, ამ „სიუჟეტურ ფრაგმენტებს“ შორის მტკიცე ლოგიკური კავშირი დაამყაროს და ისინი ერთი მხატვრული სხეულის ბუნებრივ ნაწილებად აქციოს.

ვიწყებთ რომანის კითხვას და ვხედავთ ზღვის პირას გამოსულ კაცს, რომელსაც თურმე უხხარია, რომ დღეს ნაცნობი არავინ შეხვდა. თვითონაც არ იცის — რატომ, მაგრამ მაინც უხხარია, რომ დღეს მარტო დარჩა თავის თავთან და შორეულ თუ ახლობელ მოგონებებში ჩაიძირა. ფიქრებში წასულ გულს ხევაძეს შეცრად ვიღაც შეეფეთა და შესძახა: „აბა, შეჩერდი, ყმაწვილო! სად იმალები ამდენ ხანს, სადა? ხომ დაგვიბრდი, ზღვაში ნახულ განცდილს წიგნად დაგწერო? ხომ ამბობდი, ბიჭებო, თქვენს ამბებს მთელ ქვეყანას მოვდებო. აბა, სადაა? რა ხანი გავიდა, შენი ხმაც ვერ გავიგონეთ. არა, ძიავ, მეზღვაურებთან ტყუილი არ გავიგია“.

ახე შეჰხვდა ქურნალისტი გული ხევაძე ხალით ვიაძეს, რომელიც მასთან ერთად მსახურობდა გემზე ბოცმანად. ახლა მეგობრები ხელიხელ გადახვეულები მიძინან და იგონებენ „ათასჯერ შეძლებულ და ათასჯერ კვლავ შეყვარებულ ზღვას, გემს, მრავალ გაჭირვებაში გამოვლილ მშაკაცებს“; იგონებენ, რაც თავს გადაჰხდნით, მაგრამ ეს არ არის ნახულია და განცდილის უბრალო გახსენე-

ბა, ეს არის ცხოვრების ავტარება ღრმად დაინტერესებული ადამიანების განსჯა-შეფასება ჩვენი სინამდვილისა, ყოველდღიური ცხოვრების მტკიცე თუ სუსტი პრობლემებისა.

ხალით ვიაძეს 30 წელი გაუტარებია გემზე, თითქმის მთელი მსოფლიო მოუფლია, ბევრი რამ უნახავს და განუცდია, მახვილი თვალით შეუხედავს ცხოვრებისათვის და ამდენი გამოცდილების მქონე კაცს უფლება აქვს, კრიტიკულად შეაფასოს თავის ირგვლივ არსებული სინამდვილე. აფასებს კიდევ, თუმცა ეს კრიტიკა ნიშნის მიგება, ან ახირებული კაცის თვითმიზნური ბუზღუნი როდია. ეს არის ღრმა გულსტკივილი იმ ე. წ. ნეგატიური მოვლენების გამო, რაც ყველა ბატიოსან მოქალაქეს აწუხებს. ხალით ვიაძე გულოს ეუბნება: „რას იზამ, არაა საშველი! იქ წავალ, მომბეზრდება, ხმელეთზე ამოვალ; აქ კიდევ უარესად ვფორიაქობ. რამდენი უკუღმართობაა აქა, იცი? ძმაკაცობა აღარ გადის. თუ ყოვლისშემძლე ხარ, ჭიმძაკეებენ, რათა რალაცას გამოგჩენ. გამორჩენაზეა ყველა. არ ვარ ამას მიჩვეული. კაცს ან უნდა ამინებდეს შენი მღვთმარეობით, ან დიდ ხეირს უნდა ელოდეს შენგან, რომ რაცხა ვაგვიკეთოს, სხვანაირად ააფეროს. ზოგი გპირდება, მაგრამ არ გისრულებს. ყურნალი მინდოდა გამომეწერა, აღარააო, ბამბის მაისურები გათავდაო. ბორჯომის წყალიც თვალის ჩაკვრით შეიძლება? ჰოდა, ხმელეთზე რა ვაკეთო? დურგლობა რომ დავიწყო, სამუშაო იქნება არც მოინახოს. დურგალმა, როგორ, ფარა ვაძლიო სამუშაოზე მოწყობაში? აბა, რა ვაკეთო აქა?“

კიდევ ბევრი მტკივნეული საკითხი შეახსენა ხალითმა გულს ხევაძეს და ამით თითქოს უბიძგა კიდევ, აიძულა, უფრო დაწვრილებით მოგვითხროს, რა აწუხებს ხალით ვიაძეს, ან უფრო სწორად, რა აწუხებს თვითონ რომანის ავტორს, როგორც მწერალსა და მოქალაქეს. და აი, ისიც გადმოჰქექავს

თავის არჩევს, მოაწესრიგებს დღით-
რებსა თუ ჩანაწერებს და მოვეითბრო-
ბს მიმზიდველად, საინტერესოდ.

რომანის პერსონაჟ გულო ხევაძეში
მკითხველი ადვილად იცნობს თვით
ავტორს — ფრ. ხალვაშს, რომელიც
უკვე სახელმწიფო მწერალი შო-
რეული ნაოსნობის გემზე წაყვანილია და
დიდხანს იმუშავა კაპიტნის პირველ
თანაშემწედ. ამდენად, რომანში აღწე-
რილი ამბები მწერლის უშუალო შთა-
ბეჭდილებებია და არა ხელოვნურად
გამოგონილი. ამ უშუალო შთაბეჭდი-
ლებებს მწერალი შესაფერ მხატვრულ
სახეს აძლევს, აზოგადებს და ჭეშმე-
რიტი ხელოვნების ფორმაში აქცევს.

რომანის ძირითადი ნაწილი გულო
ხევაძის დღიურით იწყება. მადანშო-
ბის გემი „მხატვარი“ ბათუმის ნავსად-
გურს ტოვებს და შორეულ ნაოსნო-
ბაში მიდის. იწყება ხიფათით საცესე,
მაგრამ ძალზე საინტერესო მეზღვაუ-
რული ცხოვრება და მას აღწერს გუ-
ლო ხევაძე, რომელიც პირველად მო-
ხვედრილა მეზღვაურთა შორის.

თავისებური ცხოვრება გემზე, ხმე-
ლეთისაგან თვალსაჩინოდ განსხვავე-
ბული. თითქოს ადამიანებიც განსხვა-
გებულნი არიან. ვეცნობით მათ და
გვჯერა, რომ ხალხით გიჟი მართალს
ამბობს: „რაც მართალია, მართალია,
ადამიანი ყველგან ადამიანია, თავისი
ცოდვა-მადლი ყველგან ახლავს, მაგ-
რამ გემი და ზღვა, მგონი, მაინც უფ-
რო მეტად ვერ იტანს სიყალბეს, პირ-
ფერობას, ქიშპობას და ბორბობას,
ვიდრე ხმელეთი“. ამას ვგრძნობთ რო-
მანიდანაც, თითქმის ყოველი პერსო-
ნაჟის ქცევა-მოქმედებიდან.

მწერალი, როგორც ახალბედა მეზ-
ღვაური, თვითონაც პირველად ეცნო-
ბა გემის ეკიპაჟს და ჩვენც გაცნობს,
თვალწინ გვიშლის მათს შრომა-საქ-
მიანობას, საჭირო შემთხვევაში თავ-
განწირვამდე მისულ ერთგულებას,
მათს ფაქიზ სულსა და მდიდარ ხასი-
ათს. როგორც ეკიპაჟის ყველა წევრს
გემზე თავისი ადგილი აქვს მიჩენილი

და ყველამ თავისი მოვალეობა არდა-
შეასრულოს, ასევე რომანის

შიც მწერალი მათ თავიანთი მოვალეობის
მიუჩინს და ცელკეული მხატვრული
ჭეშმარილების დასამახსოვრებელ სახეებს. მკი-
თხველის მეხსიერებაში ღრმად აღი-
ბეჭდა კაპიტანი შალვა დიდიძე, კაპი-
ტნის თანაშემწე იური მაქსიმოვი,
შტურმანი სტანისლავ ლოტოვი, ელექ-
ტრიკოსი ბიკიო, ჯიმი ბაბუხია, მი-
რიან გლასი, ჯანო გეგი, ახალგაზრდა
ქალი ზინა და სხვა. მაგრამ სიუჟეტის
ცენტრში მაინც, ძირითადად, ორი პე-
რსონაჟია მოქცეული. ესენი არიან
გულო ხევაძე და ხალით გიჟი. სხვა
პერსონაჟებსაც, არსებითად, მათთან
ურთიერთობაში ვეცნობით და პირ-
ველ რიგში მათი მორალური კრიტი-
კის მიხედვით ვათვსებთ; ვეც-
ნობით მათს ხალას ადამიანურ ბუნე-
ბას და, ამავე დროს, „ხმელეთის ცხო-
ვრებიდან შემოპარულ და ფესვმოკი-
ლებულ“ ზოგიერთ სიავსაც.

საინტერესოდ არის აღწერილი ცხო-
ვრება გემზე. მართალია, შორეულ
ზღვაზე გასულ მეზღვაურთა ყოველი
დღე თითქმის ერთმანეთს ჰგავს, მაგ-
რამ ამ ერთფეროვნებიდანაც მწერალი
ახერხებს თავისებურის, გამორჩეუ-
ლის შენიშვნას, საგანგებოდ გამოყო-
ფას და მიმზიდველად ჩვენებას. ცხო-
ველი ინტერესით იკითხება რომანის
ის ნაწილები, რომლებშიც აღწერი-
ლია საბჭოთა გემის შესვლა სხვადას-
ხვა ქვეყნის ნავსადგურებშიც, ურთი-
ერთობა იქაურ მეზღვაურებთან, მეზ-
ღვაურად კურთხევა და სხვა მეზღვა-
ურული ზნე-ჩვეულებები.

ფრ. ხალვაში დაწერილებით არ მო-
გვიტხრობს გემის ეკიპაჟის ყოველ-
ღიურ ცხოვრებას, თითქოს არც აინ-
ტერესებს, რომანში ხაზგასმულად
წარმოგვიდგინოს მეზღვაურთა ყო-
ველდღიური საქმიანობა, მხოლოდ
ცალკეული შტრიხებით, შთაბეჭდავი
დრამატული ეპიზოდების ჩვენებით
გვაგრძნობინებს, რომ მადანშიც „მხა-
ტვრის“ მთელი კოლექტივი თავის მო-

ვალებას წარმატებით ასრულებს. ეს ნათლად იგრძნობა იმ სცენებში, როცა გემი ძლიერ შტორმსა და ცუნამში მოხვდება, ან როდესაც გემს რაღაც ნაწილი გაუფუჭდება და რადგან ძალზე ეჩქარებათ, გემის სარემონტოდ გაჩერება დიდ ზარალს ნიშნავს. ამ დროს მექანიკოსმა ჯანო გეგმა დაზიანებული ნაწილის სანაცვლო საკუთარი ხელით გამოჩარხა, ჩააყენა „სტარმეხის“ წინააღმდეგობის მიუხედავად და გემმა სრული სიჩქარით იწყოსვლა.

ფრ. ხალვაში დამაჯერებლად გვიჩვენებს, რომ გემის ეკიპაჟის ყველა წევრი კეთილსინდისიერად ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას, მაგრამ მათთვის არც ზოგიერთი ადამიანური ცდუნება უცხო და ხალისით დადიან სხვადასხვა ბაზარში ჯინსებისა თუ სხვა „ათასი წვრილმანის“ საყიდლად. ყიდულობენ „ჟეაჩკასაც“, რომლის გამო მწერალი ამბობს: „რა შეიქმნა ეს „ჟეაჩკა“ თუ კევია, რაა ასეთი ბოლოს და ბოლოს? მართლაც, მგონი, ეს გათხელებული საღეჭი თუ რაღაც წიწიბო, ამ ბოლო ხანამდე მთელი კაპიტალიზმის იდეოლოგიურ იარაღად არ ვაქციეთ? აბა, რა მოხდა. რა დაგვემართა ასეთი?“ და კაპიტნის პირველი თანაშემწე, გემის პოლიტიკური ხელმძღვანელი, თავადაც ყიდულობს „ჟეაჩკას“, რათა შინ დაბრუნებულმა მეზობლის ბავშვები გაახაროს. ეს მსუბუქი იუმორის ფორმით მოცემული რეპლიკა ბევრ საგულისხმოს გვაგრძნობინებს არც თუ შორეულ წარსულის შესახებ, როცა „ჟეაჩკა“, კოკაკოლა და სხვა მისთანანი კაპიტალიზმის გადმონაშთად და ცეცხლითა და მახვილით ამოსაშანთად იყო მიჩნეული.

ანდა გავიხსენოთ მეორე ეპიზოდი: ახალგაზრდა მეზღვაურებს სინგაპურში პორნოგრაფიული ჟურნალი შეუძენიათ. ეს ძველად დიდ უბედურებად, საბჭოთა მეზღვაურისათვის, საერთოდ, საბჭოთა ადამიანისათვის შეუფერ-

ბლად, უცხოეთის იდეოლოგიურ დავრსიად მიაჩნდათ. ახლაც გულო ხევაძეს შეუძლია (და მოვალეობა) ჩამოართვას ეს ჟურნალი და კარგი საყვედურიც ჩამოურიგოს, სთანადო დავთრებში ჩაწერა-ფიქსირებით, მაგრამ გულო ამას არ აყეთებს და სამართლიანად ფიქრობს: „არ დაიქცევა ორი ტიტველი ქალის ნახვია ქვეყანა. ანდა, მთელი თვეობით ხმელეთს მოწყვეტილმა ბიჭებმა თუ შიშველი ქალის სურათი ბალიშებზე ამოიდეს, რა მოუვა ამით ამხელა სახელმწიფოს, რა დააქლდება ვითომ, ა? არც ბიჭი შეიცვლის ამით ზნეს, ჩვევას და იდეოლოგიას“.

ვფიქრობთ, კიდევ უფრო საინტერესოა ოფიციალტ ქალ ზინას და ახალგაზრდა მეზღვაურ თენგო ხაბაზთან დაკავშირებული ამბები. ამ ახალგაზრდებს ერთმანეთი შეჰყვარებით და როდესაც ვაჟი გემზე წასულა სამუშაოდ, ზინაც თან გაჰყოლია. მაგრამ თენგომ, როგორც კი დრო იხელთა, გემიდან გაიპარა და უცხოეთში დარჩა. ეს დიდი უბედურებაა და კაპიტანსაც ვერ გაუმხილეს თავიდან. ყველა წუხს და განსაკუთრებით „ზამპალიტი“ გულო ხევაძე. მან იცის, რომ ხაბაზის გაპარვას „უბასუხისმგებლო პოლიტიკური დელოზობითი მუშაობის შედეგად“, „პოლიტიკურ ჩავარდნად“, „ეკიპაჟის შეურაცხყოფად“ მიიჩნევენ და ალბათ, მკაცრადაც დასჯიან. ასე არ ფიქრობს მხოლოდ არკადი ფერაძე, გემზე „კაპიტანის დუბლს“ რომ ეძახიან. იგი ძველი სტერეოტიპით აღარ აზროვნებს და პირდაპირ ეუბნება გულო ხევაძეს: „იცო, რა ვითხრა, ამხანაგო გულო? — რას ვიხეტქავთ ჭულებს, კაცო, ვინაა ეგ შმიტიანი ბლუშტი, ჯანდაბაში წათრეულა. აბა, ბიჭო, მაგ ვიღაცა თენგოს გამო სამშობლო დაინგრევა თუ რაი? წავიდეს მერე, მერა, წელზე გამოვიბამდი ძაღლივით თუ რაი“.

თენგოს გაპარვით მწერალი მშვენიერ-

რად გვიჩვენებს უცხოეთით გატაცებული ახალგაზრდის ხასიათს, გვიჩვენებს იმასაც თუ როგორ მალე უცხოელებათ იმედი ასეთ ახალგაზრდებს და მალევე გრძნობენ, რომ უცხოეთში ბედნიერება, მით უფრო, სამშობლო არ იპოვება. სწორედ ასე დაემართა თენგო ხაბაზს. იხეტიალა უცხოეთში, მაგრამ ისევ თავის გემზე დაბრუნდა. კეთილმა ხალით გაიძემ თავისი პასუხისმგებლობით, უფროსების დაუკითხავად, აიყვანა გემზე და სჯერა, რომ სწორედაც მოიქცა. ამიტომ ამბობს: „მე ხალით გაიძე, აგერ ვაცხადებ: არ ვარგა ისე, ჩვენ რომ ვიქცევით! თუ დაბნეული ვინმე უცხოეთში აგვეთესა, ასე ვთქვათ, გაიძარა დასავლეთში, ხოლო მერე ჭკუა მოუვიდა, ნუ ვეტყვი თუ არა. რა ქნას, კაცია, ახლის ნახვის ეინი არ ასვენებს, რაცხას სხვა ნაირს, უფრო კაის დაეძებს, მარა მალე იჯერებს, მშობლიურ ხალხზე კი და ლამაზი ქვეყნიერებაზე არავინაა. სამშობლოს ყადრსაც იქნებ მერე უკეთ გაიგებს“.

თენგო ხაბაზის სახით ფრ. ხალვაშმა გვიჩვენა გზასაცდენილი ახალგაზრდა, რომელსაც ყველაფერი უცხოური იდეალად ჰქონდა გამხდარი, მაგრამ კაპიტალისტურ სამყაროსთან პირველივე შეხვედრისას იმედები გაუცრუვდა და სამშობლოში დაბრუნების ძლიერი სურვილი დაეუფლა. მწერალი იმ აზრისაა, რომ ასეთ ადამიანებს ხელი არ უნდა ეკრათ, უნდა მივიღოთ და ძველ შევითვისოთ. ხალით გაიძის თქმისა არ იყოს, ისინი უფრო უკეთ გაიგებენ სამშობლოს, სოციალისტური ცხოვრების წესის ყადრს.

ძველი სტერეოტიპის საწინააღმდეგოდ არის შექმნილი ზინას სახეც. მას ხომ ბედმა უმუხთლა, სატრფომ მიატოვა და იგი ერთადერთი, თანაც ორსული, დარჩა გემზე, უპატრონოდ და უმფარველოდ. გაიგებს რა თენგოს დაკარგვას, სასოწარკვეთილი ზინა ამბობს: „მე აქ რა მინდოდა, მე აქ მაგისტვის წამოვედი. ახლა რაღა ვქნა, რა

მეშველება?“ ზინას სიყვარული იმდენად მტკიცეა და სამუდამო, რომ უფრო მოგვიანებით, როდესაც ელტოქოს უკვე გაიარა პირველმა ელტამ და ჰკითხეს, თენგოს თავისი განზრახვა რომ გაემხილა, შენც თუ დარჩებოდიო, უყოყმანოდ უპასუხა: „მასთან ერთად ყველგან ვიქნები, მაგრამ ახლარაღაი. რა უნდა ვქნა, არ ვციცი...“ გაკვირებული გულო ხევაძე კვლავ ეკითხება: „როგორ თუ მასთან ერთად შენ ამბობ, რომ საბჭოთა გემიდან, ესე იგი ჩვენი სამშობლოდან სხვა, ისიც კაპიტალისტურ ქვეყანაში გადახვიდოდი სამუდამოდ?“ ზინა პასუხობს: „ასე რატომ მელაპარაკები, გულო ძიავ?! ჩემთვის სამშობლო საყვარელი ადამიანია.“

— საყვარელი ადამიანი! არ შეიძლება მოღალატე საყვარელი იყოს.

— თუ რამე ღალატად ჩათვლება, ყველაზე დიდი ღალატი ჩემს მიმართ ჩაიდინა. მე... მე იმას მაინც ვენდობი, გულო ძიავ. ის მე არ მიღალატებს. რაღაც დავმართა ალბათ“.

ზინას წრფელი გულით უყვარს თენგო ხაბაზი და მისთვის ამ ვითარებაში ღოუზნეებით ლაპარაკი სოციალისტური სამშობლოს ერთგულებაზე არაფრისმთქმელია. ზინას სიტყვებით მწერალი უფრო მეტს გვეუბნება და, რაც მთავარია, გვეუბნება და გვაჯერებს კიდევც.

ხალითი და გულო საბჭოთა ადამიანების იმ თაობის წარმომადგენლები არიან, რომლის თვალწინ მოხდა უდიდესი სოციალური და კულტურული ძვრები. ამავე დროს, ისინი არიან თვითმხილველნი იმისა, რაც დღემდე მწარე მოგონებად და მოურჩენელ ტკივილად რჩება ჩვენი ხალხის გულში. მათ, ერთი მხრივ, ეამაყებათ წარმატებები, მეორე მხრივ კი თითქოს პირად პასუხისმგებლობას გრძნობენ ავადმოსაგონარი მოვლენების გამო. ამაზე დაუიქრებისა და გულდინჯი შეფასებისათვის კი გემი და ზღვა საუცხოოდ ადგილია, რადგან იქ თურმე უფრო მე-

ტად რჩება კაცი თავის თავთან და მეტი ოცნებაც სჩვევია. აქი ხალითი ამბობს კიდევ: „ზღვა იმიტომაცაა კარგი, რომ ძველ, მივიწყებულ ამბებს, ბავშვობის მოგონებებს, მერმინდელ ტყუილ-მართალს, სიყვარულს და სიძულვილს, ცრემლსა და სიხარულს, ერთი სიტყვით, მთელ შინაურობას, ხმელეთზე არსებობის ყოველ კუთხე-კუთხუტულს. ერთად მოგიტანს და აგერ, ცხვირწინ დაგიხვავებს“. და ისინიც შორეულ ზღვებსა და ოკეანეებში განცალკევებულნი იგონებენ ბევრ რამეს და მკაცრად, მაგრამ ობიექტურად აფასებენ.

ხალით გაიძე გაპირვებული აპარელი გლეხის ოჯახის შვილია. მან თავისი თვალით ნახა და განიცადა, როგორ იმსხვრეოდა აპარაში ძველი ადათ-ჩვეულებები, როგორ იხდიდნენ ქალები ადამიანური ღირსების დამამცირებელ ჩადრებს და როგორ ებმებოდნენ ახალი ცხოვრების ფერხულში; ფანატურად მორწმუნე ხოჯამაც კი ხელი აიღო ლოცვაზე, ჯამედან წავიდა და კოლექტივის ყანას დაუწყო თოხნა. ბევრი სასიხარულო შემორჩა ხალითის მესხიერებას თავისი საკუთარი ოჯახის წარსულიდანაც, მაგრამ იგივე ხალითი მოწმეა მრავალი საბედისწერო შეცდომისა თუ დანაშაულისა. ხალითი ბავშვი იყო, როდესაც, კოლექტივიზაციის სახელით, მის ოჯახს სიმინდი ჩამოართვეს, ხოლო საზამთროდ შენახული კარტოფილი „ვერც თავად წაიღეს დროზე და სულერთიანად ამოალბეს ორმოში“. როცა მშრომელმა გლეხმა „პაწია საყვედური შეჰბედა“ თავმჯდომარეს, „არაა მაგი შენი საქმე! — უბასუხა სოფლისთავმა და რაიონიდან ახალმოტანილი პატეფონი აუშვა. დაუხატნილ ფირფიტაზე ფრთხილად დაადო ნემსი და რაღაც უცნაური, მჭახე მმა სიმღერად გაისმა: „ახ, ტრაქტორო, მე შენს გამჩენს“.

ხალითს ისიც ახსენდება თუ ერთ ღამეს როგორ მოვიდნენ ვიღაც „მეისპალტოიანი კაცები“, ძროხები და-

თვალეს და რაც „ნორმაზე მეტი“ ამოჩნდა, გარეკეს. გარეკეს, მაგრამ მოუარეს!? ცხადია, არა! ხალითს მშენებლის თავი „დროის კაცად, ხალხის ცად“ მიაჩნდა. „ძალიან მინდოდა, შემძლებოდა, — ამბობს იგი, — მშობლის ტკივილი მომერჩინა... ჩემ თავზე ვიღებდი ცუდს, რაც მშობელს არ მოსწონდა. არ მინდოდა, მას ახალი დრო დაეწყევნა. მეც ჩემებურად, ბალღურად, ვატყობდი, რომ რაღაცეები ეშლებოდათ იმ ახალმშენებლებს, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი ჩემი ძროხის, ჩემი ხანუმის რძეს ისევ მე მომიტანდნენ. კი, ასე მეგონა“. „კი, ასე მეგონა“, — ამბობს ხალითი და გვაგრძნობინებს, რომ ამოდ ეგონა. ამნოველას მწერალი „სოფლის სევდას“ უწოდებს და მართლაც სოფლის ძველი სევდის გულმწუხარე გახსენებაა.

ხალით გაიძის მონათხრობს გულო ხევადის მოგონებანი ენაცვლება. „ვარ კაიუტაში მართო. მოგონებები აქ უკითხავად წამოგესვებან. გემი მოგონებების ქვეყანაა.

ჰოდა, მეც ისევ ბავშვობაში ვბრუნდები, ჩემს აწეწილ-დაწეწილ დარბ ბავშვობაში“, — წერს გულო ხევადი თავის დღიურში და იგონებს ამბავს, რომლის აუღელვებლად წაკითხვა შეუძლებელია.

საპირველმანისო დემონსტრაციაზე გამოუყვანიათ სოფლის სკოლის მოსწავლეები. ბავშვები მტკიცედ მიაბიჯებენ, მაგრამ მოულოდნელად ერთმა, რომელსაც „ქვეყნის მეთაურის“ სურათი ეჭირა, წაიფორხილა, თავი ველარ შეიკავა და დაეცა. „სურათი ხელიდან არ გაუშვია, არც დაუტყვისია. არც დახმარება უთხოვია... იგი ნელნელა წამოდგა, სურათი მალა აღმართა და სირბილით ისევ წინ გავიდა. თავისი მეთაური აღვილი დაიჭირა. გადახეული სახელურებიდან წუნწკლები ჩამოსდიოდა“. ამ ამბავმა ყველა შეაშფოთა, ყველამ ხმა გაკმინდა. ყველაზე უფრო სკოლის დირექტორი ღელავდა. სწრაფად მივიდა სურათიან მოსწავლეს-

თან, „ვერ სურათი შეათვალიერა ახლოდანი, ხომ არ დაისვარაო და როცა დარწმუნდა, ყველაფერი რიგზე იყო“, შვებით მოითქვა სული, მაგრამ შვება უკვე აღარსად იყო. გულო ხევაძე განაგრძობს: „მეც ვატყობდი, რომ მოხდა რაღაც მოულოდნელი და საშიში რამ. დიდი კაცის სურათი მოსწავლემ ტალახში ჩაავდო. ყოველ შემთხვევაში, ასე მოინათლებოდა ყოველივე ეს მაშინ, როცა „ხალხის მტრები“ ახალგაზრდა საბჭოეთს ყველგან „ძირს უთხრიდნენ“. ამიტომ იყო სწორედ ბიქტორი, ჩვენი ხუჭუჭთმიანი დირექტორი, ისე საშინლად შეშინებული და ფერწასული, ყველაფერს მას დააბრალებდნენ და იტყოდნენ, მან საგანგებოდ ამოირჩია „საექვეო ოჯახიდან“ ბავშვი, რომელმაც „დიდი კაცის სურათი“ ტალახში ჩაავდო. ამიტომაც დაფრთხა, ჩაფიქრდა, იცოდა პასუხს მოსთხოვდნენ. და აკი თურმე მოსთხოვეს კიდევ. იმ ზაფხულის ბოლოს, ახალი სასწავლო წელი რომ დაიწყო, „სკოლაში ხუჭუჭთმიანი დირექტორი აღარ დაბრუნებულა“. ამით მწერალი ბევრ რამეს გვეუბნება.

ფრ. ხალვაშის შემოქმედებაში, საერთოდ, ერთი მთავარი ადგილი უკავია მისი მშობლიური კუთხის — აჭარის წარსულსა და აწმყოს. ამ რომანშიც ბევრ რამეს გვეუბნება მწერალი აჭარისა და აჭარელების შესახებ. რომანის მთავარი გმირებიც ხომ აჭარელები არიან. მწარე გულისტკივილით ამბობს ხალით გაიძე: „სამი ათეული წელიწადი ოსმალეთისა და ისლამის ხელში „გურჯ მუსლიმანად“ ვიქცეით. რამდენი ჩვენისთანაა კიდევ იქ, ვადალმა? მილიონი? მილიონნახევარი? შეიძლება მეტიც...“

აი, გემი უახლოვდება ბოსფორის სრუტეს. გემზე მყოფი ორი ქართველი ყოველდღიურ ამბებზე საუბრობს. ერთი — ხალითი უეცრად იყურებს და შემდეგ განაგრძობს: „უცნაური სევდა შემიპყრობს ხოლმე, ბოსფორსა და დარდანელს რომ გავდივარ. მე ერთი

დაქანებული ბოცმანი ვარ, მინც ბევრი რამ გამეგება. ასე მგონია, ორი კონტინენტის ბაგეები ერთმანეთს მიახლოებია და ისე გაშეშებულა მანძილზე ამბორი მუდამ ყოვლის გადაბმუგველი და დამანგრეველი იყო. ბოსფორი, ვიწროდ რომ გაჩრილა ევროპასა და აზიას შუა, ჩვენი ძველი ნაცნობია. მას, ალბათ, ჩვენც, საქართველოდან მოსულნი, კარგად ვახსოვართ. ე, მაშინ, ამ სრუტეში ბირველად რომ შეგვიოდი, მეგონა, ცისკრის ჩამოღვრილი წითელი შუქი ჩვენი წინაპრების სისხლია-მეთქი.

ისევ და ისევ გამახსენდებოდა ასევერ გადატანილი ჩვენი უბედურება და გული სხვანაირად ამიძგერდებოდა.

კი, — წარსული საშინელი გვაქვს, საცოდავები ვიყავით ჩვენ, სამხრეთდასავლეთის ქართველნი. უცხო რელიგიაც მიგვალბინეს, დედა-საქართველოსაც მოგვწყვიტეს, დამპყრობიც კერაზე დაგვიჯდა. ჭორთიდან რიონზე მისვლამდე და იქითაც, ყველაფერი გაიყვლითა და გაჩანაგდა. კაი შესახედავ გოგო-ბიჭებს, ერთიმეორეზე თოკით გადაბმულებს, ტყე-ტყე, ბილიკ-ბილიკ, ზღვის ბოლაზთა ღიმანებში მოლოდინე ოსმალთა ვაჭართა ფელუკებისაყენ მიერეკებოდნენ.

ამ ტყეს და ამ გზაბაწრებს გადამთიელი ვერც ვაგანებდა, ალბათ, ჩვენებურებივე მიერეკებოდნენ ჩვენებურ გოგო-ბიჭებს გასაყიდად. ჩვენი უბედურებაც სწორედ ამაშია.

ცოცხალ საქონელს სტამბულის ბაზარზე გაასაღებდნენ, მერე ეგვიპტელი ვაჭრები ქაიროში გაყიდდნენ.

გადამთიელებთან ნათრევ-ნამსახურნი, უკვე დავაყავაცებულნი, სულგამწარებული მეომარ-მამელუკები, მერე ხმლებით მიაპობდნენ სივრცეებს, დაბერებულ, დაშინებულ, დაპყრობილ ეგვიპტეს ახალ პატრონად ევლინებოდნენ და მეზობლებს შიშის ზარსა სცემდნენ“.

ამას ყველაფერს მწვავე გულისტკივილით ამბობს ხალით გაიძე და თვალ-

ზე ცრემლომორეული დასძენს: „მაგრამ მე მუჰაჯირთა ჭავრი და სევდა უფრო მიჯიჯინდა გულს. ეს უფრო მწვავე და ახლობელი იყო ჩემთვის. ეს ფიზიკურად უფრო ახლო შეეხო ჩემს სიცოცხლეს“.

აქ წყდება ხალითის სევდიანი მონოლოგი და მუჰაჯირთა შესახებ საინტერესო ცნობებს ვიგებთ გულო ხევაძის დღიურიდან. გულო გვიყვება, როგორ შეჰხვდა იგი სტამბოლში ქართველი მუჰაჯირის შთამომავალ აბდი ფოთოლაძეს და როგორ გაათავა მისი მოხუცი მამა „მემლექეთიდან მოსულთა ნახვამ და უცაბედმა სიხარულმა“. ეს ეპიზოდი მოკლედ, ორიოდ სიტყვით, მაგრამ ძალზე დრამატულად არის გადმოცემული.

კიდევ უფრო შთამბეჭდავია გულო ხევაძის შეხვედრა ბურსაში მცხოვრებ მამიდასთან. ავტორი ამის შესახებ გვეუბნება, რომ „ეს არ იყო მონატრებული ადამიანების შეხვედრა. ეს ორი დროის შეხვედრა იყო, წარსულისა და დღევანდელის, დაკარგულისა და ნახულის, იმედისა და უიმედობის, მორჩენილი და მოუტრჩენელი ტკივილების შეხვედრა!“ მოხუც ქალს აღარ შეუძლია სამშობლოს გარეთ ყოფნა და სურს მემლექეთში მამაბაბუელ მიწას მიაბაროს მოხუცი ძელები. ამიტომ ემუდარება ძმისწულს: „ჰოვ, რაცხაფერ წამიყვანით და იქ, მემლექეთში, ნენებაბაიას გვერდით ჩამფალით მიწაში.“

ჩემს მიწაში ჩამფალით. აღარ შემიძლია, ხედავ? აღარ შემიძლია! გამიზრა სისხლი.

ამომძვრეს უნდა სული. მიშველეთ! გეხვეწები!“

ეს მშვენიერი ნოველა მთავრდება ლირიკული წიადსვლით: „შენ კი მემლექეთო, შეიძლება კარგად არც კი იცი, რამდენი ტკივილიანი და ფიქრიანი მამულიშვილი გნატრობს შენ?! ვინა ხარ ასეთი, საქართველოვ?“

რა ენა გაქვს ასეთი, რომ ხუთასი წლის მანძილზე შენს ძუძუს მოწყვეტილიც ვერ იფიწყებს და დარდისა და

სიხარულის უამს ისევ შენ სიტყვებს მზით გაისინათლებს სულს, გულს, თვალებს, სახეს“.

რომანის სხვა ადგილზე კიდევ უფრო მძაფრი გულსტიკივლით გვიამბობს ერთი ხალხის ორად გაყოფის ამბავს: „ერთი ხალხი და მისი ერთი სამშობლო რომ ორად გაყოფილია და ახლობლები ერთმანეთსაც რომ ვერ ნახულობენ, ეს ახლა ბევრს აღარდებს მსოფლიოში.“

არც ჩვენთვის არის უცხო ასეთი უბედურებით გულისტკივილის განცდა. ზოგან ჩვენებური სოფელიც კი შუა გაყოფილია სამუდამოდ. მთელი ქვეყნები უნდა შემოიაროს გადაძლევა, რომ გამოღმა უბანში გამოვიდეს. ყველა ხომ ამასაც ვერ მოახერხებს. ამიტომ ასე, „გამოღმა მე ვარ, გაღმა — შენ“ — ვდიღინებთ და ჩვენი ტკივილისა მხოლოდ ჩვენ ვიცით, სხვას ამის ცოდნა არ აინტერესებს...

მე ვგრძნობ მათ გულისძვრას, ისინი, ალბათ — ჩემსას. საზღვარი, როგორც მარად სისხლშეუქმნალი კრილობა, გადავლებია გულმკერდზე უძველესსა და უჯანსაღეს მამულს ჩემსას“.

ამას მოსდევს ისევ მშვენიერი ნოველა, რომელშიც გადმოცემულია თუ როგორ გამოიყა ზღვამ თურქეთის საქართველოდან ახალგაზრდა ქართველი მეთევზე ნაზიმი. იქნებ რამდენადმე ხელოვნურია ნაწარმოებში მისი და ფიქრის ასე უეცარი და გახელებული მიჯნურობა, მაგრამ მთავარი ეს როდია. მთავარია ის დიდი სევდა, რომელიც აღიძვრის იმის გამო, რომ ორ ქართველს სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქე ჰქვია და არ შეუძლიათ ერთად შექმნან ოჯახი.

გულისშემძვრელია დიალოგი, როდესაც ხელისუფლების წარმომადგენლებს ფიქრის წარუდგენს ნაზიმს და ეუბნება, მე ეს მიყვარსო:

„— ძვირფასო ადამიანებო! ჩვენ ერთად გვინდა ვიყოთ, გესმით? ერთად გვინდა ცხოვრება. შევთანხმდით, ჩვენ

ერთმანეთი გვიყვარს, დღეს ჩვენ ქორწილი გვაქვს დანიშნული. მობრძანდით თქვენც, გაიზიარეთ ჩვენი ბედნიერება.

ის ერთი, შეხნიერებული მოქალაქე. პირხმელი, მელოტი, მაღალი, ძველებურ კიტელსა და ვალიფეში გამოწყობილი ფიქრიეს მიუბრუნდა:

— ჩვენზე არაა ეს, ქალიშვილო. საზღვარია აგერ, ხომ იცი. იმ გორაზე გადის, იქ სხვა სახელმწიფოა, ხომ იცი? ეს კაცი იმათი მოქალაქეა, შენ ჩვენი, გაიგე?

ნაზიმმა მელოტს მიაპყრო მზერა.

— რაიო, იმათი? მე იმათი არა ვარ. აქ უფრო შინ ვარ. მე ამათი ვარ. აგერ მე, აგერ ჩემი სამშობლო — მემლექეთი, აგერ ჩემი სიყვარული, — ხელი გადაალო ფიქრიეს. — რაღა გინდანენ ჩემგან? ვიქნები მეც აგერ, — ქვითინებდა ნაზიმი.

ხელისუფლების წარმომადგენელი შეთანხმდნენ და ნაზიმს უთხრეს: დღეს შენ უნდა გადაჰკვეთო საზღვარი და შენს ქვეყანაში დაბრუნდეთ. ამის გამო სასოწარკვეთილი ნაზიმი წამოიძახებს:

„— ჩემი მიწა ესაა. ათასჯერ დავიფიცებ ამას, ეს მთლიანად ჩემი მიწაა. ვიქნები აქა, მე არ მეშინია... ფიქრიეს შეხედა.

— საზღვარი საზღვარია, — ულმობლად ითქვა.

— რაი მერე, სიყვარულს საზღვარი აქვს თუ? — ტირილით ამოთქვა ფიქრიემ.

— გოგო, უნდა გაიგო, ის სხვა ქვეყნის კაცია.

— ამ ქვეყანაზე კიდევ სხვა ქვეყანაც არის? — ვერ იმშვიდებდა აღელვებულ გულს ფიქრიე.

მაგრამ თურმე ყოფილა „სხვა ქვეყანაც“ და შეყვარებულები იძულებით დააშორეს, მაგრამ ნაზიმი ეუბნება ფიქრიეს: „იცი, ფიქრიე, ჩვენ აუცილებლად ერთად ვიქნებით. ეს მჯერა, ჰო, ნუთუ ერთი ქარიშხალი აღარ ამოვარდება?“

ცხადია, აქ ნაზიმი სულ სხვაგვარ ქარიშხალს გულისხმობს.

ქართველი კაცისათვის სამშობლოს ორად გაყოფა მოუტრეხელია. ამიტომაც ხვდება გულზე ასე მწვავედ ფრ. ხალვაშის სიტყვები: „შეიძლება ჩემს მამულს ნახევრამდე თავისი მიწა-წყალი სხვასთან დარჩა, სხვამ წაართვა და იმ სხვამ კარგადაც შეიარგო. მაგრამ აღარაფერს ვამბობთ... აქ უბრალო მიწაზე კი არაა ლაბარაკი, იმ ჩვენს მიწაზე ჩვენი ხალხია თავის ისტორიულ მამულში და ერთად რომ აშენოს თავისი ეროვნული ოჯახი, ეს ხომ უფრო წინ წასწევს, საერთოდ, კაცობრიობის საქმეს?!“ და ამ დროს რამდენად შემაშფოთებელია რომანის ის ეპიზოდი, სადაც ერთი თითქოს სტუმრად ჩამოსული თურქი მწერალი ცინიკურად გადაულაპარაკებს ცოლს: „ეს (ე. ი. ბათუმი) ჩვენი იყო.“

ინტერესით, თუმცა აფორიკებული გონებით ვკითხულობთ რომანის იმ ადგილებს, სადაც სხვადასხვა მიზეზით, მსოფლიოზე მიმოდანტულ ქართველებთან შეხვედრებია აღწერილი.

სიღნეში მცხოვრები ვარლამ გორდამე გაიგებს, საქართველოდან გემი ჩამოსულა. დაუყოვნებლივ გემთან გაჩნდება და პირველსავე შემხვედრ ქართველს პირდაპირ შეჰლაღადებს: „ყველა მინდიხართ, ბატონო, ყველა ქართველი მინდიხართ, მთელი საქართველო მინდა. აი, ამ გემს ვაკოცო მინდა, ხომ შოდის იგი საქართველოდან?“

— ბათუმიდან წამოვიდა, დიახ.

— ჰოდა, ავაშენა ღმერთმა. — ვარლამი მივიდა და ტრაპზე რომ გაჭიმული ბაგირია, იმას აკოცა.

მაგრამ ყველა ასე როდია, იქვე, სიღნეში, ცხოვრობს ვინმე გარეწარი, რომელმაც თურმე ომის დროს ულატა ყველას და ყველაფერს. ქვეყნიერების მოუვალ კუთხეში დაიმალა ზია გიძის სახელით და სურს, „ძველსამყაროელს აღარავის არასოდეს შეეყაროს“. თავს იმით იმართლებს, „ომმა გამიმრუდა ბედნიერებაც და დავამა-

ხინჯა ადამიანები, ცოდვაც ბევრი ჩავადენინაო“. მას მოუკლავს ხალითის ძმა და მისი საბუთები მიუთვისებია.

გემი თითქმის მთელ მსოფლიოს უგლის და მეზღვაურები მრავალი ჯურის ხალხს ხვდებიან. ხვდებიან პატიოსან მშრომელ მეზღვაურებს, ქვეყნის მდიდარ თუ ღარიბ მოსახლეობას, კაპიტებსა თუ ლუკმა-პურისათვის დამაშვრალთ; ხვდებიან მსოფლიოს ბედზე ჩაფიქრებულ ადამიანებსაც, რომლებიც საღი თვალთა და გონებით აფასებენ ჩამამედროვე მსოფლიოს ხალხების ცხოვრებას, გამოხატავენ კეთილ ნებას და სურთ, მსოფლიოს ხალხებმა მშვიდობიანად იცხოვრონ.

ამ მხრივ საინტერესოდ არის გააზრებული ამერიკის კოლუმბიის უნივერსიტეტის სტუდენტის ჯონი ჰემსონის შეხვედრა და საუბარი. ჯონი გამოხატავს ამერიკელი რიგითი ადამიანების სამშვიდობო სულისკვეთებას, ხალხთა მეგობრობის საღ გრძნობას. მას სურს კეთილი დამოკიდებულება საბჭოთა ადამიანებთან.

ასევე დასამახსოვრებელია იაპონელი შოფერი, რომელიც საბჭოთა კავშირში ტყვედ ყოფილა, იცნობს საბჭოთა ხალხს და მშვიდობა უნდა, უნდა საბჭოთა ადამიანებთან მეგობრობა. „მე ვიცნობ რუსეთს, მე ვიყავი და ვიმუშავე ციმბირში. მე ტყვედ ჩავვარდი, მაშინ, კვანტუნის არმია რომ დაიშალა... არა ვარ გაჭაგრებული არავისზე. ჩვენი ბრალი იყო. რა ვქნათ, მოსახდენი მოხდა, ჰო, აბა, ასეა საქმე. არ უნდა გვწყინდეს დღეს ერთმანეთისაგან. მე მინდა ჩემს სიცოცხლეში შევრიგდეთ, ვენდოთ ერთმანეთს“, — ამბობს იაპონელი შოფერი და საღამოს ცოლშვილიც მოჰყავს, რათა ანახოს საბჭოთა ადამიანები.

დიდი და სერიოზული აზრობრივი დატვირთვის შემცველია რომანის სათაური „ჩემი და შენი“. მწერალი მას პირდაპირ არ შეიფრავს, მკითხველს აფიქრებს მასზე და მხოლოდ მიანიშნებს ამ სიტყვებში ჩატეულ საკაცობ-

რიო იდეალზე. რომანში ამ სიტყვებს პირველად ხალითის მეუღლე ამბობს საქმე ის არის, რომ ხალითმე დაუშვა ისეთი შეცდომა, რომლისთვის საბედისწერო გამოდგა: როდესაც შვილი არ ეყოლათ და ამის გამო ცოლმა ხალითს გულგრილობა შეატყო, ერთხელ უთხრა, მოდი, ბავშვი „ავიყვანოთ“, გავზრდი, შენი და ჩემი იქნებაო. ხალითმა იფიქრა, „სხვისი ბლუშტი როგორ ვზარდო? მთელი სიცოცხლე სხვისას ჩემი როგორ ვუძახო“. ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ ცოლქმარი გაშორდა.

შემდეგ თანდათან დარწმუნდა ხალითი, რომ ადამიანს ზიანის მეტს არაფერს მოუტანს საკუთარ ნაქუჭში ჩაკეტვა და საქმეცნო ტყვიელზე თვალის დახუჭვა. ბოლოს სიტყვებში „ჩემი და შენი“ დიდ აზრს ჰხედავს.

ამ სიტყვების აზრი კარგად ჩანს შემდეგი ეპიზოდიდან: გულო ხევაძემ გემის ეკიბაქს პოლიტიწფორმაცია მიაწოდა, ამცნო, რა ხდება ქვეყნად. თვითონვე განიცდის მსოფლიო მოვლენების სიმწვავეს და ამბობს: „რაც ირგვლივ მთელ დედამიწაზე ხდება, მეც მეხება, ჩემი ზიარცაა. ჩემი აზრი ერთი კაცის აზრია, მაგრამ ერთი კაცი ხომ კაცობრიობაა?!

ეჰ, სასაცილოა ახლა ალბათ ასე მსჯელობა, მაგრამ ჩემთვის არაა სასაცილო. მაწუხებს ეს ყველაფერი. დიახ, მეც ამ სამყაროს ნაწილი ვარ, მისი ერთი შემადგენელი.

დიახ, ჩემია ეს პალესტინაც, ისრაელიც, ავღანეთიც, ჩინეთიც, ჩემია დედამიწა, მე ადამიანი ვარ! ჩემი და შენი ინტერესები ადამიანური, კაცობრიული, დედამიწური სასიცოცხლო ინტერესებია, ყველაფერი ეს არ არის უცხო, ყველაფერი, რაც მიწაზე ხდება, ჩემი ზიარცაა, იგი მეც მეხება.

ესე იგი, ამ ქვეყანაზე ყველაფერი ჩემია და შენი, ხალით!“

და ის, რაც ჩემი და შენია, მაშასადამე, ყველასია, რაც ყველასია, მას-

ზე კი ყველამ უნდა იფიქროს და იზრუნოს.

გულო ხევაძე გემზე სამუშაოდ გარკვეული ინტერესით არის წასული. მას სურს დროებით განაპირდეს, წავიდეს შორს, რათა შორიდანაც შეჰხედოს აქაურ ავ-კარგს. საამისოდ ყველაზე საუკეთესო საშუალებად შორეული ნაოსნობის გემი აურჩევია. აკი, ამბობს. კიდევ: „როცა სადაც მთის ძირას მიდგმულ ფაცხაში დასაძინებლად ემზადები, არ გრძნობ იმ სამყაროს, გარედან რომ გაკრავს, მაგრამ როცა შენი სამყოფელი სახლი მოძრაობს დედამიწის უცნობ, შორეულ სარტყელებში, მაშინ გონება მოუსვენარია, ფიქრები გარეთ გარბიან.“

აი, ასეთი შორეთიდან შეჰხედა გულო ხევაძემაც სინამდვილეს და კიდევ უფრო ნათლად დაინახა და იგრძნო ის პრობლემები, რომელთა სიმწვავე ადრე არ უგრძენია ან საერთოდ არ შეუქმნევია. აღმოჩნდა, რომ ეს პრობლემები ძალზე ბევრი ყოფილა. ახლა ზღვაზე უკეთ შეუძლია განსაჯოს ცოლთან კონფლიქტიც, რაც თითქოს ზღვაზე წასვლის საბაზი გახდა, ცოლი ხომ მას სისტემატურად ჩასჩიჩინებდა მოეხერხებინა შესვლა საწყობებსა და ბაზებში და იქიდან იმპორტული საქონელი გამოეტანა. ახლა ოჯახიდან ასე შორს მყოფი როდესაც ასწონ-დასწონის ვითარებას, ცოლს აღარ ამტყუნებს და ამბობს: „ახლა, პირიქით, ნაილე მებრალება. რამდენი გაჭირვება გადაგვიტანია ერთად. რა ქნას? ახლა ითხოვს, ითხოვს, უნდა. ეხალისება, რადგანაც თავიდან ბევრი რამ გვაკლდა“.

გულო ხევაძე და ხალით გიძე მადალი მოქალაქეობრივი შეგნებით მსჯელობენ თანამედროვე სოფლის ავკარგზე. ისინი ნათლად გრძნობენ, თუ რა უჭირს თანამედროვე სოფელს, რომლის მიმართ არც თუ შორეულ წარსულში გაუგონარი შეცდომები იქნა დაშვებული და სოფელი ლამის დაცარიელდა. მათ იციან, რომ დაიწყო

სოფლის მეურნეობის ახლებურად გარდაქმნა, დაიწყო საგულისხმო ექსპერიმენტები, მაგრამ სასურველი შედეგი ჯერ კიდევ მომავლის საქმეა. კიდევ ბევრი რამის გაკეთებაა საჭირო მათ ერთმანეთს ბევრი რამ უთხრეს, მაგრამ სადაც საჭიროა, იქაც ასე ფიქრობენ? ან თვითონაც თუ იტყვიან იქ, სადაც საჭიროა? — ფიქრობენ ამას და გულო ხევაძე ამბობს: „თავისთავს კი ვუმხელ, მაგრამ ვინცაა მიწათა უფროსი, ვითომ იმას ვეტყვი ამეებს? ვნახოთ, იქნება ზღვამ უფრო გაბედული და პირდაპირი დამაბრუნოს ხმელეთზე.“ და მართლაც, მწერალს ეყო მოქალაქეობრივი გამბედაობა — საჭირო სათქმელი ხმამალა თქვა.

რომანი თავიდან ბოლომდე გამსჭვალულია ჩვენი თანამედროვეობის სიყვარულით, სიცოცხლის, ხალისის დამამკვიდრებელი პათოსით. ამავე დროს ჩანს სამშობლოს მოსიყვარულე ადამიანის კრიტიკული თვალი, გულისტკივილი ნაკლოვანებების გამო; ჩანს ის ახალი აზროვნება, რაც მწერალსაც მოეთხოვება გარდაქმნათა და საჯაროობის თანამედროვე ეტაპზე. ეს მშვენივრად ჩანს იმ მონოლოგიდან რომელსაც გულო ხევაძე წარმოთქვამს ოჯახის, სამშობლოს, საერთოდ, ხმელეთის განსაკუთრებული მონატრების უამს. „დაბრუნება! — ამბობს გულო ხევაძე, — ჩემი და შენი მიწის ნაპირებთან დაბრუნება ძვირფასი გაცდაა, უმადლესი სიხარულია, მაცოცხლებელი ელექსირია. შორეულ ოკეანეთა ღელვაში შეღახული გულის მალამოა.“

სამშობლო! უჰ, რამოდენა ხმელეთის პატრონი ვართ! დიდის, ძალიან დიდის. სწორედ ამიტომ ყველაზე მეტი უნდა გვქონდეს ყველაფერი. კა უნდა გვქონდეს, მაგრამ სადაა გარე? გარდავიქმნათო? კარგია, საჭიროა, აუცილებელია. ხანდახან მრცხვენიაო, ამბობს ხალითი, ამხელა მიწის პატრონმა სარჩო სხვისაგან წამოვიმატო?

მიწავე მშობელი, ყოველი შენი ნა-

ხელავი, ყოველი შენი ნივთი, ყოველი შენი ფანჯარი თუ პერანგი, შენი ნაყოფი, მარცვალი, შენი ნათქვამი თუ გაკეთებული მწიფე, მკვიდრი და საუკეთესო უნდა იყოს, ისე, როგორც შენი აზრი და შენი სწორუბოვარი გარდაქმნები. შემადღებინე, სამშობლოვ ჩემო, ჩემი ნაღვაწით უფრო დაფასდე შენ.“

ეს აზრობრივად უხვად დატვირთული, მახვილი პუბლიცისტური პათოსით გამსჭვალული რომანი ინტერესი-

თა და ხალისით იკითხება. მკითხველს იზიდავს მწერლის ლაღი ქართული, ემოციის აღმძვრელი სახეებთან, ხალვაში პროზაშიც ხშირად მიმართავს პოეტურ საშუალებებს — ორიგინალურ შედარებებს, მეტაფორებსაც კი, რაც ნაწარმოებში ლირიკულ ნაკადს აძლიერებს და ფრაზას პოეტურობას მატებს.

„ჩემი და შენი“ ფრ. ხალვაშის თვალსაჩინო შემოქმედებითი გამარჯვება და ქართული პროზის უღაფო შენამატია.



გიორგი კაკუაშვილი

ნიგნი, რომელის ჩვენთან რჩება

ორი წლის წინათ გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე გავეცანით მწერალ ნოდარ წულუისკირის წერილს — „მძღავრი“, სადაც ავტორმა ნიჭიერად ამხილა ადამიანის სულში ჩაბუდებული მძღავრობის ჩანასახი, რომელიც მაშინვე იწყებს განვითარებას, როგორც კი ხელსაყრელი ნიადაგი მიეცემა. ქვეყნის მპყრობელნიც და ტირანებიც მძღავრობამ შობა. მძღავრია პიროვნება, რომელსაც თავისი აზრის სისწორისა ბრმად სჯერა და სხვისას ანგარიშს აღარ უწევს. ერთია, როცა მართალ აზრს გაწვდის ადამიანი და მის ჭეშმარიტებაში გარწმუნებს კიდევ, მაგრამ სხვა არის, როცა საკუთარ აზირებულ

ნება-სურვილს ძალით გახვევს თავზე, შენი სურვილის საწინააღმდეგოდ. შენს მართალ აზრს კი არავითარ ანგარიშს არ უწევს. ქართული ანდაზა, უფრო კი წყევლა — „არც შენი გვთოდნოდეს და არც სხვისგან გესწავლოსო“, სწორედ ასეთ ადამიანზეა ნათქვამი. ასეთები კი მრავლად გვხვდებიან თენგიზ გოგოლაძის წიგნში „კაცი კაცითა“.

„ვერის ძველ ხილზე ურემმა გაიარა, ჭრილით გასცდა „ეღემს“ და საბურთალოს აღმართს შეუდგა.“

ასე იწყება ეს რომანი და მწერალს ერთბაშად გადაუყაერთ ოციანი წლების საქართველოში.

„ურემზე კუბო იდო, კუბოსთან ჩა-

ლა ეყარა ხარებისთვის, კოვოზე მო-
კუნტული ბიჭი თვალმდა.“

ბიჭი და კუბო ერთმანეთთან შეუ-
თავსებელია. კუბოსთან ჯდომა მრავალჭირგამოვლილი ადამიანისთვისაც
სამძიმოა, არაოუ ბიჭისთვის. ამიტო-
მაც იჯდა ბიჭი „მოკუნტული“ და ათა-
სი განკლით დატვირთული.

„მომსაყრავი ყმაწვილი ხანდახან
თვალებს აყყეტდა, გული გამალებით
უძგერდებოდა. უნდოდა, რაღაც წამო-
ეწახა, ფეხით მიმავალ მებრძვს შენ-
მიანებოდა, მაგრამ კრიჟა ეკვროდა.“

მკითხველი გრძნობს, რომ მწუხარე-
ბასთან ერთად ურემზე გატირება და
სიღარიბეც ასვენია. ბუნებრივია, ეშინია
ბიჭს და ურემის წინ მიმავალი კაციც
გრძნობს ამ შიშს:

„— ნურაფრისა გეშინია, მე აქა ვარ.
მიცვალებული საშიში არ არის. ცოც-
ხალი უფრო საშიში არიან.“

მებრძვსთან და ბიჭთან ერთად
მკითხველიც სევდიანად მიჰყვება
ურემს და როცა ურემი კასპის ახალ-
ქალაქის, უფრო კი მისი უბნის, ვარი-
ყულას, ერთ სახლთან ჩერდება, მაშინ-
და ვიგებთ მგზავრთა ვინაობას: მებრ-
ძვე ვარიყულელი გიგო გიუნაშვილი ყო-
ფილა, რომელსაც ექვსი ბავშვი გა-
უზრდია: სამი თავისი და სამი — ძმის-
შვილი. პატარა ბიჭი, რომელიც კუ-
ბოსთან იჯდა, ქუჩაში უპატრონოდ გა-
მოვლებული უბოვია და ახლა თავისი
ღვთისწიერი მეუღლისთვის მიუყვანია,
რომელსაც მრავალშვილიანობის მიუ-
ხედავად, საკუთარი ერთიც არ ჰყო-
ლია. მისი გაზრდილებიდან სამი თუ
მაზღს ეკუთვნოდა, დანარჩენი სამი
პირველი ცოლიდან დარჩენია გიგოს.
ქეთევანს უკვე ექვსი სხვისი შვილი
გაუზრდია და ახლა მეშვიდე მიუყვა-
ნეს. კუბოთი კი, იმ შვილებივით გაზრ-
დილი ექვსეულიდან, ყველაზე უფრო-
სი და გონიერი შალიკოს გვამი მიუტა-
ნეს დასატირებლად და გასაბატონს-
ნებლად.

სანამ დამხვდნობი კუბოს დანაწევით
გამოწვეულ მწუხარებაში არიან, მწუ-

რალი გიგოს წარმომავლობაც გვეც-
ნობს. ამ კეთილშობილი კაცის მამა
მთელ სოფელში სიმკაცრევედ ცხოვრო-
ბდა, რომლის სახესაც ცხოვეთობა
ნადაღებით გვიხატავს მწერალი: „დამ-
ბაჩა და ხმალი, ხანჯალი და თოფი,
მათრახი და ლურჯა, ჩაწითლებული
თვალეები, აბრეხილი უღვაში, გაშლი-
ლი მხრები, მაღალი ბოხობი და უფრო
მაღალი ხმა — აი, ასეთი ყოფილა ჩა-
ფარი ექვთიმე“.

სიკეთის ნიშანწყალი არ გააჩნდა ამ
გულისხმიერი კაცის მამას, მთელი სი-
ცოცხლე ქილაში განძს აგროვებდა და
მისი სიკვდილის შემდეგ ის ქილაც
ვერსად იპოვნეს. ეგებ თვითონვე გა-
დაკარგა, შვილებს რომ არ ესარგებ-
ლათ. გიგო კი საკუთარი შრომით
ცხოვრობს. მის ყოველ ნაბაჯს დაეჭვე-
ბულნი ვადგენებთ თვალ-ყურს. ვფიქ-
რობთ, თავს იჩენს მემკვიდრეობა, მაგ-
რამ ნაწარმოები ისე მთავრდება, რომ
გიგო ბოლომდე პატროსან კაცად რჩე-
ბა. ალბათ ამაზეა ნათქვამი — „ერთი
ხიდან ბარის ტარიც გამოვა და თონი-
საცო“.

შალიკო იმ ახალგაზრდობას ეთანხ-
მებოდა, ვინც უეცაყოფილო იყო მენ-
შევიკური მთავრობის საქმიანობით,
საქართველოში უცხოელების გაბა-
ტონებით. იგი, რაკილა უმეტესად
თბილისში — დეიდასთან უხდებოდა
ცხოვრება, კარვად ხედავდა, რომ გერ-
მანელებისა და ფრანგების წასვლის
შემდეგ საქართველოში ინგლისელები
შემოვიდნენ და ქვეყნის ბატონ-პატრო-
ნად გადაიქცნენ. „არც გერმანელებს,
არც ფრანგებს ხალხს აბუჩად აშტე-
ბი იმდენი რამ არ ჩაუღენიათ. რაც
ინგლისელებმა გააკეთეს, თბილისში
საროსკიპო გახსნეს, საკონსულოში და-
მით ორლებს მართავდნენ, ბაღში,
შადრევეანთან ქალებს აცეკვებდნენ.
დედაქალაქის მოსახლეობის სინდის-ნა-
მუსი ფეხებზე დაიკიდეს და ერთ დღეს
რუსთაველის პროსპექტზე, სასტუმროს
თითქმის ყველა აივანზე, თავიანთი

ფერად-ფერადი ნიფხვები გადმოფი-
ნეს.“

მოსახლეობის უზომო გულისწყრო-
მის იწვევს უცხოელთა თავაშვებული
მოქმედება. პატრიოტ ახალგაზრდათა
ერთი ჯგუფი პროტესტის გამოსახატა-
ვად საკონსულოს ეწვია. კონსული
გულგრილად ხედება ახალგაზრდათა
გულისწყრომას და დასცინის კიდევ, სა-
როსკიპოს გასხნის გამო აღშფოთებას
რომ გამოსთქვამენ.

უსამართლობის მსხვერპლია შალი-
კო ვიუნაშვილი და სოფელიც თანა-
გრძნობით ამოუდგა მხარში მის ოჯახს.
„ხე ფესვითაო და კაცი კაცითაო“,
პირველად აქ ითქვა ეს ანდაზა და ამით
საზრდოობს მთელი ნაწარმოები. იმ
პატარა ბიჭის შვილად აყვანაც ხომ ამ
შეგონებით არის განპირობებული.

კარგად და დამაჯერებლად ვაღმოს-
ცემს მწერალი ოჯახში ახალი, უცნობი
წევრის მიღებას შალიკოს დასაფლავ-
ების შემდეგ. ეს არ არის სკოლაში
ანდა უცნობ კოლექტივში ბავშვის მიყ-
ვანა. ის შვილი და ძმა უნდა გაზდეს
ოჯახის წევრთათვის. შვილობა და ძმო-
ბა კი დაბადებიდანვე იწყება და არა
თორმეტი წლის შემდეგ. ოჯახში რამ-
დენიმე და-ძმავ, თანაც სხვადასხვა
წმობელთა შვილები და მოულოდნე-
ლად ახალი ძმა უნდა მიიღონ — სხვა
წმობლის შვილი, უცხო სისხლ-ხორცი.
უცნობი ბიჭის ძმად მიღება საყვარე-
ლი ძმის დამარხვის შემდეგ ძნელი და
უხერხულია. თითქოს დანაკლისს ივ-
სებს მათი სახლი, მაგრამ ამით უფრო
მტკივნეული ხდება ეს დანაკლისი.

როცა მამობილმა განაცხადა, დღეი-
დან ეს ბიჭი ჩვენი იქნებაო, სიტყვა
არავის დაუძრავს. ეს ალბათ ოჯახის
წევრთათვის ძალზე მოულოდნელი
იყო. ბიჭი კი კართან იდგა და, ამ აზ-
რის მიუღებლობისთანავე, ისევე ქუ-
ჩის ბინადრად უნდა ქცეულიყო.

„ალექსი და ვალიკო ერთად იდგნენ.
ცერად იყურებოდნენ. ნინო პირდაპირ
უტკივრდა ყმაწვილს, უტკივრდა და ისე
უაზრო, ისე შორეული და გამოუცნო-

ბი იყო მისი გამოხედვა, რომ ძნელად
გაიგებდით, ესამოგნა თუ არა უცნობი
ბი ყმაწვილის შემოთვისებას. უცნობი
ქალიშვილის, ანაიდას, თვალეზში სით-
ბო და ალერსი იგრძნობოდა. უტუუნა
მამას უყურებდა. ვეკამ ერთ წუთს ყვე-
ლას სათითაოდ შეავლო თვალი და
ძლივს შეამჩნია ერთი მათგანის ბაგე-
ში გამკრთალი ღიმილი. გულის სიღრ-
მეში მიმალული გრძნობა ვაცოცხლდა,
თვალზე ცრემლი მოადგა.“

საყვარელი შვილისა და ძმის და-
მარხვის შემდეგ დახატული ეს სურათი
იმდენად დამაჯერებელია, რომ შეუძ-
რალ ცრემლსაც კი ვხედავთ ოჯახის
წევრთა თვალეზზე. ყველანი გაქვავე-
ბულან და ვაციებულან. მხოლოდ ანა-
იდამ შესძლო ძვირეოდენი სითბოს
ვაცემა ძლივს შესაჩნჩევი ღიმილით.

ბიჭის შვილად მიღებაზე პირველი
აიტყვა დედას ეკუთვნის. ქეთევანი კი
გიგოს შვილებისთვის დედინაცვალია
და მამლის შვილებისთვის მხოლოდ დე-
დობილი. მიძიმე საკითხი დააყენა გი-
გომ მეუღლის წინაშე. ექვსი თბლის
აღმზრდელი ქეთევანი, რომელიც კარ-
გად გრძნობს ქალისთვის ბუნებით მი-
ნიჭებულ დედობრივ მოვალეობას,
შვილობილებს უხერხულ მდგომარეო-
ბაში არ აყენებს და, თუმცა დამწუხ-
რებულია, პირველი თავად მიმართავს:
„— შოღრი, შვილო, შენც ჩვენთან
იყავი.“

„შენ“ ნაცვალსახელზე დართული
ნაწილაკი „ც“ ამ შემთხვევაში ბევრის-
მთქმელია. იგი სიმრავლესაც გამოხა-
ტავს და შვილთა შემადგენლობასაც:
ისიც ჩვენი, ესეც და შენც ჩვენი იყა-
ვიო.

რომანის ექსპოზიციის დასაფლავებით
მთავრდება. ამ დროს ვეცნობით წიგ-
ნის მრავალ გძირს, რომლებიც ბო-
ლომდე მიჰყვებიან ნაწარმოებს. მათ
შორის საინტერესოა ჭიჭია-ვანასა და
ფედოსას გოლას სახეები.

თითქმის ყველა სოფელსა ჰყავს თა-
ვისი ჭიჭია-ვანა და ფედოსას გოლა —
შერაკილებად თუ ბეჩავებად, არასრუ-

ლყოფილ ადამიანებად მიჩნეულნი. „სოფლის ნაბოლოები“, რომლებიც თუმცა დაცივნის ობიექტად ქცეულან, არავის სამსახურს არ თაკილობენ და თანასოფლელებს გვერდში უდგანან ჭირში თუ ღვინში. ასეთებს ხშირად სულელებად თვლიან, ხოლო ისინი, რომლებიც სოფლის საკეთილდღეოდ ჩხირსაც არ აბრუნებენ, ჭკვიანებად იწოდებიან. ეს ვითომ „სულელები“ გრძნობენ, თანასოფლელები როგორც უცებრიან, მაგრამ ამაზე არ დარდობენ და ყველას ერთგულად ემსახურებიან. გრძნობენ, რომ სოფელს მათ გარეშე გაუჭირდება. ერთგან ამბობს კიდევ ჭიჭია-ვანა: ჩვენც საჭირონი ვართ სოფლისთვისო და, როგორც ნაწარმოებიდან ჩანს, ისინი უფრო საჭირონი არიან, ვიდრე ჯან-ღონით სავსე კუდაბზიკა „ჭკვიანები“, მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე რომ ზრუნავენ.

სწორედ ვოლა და ჭიჭია-ვანა დაეხმარებიან დამწუხრებულ გიგოს ოჯახს ყველაზე მეტად.

ნაწარმოების ერთ-ერთი მთავარი მოქმედი გმირი ბერდოა, რომელსაც სამჭედლოში ეცნობა სოფლის ახალი წევრი ვაჟაც და მკითხველიც. ვაჟა საბერველს უბერავს, გიგო რკინას სჭედს და ვარაუდობს, რომ ფოლადთან ერთად ბიჭსაც აქ გამოაწრთობს შრომაში. ერთბაშად სამჭედლოს ფარდალაკარში კაცი შემოვა, რომელსაც „ერთი თვალი ამოგდებული ჰქონდა და სახის ცალი მხარე, თვალის უბიდან დაწყებული, დიდ ნაჭრილობებს მიეჭმუჭნა. თმა გრძელი და გაჩეჩილი ჰქონდა. ზედ ნაბდის ქუდი დაედო. ტანზე მაზარა ეცვა. მაზარა ვიწრო და მოკლე ჰქონდა. ტანზე ისე მჭიდროდ შემოეჭირა, რომ ნაკერებში ძაფი ჩანდა და გასკდომას იყო. ბრჭყვიალა ღილებიდან ერთიღა შემორჩენოდა, დანარჩენი სხვა დაეკვრებინა, დიდ-პატარა ღილები. ცალი ფეხით ოდნავ კოჭლობდა. იღლიაში ძველი ხმალი და ფილთა თოფი ამოეჩარა.

— გამარჯობათ!

შემზარავი ცივი და შემტვერი ხმა ჰქონდა ამ შეუხედავ და ნამუხარ მუხასავით გაბარჯულ, დასახინებულ კაცს.

ვაჟას ხელი გაუშეშდა და უცნობს მიაჩერდა.

— გაგიმარჯოს, ბერდო! — უპასუხა გიგომ, — მობრძანდი!

— ამ ბიჭს ენა არა აქვს? — კვლავ შემტვევი კილოთი იკითხა და სადი თვალი ვაჟას დაუმიზნა.

სურათიც კარგად არის დანატული და ბერდოს პიროვნებაც შესანიშნავად ხასიათდება ამ პატარა მონაკვეთში. პირდაპირი და უკმეხია ბერდო, მოდავიდარაბე. ახლაც ხომ მხოლოდ ფილთა თოფი და ძველისძველი ხმალი შემოიტანა სამჭედლოში და არა თობი და ბარი, წალდი ან სახნისი?

ბერდოს ხასიათს ვაჟა მიხვდა და მაშინვე მიიღო მისი შენიშვნა:

„— გაგიმარჯოს! — თქვა და თვითონვე იგრძნო, სიტყვა რომ ძლივს ამოუშვა პირიდან.

— ვაჟაკი არა ხარ? რა კატასავით კნავი?! — შეუტია ბერდომ.

„ყაჩაღია, ნამდვილად ყაჩაღი! კაცის მკვლელი, ქვეყნის ამომგდები!“

ასე გაიფიქრა ვაჟამ და უკეთეს დასკვნას ვერც გამოიტანდა თორმეტი წლის ბიჭი. მით უფრო მაშინ, ქვეყანა რომ რევოლუციის ქარიშხლით სუნთქავდა და ტყეები ყაჩაღებით იყო სავსე.

ვაჟამ, მართალია, ჯერ არ იცის ამ სოფლის ამბები, მაგრამ ყველგან ერთნაირი მდგომარეობა და ყაჩაღობაა და რაღა აქ უნდა ყოფილიყო გამონაკლისი? ქვეყანაზე მხოლოდ ბრძოლა და კაცისკვლაა. აკი მოკლეს კიდევ გიგოს შალიკო. თუმცა გიგო იმდენად კეთილშობილია, ვერ წარმოუდგენია უფრო სწორედ, არ სურს, წარმოიდგინოს, ეს რომ ასეა. ამიტომაც ეკითხება ბერდოს, ეს იარაღი რად გინდაო.

„— თოფს საცემში უჭირს, გიგო, ხმალი დაეანგებულა. სარკესავით უნდა გამიხადო, — დაბუზუნა ბერ-

დომ, თოფი და ხმალი დაზავებულ დაიწყეს, თვითონ მორგებულ ჩამოჯდა და მახარა მხრებზე ისე გადაქვიშა, ტკაცავა-ცუქცი დაიწყეს... — შენგან მიკვირს, გიგო, თოფი და ხმალი რად გინდაო. იდეისთვის მინდა.“

უკვე გავიცანით ბერდო და ისიც გავიგეთ, რისთვის ემზადება. „შენგან მიკვირსო“, გიგოს ეუბნება. ღიახ, უკვირს გიგოსგან უმოქმედობა. არსებულ უსამართლობით დაღუპული მისი, ამისშვილი ჭერ საფლავშიც არ გაცივებულა და რატომ არ იძიებს შურს? რატომ ხმას არ იმაღლებს უსამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ?

ბერდოც გიგოსავით კეთილი კაცი იყო ერთ დროს, მაგრამ პირველ მსოფლიო ომში თვალი დაკარგა, უსამართლობა ბევრი ნახა და დარწმუნდა, რომ ბრძოლა საჭირო უსამართლობის წინააღმდეგ. „იმ წამების გზიდან გენერლის ძველი მახარა, ერთი შაშხანა თოფი, ორი ღერი რუსული და რამდენიმე წიგნი ჩამოიტანა, „იღუა“ პირზე დაიკერა და მენშევიკებს აგინებდა“.

იქნებ თოფისა და ხმლის აღება არც გახსენებოდა ბერდოს, გიგოს შალიკო რომ უსინდისოდ არ მოეკლათ? იგი ხედავს, რომ ადამიანი მარტოდენ კეთილშობილებით და სხვისადმი მორჩილებით შორს ვერ წავა. უსამართლობის მოსპობას ბრძოლა და შემართება სჭირდება. ამიტომ არ მოსწონს ვაჟას დაბუხული ხმა და იქამდე საყვედურებს, სანამ არ გამოაცოცხლებს და ხმას არ აამაღლებინებს. შემდეგ თავებში კიდევ უფრო იკვეთება ბერდოს მებრძოლი სახე.

ამასობაში, თბილისიდან წერილი ჩამოაქვთ და შალიკოს მკვლელობის ამბებს გეზულობენ. მენშევიკებზე გულადრენილი ბერდო თავის თანამოაზრებთან ერთად შალიკოს საფლავზე ფიცსა დებს, რომ შურს იძიებს.

ბერდოს მიზანი გულუბრყვილოა. იგი ფიქრობს, რომ სოფლის მენშევიკი რავეკაცის, ვოსტაბაშვილის, გაბაწვრით ყველაფერი დამთავრდება. ვერ ხედავა

ამ აზრის პრიმიტიულობას და არც სხვისგან უნდა, გიგოს. თემისხეველი კომუნისტი ნიკო კაპრაშიძე რომ სამხარეო კომიტეტთან შეთანხმებით იმოქმედოს, მაგრამ ბერდოს მოთმინება არ ჰყოფნის და იერიშზე გადადის — თავისი ხალხით ერობის საბჭოს თავმჯდომარეს მიეჭრება და იარაღს აპყრის.

ბერდო ხელისუფლებას დაებატრონა და მაშინვე შეიცვალა მისი ფსიქოლოგია. იგი უკვე ერთადერთი და შეუცვალაია. აღარავის რჩევას არ უწყევს ანგარიშს. ჰკვიანური რჩევისთვის თავის ერთგულ გიგო მჭედელსაც კი „ხალხის მტრად“ გამოაცხადებს და დაპატიმრებას უბირებს. შედარებით განათლებულ კომუნისტ ნიკო კაპრაშიძესაც უხეზად გაისტუმრებს და ხალხის რჩევებზე, არ უნდა გეწყენინებინაო, ასე უპასუხებს: „იმ კაცმა თემისხეველებს მიჰხედოსო“. ერთი სიტყვით, აღარავისი სჯერა ხელისუფლების სათავეში მოქცეულ, გადიდგაცხადებულ ბერდოს. არადა, აქამდე ყოველ დღე რჩევას ეკითხებოდა ხოლმე გიგო მჭედელს.

ბერდოს ხელისუფლება დიდხანს არ გაგრძელდა.

„მეორე დღეს გვარდიელები და გორელი მილიციელები გარს შემოერტყნენ გარიყულასა და ახალქალაქს. სოფლებს ტყვია დაუშინეს. ისეთი ცეცხლი ღაანთეს, იქაურობას ბღღვინი აღინეს.“

სკოლიდან მომავალი ვაჟაც დატრა ამ ბრძოლაში და ბერდომ თავისი სოფლის საერთო რისხვა დაიმსახურა.

მწერალი მიგვანიშნებს, რომ ყველაფერი პირადი კეთილდღეობის მოპოვებაზეა დაფუძნებული და ხალხის საერთო სიკეთეზე ცოტა ვინმე ფიქრობს. გოგიტა თანამდებობის შენარჩუნებისთვის იბრძვის. ბერდო კი — წისქვილისთვის. აქი თანხმდებიან კიდევ ბერდო და გოგიტა, რომ ერთმანეთს ხელს არ შეუშლიან და სიამტკბილობით იცხოვრებენ.

ამით არ მთავრდება ბერდოს და გო-

გეტას ურთიერთობა. გოგოცა გატეხს ბერდოსადმი მიცემულ პირობას, ერთ ღამეს მიუხტება თავისი მილიციელუბით და წისქვილში გამოსწვავს, მაგრამ ბერდო სველ ღარებშია ჩაწვება და თავს ამით გადაირჩენს. მერე თბილისში გადაიხვეწება და დათებასთან იმალება რიყის წისქვილში. აქაც მიაგნეს, რაკი ერთხელ გარიყულელმა თედოს შვილმა ნახა შემთხვევით. მართალია, პირობა მისცა, არსად გაგამხელო, მაგრამ თავის მამასთან მაინც გაამხილა. მამამ სხვას უთხრა და მთელ სოფელს მოედო მისი სიცოცხლის ამბავი. დაიჭირეს და მეტეხის ციხეში გამოამწყვდიეს ბოლშევიკ ალიოშა თოფურიძესთან ერთად.

ალიოშასთან ურთიერთობამ სინათლის სხივი შეიტანა ბერდოს გონებაში. იგრძნო, რომ იმ გზით, რომლითაც გამარჯვების მოპოვებას ცდილობდა, შორს ვერ წავიდოდა. მოისმინა და დაიჭერა, რომ ადამიანი მხოლოდ პირადისთვის კი არა, საზოგადოებრივი ჭეთილდღეობისთვისაც უნდა იბრძოდეს, თუ ხალხის საკეთილსურს.

სასჯელის მოხდის შემდეგ ბერდო სოფელში ბრუნდება. აქ თავის „გამცემ“ ნიკალას შეხვდება, მაგრამ უნებურ დანაშაულს აპატიებს. სამაგიეროდ ნიკალა ჭიჭია-ვანასთან ერთად წისქვილის აღდგენაში ეხმარება.

ბერდომ ახალი წისქვილი ააშენა, მაგრამ მის ბენდიერებას საშველი არ დაადგა. ერთ ღამეს კვლავ მიუხტნენ გოგოცას ყაჩაღები, ბოძზე მიაკრეს და მეორე თვალიც ამოთხარეს.

იმავე ღამეს ბარნა, შამშე და სხვა ბოლშევიკებიც დააპატიმრეს, რაკი ხედავდნენ, რომ მენშევიკური მთავრობის საწინააღმდეგო ბრძოლა კიდევ უფრო მძაფრდებოდა.

ორივე თვალით დაბრმავებული ბერდო ნიკალას სთხოვეს, რომ შური იძიოს. ნიკალა თხოვნას შეუსრულებს და მენშევიკური ჯარიდან გამოპარულ გოლასთან ერთად ტყეს მისცემს თავს.

მწერალი საინტერესოდ მოგვითხ-

რობს ჭიჭია-ვანასა და გოლას ჯარში გაწვევის ისტორიას. როცა მათი ჯარში გაწვევის ამბავი ჭიჭია-ვანას და მის შვილებს გაიგო, გაკვირვებულად შეხვდა ესტატე ბებურიშვილს — ერობის საბჭოს ახალ თავმჯდომარეს:

„— ვანოს ჯარში გზავნიო?

— მერე რა იყო, ქალო?

— განა ასეთები გამოდგებიან ჯარში?

— ვითომ რატომ არაო! სალდათს ჰქუა რად უნდა. ეტყვიან, ესროლო, ეგეც ესვრის. ეტყვიან, გაიქცეო და გაიქცევა.“

ბიჭებს ჯარი არ მოეწონათ. დაჰკრეს ფეხი და გამოიქცნენ.

და, აი, შურისგების შემდეგ, ნიკალა და გოლა, ერთ ცხენზე ამხედრებულნი, ტყეში მიდიან პარტიზანებთან. სოფლიდან სამშვიდობოს გასული ბიჭები მთვარის ამოსვლის წინ ოცნებას ეძლევიან:

„— მთვარის მაგივრად რომ ერთმა ლამაზმა გოგომ გადმოიხედოს, ჰა?! — თქვა ნიკალამ.“

— გოგომ არა, ისა! — კბილებში გამოსცრა გოლამ. იმის წარმოდგენით კი, მართლა რომ გოგო გადმომდგარიყო, გულში სითბო ჩაუდგა და ხარბად გაჰხედა ცისკიდურს. იქნებ მოხდეს სასწაული და მართლა ლამაზმა გოგომ გადმოიხედოს? იქნებ ის გოგო დათებას შვილი ხათუნა იყოს? თბილისი ხომ იმ მხარეს არის. ჰოდა, იქნებ მთვარის მაგივრად გორის ქიშხე ხათუნა გამოჩნდეს და იმან გაანათოს გარემო? ნეტავი ასე მოხდებოდეს! ეს რა კარგი რამ თქვა ნიკალამ.“

გოლამ, თბილისში, ჯარში ყოფნისას, ხათუნა გაიცნო და უღვთოდ მოეწონა. ახლა კი ნიკალას ნატვრა სათავისოდ წარმართა. ისევე სათავისოდ დაინახა, როგორც სათავისოდ უყურებდნენ ყოველგვარ საქმეს მასზე უფრო ჰკვიანებად მიჩნეული სოფლის თავკაცები და თავკაცობისთვის მებრძოლნი.

„— აი, ის რომ გამოჩნდებოდეს,

მ დღეს ვორში რომ ვნახე...—ამბობს ნიკალა.

დაახ, ყველა თავისას ფიქრობს. ნაწარმოებში თავიდან ბოლომდე ეს საზი შეინიშნება, თუმცა მწერალი ამის შესახებ არაფერს ამბობს.

როდესაც გოგიტას შემდეგ ესტატე მოექცევა ხელისუფლების სათავეში, ისიც თავის გემოზე განაგრძობს საერთო საქმეს. და როცა ესტატეს ბოლშევიკი შამშე შესცვლის, იგივე შეცდომები ვრცელდება. მართალია, ზემოდან რაღაც არსებითი ცვლილება მოხდა, — მიწები გლეხებს გაუნაწილდა, მაგრამ მიწების დანაწილების საკითხსაც თავისებურად ჭრის და ცალკეულ საკითხებსაც იმგვარი თვალთახედვით ჰკრეტს შანშე ბოლშევიკი, როგორც მენშევიკი გოგიტა და მისი წინამორბედი ესტატე ჰკრეტდნენ. წარმოიდგინეთ, მდივნადაც კი იგივე ბერბიჭა მოიწვია, რომელიც ერთნაირად ემსახურებოდა მენშევიკებსაც და მის წინა მთაერობასაც. ბერბიჭასათვის სულერთია ძველი და ახალი. ყველას და ყველაფერს ერთნაირად ემსახურება. შამშემ კი, ყოველივე ძველის ნგრევას რომ ბრძნად ქადაგებდა, მდინად მაინც მენშევიკებში „ნაგდები“ ქოსა მოიყვანა. მწერალი ხედავს, რომ სახელმწიფო წყობის შეცვლა შედეგს ვერ გამოიღებს, თუ სათავეში ახალი, სადი იღებთ აღჭურვილი პიროვნება არ მოექცევა. საქმე ის არის, რომ ყველას თავისი აზრის სჯერა და ეს აზრი თუ ჩამორჩენილია, რევოლუცია ვერას გვიშველის. პიროვნება და სახელმწიფო წყობილება ერთმანეთს უნდა ეფარდებოდეს. ახალ წყობილებას ახალი ადამიანი სჭირდება და ეს ახალი ადამიანი კი ჯერ არსად მოჩანს. ძველი ფსიქოლოგიის ხალხით წყობილებას ვერ შეცვლი.

თუმცა თენგიზ გოგოლაძის გმირები სიკეთის გრძნობას მოკლებულნი არ არიან და ვაჟა იმასაც კი ეუბნება ბერდოს, რომ შეიძლებოდა, „ჩემ თვალს ამოვიღებდი და შენ ჩავიდ-

ვამდიო“, ისინი ქონებისა და მიწის განაწილებაში ერთმანეთს არაფერს უთმობენ.

ახალ ცხოვრებაზე წარმოდგენა არა აქვს მის ერთ-ერთ მომპოვებელ შამშეს და ვერც სხვას აგებინებს, როგორი უნდა იყოს იგი. წითელი დროშა, მართალია, აიტანა სახლის სახურავზე და საყვარლად აფერიალა, მაგრამ რას ნიშნავდა ეს წითელი დროშა და ამის შემდეგ რა უნდა მომხდარიყო, აზრზეც არ არის. ძველი დაინგრევა და ახალი აშენდებაო. ძველის ნგრევა ადვილია, ანგრევს კიდევ, მაგრამ მის მაგიერს ააშენებს თუ არა, ამაზე აღარ ფიქრობს.

შამშემ რევკომის თავმჯდომარეობა იმით დაიწყო, რომ წყაროზე გულდასმით გაარეცხინა მენშევიკების ნაჯდომი სკამები და ნახშირი ნივთები. ჰერ-კედლები კი შეათეთრებინა.

„— ეგრე, ყველაფერი უნდა გავრეცხოთ და გავანაივოთ, რაც ძველია.“

ბოლოს და ბოლოს, რით განსხვავდება შამშე თავისი წინამორბედებისგან, რომელთაგან, ზოგს ბოქაული ერქვა, ზოგს ჩაფარი და ზოგს ერობის საბჭოს თავმჯდომარე? სჯობია, ისევე მწერალს მოვუხსინოთ:

„გარეგნობით შამშე არაფრით განსხვავდებოდა ჩაფარ ექვთიმესაგან. მაუზერი და ბერდანა მასაც სულ დატენილი ჰქონდა და ჩაწითლებულ პატარა თვალებს მუგუზობებივით აკვესებდა.“

მეზობელ სოფელთან მიჯნაზე სამარცხვინო დავის შემდეგ, როცა შამშე რევკომში დაბრუნდა და ბერბიჭამ ამბავი დაახვედრა: წუხელ ლაშქარანთ საწყობი გაუტეხიათ და ხორბალი პირწმინდად წაუღლიათო, შამშემ ჯიბეზე იტაცა ხელი, საწყობის გასაღები ამოიღო და იატაკზე დაანარცხა, წყალსაც წაუღიაო ყველაფერი. ბერბიჭამ გაიფიქრა: „რა ერთნაირად ღრიალებენ ეს თავკაცები! ღმერთო, შენ დამიფარე!“

შამშე ძველს ართმევს ხალხს და ახალს ვერ სთავაზობს. რით უნდა დაიმსახუროს მათი ნდობა, მომავალი ცხოვრების შენებაში რომ გაიყოლოს? ანდა შეუძლია კი შენება? ჭერჯერობით მხოლოდ ნგრევა ჩანს და არა შენება.

— დღესვე, ახლავე!.. თქვენი ხელით გამოიტანეთ ხატები და დასწვით! — შამშე! — შესძახა წინ წამოსულმა გლეხმა, — ოცი საუკუნეა, ქრისტეს ჯვარს ეფიცება ხალხი.

— ახლა სხვა რამ დაიფიცეთ! — ასე უცებ ნუ იზამ, ბიჭო, შეგიძულებენ... — წასჩურჩულა ბარნამ, მაგრამ შამშემ ყურად არც ახლა იღო მეგობრის რჩევა.

— რეებს მელაპარაკების უწინ ეკლესია უნდა დაგვეხურა და დანარჩენი მერმე ვაგვეკეთებინა.

— წყეულიმც იყავ! — დაიძახა მლოცველთაგან ვიღაცამ და ახლა შათოსანი ქალი გამოვიდა წინ... — აბა, მე ეკლესიის კარებში ჩავდგები და ვინმემ შებედოს შესვლა თქვე ურჯულოებო! მამა-პაპათა ძვლები ამოყარეთ და ძაღლებს მიუგდეთ. კაცის სინდისი გასთელეთ და დაპირებებით ტვიინი ამოგვიღეთ.“

ასე ძალადობით სწადია შამშეს საბჭოთა ხელისუფლების ერთბაშად დამყარება. ყოველივე ძველი და „დრომოჭმული“ იმდენად შესძულებულია, რომ ერთი ხელის მოსმით უპირებს მოსპობას. არავითარი ღირებულები არ ყოფილა არც ეკლესიაში, არც ხატებში და არც სასახლეებში. აკი დააწვევინა კიდევ ხატები და ძველი სასახლეები. რამდენი ასეთი შამშე იყო რევოლუციის იმ დღეებში და რამდენი მოქმედებდა ასე განუსჯელად, რითაც აუნაზღაურებელ ზარალს აყენებდნენ ხალხსაც და ქვეყანასაც. ამასობაში კი, საბჭოთა ხელისუფლებისა და კომუნისტური პარტიის სახელს სამარცხვინოდ ბღალავდნენ ხალხის თვალში.

რომანის მოქმედება ერთი სოფლის ამბებით არ იფარგლება. მის გმირებს

მეზობელი სოფლებთან და ქალაქებთან: გორთან, ცხინველთან და ლბილისთანაც აქვთ კავშირი. წიგნი საქართველოში ბოლშევიკთა ხელისუფლების დამყარების წინააღმდეგ იწყება და ზაპისის მშენებლობით მთავრდება.

გლეხებს მიწები დაურიგდათ. ეს იყო პირველი ხელშესახები სიკეთე, რომელიც ბოლშევიკურმა სახელმწიფომ ხალხს მოუტანა. გლეხი დიდი ხნით ჩამოშორებულ მიწას დაუბრუნდა და სიყვარულით შეახო ხელი.

„მეზობელი სიმინდსა და ლობიოს სთესდა. მთელი ოჯახით გამოსულიყო. უხაროდა დიდ-პატარას. ოჯახის თავკაცი ფეხშიშველა მიდიოდა ნახნავში და მუჭა-მუჭა კი არ ფანტავდა მარცვალს, სათითაოდ ყრიდა მიწაში და თან ჩურჩულით რაღაცას უთქვამდა. გოლას მისი ხმა არ ეყურებოდა, მაგრამ მიხვდა, რომ გლეხი რაღაცას უბარებდა მარცვალს.“

მიდიოდა გლეხკაცი, უკან მთელი ჯალაბი მისდევდა. ისინიც იმასვე აკეთებდნენ წამხედურობით...“

ძველი წყობილება, მართალია, შეიცვალა, მაგრამ ბრძოლა გრძელდება ძველსა და ახალს შორის. ქურდები, რომელთაც ლაშქარაანთ საწყობი გატეხეს და ხორბალი გაიტაცეს, ჩეკადან მოსულებმა დააპატიმრეს, მაგრამ მეტებთან ახალი ხელისუფლების მოწინააღმდეგე ბანდამ გაათავისუფლა და შამშეს კი ასეთი წერილი მიუვიდა:

„შამშე დურგლიშვილო. სულ ერთი ჩემი ხელით უნდა დაწვე. ძებნა არ დამიწყო. მაინც ვერ მიპოვნი. შენ ნუ გგონია, რაზან ჩემი სახლი გადაწვი, წაველ, ასე იოლად დავეთმო ყველაფერი საბჭოთა ხელისუფლებას. ვერც ერთ ხტიმარს კორში ქვრ ჩააბარებ. ვერც ჩეკა გიშველის. გამყიდველებს კი საკადრისი მიეზღოთ. ჭერი შენზეა. ესტატე ბებურიშვილი.“

ხოლო იქ, სადაც ეწერა, ჭერი შენზეაო, კუბო ეხატა.“

მას შემდეგ, რაც ესტატემ საკუთარი ბინა გადაწვა და მიიძალა, მისმა ბანდამ

ახლომასლო სოფლების შემოგარენი ხელში ჩაიგდო. სოფელში ვერავენ შემოვიდოდა და ვერც გავიდოდა, მისი ბანდის წევრთა თვალთახედვას რომ გამოპაროდა, თუ აქამდე ოღნავ მაინც ინიღებოდა, ახლა უკვე აქტიურად ამოქმედდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. არც ბოლშევიკები აკლებდნენ! სამაგიეროს, ყოველ დღე ახალ-ახალ ძალებს გზავნიდნენ მის წინააღმდეგ. აი, ახლაც მიდიან შეიარაღებული ცვლები მასთან საბრძოლველად. ზოგი დაბრუნდება და ზოგი დაიღუპება. „სოფელს კაცი გამოაკლდება. ქვრივ-ობოლი მოემატება.“

ამ საკითხზე ღრმად დაფიქრებულა ბრძოლიდან განზე მდგარი, თბილისიდან ჩამოსული ალექსი გიუნაშვილი — გიგოს ვაჟიშვილი, რომელიც, თუმცა ერთიხანობა საიუნკრო სკოლაში სწავლობდა, ბუნებით სიმართლის მოყვარულია, მამასავით. მას სჯერა, რომ კომუნისტების საქმე სიმართლეს ემსახურება, მაგრამ იმასაც ხედავს, რომ შანშესნაირი თვითნება და თავდაჯერებულობა აღამიანები მრავლად არიან ხელისუფლების სათავეში. ალექსის სოფლიდან აძევებს შამშე: საიუნკრო სკოლაში გისწავლიათ. ასეთი კანონი კომუნისტებს არ გამოუციათ, მაგრამ შამშემ არ იცის, რაკილა წერა-კითხვაზე მწყობრად გახლავს.

მიუხედავად ყოველივე ამისა, ახალ ხელისუფლებას უდიდესი გარდამქმნელი ძალა აქვს, რასაც გოლას მაგალითით ვგებულობთ. ერთ დროს „სოფლის ნაბოლარად“ და სულელად მიჩნეული ბიჭი ბრძოლაში აქტიურ მონაწილეობას იღებს. ბრძოლა და ჭიდილი გოლას პიროვნებად ჩამოაყალიბებს და სიყვარულს უღვიძებს — ხალხისა და სოფლის სიყვარულს. გრძნობს, რომ აღამიანია და აღამიანური სიყვარული მასაც სჭირდება.

თბილისში ყოფნისას, როგორც აღვნიშნეთ, გოლა დათებას ქალოშვილ ხათუნას გაიცნობს და მოეწონება. მაშინ ჯერ კიდევ არ არის დარწმუნებული

თავის სრულყოფილებაში და სიყვარულის გამჟღავნებასაც ვერ უბედავს. ხათუნა კი ამასობაში სხვისი გემოვნაში ამ აზრს გოლა როგორმე შეუტრიალებს და, ხათუნას ქმარი რომ გარეწარი და ნაძირალა არ ყოფილიყო. დათებას მოწონებულმა მგელუამ სასიამაორო „მოალორა“, ხათუნა წაართვა და წისკვილიც გაუყიდა. არც ხათუნას ემტყვა ღირსეულად. გოლას გულში შურისგების ცეცხლი ენთება. ეს ცეცხლი კიდევ უფრო ღვივდება მაშინ, როცა ზაპესის მშენებლობაზე, ფიზიკურად დაძაბუნებულ დათებას შეხვდება და შეიტყობს, რომ მგელუას მისთვის სახლიც გაუყიდა და მიტოვებული ხათუნა კი მთაწმინდაზე განიზნულა — შორეულ მოკეთესთან შეუფარებია თავი. გოლა იმასაც შეიტყობს, რომ მომხვეჭელობას მიჩვეული მგელუა, იგივე ვარდენი, იმ ბანდის აქტიური წევრი ყოფილა, რომელიც ღამ-ღამობით თავს ესხმის მშენებლობას და ამით ხელს უშლის ზაპესის მშენებლობას. გოლა თავს არ ზოგავს ხალხისა და უშუალოდ ხათუნას მტრის წინააღმდეგ და ვაჟაკურად უსწორდება მგელუას, რითაც ხალხს მტერს ამორებს და უსამართლოდ დაჩაგრულ დათებას კი შურისძიების გრძნობას უქმაცოფილებს.

დათება დამშვიდებით კვდება. უმწეოდ დარჩენილ ხათუნას კი გოლა სოფელში წაყვანას შესთავაზებს, თუმცა სოფელში არაფერი ეგულება, რაკილა მისი ერთადერთი ქოხი დიდი ხანია დაინგრა.

გოლამ ცხოვრებაზე დაკვირვებით ბეჭტი რამ ისწავლა. როცა ხათუნა მგელუამ ირგუნა და თვითონ კი უიმედოდ დარჩა, მიხვდა, რომ ცხოვრება უკუღმა ყოფილა აწყობილი და ამბობს: „რაც კარგია — ბოროტია, რაც ცუდია — კეთილია.“ მის მიერ აღმოჩენილი ეს სიბრძნე ყოველ ნაბიჯზე დასტურდება, მაგრამ, როცა მგელუამ საკადრისი მიიღო, ამ სიბრძნესაც საფუძველი შეერყა. უკეთური აღამიანისგან დამცირებული ქალის ამადლებით კმა-

ყოფილი გოლა თავს ხათუნას პატრონად გამოაცხადებს და მშობლიურ სოფელს მიაშურებს ხალხის იმედით. ხათუნას შეკითხვაზე, სახლი რომ დაგენგრა, სად წავიდეთო, გოლა პასუხობს:

„— ისევ აშენდება. ეს წუთისოფელი ხომ ნგრევისა და შენებისაა. წავიდეთ, შენი წინაპრის ფესვიც იქ არის და ჩვენი ადგილის დედა უფრო კარგად მიგვიღებს.“

იმედის მომცემა მეტეხის სადგურში გამართული დიალოგი მეეტლესა და გოლას შორის. როცა მეეტლემ ლამაზი ქალ-ვაჟი ეტლში ჩასვა და სოფელს მიუახლოვდა, ეკითხება:

„— ვისთან მიგიყვანო?“

— სოფელში მიგიყვანე.

— სოფელი დიდაა.

— ჰოდა, დიდი რომ არის, იმიტომაც მოგიხარია აქეთ.“

ნაწარმოები ამით მთავრდება, მაგრამ წინასწარ ჩანს, რომ გოლას ცხოვრება საინტერესო უნდა იყოს. რატომ? იმიტომ, რომ გოლას სოფლისთვის მხოლოდ სიკეთე გაუკეთებია. სოფელში ეგულება თავისი ერთგული ადამიანები, თავისი ჭიჭია-ვანა და ბერდო, რომელსაც უკვე ტყუბი ბიჭი ყავს და სოფლის დახმარებით სახლიც აუშენებია.

ჭიჭია-ვანაც, გოლაც და ბერდოც რომანის დასასრულს უფრო ძლიერნი არიან, ვიდრე — დასაწყისში. თუ ადრე მკითხველს მათთან მხოლოდ სიბრალული აკავშირებდა, ახლა უკვე იმედიანად უყურებს მათ მომავალს. ეს იმედი კი ახალ დროებას მოუტანია.

მწერალი თავიდან ბოლომდე ობიექტურია. არ ცდილობს, ახალი ცხოვრება გაალამაზოს, მაგრამ ნაწარმოებში უნებურად ჩანს, რომ ძველს ახალი სჯობია. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინო ცხოვრებისგან დაბეჩავებული ადამიანების მაგალითზე ხდება.

უსინათლო ბერდომ, ახალი ცხოვრების პირობებში, შეუძლებელი შესძლო, მაგრამ მწერალი არც იმას მაღაფს, ახალ ცხოვრებას რომ თავისი მედროვენი მოჰყვნენ და თავიდანვე იოლი

გზით აპირებენ გამდიდრებას. სოფელში ჩამოსულ მიწისმზომელს პირდაპირ გამოჩენა უფრო აინტერესებს, ვიდრე საზოგადო საქმე. *გიორგი მთავრის*

თენგიზ გოგოლაძეს დიდად უყვარს თავისი გმირები და სიკვდილისთვის აღარ ემეტება. გვაგონობინებს, რომ ყოველი ჯაცის სიკვდილი რაღაცას გვაკლებს, რაღაცა მიაქვს ჩვენგან და ამასობაში ჩვენც მივყვებით. მართალია, ცხოვრება ბრძოლაა და ბრძოლაში კი ვიღაც უთუოდ დაეცემა, მაგრამ ეს ვიღაცაც ჩვენი ხორცის ნაწილია და უნდა გვებრალებოდეს.

„წუთისოფელი მატებისა და კლები-საა.“

ძეობა ყველას კარს თუ არა, სიკვდილი ყველას კარსაა.

ერთი, ვარიუთი კიდევ წაასვენეს ფაენისში.“

წაასვენეს და, მტერია თუ მოყვარე, სულერთია. მთავარია, რომ ერთი კაცი კიდევ გამოაკლდა სოფელს.

მთავრდება რომანი და გგონიათ, კიდევ გაგრძელდება. მკითხველი წიგნს იმედიანად ნურავს და ხედავს, რომ არ მოატყუა მწერალმა: ყველაფერი გულწრფელად უთხრა, რაც ხდებოდა და შეიძლება, მომხდარიყო.

ნაწარმოებში ისიც კარგად არის ნაჩვენები, სოფელში რომ ოჯახური სიტუბო ტრიალებს ქართველებსა და სომხებს შორის. ჩანს, რომ ეს ორი ძველთაძველი ერი უერთმანეთოდ ვერ გასძლებს, თუნდაც თავი მოიტყუონ და ერთმანეთს განუღდგნენ.

რომანში ბევრი შესანიშნავი და ხილვადი ეპიზოდია, მაგრამ ზოგიერთი თვალში საცემი უხერხულობაც გვხვდება როგორც ენობრივი, ისე აზრობრივი და ესთეტიკური თვალსაზრისით. შეიმჩნევა ფრაზებისა და სიტყვების ზედმეტობა, მაგრამ ყოველივე ეს ნაწარმოების მდინარებაში იკარგება და საბოლოოდ კმაყოფილი ვხუროვთ წიგნს, რომლის გმირები ჩვენთან რჩებიან თავიანთი განსხვავებული და დამაჭერებელი ქცევითა და ხასიათით.



ლირიკული გმირის ხასიათი

პოეზია, რომელსაც აკლია წამყვანი, აქტიური პოზიცია, მებრძოლი პოეტური სული, შემოქმედებითი მუხტი მკითხველში ვერ გამოიწვევს საჭირო დადებით ემოციებს, ახლებური აზროვნების საჭიროებას, გარდაქმნის აუცილებლობის შეგნებას. დაშტამპული, გაქვავებული შეხედულებების დამსხვრევის საქვეყნო მნიშვნელობას, ე. წ. სტერეოტიპული მარწუხებიდან სულის გათავისუფლებას. ლირიკული გმირის აქტიურ, მებრძოლ პარტიულ ხასიათს დიდი მნიშვნელობა აქვს მორალური, ზნეობრივი და ეთიკური საყრდენის გასამაგრებლად, მაღალი შემოქმედებითი შეგნებულობის დასანერგავად. ყოველივე ეს ბოლოსდაბოლოს განაპირობებს ნაწარმოების მხატვრულ ღირსებას. მიგვაჩნია, რომ ყველაზე ბევრი და გულწრფელი მკითხველი, იმას ჰყავს ვისი ლექსების ლირიკული გმირიც აქტიური, ქმედითი, მებრძოლი და ლაღია, ვინც ადგილის, დროისა და სივრცის მძაფრი შეგრძნებით გამოირჩევა, არის გულწრფელი, ჰუმანური, ოპტიმისტი და თავისი ეპოქის ჭანსაღი შვილი. ვ. ი. ლენინი ამბობდა: „მხატვარი, როგორც საზოგადოების აქტიური წევრი, ერთ-ერთი მათგანია, ვინც კმენის ადამიანურ სამყაროს, ამდენად არ შეიძლება იყოს პასიური იმის მიმართ, რაც ირგვლივ ხდება“, და დაასკვნის, რომ შემოქმედის პოზიცია სინამდვილის მიმართ ქმედითი უნდა იყოს. ამ მიდგომითა და საზომით მიმოვიხილავეთ აჭარის სამწერლო ორგანიზაციაში გაერთიანებული მწერლების 1986 წელს გამოცემულ პოეტურ კრებულებს.

„მზივ საფიცარო ჩემო სამშობლოვ, შენა ხარ ჩემი წმინდა ტაძარი“, — მსცოვანი პოეტის მამია ვარშანიძის ეს სტრიქონები გასდევს, თუ შეიძლება ასე ითქვას, უმთავრეს ლაიტმოტივად პოეტურ კრებულებს, რომლის ავტორებიც არიან მამია ვარშანიძე („რჩეული“), ფრიდონ ხალვაში („ამ ქვეყანაზე“), ჯემალ ქათამაძე („წითელი თოვლი“), შოთა ზოიძე („სიყვარულის ასხნა“), დავით თედორაძე („ცეცხლის პერანგი“), ზურაბ ფირცხალაიშვილი („დაუსრულებელი პორტრეტი“) და ვახტანგ ლლონტი („წვიმა და ოცნების გენერლები“).

„ვერ დამჯაბნის თუნდაც ასი ტირანი, ასი ტყვიით სამშობლოს ვერ გამყარონ, შენს მზეს ვფიცავ მცინარიც და მტირალიც, ჩემი ქვეყნის ვარსკვლავების სამყაროვ“ — ამბობს მამია ვარშანიძე თავის „რჩეულში“.

ფრიდონ ხალვაშის მებრძოლ, აქტიურად ჰუმანური პრინციპების მქონე ლირიკულ გმირს ლექსში „ბენდი“, სურს, რომ „მწყურვალ და ნავვალ მიწას თუნდაც ერთადერთი წვეთი მისცეს. ლექსი ყურადღებას იპყრობს მეტაფორული აზროვნებით.

ჯემალ ქათამაძის ლირიკული გმირის მებრძოლი ხასიათი კარგად გამოვლინდა ისეთ ლექსებში, როგორიცაა „მხოლოდ საქართველო“, „უსათაურო“ და სხვ. ამ ლექსების პათოსი და ძალისხმევა, როგორც მედალიონი, მოჭრილია სამშობლოსათვის ერთგულების ფიცზე. „შენ დედა გქვია და საქართველო და კიდევ ჩემი ლამაზი ფიცი“.

ავტორი ლექსში „მაშინ ამაოდ“ პირდაპირ, თითქმის პუბლიცისტური სიჭიქტით ამბობს: ვერა ხარ კარგი კაცი, „თუ სიკეთეს არ შეეწირე, როგორც

ზვარაკი, არ მიიტანე გულთან ახლოს მამულის დარდი“, ან კიდევ: „არ შეიძლება ფიქრი სხვაგვარი, თუ პოეტი ხარ. უნდა ომობდე და შენი გული უზარმაზარი ხალხში დაიწვას ლექსად ზოლომდე“.

საკმაოდ აქტიური და თანამედროვეა პოეტისა და პუბლიცისტის შოთა ზოიძის შემოქმედება. საკმარისია გავიხსენოთ მისი თუნდაც ერთი ლექსი „პორტრეტი“, რომ ამაში ღრმად დაერწმუნდეთ. აქ არ შეგუდგებით არც ამ და არც სხვა ლექსების ვერსიფიკაციულ ან მხატვრული გამოსახვის საშუალებათა დახასიათებას, აღვნიშნავთ მხოლოდ მისი პოეტურა პათოსის მეტროლი პარტიული სულის შესახებ: „თუნდ ღმერთი იყავ, ვერაფერს გახდები, თუ ბრძოლის სურვილით არ იწვი... ეპოქა, მე მუდამ ვამაყობ მისით, მისი ერთგული ვიყავი ყოველთვის!.. ამიტომ სურვილს ფრთებივით ვისხამ, ფრთებივით ვისხამ ზობოქარ სურვილს“...

„ხვალ უფრო მეტად საქართველო გალამაზდება“, — ასე ჰქვია პოეტ დავით თედორაძის ლექსს. მასში იგი მომავალ თაობას მოძღვრავს, რომ „უნდა იცოდნენ მამულისთვის მსხვერპლის ვადება“, ხალხისადმი სამსახური. „ხალხი, ძვირფასი ხალხი, მის სამსახურში ვდგები“ — წერს პოეტი და გვგერა მისი, ხოლო პოეტის დანიშნულებაზე, რაზეც არაერთხელ მიუთითებდნენ ჩვენი კლასიკოსები, საკმაოდ საინტერესოა ნათქვამი: „შემოქმედების ცეცხლი ნაპერწკალადაც არ ღირს, თუ არ იგრძნობა ლექსში მძლე მაჯისცემა ხალხის, თუ არ იგრძნობა ლექსში ქართული მიწის სუნთქვა, ამოდ დამშვრალ პოეტს ლექსი ამოდ უთქვამს“. და დაასკვნის: „ცეცხლის პერანგი მაცვია, სული მეგსება ცეცხლით“. აი, სწორედ აქ ჩანს დიდი ეპოქის გამძაფრებული შეგრძნება.

პოეტ ზურაბ ფიცხალაიშვილის კრებულის „დაუსრულებელი პორტრეტის“ ანოტაციაში ვკითხულობთ: „ლექსების ლირიკული გმირი ჩვენი თანამედროვეა, — ფიქრიანი და მძივბელი“. წინასწარ ვენდოთ ამ სიტყვებს, მაგრამ მაინც ჩავიხედოთ წიგნში. „მაგრამ ჩვენ მაინც ყინით ვესვრით თეთრ ცხენს ქამანდას და წუთისოფლის ყველა გზაწვრილს ერთად მოვიართ“ — სწორედ ეს ყინი არის საჭირო პოეტური მოვალეობის მაღალმოქალაქეობრივად შესრულებისათვის.


წინამდებარე კრებული გამთბარია რწმენითა და იმედით, სიცოცხლისადმი სიყვარულის გრძნობით. ბევრ საინტერესო კითხვას სვამს ავტორი. ზოგ მათგანს თვითონვე პასუხობს, ზოგსაც საპასუხოდ მკითხველს უტოვებს.

„ვის რა სურს და... ქართველს ღმერთმა საქართველო უძლიეროს“ — პათეტურად ისმის პოეტ ვახტანგ ღლონტის ეს სიტყვები. მისი ლექსები მხოლოდ მას ჰგავს: ზოგჯერ მომეტებულად სევდიანი, ზოგჯერ იმედიანი. მას დახმარება და თანადგომა ჭირდება, რადგან ცარიელი მეოცნებეობა, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ფუჭი და უმაქნისია.

უნდა ითქვას, რომ 1986 წელს ბათუმში გამოქვეყნებული პოეტური კრებულები ეპოქის სულიერ ფასეულობათა შეცნობით ხასიათდება.

მაგრამ მართოდენ თემის აქტუალობა და იდეის სიწმინდე არაა საკმარისი, საჭიროა მისი მხატვრული რეალიზაცია, რამეთუ პოეზია, უპირველეს ყოვლისა, მხატვრული სახეებით აზროვნებაა და იგი ჭიუტად მოითხოვს ფორმისა და შინაარსის ერთიანობას. ამიტომ საჭიროდ მიგვჩანია გამოვთქვათ რამდენიმე მოსაზრება განსახილველ მწერალთა პოეზიაზე. განვიხილოთ ისინი მაღალი პოეტური სტანდარტების მიხედვით და არა პროვინციული შეფასების საზომებიდან, ვიწრო, მეგობრული და მეშჩანური პოზიციებიდან.

განსახილველი კრებულების ლირიკული გმირების მორალური პასუხისმგებლობა თითქმის საჭირო დონეზეა, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ბევრ



მათგანს აკლია ფსიქოლოგიური დამაჯერებლობა და პოეტური გამომსახველობა. ბევრი მათგანი თითქოს აქტიურად ეხება მოქალაქეობრივ და ზნეობრივ მოთხოვნებს, მაგრამ ერთგვარი შინაგანი მონოტონურობა იმდენად აღუწებს ქვერტის ძალას, რომ იგი ამ პრობლემატიკის სიღრმეებს ვერ წვდება და მხოლოდ ემპირიული ხედვის არეში რჩება. ზოგჯერ იმდენად „ადვილად“ და ნაჩქარევად იწერება ლექსი, თითქოს მისი ავტორი მოსწავლე იყოს და გამოცდაზე სხვისი იმედით იოლად გადიოდეს, ან რაიმე გეგმას „მიწერით“ ასრულებდეს. ამის გამოა, რომ, ყოველთვის თუ არა, ზოგჯერ მაინც ხდება პოეტური ფორმის ნიველირება და მხატვრული სახის დევალვაცია. ხელოვნებაში ნაჩქარეობა კი ყოველად მიუღებელია. ამასთან დაკავშირებით დიდი მეცნიერი, აკადემიკოსი კოროლიოვი ამბობდა: „გააკეთებ ჩქარა და ცუდად, დაივიწყებენ, რომ გააკეთე ჩქარა, მაგრამ არასოდეს დაივიწყებენ, რომ გააკეთე ცუდად. გააკეთებ ნელა და კარგად, დაივიწყებენ, რომ გააკეთე ნელა, მაგრამ არასოდეს დაივიწყებენ, რომ გააკეთე კარგად“.

ხელოვნებას დიდი მისია აქვს არა და მის მიმართ ზერელობა ისევე დაუშვებელია, როგორც დაუშვებელია ზერელობა ბრძოლაში. აკი ხელოვნება, ავსტრალიელი მწერლის რობერტ მუზილის აზრით, არის „ბრძოლა კაცობრიობის უფრო მაღალი მორალური ორგანიზაციისათვის“.

პოეტური კანონების, მხატვრული ტრადიციების ერთგულად ათვისების მრავალი ფაქტის დასახელება შეიძლება ზემოთ ჩამოთვლილი კრებულებიდან, ეს კლასიკური, ნაცადი გზაა, მაგრამ ამავე დროს საჭიროა გამოსახვის ახალი ფორმების ძიება. დღევანდელი ლირიკული გმირის მაძიებელი მოძრავი სული ვერ უნდა თავსდებოდეს განვლილი ეტაპების ტრადიციების წყნარ დინებაში. როგორც განსხვავდება ჩვენი საუკუნის გარიჟრაჟის ამოცანები ჩვენი საუკუნის დასასრულის ამოცანებისაგან, ისე უნდა განსხვავდებოდეს თანამედროვე პოეზიის ლირიკული გმირის აქტიური, პარტიული პოზიცია ადრინდელისაგან, რამეთუ პოეზიის საგანი მშვენიერებასთან ერთად ახლის ძიება და აღმოჩენაც არის.





დავით შველურძე

გაუხინარებელი სიტყვები

გარდაქმნისა და საჭაროობის მიმდინარე პროცესი წარმოშობს შოკლენებისა და ფაქტების ობიექტური განსჯა-შეფასების, ახლებური აზროვნების, სტერეოტიპების მსხვერფის სულიერ მოთხოვნილებას. ჩვენს საზოგადოებას იმედი მიეცა, რომ დადგა როგორც უმწვავეს სოციალურ, ასევე ეროვნულ პრობლემებზე მსჯელობის დრო. იმ ფაქტმა, რომ ზოგიერთი სენსაციებს გამოადევნებული ყოველთვის სადად როდი მსჯელობს და მოქმედებს, როცა საქმე ეროვნულ ურთიერთობებს ეხება, გვა არ უნდა დაუბნოს ამ უაღრესად დიდმნიშვნელოვან საკითხზე აზრის გამოთქმას, თუნდაც ძალზე მწვავე დისკუსიას, არ უნდა დაგვაყენოს კვლავ აკრძალვის, მიწმობის, ქვეყნობიერი შიშის, „ვო, თუ რამე მოხდეს“ პოლიტიკაზე. იდეოლოგიურმა ერთფეროვნებამ, ერთი პიროვნებისა, თუ პიროვნებათა ჯგუფის გონებაში წარმოშობილი აზრის დაკანონებამ, ნაძალადეგად თავს მოხვედამ, ხალხის გულიანობის იგნორირებამ დიდი და გამოუსწორებელი ზიანი შეაყენა ჩვენს სულიერ წყობას, ჩვენი საზოგადოების მორალურ და პოლიტიკურ სიმტკიცეს, მის ხაერთაშორისო ავტორიტეტს. ამ მოკლენების დაძლევისაკენ არის მიმართული დღეს ჩვენი ხალხის ძალისხმევა. ჩვენში ახლა ბევრს მსჯელობენ ეკონომიკასა და სოციალურ სფეროზე, მიმდინარეობს წარსულის კრიტიკული გადასინჯვა, ამ მსჯელობებში ბევრი რამ შედამართლია, ტენდენციურად, აშკარად ღვარძლიანად, იგრძნობა სენსაციების გამოადევნება, შოკინისტური და დიდმეგობრული ექსცენციები. რა დასაძალია, ეროვნულ პრობლემებს გარდაქმნის საწყის ეტაპზე არაფერ შეხება, ზედშეუბნებელი რჩებოდა ათეული წლების წინათ შევუშავებული სტერეოტიპები. მხოლოდ ახლა, როცა დოგმატიზმის ტყვეობიდან გამოხსნილ საზოგადოებას დემოკრატიული ცხოვრების გარკვეული ჩვევები ჩამოუყალიბდა,

დაისვა საკითხი ეროვნულ პრობლემებზე მსჯელობისა და მათი გარდაქმნის ხულიკვეთებით განხილვის შესახებ.

საკითხი თანაბრად მნიშვნელოვანია ყველა ერისათვის, დიდი იქნება ის თუ მცირე, დღის წესრიგში დგება მრავალეროვანი სახელმწიფოს ერთაშორის ურთიერთობის პრობლემები. ეს პრობლემები დიდი ხნის განმავლობაში ცალმხრივად შექმდებოდა, იწერებოდა უაღრესად ისტორიკული პრობლემატიკის სფეროში, რომელიც პათეტურად ქადაგებდა ძმობასა და ინტერნაციონალიზმს, და შთქმნიდა მხაურს ნებისთ თუ უნებლიეთ, შევიწროებული ეროვნული ენის, კულტურის, წარსულის გაყიდვების შესახებ ხმის აძლედა ნაციონალისტურ გამოხდომად, შოკინიზმად ცხადდებოდა.

სამწუხაროდ, ძველი დამოკიდებულებები ინერტად დღემდე გრძელდება, ზოგიერთი დღესაც „ნაციონალისტურ გამოხდომად“ ნათლავს საკუთარი ეროვნული ინტერესების დასაცავად გამოხდვას, იმას კი ივიწყებს, რომ ამ „ნაციონალისტურმა გამოხდომებმა“ რეპრესიების ხისხლიანი გზა, დემოკრატიისა და დოგმატიზმის, სუბიექტივიზმისა და ვოლიუნტარიზმის პოლიტიკური დაბირითები გამოვლო, დღემდე მოაღწია და რახან კვლავ უტყუნ დედამისის ცდილობს, მაშასადამე, მას მიჩქმალვა, მიწმობათება, კაცხვა და კომპრომეტირება კი არ სჭირდება, არამედ გულშოდგინე შესწავლა და სახელმწიფოებრივო, დემოკრატიული გადაწყვეტა.

ჩვენში სხვადასხვა დროს სხვადასხვაანობრივად დღეს თხზავდნენ ეროვნულ ურთიერთობათა შესახებ, ეს დღევანდელი მკვიდრდებოდა სხვადასხვა სახელმძღვანელოებში, ისედაც ტრიუნიტიდან. მაგალითად, მხოლოდ წლებში მოქმედა საზოგადოებათმცოდნეობის სახელმძღვანელოში სიტყვა-სიტყვით ეწერა, რომ: „როდესაც კომუნისში მსოფლიო მასშტაბით გაიმარჯვებს,

ეროვნული განხვავებანი სახალხოვად წაიშლება, დამკვიდრდება ერთი საერთო ენა, ერთი სერთო კულტურა, რომელიც თავს მოიყრის ეროვნული კულტურების მთელი ხიმილიდრე.

ხედავთ, რა პერსპექტივაა! და ამას გვასწავლიდნენ ჩვენ, ასწავლიდნენ მომდევნო თაობებს, ვთქვათ და დაიკურა, ირწუნა ახალგაზრდას, რომ მისი ერი და ხალხი უნდა გაქრეს, ვიღაცას შეერწყვის, მისი ენა და დავარდეს, ტრადიციები დაიკარგოს, მისი შთაბამავალი ერთგვანანი და ერთგვაროვანი კომუნის წევრი უნდა გახდეს — გამოვა კი ამ რწმენით აღზარდილი ადამიანი ღირსეული და მიაღწევს ბრძოლი მოქალაქე, პატრიოტი, ან თუ გნებავთ, იგივე კომუნისტური იდეალების ერთგული?

ამაზე მეტი სულიერი დამახინჯება აღარ იქნება.

ამაზე უფრო დანაშაულებრივი ქადაგება წარმოუდგენელია. უგულვებელყოფილია საზოგადოებისა და ბუნების განვითარების დიალექტიკური კანონზომიერებანი, პოეტის თქმისა არ იყოს, „გაუქმდითლია მომწამლავი გაზით ქაღალდი“.

70-იანი წლების დასაწყისში, ახლა რომ უძრავიან პერიოდს ვეძახით, წარმოიშვა ახალი კონცეფცია „ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობის — საბჭოთა ხალხის“ შესახებ, რაც ახევე ეროვნებათა აღრევისა და შერწყმის დიდმპურობელურ იდეას უმადრება და საფუძველს.

იგივე კონცეფციები სხვადასხვა მოდიფიკაციით: მიორდებოდა და კვლავაც მიორდება საზოგადოებრივი შეცნაირებათა სახელმძღვანელოებში. დღეს მოქმედი საზოგადოებათმცოდნეობის ხსკლად სახელმძღვანელო უცერემონიოდ გვარწმუნებს: „საქმე ეხება ადამიანთა ისტორიულ ერთობას, ძნელი არაა დავასკვნათ, რომ ეს ერთობა გარდამავალი ფორმაა ერთა სრული ხოციალური ერთგვაროვნებისა და შერწყმის გზაზე, რომელიც მიღწეული იქნება კომუნისტურ საზოგადოებაში“.

თურქ რა ძნელი ყოფილა აკვირებულნი მოდელების უკუადება, გამოთხოვება „შერწყმისა“ და „ერთგვაროვნების“ ანტიეროვნულ იდეებთან, რაც უნათოდ არის ამოყარებული დეგენდას კომუნიზმის შესახებ.

ხსრ კავშირის მწერალთა კავშირის ძღენუმზე, რომელმაც განიხილა ერთაშორის ურთიერთობები, მრავალი საყურადღებო მოსაზრება გამოითქვა. გამოიკვეთა პრობლემები, რომელიც თანაბრად აღდევებს ყველა ერისა და ეროვნების წარმომადგენელს. მწერალთა ძღენუმმა კიდევ ერთხელ დაგვანახა რომ დაგროვილია ბევრი გადაუჭრელი პრობლემა, რომელიც დაუყოვნებლივ განიხილავს ითხოვს, მოწმეფდა ცხოვრებით ნაკარნახევი მრავალი საყურადღებო აზრი, რომ ერთაშორის ურთიერთობა განვითარება

ერებადა და მისი დოკტრინის ხარკოცხში მოქცევის მხოლოდ ვნების მოტანა შეუძლია, რომ ქვეყნის დემოკრატიზაციის პროცესი, გარდაქმნა და საჯაროობა წარმოუდგენელია ერთს შესრული ურთიერთობის განხილვისა და ამ მნიშვნელოვან ბით პროტიურთი გადაწყვეტილებების გარეშე.

ახლა, როცა ეროვნულ ურთიერთობებში მრავალმა მოულოდნელმა იჩინა თავი, დროა დავფიქრედეთ, არის კი ეს მოვლენები ნამდვილად მოულოდნელი, ანდა სტიქიურად გამოწვეული „ერთი მუტა“ ადამიანების ექსტრემისტული მიწერაფებებით? ყოველივე ეს ზომ არ უკავშირდება იმ მანკერ პრპქტიკას, როცა ბარადულოებით, ზარ-ზეიმით ვცდილობდით ხალხთა ეროვნული ტყვილელების მიჩქამლვას, დროებით პირუცქრულ წყლულებს სამუდამოდ განუერთებლად ვთვლიდით. „უხალხობისა“ და „უკონფლიქტობის“ უაღმმა კონცეფციამ იმდენი ქნა, რომ როგორც ხანს, ბევრმა დაიკურა კიდევ; არავითარი ეროვნული პრობლემები აღარ გვაქვს, ეს ნაკითხი ერთხელ და საუდუამოდ გადაწყვეტილია. შეიქმნა „ახალი ისტორიული ერთობა — საბჭოთა ხალხი“.

საბჭოთა იყო ქვეყნის ხოციალ-ეკონომიკური გარდაქმნის პროგრამას ეროვნული საკითხიც ერთ მთავარ სტრატეგიულ ხაზად დაკვშირებოდა, თამამად, გულახდილად და პრინციპულად გველაპარაკა გადაუჭრელ ეროვნულ პრობლემებზე, როგორც გლაპარაკობთ სოციალ-ეკონომიკური გარდაქმნის აუცილებლობაზე.

ეროვნულ ურთიერთობათა მეოოდოლოგიური საფუძველი ჭერ კიდევ ღენიანს დროს, რევოლუციის წლებში ჩამოყალიბდა, და იგი იმ დროსთვის უაღრესად რევოლუციური, პროგრესული და დემოკრატიული იყო მსოფლიო იმპერიალიზმის კოლონიურთა პოლიტიკის ფონზე.

მაშინ მსოფლიო სულ რამდენიმე სახელმწიფოს მქონდა გადამწარღებული, ის-ის იყო დამთავრდა პირველი მსოფლიო-იმპერიალისტური ომი, რომელიც ახალი კოლონიების, უფრო სწორედ კოლონიების ხელახალი გადამწარღებისათვის წარმოიქმნის ევროპის სახელმწიფოებმა.

ლაპარაკ ერთა თანამწორუფლებიანობაზე მაშინ ძალზე რევოლუციური იყო და ამ დოწუნგმა დიდად გააწვავა საბჭოთა სახელმწიფოს ხაერთაშორისო ურთიერთობა. გავიდა წლები და ბევრი რამ შეიცვალა მსოფლიოს ხალხთა ეროვნულ ურთიერთობებში. წარმოიშვა ახალი ტენდენციები, ახალი დამოკიდებულებები, ამ ფონზე „ერთა შერწყმის“, „ერთგვაროვნების“ და „ხალხთა ახალი ისტორიული ერთობის“ კონცეფციები ვერც თუ ისე პროგრესულად გამოიყურება. ერთა შორის ურთიერთობებშიც, იხევე როგორც მრავალ სხვა საკითხში, ძალზე ჩამოვრჩით, განვლდილი სამოცდაათი წლის მანძილზე ახალმა ტენდენციებმა და დამოკიდებულებ-

ბუნება. აიჩნა თავი ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობათა ისტორიაში, დადგა კოლმნილი-ლიწმის ეპოქის დახსრუდი და ეს არ ყოფილა მარტოაღენ კოლმნიური ბაღბების ბრძოლით მოპოვებული თავისუფლება, არამედ ეროვნული ხაკოებისადმი მიტროპოლიათა გონიერი მიდგომის შედეგიც იყო. ამ პროცესის შედეგად შხოფლიოს ბაღბთა მამოტრავებლად იქცა თვით-გამორკვევის და სუფერენულობის სულისკვეთება, რომელიც დღეს ვადაზარად საკუთარი ფეხების, საკუთარი წარსულის, კულტურისა და ტრადიციების შეშეცნების მტკავნულ ძიებაში.

ბუნებრივია, ეპოქის სულისკვეთება მეტნაკლებ გავლენას ახდენს ყოველი ხალხის შეგნებაზე, რა სოციალური წყობის პირობებშიც უნდა ცხოვრობდეს იგი, მით უფრო, რომ სოციალიზმი თავისი პროგრესული თეორიული საფუძვლებით გამორიცხავს ყოველგვარ შეზღუდვასა და ძალდატანებას ეროვნულ საკითხში.

სამწუხაროდ, სოციალიზმის არაერთი დემოკრატიული პრინციპი დროთა განმავლობაში დოგმატიზმისა და ერთბაშად გადაწყვეტილებათა მსხვერპლად იქცა. სხრე მწერალთა კვების პლენუმზე ამის შესახებ კარგად თქვა მწერალთა სერგეი ბარუდინმა: „ეროვნული პოლიტიკის გამწრდება დაიწყო ჭირ კიდევ 30-იან წლებში, ერთი მხრივ ნაციონალური კულტურებისა და ლიტერატურების სუფთა ფორმალური ჩვენებით, მეორე მხრივ, ფორსირებული შეტევით ერთა, ეროვნებათა და ენათა შერწყმისათვის“.

ეროვნულ ურთიერთობათა ახლებურად, დღევანდელი ეპოქის სულისკვეთებით გადაჭრა და განვითარება გარდაქმნის პროცესის არა მარტო განუყოფელი, არამედ მისი წარმატების უმთავრესი პირობაცაა.

დასაძლევია იმ „მთარველი ხელის“ გავლენა, რომელიც უჩინრად ამდგრებს წყალს მრავალწლის განმავლობაში, რომელიც დღეს ასე ხაგრძნობ წინააღმდეგობას უწევს გარდაქმნის პროგრესულ იდეებს, ცდილობს კლავ რტინისა და დოგმატიზმის ტყვეობაში მოაქციოს თავსუფალი აზრი.

ეს გარკვეული საზოგადოებრივი ძალაა და მისი ანგარიშგაუწვევლობა არ იქნება, ამ ძალების წიაღიდან ზოგჯერ პარადოქსული აზრი აღმოცენდება ზოლმე, რომელიც ერთი ხედვის მოსმით წყალში ყრბს კემშარიტი გულშემატკვრობით ნასათუფე დაშოკდებასებებს. შავალითაღ, არცთუ იხე დიდი ხნის წინათ, ფრიად ტიტულოვანი მიტნიერ-სოციალოგები ფრიად სოლიდური ორგანოდან სერიოზულად ქადაგებდნენ ამიერკავკასიის მოსახლეობის ნაწილი ციმბირისა და რუსეთის ჩრდილოეთ რაიონებში გადავანაწილოთ, რადგან მუშახელი იქ არის საჭიროო. იგივე ძალები სხვადასხვა უბნლიკაციებში სხვადასხვა ვარიანტით ავრცელებენ ზმებს

კანთავადაა ურწუნველ ცხოვრებასა და მობრტულურ განწყობილებებზე.

ეს ძალები ვარდაქმნის, საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაციის მისწრაფებლად განწყობილი ძალებია და რაც უფრო ღრმადდება დემოკრატიზაციის პროცესი, მით უფრო ხაგრძნობია ამ ძალების გააქტიურებაც. მათი იარაღი სხვა მრავალნაკად ბიუროკრატიულ და დოგმატურ-დემოკრატიურ მეთოდთან ერთად, შოკინიზმისა და დიდმპყრობელობის იდეათა რუსული თუ აშკარა ქადაგებაცაა.

ამ ძალების მიტლეობით აუღერდა ბრეტენვის სიციხლის ბოლოდროინდელ სიტყვებში მრავალმნიშვნელოვანი, დიდმპყრობელობის სულისკვეთებით გაქვნილი, რევოლუციამდელი ეპოქიდან რესტავირებული «Наша держава». ეს ცნება, რომელიც ხშირად იხმარა მაღალი ტრიბუნებიდან, მოკლებული არ იყო სახელმწიფოს რევოლუციამდელი გავების შინაარსს.

ეს მეთოდი ამდგრებს წყალს კემშარიტი ეროვნულ-დემოკრატიულ ურთიერთობებში, ექვსა და უნდობლობას თენავს ხალხთა შორის. ეს იდეური დივერსია ხშირად ინტერნაციონალიზმის ყბადაღებელი ქადაგებით იხილება, რაც თავისთავად ბღაღავს ამ კემშარიტად მუშაუნური და კეთილშობილური მოძღვრების არსს. ამის დასტურად მინდა იხებე. ბარუდინის სიტყვებში მოვამხრო: „გამოვაცხადებოთ არა ინტერნაციონალიზმი და ხალხთა მეგობრობა ჩვენი საზოგადოების საფუძვლეთა საფუძვლად, თანდათან დაგვიწყეთ, რომ არ არსებობს ინტერნაციონალიზმის გაგება ნაციონალურის გაჩემე, რომ ხალხთა მეგობრობა ნიშნავს არა ყველას მეგობრობას ერთი ხალხისადმი, არამედ თანაბარ პატივისცემას ყველასადმი, როგორიც არ უნდა იყოს იგი — დიდი თუ მცირე“.

ყოველ ერს იქვს თავისი კემშარიტი წარსული, თავისი დიდი და მცირე ტკივილები, თავისი ტრადიცია და წეს-ჩვეულება, მათი გამწრდება და ჩრდილის მიყენება, ფაქტების ხედოვნური მიჩქმალვა, ან მათი ტენდენციური განხილვა ერთ ვნუდი თავმოყვარეობის შეუღებას უტოლდება.

დღეს ჩვენი საზოგადოებაში განწდა მითხოვნილება დაიწროს ჩვენი ხალხის ნაშდელი, მობრტულთა ახტორა, საქართველოს უახლოეს ისტორიაში არის მოვლენები და ფაქტები, რომელიც პრომაგანდისტული ფრაწოლოგიის საფარველშია გახვეული და უფრო მიუკერძოებელ მიდგომას მოითხოვს.

ისტორიის გაყალბება ხშირად ექვსია და უნდობლობის, არაჯანსაღი მითქმა-მოთქმის საფუძველი, ტრუმატიროტიზმით ხაქეულიაციის ხაბაბი ხდება, რაც ხელს რთად უწყობს ერთა-შორის ურთიერთობების კეთილდამყოფერ განვითარებას. შავალითაღ, მე-11 ანმამის შემოხვლა საქართველოში 1921 წლის თებერვალში მოცხადებულია ღამის მესიანურ მოვლენად,

წითელი არმიის ინტერნაციონალური ვალის აღ-
სრულებად და სხვა (ეს ამბავი რომ თერთი ძა-
ფითაა ნაერო, ცხადად გამოჩნდა შეიმდგომ წლე-
ბშიც, როცა ხაბუთა ქარბმა სხვადასხვა ქვე-
ყანაში არაერთხელ აღასრულეს თავისი „ინ-
ტერნაციონალური ვალი“). ეს არმია თურმე
მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ აჯანყე-
ბულმა მუშებმა და გლეხებმა მოიწვიეს და
ხაბუთა რუსეთის მთავრობაც იძულებული გახ-
და ქარი მიეშველებინა ქართველი ხალხისათვის
საკუთარი მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლაში. თუ
ასეთი თხოვნა მართლა არსებობს, მაშინ უნდა
გაირკვეს, ვინ იყვნენ მისი ინიციატორები.
უდავოა, ყოფილ სოციალ-დემოკრატთა ის ნა-
წილი, რომელთაც თვით ილია ქავუაძემ გამოა-
საღმეს სიცოცხლეს, როცა მან საქართველოს ავ-
ტონომიისათვის დაიწყო ბრძოლა. მათ საქართვე-
ლოს დამოუკიდებლობის გაგონებაც არ ხურ-
დათ, მაგრამ განა მათი პოზიცია შეიძლება მთე-
ლი ქართველი ხალხის გულსხმადა მივიჩნიოთ?
და საერთოდ, შინაური კონფლიქტების მოსა-
გვარებლად, ქვეყანაში უცხო ქარის მოწვევა,
როდის იყო, სახანგლო საქმედ ითვლებოდა.

წარხულის პოლიტიკური ვითარების დასახე-
ხათებლად მინდა მკითხველს ერთი დოკუმენ-
ტი მოვუგონო:

„ბრომბტი რკა (ბ) ცენტრალური ომნიბტის
კლენშმის დადგინდობისა საბარსვილოს
შესახებ

ნომ-3 ბუნბტისათვის

I. დედალოს საგარეო საქმეთა სახალხო კო-
მისარიატს, გააქანუროს ურთიერთობის გაწ-
ვევბა საქართველოსთან, ამასთან, ხისტმბათი-
რად შეტრბვის ზუსტი მასალა მის მიერ ხელ-
შეკრულებრი დარღვევის შესახებ და უფრო და-
უწინებთ მოითხოვოს სომხეთში ხურხათ-სანოვა-
გის გატარება (სომხეთში მე-11 არმია 1820
წლის ნოემბერში შევიდა. ავტ.)

2. შევეკითხოთ კავკასიის ფრონტს, რამდენად
შოშვადებული არიან ჩვენი არხებული ხამხედ-
რო ძალები საქართველოსთან დაუყოვნებელ
ან მოახლოებულ ომისათვის. ამ საკითხის ჩა-
მოყადებებზე, ამასთან მის აღნიშვნა, რომ სა-
ქართველო საშინლად გათავებდა, დედალოს
კომისიას, რუმლის შემადგენლობაში იქნებიან
ამხ. ტროცკი, ამხ. ჩიჩერინი, ამხ. სტალინი.

3. მიცვეთ დირექტივა რესპუბლიკის სამხედრო-
რევოლუციურ საბჭოს და კავკასიის ფრონტს,
თუ საჭირო იქნება, მოემზადონ საქართველოს-
თან ომისათვის. დედალოს ხარკინიჯლო გადა-
წოდვის უმაღლეს საბჭოს, უახლოეს ვადაში მოა-
ხსენოს შრომისა და თავდაცვის საბჭოს, რა შე-
მაძლებლობები გააჩნდა იმისათვის, რომ გაადი-
ლოს ქარების გადაყვანა კავკასიაში და კავკა-
სიის ფარგლებში.

1921 წ. 28 I.

ეს დოკუმენტი ბრველად დაიბედა წი-
დენის თხულებბთა V გამოცემის ნაკრებში
(1928 წ.) და უველა დანიტერებულ მარს
შეუძლია წაიკითხოს.

დეგენდების შეთხზვას, მიტი დაწერებლი
ხისათვის, აღბათ აქობებდა, მაშინდელი პოლი-
ტიკური ვითარების ობიექტური დახატვა, თქმა
იმისა, რომ ხაბუთა რუსეთი ვერახოდეს შეუ-
რიგებოდა ამიერკავკასიისა და კერძოდ საქარ-
თველოს დაქარგვას, ვერ დაუშვებდა მას და-
მოუკიდებელ მარებობას, თუნდაც იმიტომ, რომ
ერდანიას არავრობის უნაითო და უსუსური
მმართველობის შედეგად ქვეყანაში სრული
ქაოსი გამოვლიდა, საქართველო ათასი წურის
კონტრრევოლუციონერის, ხაბუთა რუსეთის
შინაური თუ გარეშე მტრის თავშესაფრად იქცა.

სწორედ ამ ვითარების გამოხმატვლია დენი-
ნის მიერ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი-
სათვის დაწერილი პროექტი.

ამ ამბების გამო საქართველოს მეცნიერება-
თა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი აკაკ
სურგულაძე წერს: „ხმართლის მხრივ გარ-
კველად სცოდაგ 1821 წ. თებერვლის მოვლე-
ნების აღრული გაშუქებაც, ვითარება ისუა და
ხატული, თათქოს ხაბუთა ხეღისუფლება სა-
ქართველოში დამყარდა ხახალხო აჯანყების გა-
მარჩების ზჭო და წითელი არმიის ნაწილებმა
მხოლოდ დახმარების რკოდ შეასრულეს. ხანა-
დვილში არავთარი აჯანყება არ მომხდარა და
ქვეყნის შინათა ძალებით მისი წამოწევა იმ
მომენტში შეუძლებელიც იყო. მენშევიკური
მთავრობა დამხოილ იქნა წითელი არმიის მიერ,
რომლის მოწვევა განხორციელდა ი. სტალინის,
ს. ორჯონიკიძის ინიციატივით“ („სომუნისტი“,
24 აპრილი, 1938 წ.).

„ხალხთა ახალი ისტორიული ერთობის“, ერ-
თა „შერწყმისა“ და „ერთგვაროვნების“ ფხვე-
დოკუმენტური დექსკაში თანდათან გაუჩი-
ნარდა დიდმნიშვნელოვანი და ღრმაშინარსიანი
პოლიტიკური ცნებები, რაც ეროვნულ ურთი-
ერთობებთან დაკავშირებით გაისმოდა 20-20-
იან წლებში.

რევოლუციის ბრველი დღებდანვე საქარ-
თველოში მწვევად დაისვა ეროვნული საკითხი.
მაშინდელი პარტიულ და სასოციალო მოღვაწეთა
დექსკაში ზწირად იხმარებოდა „ერთა თვით-
გამორკვევა“, „გამყოფა“, „დამოუკიდებელი
სახელმწიფოს შექმნა“, „ავტონომია“, და სხვა.
მაშინ ქერ კიდევ შეიმდებოდა ამ საკითხებზე
კაქრობა, იყო პოზიციათა ბრძოლა, შელდა-შე-
მოხლა. ინტელეგენციანე რომ აღარადერი ვთ-
ქვთ, გავიხსენოთ თუნდაც პარტიულ-პოლიტი-
კურ მოღვაწეთა დიდი ჩვეულის გამოსხლა ი.
სტალინის „ავტონომიაციის“ თეზისებისა და
საქართველოს ამიერკავკასიის უფდერბაციის შე-
სვლის წინააღმდეგ 1821 წელს.

ინაციონალ-უკლიონისტებად წოდებული ეს

ჩვეულებრივ უპატივსაცემად უმადლოდნენ ხელისუფლების ძირითად ბირთვს წარმოადგენდა. იგი მრავალი წლის განმავლობაში იბრძოდა გარედან თავსმომხვეული ეროვნული პოლიტიკის წინააღმდეგ და მათმა უმეტესობამ არა მარტო აშკვეყნიური კეთილდღეობა, არამედ სიცოცხლეც გაწირა ამ ბრძოლაში.

ნაციონალ-უკლონისტებს შიტი მოღვაწეობას ხხვადახხვა პერიოდში აღზობა ჰქონდათ გარკვეული პოლიტიკური შეცდომები, მაგრამ რამდენად გამართლებულია მათი კრიტიკა ძალმომრეობითი ეროვნული პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. ამ პოლიტიკის მოთავე და პრაქტიკული განმხორციელებელი იყო ე. სტალინი და საერთოდ, საგულანისშობა ქართველ ოპოზიციონერთა ბრძოლა სტალინის წინააღმდეგ. ისინი პირუთვნელად ამხელდნენ სტალინისა და მისი გარემოცვის გადახრას ლენინური გზიდან, მოსწრებულად ეძახდნენ მათ „თერშიდორებებს“, „ჩენი პარტიის ხელმძღვანელი სტალინური ფრაქცია, — წერდნენ 1927 წელს — უფრო და უფრო შორდება ლენინიზმს თავის პოლიტიკაში, უფრო და უფრო დაივიწყებს ცვლის ლენინური იდეების რევოლუციურ აზრს სტალინ-შინის წინააღმდეგობაში, ცენტრისტული შინაარსით“. ამ უაღრესად გაბედული და პირუთვნელი შეფასების საფუძველი ეროვნულ საკითხზე მათი შეხედულება იყო, რამაც აიძულა სამკვდრო-სახიცოცხლოდ დაპირისპირებოდნენ თავის თანამემამულეს, ძველ თანამებრძოლსა და პირად მეგობარს.

როგორც ცნობილია, ე. სტალინის „ავტონომიაციის“ თეზისები გაკრიტიკა ლენინმა თავის „წერილებში ყრადღობისაღმის“, რომელიც შემდგომში ლენინის ანდერძის სახელით გახდა ცნობილი.

ცნობილია აგრეთვე ლენინის ამ გამოხვლამ სტალინური შეფასებაც. მან 1922 წლის 27 სექტემბერს წერილში პოლიტიბიუროს წევრებისადმი, ლენინის იდეას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის შესახებ — „ნაციონალური ლიბერალიზმი“ უწოდა, თუმცა იძულებული გახდა დამორჩილებოდა ლენინის ავტორიტეტულ აზრს და ავტონომიაციის იდეა შეეცვალა ერების თანასწორი, სუვერენული გაერთიანების, სსრკ-ს შექმნის იდეით.

უკველივე ამას წინ უძღოდა დრამატული მოვლენები საქართველოში. საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობა წინ აღუდგა ამიერკავკასიის ფედერაციაში საქართველოს შეხვლას, რაც სტალინის, ორჯონიკიძისა და სხვა პარტიულ მოღვაწეთა სახტი წინააღმდეგობას წააწყდა. საქვე იქამდე მივიდა, რომ ორჯონიკიძე ფიზიკურად შეეხო ერთ-ერთ მოწინააღმდეგეს და ეს ფაქტი ისტორიაში ცნობილია „საქართველოს საკითხის“ სახელით. კონფლიქტში იმდენად გახშირებული სახე მიიღო, რომ ლენინ-

ის მოთხოვნით პოლიტიბიურომ 1922 წლის 25 ნოემბერს საქართველოში სენციალური კომისია გამოავლანა უ. ძერუნიკის მეთაურობითი ლენინი მოუთმენლად ელოდა ძველი წესების დარღუბებას. იგი 12 დეკემბერს დაბრუნდა ქვეყანაში ვრძლივი საუბარი ჰქონდა ლენინთან. საუბრიდან, როგორც იტყვია, ლენინმა დაასკვნა, რომ კომისიამ ტენდენციურად, ცალმხრივად შეისწავლა საკითხი, რომ ზუღუ მდინისა და მისი ჯგუფის გამსხვლას „წრთომან ფრაქციონერობაზე“ უფრო სერიოზული საფუძველი ჰქონდა. ამ აზრით 1928 წლის 6 მარტს ლენინმა უკარნახა თავისი უკანასკნელი წერილი „ნაციონალ-უკლონისტებისადმი. აი, ეს წერილია:

„პატრივკამულო ამხანაგებო!

მთელი გულმხუროთ ვადევნებ თვალს თქვენს საქმეს, აღშფოთებული ვარ ორჯონიკიძის უხეშობით, სტალინისა და ძერუნიკის წამქვეშელობით. ვაშაღებ თქვენთვის წერილს და სიტყვას. პატივისცემით ლენინი“.

სამწუხაროდ, ვერც სიტყვის და ვერც წერილის მოშალდება ლენინმა ვეღარ შეხალო, კართელ მოღვაწეთა ირვლევი კი მოვლენები მკაცრად და ტენდენციურად განვითარდა.

ნაციონალ-უკლონისტებს დღემდე გამოჰყვით დემოკრატიული ბრალდება „ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობის წინააღმდეგ“ ბრძოლის შესახებ. ხინამდელიღუ მათ ამიერკავკასიის ფედერაციაში საქართველოს შეხვლა ქართველი ხალხის ინტერესების საზიაროდ მიანდათ, რაც გარკვეულწინად არ იყო სიმართლეს მოკლებული.

აიღოთ თუნდაც იმ წლების დემოგრაფიული სიტუაცია. ამიერკავკასიის ეკონომიკური და პოლიტიკური გაერთიანების შემდეგ საქართველოში ინტენსიურად დაიწყო უცხო ერის ხალხთა ჩამოსახლება და 30-იანი წლების ბოლოსათვის საქართველოში ქართველები პირველად თავის ისტორიაში ორ მესამედზე ნაკლები აღმოჩნდნენ. 1928 წლიდან 1988 წლამდე საქართველოს ქალაქებში არქართული მოსახლეობის რიცხვი 807,4 ათასიდან 51,4 ათასამდე გაიზარდა, 1988 წლის აღწერით საქართველოში სულ სამახეგარი მილიონი კაცი ცხოვრობდა. აქედან მილიონ 254 ათასი უცხო ეროვნებისა იყო. ცხადია, მან, ვისაც ამ მოვლენებში ხელი ერია, შემდგომში უხველონტერნაციონალურ კამპანიას მიჰყო ხელი, ბრუნვაში შემოვიდა ტერმინი: „საქართველო — მრავალეროვანი რესპუბლიკა“, სადაც თურმე ასევე მეტი ერისა და ეროვნების წარმომადგენელი ცხოვრობს და ერთა ეს კონგლომერატი სოციალიზმის უდიდეს მიღწევად გამოცხადდა.

აღსანიშნავია, რომ ნაციონალ-უკლონისტებს, რომელნიც შემდეგ ტროცისტებთან ბლოკში აღმოჩნდნენ, მხარს უჭერდნენ ბუხარინი, რიკოვი, რადევი და სხვები, ისინი ახლა რეაბილიტი-

საქართველოს
საგარეო
მინისტროს
სამდივო
სამსახური

რებული არიან. (ამ ცოტა წინაო მარქსიზმ-
ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილი
ალში გაიმართა დისკუსია საქართველოში ლე-
ნინური ეროვნული პოლიტიკისა და ნაციო-
ნალ-უკლონისტების საკითხზე, რაც ალბათ პო-
ლიტიკურ მოღვაწეთა ამ ჯგუფისადმი დამოკი-
დებულებების გადასინჯვის დასაწყისია).

ეროვნულ საკითხზე კამათსა და პაექრობას
წერტილი დაუსვა 1987 წლის სისხლიანმა რეპ-
რეზიებმა. მან იმსხვერპლა რუსოციონერთა უმე-
ტის ნაწილი, შეწყდა კამათი, აზრთა სხვადასხ-
ვაობა, განსხვავებული აზრი მტრობად, ჯაშუ-
შობად, ფრაქციონერობად, „ტროცისტობად“
ანათლებდა. ქვეყანაში გაიფიქრა დოგმატიზმი
და იდეოლოგიური ერთფეროვნება, ნაციონა-
ლიზმი და შოვინიზმი დაერქვა ეროვნულ ტო-
ვილებზე საუბარს, ბუნებრივია, გაქრა ის პოლი-
ტიკური ტერმინოლოგიაც, რაც ამ ბზირად
განსვდა რევოლუციის შემდგომ წლებში.

ცნებმა „ერთა თვითგამორკვევა“, „თვით-
გამოყვება“, „დამოუკიდებლობა“ ძალზე მოტ-
ძალებული ადგილი დაიკავა კონსტიტუციის ერთ
მუხლში.

შემდგომში მსგავსი სულისკვეთებით გამსჭვ-
ალული პოლიტიკური დოკუმენტები შეცვალა ქა-
დეგებმა „სერწყვისა“ და „ერთა გაქრობის“ შე-
სახებ, ეროვნული საკითხი ხელშეუხებელ ნა-
ქადავად, ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვიტო-
საქობად იქნა მიჩნეული. არადა, დუმილის ამ
ხანგრძლივ პერიოდში რაოდენ მწვავე და რთუ-
ლი პრობლემები დაგროვდა როგორც თვით
რუს ხალხში, ასევე საბჭოთა კავშირის სხვა ერე-
ბშიც, რომელთა შორის, უნდა ითქვას, ტრეშარი-

ტად არსებობს ძმური სიყვარული და მეგობ-
რობა, ერთმანეთის ენას, კულტურის, ტრადი-
ციებისა და წარსულის პატივისცემა. ერთა შო-
რის ძმობისა და სიყვარულის, ტრეშარიტი ინ-
ტერნაციონალიზმის ამდღევანდელი გამოვლი-
ნებები არა მარტო წარსულში, არამედ ჩვენს
დღეებშიც ხდება. ხაქმარისა და ვასახელთს ახ-
ლო წარსულის ორიოდ მსგავსი: სპორტმენ-
მა და მწერალმა იური ბურლაკოვმა მშვენიერი
წიგნი უძღვნა მიხეილ ბერგანის ცხოვრებას და
სპორტულ მოღვაწეობას, ეს წიგნი ათიოდე წლის
წინათ გამოიცა. შემდგომში იური ბურლაკოვი
მეხტიაში დაჰკვიდრდა და სათავეში ჩაუდგა
მიხეილ ბერგანის მუზეუმს, სვანური ქუდი
თავდამშვენიერული ეს კაპო აღფრთოვანებით
უყვება სვანეთის სტუმრებს სახელმწიფო ქარ-
თველი სპორტმენის ცხოვრებასა და სპორტულ
მოღვაწეობაზე.

შინაგანი სამახურის გენერალმა ვლადიმერ
ლარინოვმა დიდი ღვაწლი დახდო სვანეთიდან
გატაცებული წმინდა თევდორეს ხატის მოძიებას

და სამშობლოში დაბრუნებას. მან ძიგნის რიგულ
და მრავალმხრივ პროცესს უძღვნა საინტერესო
წიგნი, რომელიც ახლახან გამოცა გამოცემ-
ლობა „მერწყვისა“. ავტორმა წიგნის მთლიანი
ნორარი — 8000 მანეთი გადაირცხა სტუდენტი
დაწარადებული სვანეთის დახმარების ფონდში.
აი, ტრეშარიტი ინტერნაციონალიზმის გამო-
ვლინება.

დღევანდელ ეტაპზე საბჭოთა ხალხებს შორის
ინტერნაციონალიზმი ღრმავდება და ფართო-
დება როგორც მსოფლიოში მიმდინარე ერთობა
და სახელმწიფოთა დაახლოების საყოველთაო
პროცესის ნაწილი. ყოველგვარი ხელოვნური ჩა-
რევა, აღმინისტრაციული შემოქმედება, ეროვ-
ნული პროცესების ცენტრალიზებული მართვის
ცდა სრულიად მართებულად აღიქმება, როგორც
ერის სუვერენული უფლებების ხელუყოფა.
მოძღვრება ერთა შერწყმა-შერევის შეხანგრ-
აღიზიანებს სხვადასხვა ერის ხალხთა ეროვნულ
თავმოყვარეობას.

ეროვნული პრობლემების განხილვის, მათზე
გულახდელი მსჯელობის აუცილებლობა მწვა-
ვედ იჩინა თავი ხოლოდროინდელ მოვლენებში
ყაზახეთსა და ბალტიისპირეთში, სომხეთსა და
აზერბაიჯანში, ყირიზსა და იაქუთიაში. ამ პრობ-
ლემებს კიდევ უფრო ამწვავებს იდეოლოგიუ-
რი არსენალის სიღარიბე, პარტიულ-პოლიტიკუ-
რი ორიენტაციის გამოდგინებული ცვლა, სოცია-
ლური პერსპექტივის გაურკვევლობა, ხალხთა
სულიერა ცხოვრების სხვადასხვა სფეროს მე-
ტისმეტი კონტროლი და ცენტრალიზაცია, არა-
დისფერენცირებული ეკონომიკური და სამეურ-
ნელო პოლიტიკა.

ჩვენ, დიქტატისა და ერთმმართველობის ეპო-
ქაში აღზრდილი თაობა, რასაკვირველია, სანა-
ხევროდაც ვერ ვიყენებთ საბჭოთა კონსტიტუ-
ციით მონიჭებულ არა მარტო ეროვნულ, არა-
მედ სოციალურ უფლებებსაც. მიუხედავად ამი-
ხა, ეროვნული თავმოყვარეობა რთული უფრო-
შინა და მისი ჩახშობა შეუძლებელია.

თაობათა შეხიარებაში, რომელიც სწავლობს
თავისი სამშობლოს ისტორიას, სასიამოვნოდ
ჟღერის რევოლუციის დეკრეტები ხალხთა ეროვ-
ნულ თავისუფლებას, თვითგამორკვევასა და
თვითგამოყვებას რომ ქადაგებდნენ.

ეს წმინდა სიტყვები შემდგომში გაუჩინარდ-
ნენ პოლიტიკური არენიდან და მათი ადგილი
საეჭვო ღირებულების კონცეფციებმა დაიკავა
„ხალხთა ახალი ისტორიული ერთობის“, ერ-
თა „სერწყვისა“ და „ერთგვაროვნების“ შე-
სახებ. ზეალინდელი დემოკრატიული საზოგა-
დოების თაობა უძველესი ახალ შინაარსსა და
მნიშვნელობას მიანიჭებს ამ სიტყვებს, ახალ
სულიხვევებებს შთანერავს მათ.



„შავი შავი ჩიოდა“ ...

რას „ჩიოდა“, დანამდილებით ვერ მოგახსენებთ, მაგრამ რაკი „უნაღვლო და უზრუნველი კაცი არ არს პირსა ყოვლისა ქვეყნისასა“ (სულხან-საბა), ეტყობა, ამ შვალთბელ ფრინველსაც თავისი საღარდელ-სათქმელი აქვს, ეტყობა, უფრო ზშირად კაცივით „გულისა დარდასა იქარვის“ და ჩვენ კი მზიარული სტვენა გვგონია.

ასეა თუ ისე, მწერალთა კავშირის ბაღში შაშვი ათეული წლების განმავლობაში თავისს „ჩიოდა“. მართალია, აქაურობას არც სხვა მგალობლები აყლდა, მაგრამ შაშვის ერთგულუბა მიიწე სხვა იყო...

ბაღს ბევრი სტუმარი ჰყავდა, მეტწილად მწერლები, რა თქმა უნდა. მოკირწყლულ მილივებზე დაბიჯებდნენ, ჭადრაკს თამაშობდნენ, ანდა ძელსკამზე ჩამომსდარნი „მოძღვრავდნენ“ ახალგაზრდებს.

იმდროინდელი „დამწებებს“ ბაღის „გაკვეთილებში“ უფრო შთამბეჭდავად ახსოვთ, ვიდრე დაგეგმილი შეხვედრა-განხილვები თუნდაც იმავე მწერლებთან.

აქ არ იგრძნობოდა „ტრიბუნის შებოკილობა“, სათქმელს მეტი თავისუფლება ჰქონდა.

თანაც, სტვენდა შაშვი, თითქოს შეგნებულად აესებდა დარბაისელი მისაუბრის ბაუზებს...

რამდენიმე წლის წინ ერთმა მწერალმა დაიჩივლა, ჩვენ ბაღს შაშვები შემოსწყრნენ, კარგა ხანია აღარ გამოჩენილან, ნეტავ, საერთოდ ხომ არ გადაშენდნენ...

მართლაცა, რატომ „გაებუტნენ“ ამ პატარა წალკატს? ნაცრისფერი ფილების უსიამოვნო „პერანგი“ რომ ჩავაკეთა, სული შევტუთეთ, საძრაობა აღარ მივეცი, თუ თანდათან მწერალმა რომ ამოიკვეთა ფეხი და მამენელი მთაყლდათ, ამის გამო აიყარეს გული?..

რა იცოდა „შაშვა შაშვა“, რომ მწერალი მხოლოდ ბაღიდან კი არ გაქრა... არა, რომ არ „გადაშენებულა“ (პირიქეთა, მომრავალდა კიდევ), ამაში დასარწმუნებლად კავშირის წევრთა ცნობარის გადაფურცლაც იკმარებს...

მაშ, რა მოხდა, ნუთუ, მათ, შაშვებსავე, სხვა უკეთესი ადგილი მონახეს?

საქმე მთლად ასეც არ არის. მწერალი ისევე დადის მანქანებით ჩახერგილ ნაზაბლის ქუჩაზე, №13-ში, მაგრამ არა იმით, ბაღში სასაუბ-

როდ ჩაქდეს და ლიტერატურული „მიკროკლიმატი“ შექმნას. მხოლოდ წამიერად გიველებს ღერეფანში, შეიხედავს ბიბლიოთეკაში, კანცელარიაში, აიღებს, დამოწმებინებს საღდაც წარსადგენ საკირო ცნობას და გარბის... გარბის უკანმოუხედავად, თითქოს ეშინია რაიმე არ მიეცოს, უსიამოვნო, ძველად-მოსაცილებელი...

ერთხელ მაინც შეგახეროთ, კვიტხოთ ამ ლაბაზ, მრავლისმნახველ შენობაში რატომ გაუფიქრდა „სუნთქვა“. მოგებრუნოთ, გაგხსნათ ფინჯრები, გაენიავოთ აქაურობა, თორემ, ეტყობა, მართლა ნამეტანი „ჩაიხუთა“ პაერი...

ამ კედლებს ილია ჭავჭავაძის ხმა ახსოვს! საკუთარ „ხაზე“ უგონოდ შეყვარებულ ზოგიერთ „თანამოკლემს“, ვფიქრობ, ამის შესენება არ აწყენდა.

„შავი შაშვი ჩიოდა...“

ჩიტის კი არა, კაცის გულში აღარ ვიყურებით, თორემ, ეგებ, ისიც ჩვენს საღარდელსა წუხს: ვინ შეაბამს „კატას ექვანს“, ამ უსიამოვნო მითქმა-მოთქმის წერტილს ვინ დაუსევს.

ერთხელ ლეო ქიაჩელითვის კოლექტიური საჩივარი მიუტანიათ ხელმისაწვრად.

ბატონი ლეო „დასამენის აქტს“. გასცნობია, ღრმად, დანანებით ამოუთხრავს და ფურცელი ნაუწყვბად უქცევია, ამ სიბინძურეზე ხელის მოწერის თხოვნა როგორ შემომბედეთო.

ეს იყო და ეს. საჩივლად აღერდილი ხროვა მაშინვე დაშლილა, პირველ ყოვლისა, ერთადე გაიქრულა, აჭარბლებულ-შეურაცხყოფილი გასცლია იქაურობას...

ყველამ კარგად ვიცით დასმენის, ჩივილის, სხვისი განადგურების სურვილებმა როდის იმძლავრეს, ისიც კარგად მოგვხსენება, რამდენი უღანაშაულო, პატოსანი მოღვაწე თუ რიგითი მოქალაქე შეიფირეს ბოროტმა სულელებმა... ეს შემთხვევაც იმ „ტოტალური“ რბევის გამოთხილი იყო, ვილაცამ ძველი „ხელობის“ გახსენება სცადა, მაგრამ ისეთ წინააღმდეგობას წააწყდა, რომ მაშინვე უკან დაიხია.

გახსოვთ, ალბათ, იგავი „ქუ და მორიელი“. მორიელს წყალში „გასვლა არ ეძლო“, ამიტომ კუმ ზურგზე შეისეი, „მე გაგიყვანო!“

„ქუ რა წყალში შეცურდა, მორიელმან ზურგზე კბენა დაუწყო. კუმ ჰკითხა: ძმაო, რას იქნო?“

მორიელმან უთარა: რა ექნა, არც მე მენ-
ბავს, მაგრამ ასეთის გვარისანი ვართ, მტერსა
და მოყვარესა ყველაყას უნდა ვეკბინოთო...“
სტუბან-საბას, ცხადია, ზოოლოგიის შემს-
წავლელთათვის არ დაუწერია ეს იგავი, არის
ერთი კატეგორია ადამიანების სახით მოვლენ-
ისი მორიელებისა, რომლებიც ეგეთი „გვი-
რისანი“ არიან, შხამი უნდა გაუშვან, თავისი
თანამომხე, თანამოქალაქე, კოლეგა უნდა მო-
წამლონ... მათ წინაშე ყველანიართი შხამსაწი-
ნააღმდეგო შრატო უქალურია... ამიტომ ამ „გვი-
რის“ ნათესავნი ზურგზე არ უნდა შევისვათ,
კბენის საშუალება არ უნდა მივცეთ...

ლეო ქაჩელმა გიდეკ ერთხელ დადასტუ-
რა თავისი, როგორც მწერლისა და მოქალა-
ქის, მაღალი რეპუტაცია, ჩანასახშივე მოსპო
გულნამცევა დამსმენლის განზრახვა.

ლიტერატურის, მწერლობას სინდისსა და
ავტორიტეტს ლეო ქაჩელისთან ადამიანები
ქმნიან!

ვისი ცდილობს ფარა შემოაბრუნოს, „კოკ-
ლი ცხვრები“ თავში მოაქციოს? ზოგჯერ ვი-
სი ამბიციების დაცმაყოფილებას ვენსახურე-
ნით, რად მოვამარავეთ ყველაფრის მკადრე-
ბელი, მომწერლო ლაქებიო?.. ვის აძლევს
ხელს დაცსაქაულობა და არეულობა, რატომ
არის ამდენი ხითხითი, გაკილევა, დაცინვა
მწერლობას მისამართით ქუჩებში, ტრანსპორ-
ტში, ოჯახებში?

რისთვის გვიდაც წლები, რისთვის ვიკოფ-
რეთ, ვინ ავროებს ოდენსაც დაფრეწილ
საჩივარს, რომ ერთმანეთს მიაწებოს, ახლე-
ბური იერი მისცეს?..

„შავი შავი ჩიოდა...“
სანადიროდ გამოსულ დიდ მტაცებელს
წვრილ-წვრილი, „ნასუფრალის“ დაბატონე-
ბის მოაქვინებო აედენენიან ხოლმე... ცოდ-
ვა გამოტეხილი სჯობს და ისინი, ვიღაცის
„კაცებად“ მონათლულები, ჩვენს „არალიტე-
რატურულ“ ორთმტრიალშიც მშვენიერად
გრწნობენ თავს.

საკუთარი სახელითა და გვარის ბატრონს,
თუკი თავმოყვარეობის ნატანალი მიიწვ დაგ-
ყვა, სხვისი ხელისა და აზრის „კაცობა“ რო-
გორ უნდა იყადრო... ან იმან, — შენ რომ
ბინძური გარიგებისაკენ გიბიძგა, — ან შენ,
ვინც ეს გარიგება დამსახურებულ „წყალო-
ბად“ მიიღე, რა ნამუსით უნდა იდრო კალა-
მი... მკითხველზე რომ აღარაფერი ვთქვათ,
ქილადაცა ცოდვა, განა მართლა ყველაფერს
იტანა...

ბედის ჩარხი კვლავ უქულმა რომ დატრი-
აღდეს, ვითუ, უფრო მეტი მამზღარა და
დამსმენი აღმოჩნდეს ჩვენს გვერდით!

მწარე კითხვები, კითხვები...

სათქმელი უნდა ითქვას, აღარც ოქროდ
შეფასებელი დუმილი გვეპატიება. ეტყობაჟ
დუმილმაც დაკარგა ძველი „ეშხა“, სინდისის

სახომათ თუ მივუღებოთ, მკვეთრს დატყ-
მისი „აქციება“.
მწერლის სამსახურებრივ კარიერას მხო-
ლოდ მაშინ აქვს გამართლება, თუკი მწერ-
ლად, პატიოსნად იღვავებს „სხვათაგანს“
„ერთგულს“ და „პირადს“ ერთმანეთში არ
აურევს.

საბედნიეროდ ქართულ მწერლობას ჰყავს
ასეთი ადამიანები და მათ მეტი ნდობა სჭირ-
დებათ. არ უნდა ავეროთ ისინი „აღმა ხნუ-
ლის“ „აღმა მფარცხავებში“.

განა არებობს „მწერალზე“ დიდი „თა-
ნამდებობა“?

ოცდაშვიდი წლის ლადო ასათიანის საფ-
ლაზე დღემდე არ ქანება ყვეაილები, მაშინ,
როცა ბევრი „თანამდებობიანი“ მწერალი უკ-
ვალოდ გაქრა და მწარე მოგონებად მაგარ-
ყდინი შაკულატურა დატოვა.

მწერალთა კავშირის შესასვლელში, კიბის
თაზე, აედელში სარკეა ჩასმული. ეს სარკე
მხოლოდ თმის ვარცხნილობის შესამოწმებ-
ლად ანდა ჩვენს „თანამდებობრივ მუნდირზე“
დგადარნილი ბეწვის თანამოსაჩენად კი არ არის,
მისი დანიშნულება უფრო სიმბოლური შგო-
ნია: ტანზე კი მოარგე, მაგრამ ხარ ამ „მუნ-
დირის“ ტარების ღირსი?

წარმავალთა ცხოვრება!
„ოქროს თევზი“ ყველაფერს ვერ შეგვი-
რელებს.

„უცვლავებს“ სასიხე ქვას უკადრისი ხერ-
ხებით ძვრასაც ვერ უხამ.

სიხარბე და გულნამცევაობა კვლავ გაბზა-
რული ვარცლის გვერდით დაგვსევას.

ზოგიერთებმა მხოლოდ „მაღალი ტრიატნი-
დან“ კი არ უნდა ვილაპარაკოთ მწერლის
მაღალ მოვალეობაზე!“

ქართული ერის წინაშე თანდათან უფრო
სერიოზული პრობლემები დადგება.

როგორც უკანასკნელმა ხანებმა გვჩვენა,
„გარდაქმნა“ არ გამოდგა სასიამოვნო: გასე-
ირნება ქალაქგარეთ, ანდა ოჯახში ავიქის გა-
დაადგილების არცთუ რთული პროცესი. ყო-
ველი „ნივთი“ მყარად, საშვალისშვილოდ და-
ლურსმული აღმოჩნდა.

ვინმე რუდენკო და მისი მონაჩმხაი ნამდ-
ვილად არ იყო ამხელა „უყოფილებას“ ღირ-
სი. როგორც ამბობენ, „ძალი ყვეს, ქარაგა-
ნი მიდის“, მაგრამ როცა ამ „ყვეფს“ მილიო-
ნობით მსმენელი და წამქეზებელი ჰყავს, ძნე-
ლია უხმოდ გადაუალაო წყენა (ამ შემთხვევა-
ში კი გაეცა კიდეც საკადრისი პასუხი).

ვინ უნდა გადაეფაროს, დაიცვას ერის შე-
სალახად განწირული ღირსება?

ყოველ შემთხვევაში, ამ საქმისათვის ის
„ერისკაცი“ არ გამოდგება, მსუყე ლუქმისა
თუ გამოხრული ძელის მოლოდინში სული
რომ უთაწაწებს...

მედროვე მწერალი ათჯერ უფრო მედრო-

ევა, ვიდრე სხვა, ნებისმიერ პროფესიის ადამიანი და, ამდენად, ათჯერ მეტი ვნება შეიძლება მოუტანოს საერთო საქმეს, „აქტიურია“. მონაწილეობა მიიღოს ფასეულობათა ფასი-ფიციაციაში.

გადაფურცლოთ წინა ათწლეულების ჟურნალ-გაზეთები, წიგნები და სულ იოლად დაერწმუნდებით ამ სიტყვების სიმართლეში. ის წლები თითებზე ჩამოსათვლელმა მწერლებმა თუ გამოიარეს მედროვის „ფარ-მუზარადის“ გარეშე, მცირე ნაწილმა გაუძლო ეკონომიკური თუ სხვა სახის ეთოლოგიების ცდუნებას...

და ეს მოხდა იმიტომ, რომ მათთვის „მწერალზე“ დიდი წოდება არ არსებობდა...

მედროვე, ჩვენთან თუ სხვაგან, დღესაც აქტიურობს, ახალ ვითარებაშიც ეძიებს და პოულობს საიმედო საყრდენს — ვინც ეშმაკის როლშია კომპოზირალი, მას არც „ანგელოზად“ გარდასახვა გაუტარდება.

საშიშაა ამ „რანგის“ „მარგალიტის“ მძიმე-ბელი, თუ „გააბრაზე“, მორიგეს დაუმეგობრდება, საერთო საქმეს ზურგში ლახვარს ჩასცემს...

„ამინდი“ უფთესობისაკენ იცვლება. დაიწყო ძველ შეხედულებათა, ყალბად გაიდვილებულ კერას „მსხვერვა“. თანამედროვე შეგნების, აზროვნების, ფსიქიკის აღმინის აღზარდის აუცილებლობის წინაშე დავდევით და ერთბაშად იმდენმა პრობლემამ იჩინა თავი, რომ საქმეში ჩახედულ კაცს თავზარი დაეცემა.

ყველიფერს რომ იოლად და უცებ მოეცლოს, როგორ გინდა ძველ-რბილში გამჯდარ ცხოვრების წესში ყველა „კომუნიკაცია“ ასევე სწრაფად და უმტკივნეულოდ შეცვალო? მასობრივი რეპრესიების დროს, რედაქციის ახალგაზრდა თანამშრომელს კომკავშირიდან, თურმე, ასეთი ბრალდებით რიცხავდნენ: მართალია, ბელადის სურათი ჩაიხუტა გულში, მაგრამ ძალიან არაგულწრფელი სახე ჰქონდა...

სასაცილოა?

დღეს — რა თქმა უნდა, მაგრამ მაშინ იმათ თუ ეცინებოდათ, ვინც თავის თავზე გამოსცადა მსგავსი კუროზული ბრალდებების სიმწარე?

ამ თხუთმეტობედ წლის წინათ თავისი პირველი წიგნის თაობაზე ახალგაზრდა პოეტს ერთი გამომცემლობის ბატონოყვარე მუშაკი წაჩხუბდა და რაკი მის მოწინააღმდეგეს არც სოლოდუნი სამსახური ჰქონდა, არც ჩამოსართმევი ქონება, ასე დაემუქრა: პოეტობიდან მოგხსნით!

როგორ მოვიქცეთ, უწყინარ ხუმრობად ჩავთვლოთ და ახლაც ვცინოთ თუ... უფრო ღრმად ვეძიოთ ამ უტაქტო, დამამიერებელი წამომახლადის ფესვები? რატომ გგონია, რომ

დამამიერებელი „შეუქლებელი“ მოინდომა? აღწევებულ, უფლებამოსილ ბორტტებს რომ არაფერი „გაუტორდება“, განა ამის მწარე გამოცდილება აუნაზღაურებელი დინამიკის უფასოდ არ შევიძინეთ? თავის დარწმუნებულ „ხსნიდენს“ პოეტს პოეტობიდან, მუსიკოსს — მუსიკოსობიდან, მხატვარს — მხატვრობიდან და ა. შ. ასე „მოხსნეს“ მიხეილ ჯავახიშვილი, ევგენი მიქელაძე, ტიციან ტაბიძე, სანდრო ახმეტელი... ქართველ შემოქმედებით თუ ტექნიკურ ინტელექტუალს ლამის მთელი „ნაღები“ მოხადეს...

არც შერე დამყრია დიდი ხეილი, ამდენ ხანს იძახეს თეთრზე შავიათ, რომ ქვეყანა ბრძენის, ბეცების, დაღწელების თავშესაფარს დაემგვანა.

სული სხეულზე რთული სამკურნალოა.

„ჩემს შემდეგ ქვა ქვაზეც ნუ დარჩენილა“, — ვინც ამ პრინციპით ცხოვრობს, ის ერის სასიკეთლო განაჩენს აწერს ხელს.

გულგარეობა სარეველასავით იბის, თუ ფიზიკად არ ვიქნეთ და დროულად არ გამოვითბეთ, ფესვიანად არ ამოგავდეთ, უფრო უარესად შეგვკამს, დაგვაჭინებს, კარს შემოგვიტყუებს, გავვიბატონდება.

მოთავალ თაობას სხვა საზრდო სჭირდება, ნუ მოვიტყუებთ, როგორც ცარიელ ქვევრს, ვისაც რა მოეპოვებოდა, იმის რომ მას მასხანს.

ამდენს გავეყრიბთ, სკოლებში შექმნილ საცალო მდგომარეობაზე — სინამდილეში არაფერი იცვლება... ვაკრიტიკებთ უვარგის სახელმძღვანელოებს, თარგმნილი დისციპლინების გადგებაზე, ღვლარტნილ ენას, საცალო დონეს — სასიკეთო სხვის ვერც აქ ვხედავთ... სახელმძღვანელოების გადაამუშავებას ვინ ჩივის, ზოგჯერ წინა გამოცემის კორექტურები მომდევნოშიც ბრმად გადადის.

გარდაქმნამ საფუძვლიანად შეცვალა ძველი „წარმოდგენები“. ძირეულად უნდა გადასწავლიდეს ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოები. ეს ძირითადად საბჭოთა პერიოდის მწერლობას და მის თეორიულ შეფასებას ეხება. ყველა მწერალი თავისუფალი აზროვნების შუქით უნდა განათდეს. დრომოკმეულ, დაუშვებულად გაფუტიშებულ გმირებს, ბოლოსდაბოლოს, თავისი უნდა მიუზღოთ.

ისე აღზარდე შენ შვილის სული, რომ წინ გაუძღვას ტეშმარტება...

ნულარ წავუყრებთ ქართველი ბრძენაკის თხოვნა-ვედრებას...

მწერალს უნდა ახსოვდეს, არ არსებობს ჩვენი ერის წინაშე წამოჭრილი არცერთი სასიცოცხლო, სასწრაფოდ მოსაგვარებელი პრობლემა, მისი ჩარევა რომ არ სჭირდებოდეს. ჩვენს მდგომარეობას ისე არ უღონის, რომ ერთმანეთის აბუჩად ავდების, შეტრახცხოფის, დასმენებისა და არაკაცების წაქეზების, უზარო ნერვების წყვეტის უფლება გვქონდეს.

უკანასკნელ ხანებში, ნამდვილი მწერლობის ერთსულოვნების მოწმენი რამდენჯერმე ვახზდით. ვიგარქენით, თუ რა დიდი ძალა აქვს მწერლობის ერთობას. ამიტომ არ გვიწყნარდა, ეს ერთსულოვნება მხოლოდ ერთი „სპექტაკლისათვის“ საჭირო ბუტაფორიად დარჩეს, იგონამდივლ, მტკიცე ციხე-სიმაგრედ უნდა იქცეს...

საამისოდ ერთი აუცილებელი პირობაა: მხაბლის ცამეტის მძიმე რკინის კარში მხოლოდ ღირსეული ადამიანები შედიოდნენ და გამოდიოდნენ...

„შავი, შავი ჩიოდა...“

არსებობს, თურმე, მეორე სახეობაც (როგორც ადამიანებში) — ჭრელი შავი. მეორე სახეობაზე სიმღერაში არაფერია ნათქვამი... ამას წინათ მწერალთა კავშირის კის თანამშრომლებმა მითხრეს, შავები ისევ დაგვიბრუნდნენ...

ნაცრისფერ ფილებქვეშ მოყოლილი ბაღი იმეუშენება, წვალობს, ნაბზარს ეძებს, რათა მწვანე სინათლედ ამოიფრქვეს.

ძნელაა იმის თქმა, მოკლე ხანში ამოტყავს თუ არა...

გაზაფხული კი მაინც მოდის!



ელგერდ ბატიშვილი

კიდეკობა „ნეპო-პრუპიანი საბითხაში“

სკკბ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსისტ-ლენინისტების საქართველოს ფილიალის პარტიულ არქივში ინახება ივანე ჯავახიშვილის გამოთქვეყნებული ნაშრომი — „ხალხთა ბელადის გვარის საღაურობისათვის“ (ფონდი № 14, აღწერილობა — 14, ს/ფ — 147). ნაშრომი დათარიღებულია 1939 წლის 14 დეკემბრით. როგორც ირკვევა, საქ. კბ ცკ მანინდელ ხელმძღვანელობას ი. სტალინის დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებით, ბ-ნ ივანესათვის დაუვალდება მისი გვარის ისტორიული წარმომავლობის საკითხის გამოკვლევა. XVIII-XIX საუკუნეთა დოკუმენტურ წყაროებზე დაყრდნობით ბ-ნ ივანეს, მისთვის დამახასიათებელი მეცნიერული კეთილსინდისიერებითა და ობიექტურობით უკვლევია აღნიშნული საკითხი და სათანადო დასკვნებიც გაუქვეთებია, თუმცაღა სტალინის ნებართვის გარეშე თუ მისი შიშით, გამოკვლევა მის სიცოცხლეში არ გამოუქვეყნებიათ, თითქოსდა იგი ჩვეულებრივი ადამიანური წარმომომბის კაცი კი არა, ღმერთკაცი ყოფილიყოს ანდა

ბ-ნ ივანეს გამოკვლევა რაიმე დიდ სახელმწიფოებრივ საიდუმლოს ეხებოდეს. გარკვეული კონიუნქტურული მოსაზრებებით იგი არც შემდგომში გამოკვეყნებულა და ასე გამოუქვეყნებელი და შეუსწავლელი რჩება იგი რატომღაც დღევანდლამდე. ბ-ნ ივანეს ამ გამოკვლევას შეეხო მხოლოდ ჯ. ლომიშვილი, რომელმაც არ გაიზიარა ნაშრომში წამოყენებული ჰიპოთეზა. საერთოდ კი, საქართველოს ისტორიის ჩვენს მკვლევარებს შორის რაღაც თავისებური უხზო შეთანხმებასავით მოჩანს, რომ ყველანიარად თავი აარიდონ სტალინთან დაკავშირებული საკითხების კვლევას და მასზე წერას, თითქოს ეს პიროვნება რაღაცნაირად გარიყული და ამოვარდნილი იყოს თავისი ეპოქის საერთო-ისტორიული მდინარეშიდან.

არადა, ბ-ნ ივანეს მიერ ჭულაშვილების გვარის საღაურობის შესახებ წამოყენებული ჰიპოთეზა ეხება არა მარტო სტალინის გვარის გენიალოგიას, არამედ კახეთისა და კერძოდ კი, ქიზიყის ისტორიის ბევრ მნიშვნელოვან

მომენტებისა. ამასთან, თავისებური ისტორიული ირონიით (ისტორიასაც ხომ უყვარს ხუმრობა) გამოკვლევა ერთდროულად ვნაშურებდა ჩვენი ქვეყნის ყველაზე ტრაგიკული — 30-იან წლებს და „მწიგნულობის“ ეპოქის ასევე ყველაზე ტრაგიკულ და აუბედით — XVII საუკუნესაც, თითქმის 300-წლიანი პერიოდით დაშორებულ ისტორიულ ეპოქებს — ორივეს სისხლიან-ცრემლიანს, ერთს ხანგრძლივს, მეორეს მინიატურულს, მაგრამ არანაკლებ ტრაგიკულს.

ივ. ჯავახიშვილის ამ გამოკვლევის ყველაზე ღირსშესანიშნავი და ქუთისისსწავლელბელო კი მაინც ისაა, რომ იგი თავისებური ანარქიული ჩვენი საუკუნის ამ აედლასხენებელ ებოქაში პიროვნებაზე, მის ქცევა-ქმედებასა და აზროვნებაზე განუყოფელი ძალმომრეობისა ვინც კი ოდნავ მაინც იცნობდა და იცნობს ბნ ივანეს, როგორც პიროვნებასა და მეცნიერს, მისთვის ნათელია, რომ იგი არ შეიძლება შედარებობისა და პანეგირიზმის საერთო ფეხის ხმას აპყროდა — ადამიანისა და ადამიანობის ამ ერთ-ერთ ყველაზე დამამცირებელ სენს გადაპყროდა. მისთვის ალბათ, სიკვდილის ტოლფასი იყო პანეგირიზმიც, თუმცა, ალბათ სავალდებულო ხარკის გადახდის მიზნით მაინც ყურსა და თვალს ეჩორთიერება ბნ ივანეს ნაშრომში მისთვის ასე უცნაური პანეგირისტული სტილის სიუხვე: „მსოფლიო პროლეტარიატის უცილობელი მეთაური და საქმობპყრობელი“, „ხალხთა ბელადი დიდი სტალინი“, „სოციალისტური სახელმწიფოს სწორუბოვარი ხუროთმოძღვარი“... მაგრამ ყველაფერი ეს ფაქტია და ფაქტები კი უმიზნოდ როდი ჩნდებიან: ყველგან და ყოველთვის მათ „მართლის სამართლით“ განჭვრეტა და ახსნა-გამზებულება სჭირდებათ და არა ჩვევად გამოიმუშვებულ მიფურჩენება-შეღამაზება, რითაც ხშირად ვცოდავთ ხოლმე ქეშმარიტების წინაშე.

ჩვენ ყველანი, — XX საუკუნის დასასრულის მთელი თაობა, — ვალში ვართ ინტელექტუალური კანიბალიზმის ყველა მსხვერპლის, მთელი „დაკარგული თაობის“ მიმართ. გარდაქმნის მიმდინარე პროცესი გვაფალებს წარსულის მრავალრიცხოვანი „თეთრი ლაქების“ აზღებურ გააზრებას. ეგრძოდ, დროა გადაისინჯოს თვისი 30-იანი წლების ტრაგედიის ერთპიროვნული პასუხისმგებლობის შესამებ. იგი ვერ ასახავს მოვლენის სრულ და ობიექტურ სურათს და, რაც მთავარია, დარღობებული დიდი ეროვნული ტრაგედიის ნამდვილ მიზეზებს. დიახ, ყველასი და ყველაფრის მიმართ შეუღამაზებელი, მიუკიბ-მოუყიბავი სიმართლის დიდი ვალი გვადევს. საყოველთაო ზნეობრივი კანონის ძალით კი, ვალს ყოველთვის გადახდა უნდა. „მართლის სამართლის“ მისაგნებად დღე-

ვანდელმა შეკვლევარმა ივ. ჯავახიშვილმა ეს ნაშრომი სამი ასექტით უნდა გაგვიანტონიეროს, ეპოქისა და პიროვნების სამი თავისებური ფსიქიკური მეტამორფოზის ახსნას:

1. პირველ რიგში, იგი „მ დროების ქერქში უნდა ჩაჯდეს და ისე განიკითხოს დროების შვილიც“ — ქეშმარიტების ძიების მხოლოდ ამ ილასული მეთოდით აგხსნით ნაშრომის სითუტრასაც და ზემოთ მოხსენიებულ ივ. ჯავახიშვილის ყურსმუხვეველ პანეგირიზმსაც, რომლის გამოც, შეთქმობა, დღეს თავს იკავებენ ნაშრომის გამოქვეყნებაზე, მაგრამ სწორედ რომ პიროქით, — ივ. ჯავახიშვილის ამ ნაშრომს რაიმე დამალვა-დაცვა კი არა, ახსნა და გაშუქურება სჭირდება.

2. რატომ მოკიდა ხელი ბ-ნმა ივანემ, საქართველოს ისტორიის უმარავი პრობლემების კვლევისაგან გადატვირთულმა, ისედაც ი. სტალინის ბიოგრაფიის კვლევის ერთი შეხედვით, არცთუ შინცდამაინც სახარბიელო და სამადლო საქმეს? საკითხავია, მხოლოდ საქართველოს კომპარტიის მამინდელი ხელმძღვანელობის დავალებით მოხდა ეს, თუ არსებობენ სხვა, არანაკლებ ანგარიშგასაწევი მოტივები?

3. საიდან და რატომ მოხდა გვარის, — „ჭუბაშვილი“ „ჭულაშვილად“, — უცნაური მეტამორფოზა? ცივილიზაციის ისტორიის იშვიათად ახსოვს 30-იანი წლების სისხლიან-ცრემლიანი ტრაგედიის მსგავსი, კაცისა და დემოტისაგან ასე განუყოფელი დესპოტიზმის ეპოქა. მთს უფრო იმ ქვეყანაში, რომელმაც წინა ათწლეულებში შრომელთა თავისუფლების დროშა ააფრიალა და თავის საბოლოო მიზნად სწორედ, ადამიანის სრული და საყოველთაო ემანსიპაცია გამოაცხადა.

სინამდვილეში ეს იყო საოცარი პარადოქსებას ებოქა: ბროტება — საკეთის, სიკვდილი სიტოცხლის დროშით მართავდა თავის სისხლიან ორგეგმს; ფლიდობა და გამცემლობა ევაკაცობად და ერთფულებად სადღებობად, სიცრუე — ქეშმარიტებად, სიძლევილი — სიყვარულად, დიქტატურა — დემოკრატიად...

პიროვნების თავისუფლებასა და ინდივიდუალზმზე, ეს განუყოფელი-შეუზღუდეველი ძალმომრეობა უნდა ჩაითვლოს ამ აედლასხენებელ ებოქის ყველაზე დიდ და შეუზღობებელ ცოდვად. მაგრამ სამართლიანი იქნება კი ამ პათოლოგიურ გადახრათა შედეგებზე მხოლოდ ერთ პიროვნებას შოვთხოვით პასუხა? ნუთუ, ერთმა კაცმა შესძლო ერთი ხელის მოსმით უზარმაზარი ქვეყნის ათუთ მილიონობით ხალხის თავის რჯულზე და წესზე გადაყვანა? თუ ერთ კაცზე გადატვირთავთ ამას, მაშინ მილიონობით ხალხს რაღა ყოფილა, რის მოხელე, ავან-ჩავანი, მაშინ რაღა ვუყუთათ თვის ხალხის გადამწყვეტ როლზე ისტორია-

მი? — უნდა შევთანხმდეთ, მეტი გზა არაა: ამ ბრალეული განა ერთი კაცია მხოლოდ, არც შეძლება ასე ყოფილიყო, რამეთუ, მაშინ ჩვენ უბრალო ცხვის ფარა ვყოფილართ და არა ისტორიის შემომქმედი მოაზროვნე არსებანი. ამის გარდაც, ისტორიისმის უნივერსალურ პრინციპსა რ ვუყოთ — ყველა ფაქტსა და ყველა მოვლენას ხომ თავისი წარსული აქვს, თავისი აწმყო, თავისი მომავალი? ერთი სიტყვით, აქ ერთ კაცზე ჯობის გადტეხვა, სამართლიანობისაც რომ თავი დავანებოთ, ლოგიკური აზროვნებისაგან ძალზე შორს უნდა იყოს.

მაშასადამე, ეს ცოდვა თუ ცოდვები საყოველთაო ხასიათისა ყოფილა და პასუხისმგებლობაც საერთო და საყოველთაო უნდა იყოს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მთელი უკიდგანო ქვეყნის მასშტაბით ე. წ. „ტროიკების“ მთელი სისტემის შექმნა ხომ ჩვენს თვალწინ ხდებოდა, სახარღო-სამხსენებლოს ხომ ჩვენგან იღებდნენ? და, ჩვენი მხარდანაც, პასუხი არცერთი მთავანისთვის მოგვიხსენიებია, არც კი გვახსენდებია, ისეთი პასუხი; — იურიდიულადც და მორალურადც; — მით დიასაც რომ მოეთხოვებოთ, — მხოლოდ ერთ კაცს, ისიც გარდაცვილი, აფექტიანტე ყველას მაგვირად პასუხის საგებად.

პასუხისმგებლობა საერთო-ეროვნული ტრაგედისა, უფრო მეტად საერთო და კოლექტიური უნდა იყოს, ვიდრე ინდივიდუალური. კოლექტიური პასუხისმგებლობის ამ სამართლიან ბრინჯის სხვათა და სხვათა მიმართ უპროანად მივიჩნევთ ხოლმე, მაგრამ ჩვენზე რომ მიდგება საქმე, უმალ ვიფიქვებთ. დიას, პასუხისმგებლობა მეტ-ნაკლებად ყველამ უნდა გავინაწილოთ — უშუალო მონაწილეებმაც და შორიდან მავტრებლებმაც, ათასობით და ათათასობით „ტროიკების“ წევრებმაც და მათმა დამვიწყებლებმაც. უბრალო სამართალმარდევია არ ხდება ხოლმე ობიექტური მიზეზების გარეშე და მილიონობით ადამიანზე — მეტიც, მთელ ხალხებზე მძლიერობის უკეთესობის უფრო ღრმა ფესვები უნდა ჰქონდეს, ვიდრე ერთი კაცის თვითნებობა: სწორედ თუ უკეთესობისა და არაკეთის საყოველთაო ატმოსფერომ შექმნა ეს ფონი, რომელზეც ამოიზარდა საერთო-სახელმწიფოებრივი მასშტაბის დიდი ტრაგედია. ღრმა ფსიქიკური წვდომით გააშიშვლა, გამოამუხეტრა ეს სოცოლოგიური ფესვები ილია ჭავჭავაძემ:

„უბედურება რომელიმე ერისა... ისიც არის, როცა ერთგვარ ბეზღობას, რომელსაც პოლიტიკურ ბეზღობას ეძახიან, დიდი ავალა მიეცემა, ფართო გზა გაუხსნება და ავლ-მიტომობის საგნად გახდებოდა. როცა ბეზღობა, — ეგ უწმინდური ძალ-ღონე გაცვეთილის კაცისა, პირახდილი დაიარება, არამცთუ უსარცხელოდ, თევზმწონებშიაც ფარფაშობს და

ლუკმაპურს აწვდის მამებლარს, — მაშინ პირდაპირ შეგვიძლიან ვისტავით, რომ სწორად დავიხსენებთ წყობას საძირკველი შეურყეველი და აღსასრული მოახლოებიაო.“

სწორედ ამ ვითარების გამო, მამებლარს ჩვენი სოზოგადობა სულით-ხორცამდე განიარადებოდა აღმოჩნდა, გლობალურ და ლოკალურ მასშტაბებშიც საქმე უბრალო დასწრებაზე იყო მისული — ვინ ვის დაასწრებდა დაბეზლებას, ერთმანეთზე უარესი აბსურდული ბრალდებების წყენების, დანებდებულის უკეთეს შემთხვევაში, „ტროიკების“ თვითნებობის ანაბრად გადაცემას ანუ ამქვეყნიური ჯოჯობითი გვერდისათვის კაცის გაწირვას. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია — ყველაზე მეტს სხვაგანაც და განსაკუთრებით ჩვენთან, ინტელიგენცია სცოდნავდა: ახლადგენადგმულმა ქართულმა ინტელიგენციამ შესაშური ერთგულებითა და თანმიმდევრობით გააგრძელა შეასაუქუნეების ძველი თავადური კონკლობა-სეპარატიზმი, მტრულ-მტრულ დასებად დაჯგუფება-დაპირისპირება-უთერთობობა. ერთმანეთზე ჩაასფრებისა და სხვის ხელით ან-გაროშწობების უკეთესობამაც გვერდითი მემკვიდრეობით ძველიდან ახალ „ძინებდობაში“ გადმოინაცვლა...

ამეთ პირობებში საპროტესტოდ ხმის ამოდება სიკვდილს ნიშნავდა. ზოგად-კაცურმა ზნეობრივ-მორალურმა დირეზულეებმა ერთბაშად დაეარტა ფასი. ხალხს მოენატრა ქანსალი სიტყვაც და ქანსალი საქმეც. ერთი და ქვეყანაც დაიკალა ინტელექტუალური ძალებისაგან, სრული სულიერი და მატერიალური დეგრადაცია განიცადა — ბურთი და მოედანი მცონარობასა და არაფრისმაქნისობას დარჩა. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ინახება „მეცნიერული“ ნაშრომი, რომლის ავტორი „მეცნიერებათა“ სოციალისტური შევიზობის იღებებს ეძიებდა. (და მოიძია კიდევც). ამ და მსგავსი „ნაშრომების“ ავტორები წამყვანი პროფესორები და ეროვნული კულტურის მემდროშენი ხდებოდნენ, ივანე ჯავახიშვილსა და მის მსგავს ინტელექტებს კი ჭვარზე აკარავდნენ...

საყოველთაო შიშში, მთორედ მოსვლის შიშს რომ შეედრება, მოიცვა ერიცა და ბერიც. სიჩუმესა და მორჩილებას თქროს ფასი, მეტიც — სიცოცხლის ფასი მიეცა. დასაშურისებულივით მოლედგდა-დაჩაჩანავდა მთელი თაობა, დაშინებულ-დამარებულ ბრბოდ გადაიქცა. ზალში ვიღა ჩივის, საკუთარ სახლშიც არ ეტებოდა სიმართლის თქმა და ამატომაც, მოლასა არ იყო, ქოსატყუილობა ჩვევად დაგვიჩვდა, თანდათანობით უპირობო რეფლექსად გვექცა...

საერთო-ეროვნულმა უბედურებამ თავისებურ ფსიქიკურ შოკში ჩაავლო მთელი ქვეყანა, ყველანი მოსალოდნელა უბედურების

დამთავრებული შოში მონებდა აქცია, ვისაც როგორ შეეძლო, ისე შეელოდა თავს: ზოგი იუდას არააკეთობით, ზოგიც ბრმა შემთხვევით ანდა, „სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს“ — რუსთაველური შეგონებით. გრ. რობაქიძეს ცოცხად ვუთვლით — რატომ გაიქცაო? იტყვობა უნდა დალოდებოდა სხვათა და სხვათა მსგავსად, თავს როდის წააცლიდნენ...

ივანე ჯავახიშვილიც ხომ ბრმა შემთხვევამ გადაარჩინა ჭოჯხეთური სიკვდილისაგან? — უნივერსიტეტიდან გაძევებული ეს „შავი ბროფისორი“ ყოველდღე ელოდა სიკვდილის მსტოვრების კარზე საბედისწერო დაკვივნებს. ძნელი წარმოსადგენი არაა, რა მიუღივინე ფსიქიკური სტრესების პირობებში უსდებოდა ცხოვრება XX საუკუნის საქართველოს ამ ერთ-ერთ ყველაზე დიდ ინტელექტს: სიკვდილის ლოდინი — ამასზე დამთავრებული გრძნობა პიროვნებისთვის, ალბათ, არც არსებობს. ელი და ელი... როდის გაახსენდება მორიგი მსხვერპლი, რომ სული ამოგხადონ ჭოჯხეთური ტანჯვა-წყალებით. მეგრე და რის-ტოსი, რისი გულისთვის? — კაცი მოკლა? ყაჩაღობდა? სძარცვავდა? იტყუა? იქურდა?... მეგრამ კრილოვისა თუ ლაფონტინის კრავის არ იყოს, ამდენი პათეტიკური კითხვები რაში სჭირდება პირდაღებულ მგელს — გულს აუჩუყებ თუ ნამუსზე შეაგდებ, მისთვის ისიც კმარა, რომ მხრებზე სასუთარი თავი გაზიარო, რომელიც არ უნდა გემა... ჰოდა, უნდა ელოდო შენს ჭერს კარზე კაკუნით...

ეს კარზე კაკუნიც მალე გაისმა, მეგრამ საბედნიეროდ, არა სახედისაწერო: ერთ-ერთ ევროპულ ეურნალში სტალიონზე გამოქვეყნებულმა სტატიამ უშველა: ამ კაცისაგან კარგს რას უნდა გამოველოდეთ — ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ბარბაროსი ხალხის ბარბაროსი შვილიაო. აქ ამოტივტავდა სისო ჯუღაშვილის მართლაც რომ გასაოცარ, ფენოქენალურ მეხსიერებაში (ისიც კი რომ გუშინ დღევით ახსოვდა თბილისის ქუჩებში უბინაო — უთვისტომად მოხეტიალე მშვირ-მწყურვალს ვინ ასესხა ბურის ფული და ვინ არა), ჭაბუკობიდან ჩამახსოვრებული თითქმის მისი თაბისა ახალგაზრდა ქართველი ისტორიკოსი, 900-იანი წლების თბილისში მისი ყოველი ლექცია რომ საყოველთაო მოწონებას იმსახურებდა. კრემლიდან დარეკილმა ტელეფონის ზარმა გადაწყვიტა ბ-ნ ივანეს სიტყვების ბედი — არაფიქთა აქაურ „ტროიკებს“ უკვე აღარ შეეძლოთ თავიანთ ნებაზე ებურთავებინათ დე. ჯავახიშვილი — მან ხომ უზუნაესი დავალება მიიღო, „ბარბაროსობის“ ბრალდების გასამართლებლად ევროპულ ენებზე გადასათარგმნად სსსრფსოდ შეედგინა საჭარბოვლო ისტორიის მოკლე კურსი. უნდოდათ თუ არ უნდოდათ, კვლავ აღაზუგეს სასიკვდილოდ გარდაბეული კაცი, აგარაკი მის-

კეს, მანქანა მიამარცხე, სიკვდილის მიმოვლინე კანდიდატთა სიიდან უტბად ლეპუნტოვის სიაში გადაწერეს: იშვითათ, მეგრე ანეთი ბედნიერი პარადოქსებიც ზღვრულე მემუნი, ალბათ, ამის გამო ახასიათებენ... გამოვევას მისგან ყურსმისუნეველი, მგრამ ეპოქისათვის დაკანონებული პანეგირიზმი. ეს მას ცოცხად არ ჩაეთვლება — იგი მთელ ისტორიულ ეპოქას ადევს კისრად: მას ხომ ხარკი მეტ-ნაკლებად ყველამ გადაუხადა ფორმალური რიტუალის შესრულებით და, ზოგჯერ, დღესაც კუხდით ხოლმე ჩვენდა სამწუხაროდ.

ამიტომ არ უნდა გაგვიყვარდეს — ანაქრონიზმად არ უნდა მივიღოთ ივ. ჯავახიშვილის აღნიშნული ნაშრომიც და მისი პანეგირისტული სტილიც. არსებობს შენარჩუნების თანდაყოლილ ინსტიქტსაც რომ თავი დავანებოთ, ყოველ კაცს, მითუმეტეს კუშპარიტების მაძიებელ კაცს, მიუიღვივთ ნახარდი შოშოვის მრავალი ჩანაფიქრი აქვს და ენაზეა მათი განუხორციელებლად ამ წუთისთვის დატოვება. კომპრომიზები ამავეყენს ძლიერთა მამართ, როცა ღრთება ამას შოიხოვს, მისთვის პერივით აუცილებელია და, თუ გნებავთ, პრაგმატისტული თვალსაზრისით, ვაქცაცობის რუსთაველური საზომისა არ იყოს, თავისებურ სინელედაც ჩაეთვლება.

წყსად და კანონად მოჩანს: არცერთ ისტორიულ ეპოქაში, არცერთი ტიპის საზოგადოებაში ისტორიულ ხსოვნას, ისე როგორც ხალხის მეხსიერებას შემთხვევითი პიროვნებანი არასოდეს შემორჩებანი. ყარგონი რომ ვიხმართ, — აქ „ჩაწყობა“ გამოირცხულია. დიდ ისტორიულ არტნაზე გამოსულ პიროვნებას ინივიდულაჭურ თვისებათა მთელი კომპლექსი უნდა ჰქონდეს იდეალური შესატყვისობაში — ფსიქიკურ-ნეულობითიცი, ინტელექტუალურიცი, მორალურ-ზნობორიციცი, სხვანაირად არც ისტორია და არც ხალხი დიდ პიროვნებად არ აღიარებს. ისიც საყოველთაო წესად მოჩანს, რომ დიდ ისტორიულ პიროვნებათა აბსოლუტურ უმრავლესობას, ნეჭით თუ უნებლიედ, ყოველთვის თან სდევს სისხლი და ცრემლი, და აქედან, შემფასებელთა ბოზიციების მიხედვით შეფასებათა სხვადასხვაობაც — ზოგჯერ მაქებარი, ზოგჯერ მაძგებელი. მესამე კანონზომიერებაც შეიძინევა სისხლიანი კვალის მქონე დიდი ისტორიული პიროვნების — თუკი მართლა დიდია იგი, შეფასებაში: რაც ხანი გადის წყველაკრულვა კლებულიც, დიდების მარავანდედი კი, პირიქით, მატულობს. ნაპოლიანი, ალბათ, ყველაზე უპირანი მაგალითია ამ თვალსაზრისით. ნაპოლიანის სისხლთხვევებისაგან თავმოგზრებული ბირონიცი კი, ამავე ეპოქის ადამიანის გენისა და ტემპერამენტის ეს მეორე დიდი გამოვლენა, გაბეჭდილივით ზურგს აქცევს

მა და იმედია თვალთი ვაშინგტონს უყურებს, როგორც სიკეთისა და კაცთა ხსნას სიმბოლოს. მაგრამ, ნებით თუ უნებლიედ, განა ცოტა სისხლი დაჰყვა ბედად იგავე ვაშინგტონს, ანა ამერიკელების ყველაზე საყვარელ პრეზიდენტს, სათნოებისა და სიკეთის სიმბოლოდ მიჩნეულ აბრაამ ლინკოლნს, თვითონაც ამ ქვეყნიდან ასახლიანი ტრაგიზმით წასულს?

როგორც სჩანს, ისტორიული ასპარეზი ფატალური ბედისწერით თვითონ თხოულობს, ისრლიან სცენებს. ადამიანები კი სიკვდილის შვილები ვართ და მერე თანდათანობით ვიწყებთ ხოლმე წინა თობათა სისხლიან დრამებს. ახლა ვიღა უხსენებს ბერძნებს წყევლა-კრულივით რა სისხლის ფსად დაუჭდათ მე-კვლინელი, ანდა ფრანგებს — ნაპოლეონი თუ რომბსპიერი, ინგლისელებს — კრომველი თუ ელინგტონი, რუსებს — ივანე მრისხანე თუ პეტრე დიდი? ჰომეროსისა და შექსპირისთანა გენიოსი თუ გაგახსენებს შემდგომ თობებს სისხლიან-ცრემლიანი დრამების არსებობას ჩვენდა ჰერესისაწველებლად, მაგრამ გდის არსულულები და ამ „ჰერესისწავლებას“ რომ არ ადგება ხოლმე საშვებელი? ეტყობა ესეც ილიასებური კიდევ ერთი ისეთი „წყევლა-კრულივანი საკითხავი“ გახლავთ, რომლის თავსა და ბოლოს კაცი ვერ გაიგებს. ზღვარ-დაუდებელი დროისა და სივრცისა არ იყოს, — „ცუდი უსასრულობით“ რომ მოხათლა მათმა ვადამიდელ ჰეკელს გონმა, — როგორც ჩანს, ჩვენი ადამიანური გონი უძლეურია ბოლომდე ჩასწვდეს, ჰირს-ძირობამდე გაითავისოს ეს „წყევლა-კრულივანი“ „კითხვები“. ალბათ, შოთა რუსთაველსაც ამავე ფერმონება წარმოათქმევინა: „ვამ სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვამბრუნებ, რა ზნე გჭირსა“.

საყოველთაო წესით კი, ამ უსასრულო დრო-ქმში მბრუნავი და ჩვენი მხრივ ზნე-გაუგებარი სოფლის ყველა მკვიდრი, მარტო, თუნდაც ჩვენი უსუსურობის გამო, „ცოდონი ვართ“ — განსაკუთრებით კი, — ილიას სოლისაი არ იყოს, — განუეთიხავად დაწიხლულ-წაქცეული. მაგრამ, ისეც ილია რომ მოვიშველიოთ — „სხვა ვინ არ არის ცოდონი უთავებოლო და უსწორმასწორო წუთისას-სოფელში?“ — მეტ-ნაკლებად ყველა, წაქცეულიც და წასაქცევენიც. და ალბათ, ამ საყოველთაო ცოდო-ბრალის გარჩევა და გაგება ყველაზე დიდი კაცობაც და ვაჟკაცობაც...

მტრობა-ქიშპობასაც, — ღირსეულს, ვაჟკაცურს, — და თვით სიკვდილსაც კი, თავისი წესი აქვს, თავისი სიღამაზე, თავისი დაუწერელი კანონები, მორალურ-ზნეობრივი ღირებულებანი. ამით ყველაფერს გაგება უნდა ხოლმე. სწორედ ამ დაუწერელი, შინაგანი ზნეობრივი კანონით არ კვეთავს მარჯვენას ალუდა მუცალს — ღირსეულ მტერსა და ვაჟკაცს. ვაჟკაცობა-ჩენტილმენობის იგივე და-

უწერელმა ზნეობრივმა კანონმა აიძულა ჩვენი ჩალი 1953 წლის მარტის სუსხიან დღეს ჩვენი საელჩოს წინ ქუდმობდილს ღირსეული მტერი მიეგო ამ წუთისოფლიდან წასაქცეველად სათვის — „მსოფლიო მოწყენილი“ განდგენილი წასვლითა“. ღირსეულ მოწინააღმდეგეს კი ღირსეული დაფასება უნდა და არა ზურგში მახვილის ჩაქცევა თუ აყვიური გინება. „ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილსაც“ — ქართული ფსიქოლოგიური ნოველის ამ შედეგსაც ხომ სწორედ ვაჟკაცობის ეს ტრადიციული ეროვნული ფენომენი უღვევს საფუძვლად. ოდითგანვე ზნეობრივ ნორმად ტყუილა როდი დააკანონა ჩვენმა ხალხმა — სირცხვილად ეთვლება კარგ ვაჟკაცს ძლუშლა და წაქცეულზე კვლავ მიმძღაერება...

„ცუდას რად უნდა მტერობა, კარგია მუდამ მტრისანი“ — კაცზეც ითქმის და ხალხზეც. მტერსა და ავადმახსენებელს რა გამოუღვდა საქართველოს, ტბილი ძილისთვის ვინ მოაქლუვიენება მასაც და მის შვილებსაც. ბედუქუმდობრობით სხვა ქვეყნებში გადახვეწილთ ასი თვალთ და ასი ყური უნდა გამოემათ მოშურნე მტრებით გარშემორტყმულთ, თუ უნდოდათ რომ თავისი ღელთ ზოლომდე გაეტანათ. თავზე ჩალმასაც ირქვავდნენ ამ მიზნით, ინითაც იღებავდნენ წვერ-ულვამს, უხარმხარია იპერიების ბედ-იბაღს სწყევტდნენ მკლავ-მარჯვენათაც, ინტელექტითაც; მაგრამ ქართულ სულს — გენეტიკურად შეისახლხორცებულ ეროვნულ ფსიქიკას, ძალიანაც რომ სდომებოდათ, ვერა ჰკარგავდნენ, რამეთუ ეროვნულობის ეს ყველაზე გამძლე ნიშანი თვით უკვდავებასთან არის თანაზიარა...

აელანეთში შპის მთერ მიგზავნილი შეთქმულები „გოროზ გიორგის“ რომ მკლავდნენ, წინასწარ მშენიგრად იცოდნენ — ღალატის ნიშნად და დამამტკიცებლად მიცვალბულს აუცილებლად გულზე ჰკარს უპოვნდნენ. დიხ, ხანჯლის წვერზე უხდებოდათ ცხოვრება და მოღვაწეობა ქართველის შვილებს პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობითაც...

ვის, თუ არა ივანე ჯავახიშვილს, მთელი სიღრმით არ ჰქონდა. გააზრებულ ქართველ მოღვაწეთა ისტორიული წილსკვლები, მათი ეროვნული ფსიქიკა, ეროვნული ისტორიით ნასაზრდოები ავიც და კარგიც ამ მხრივ, აკი, კიდევ აღნიშნავდა ჩვენი ისტორიოგრაფისა და ლიტერატურის დიდ ნაკლს — ქართველ ისტორიულ ბიროვნებათი ნამოღვაწეობის წარმოჩენა-გამოხეურების დაბალ კულტურას. მართალიც და ვინ, თუ არა ჩვენი, უნდა გავიხსენოთ და ვუპატიროთ მათ საბელგხსაც და საქვალეგხსაც. ამ მხრივ ქართველ კაცზე გულმაიფი და დაუდევარი ალბათ, ქვეყნიერებაზე არაგინ მოიქებნება. სანამ უცხო კაცმა არ გვიხობრა ფიროსმანის გენიოსობა, იმის სახელიც მივივიწყებ და საძლენ-სამარტეც, გრა-

ნელსაც სიკვდილამდე და სიკვდილის შემდეგაც იგივე მუდმივად ვაწივით. ახლანდელი ამოვიღეთ ხმა რომაელებზე, თამარაშვილებზე; სად განისვენებს დიდაშვილის ძელებიც, კაცმა არ იცის. ილიას რომ არ გამოვდოთ თავი, დიდაშვილის გენიოსი მოსწავლის სახელსაც და საქმეს-სამართლებსაც კაც ვეღარ შეიძინებდა. თვითონ ილიას სახელის აღორძინებაში კი, სტალინსაც ხომ მიუძღვის საკმაოდ დიდი როლი. ალბათ, ესეც ახსოვდა ბ-ნ ივანეს სამადლიეროდ, როცა სტალინის ბიოგრაფიის შესწავლის საქმეს ჰკიდებდა ხელს. მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ სტალინის ბიოგრაფიის უცნობი ფურცლები შევსებით იგი დიდ ისტორიულ მოღვაწეთა შესწავლის ეროვნულ ტრადიციას უმაგრებდა საფუძვლებს და ამით მაგალითს აძლევდა სხვებს ერის გენეტიკური ფესვებით ნასაზრდოებ „ზოგად-კაცთა“ დაფასებისათვის.

ბოლოს ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევების ძიებით არის და დასკვნების შესახებ.

რანიარად მოხდა გვარი „ჯუღაშვილის“ „ჯუღაშვილად“ გადასახვევება. ამისათვის ცოტად ისტორიასაც უნდა გადავხედოთ და თანამედროვეობასაც...

ახმეტიდან მოყოლებული ხორნაბუჯამდე, გომპორის მთების აღმოსავლეთ კალთებზე და ალაზნის ველის მარჯვენა მხარის დაყოფილებაზე, მგზავის თვალს დადლის შარავის გასწვრივ ჩამწკრივებული ერთმანეთზე ხედასავით გადაწულ-გადაბმული სოფლების უწყვეტ რიგი. გაცდები თუ არა ერთ სოფელს, იქვე იწყება მეორე სოფლის სახლგარი და არ თავდება, არ იღვია ჩვენი გულის გასაზარად კობტა, ლამაზი ქართული სახლების ეს უწყვეტობა-დაუღველობა ალაზნის ზედა წელიდან თითქმის მის ქვედა წელამდე — კახეთის 5 დიდი რაიონის ტერიტორიაზე.

მსოფლიო მასშტაბებს რომ თავი დავანებოთ, ჩვენი ქვეყანაში მინც თითქმის 150 კმ-ზე ერთმანეთზე ჯაჭვის რგოლებივით გადაბმულ-გადინაკვულ რამოდენიმე ათეულ სოფელურ დასახლებათა ასეთ მართლაც და საოცარ კონცენტრირებას სხვაგან იშვიათზე იშვიათად შეხვდებით.

უკანასკნელი 100-150 წლის მანძილზე წარმოშობილი შიდა კახეთის მოსახლეობის ეს უნიკალური დემოგრაფიული ფენომენი მართლაც ალაზნის ნოყიერი ველის მიმზიდველობით როდი ახსნება. იგი, უპირველეს ყოვლისა, რეგიონისათვის დამახასიათებელ მიგრაციის ისტორიულ თავისებურებებშია საძიებელი: ინდუსტრიული განვითარების მოძალებამ და განსაკუთრებით, თითქმის 70-იან წლებამდე მოღწეულმა სახელმწიფოებრივად ორგანიზებულმა მასტიმულირებელ სეშუალემათა მთელმა სისტემამ ერთნაირად მოშალა მთისა და ბარის რეგიონებს შორის ოლითგანვე მომდი-

ნარე მიგრაციის ბუნებრივ-ისტორიული პროცესი და მათი შედეგისა და ნაწილობრივ ხე-ესურებისა და ქისტების მოსახლეობა შექმნილ მუდმივით ერთნაირ ალაზნის ექვლზე უმაღლეს ავიაკა.

გენელოგიური

მაგრამ ბუნებრივ-ისტორიულ პროცესებში მართლ ჩვენმა მოუფიქრებელმა ჩარევამ როდღი დაარღვია მიგრაციული პროცესებისათვის ესოდენ სასურველი და აუცილებელი თავისუფალი გაცვლა-გამოცვლის დემოგრაფიული კანონზომიერება: ასეთივე, ოღონდ საპირისპირო მიმართულების იძულებით მიგრაციულ პროცესებს დრო და დრო წარსულ ისტორიულ ეპოქებშიც ჰქონდა ადგილი. იყო ამ საზღვარიდან წლის უკან ისეთი დრო-ჟამიც, როცა ახმეტიდან ხორნაბუჯამდე იგივე მანძილს ისე გაივლიდა კაცი, ორიოდ დასახლებას, იმათაც გვერდამებულ-გაპარტახებულთ თუ შეზღუდვებულად სამდე იმედის შუქად, სამაგიეროდ მისი ხეობებიც გადატვირთული იყო ქარბი მოსახლეობით...

ერთიველი თვითშენახვის პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ ყოველთვის საზღვრისპირა განაპირა მხარეებში იდგა. მთა იყო მათთვისაც ერთადერთი გადაშრჩენი და უკანასკნელი საიმედო თავშესაფარი. მესხების ტრადიციული იმიტაც იყო გაპირობებული, რომ მაცოცხლებელი მთის მიუვალი ხეობები შორს იყვნენ მათგან.

კახეთისათვის კი ამ ფუნქციას ოლითგანვე მათივე მთა ასრულებდა. XVII საუკუნეში — საქართველოს ისტორიის ამ ყველაზე ტრაგიკულ საუკუნეში, — შაჰაბასის გენოციდური პოლიტიკის მარცხი ამ ფაქტორითაც უნდა აიხსნას. კერძოდ, წყაროები არაერთგზის მიუთითებენ მოსახლეობის მასობრივ — „დღაბუღიან“ გახიზნის ბარიდან მთაში, განსაკუთრებით შაჰ-აბასის 1614-1616 წლების ლაშქრობის შემდეგ. 200 ათასი გულჯგირანი ტყვე წაასხეს ჩალმინებულ რომ გადაეჭკით — თითქმის იმდენივე, რაც დღეს ცხოვრობს ახმეტიდან ხორნაბუჯამდე. მიუხედავად არნახულ რბევისა და ნგრევისა, მატერიალური და ცოცხალი ძალის დიდი მსხვერპლისა, მთის წყალბობითა და დამსახურებით აგრესორებმა ვერ მიღწიეს თავიანთ უმთავრეს მიზანს — კახეთის მამულიანურ სახანოდ გადაქცევის, საქართველოს ამ აღმოსავლეთის ბურჯის ეთნიკურ გადაგვარებას.

სწორედ XVII საუკუნის კახეთის ისტორიის ამ ფაქტიდან გამოდიოდა ივ. ჯავახიშვილი, როცა თავის გამოკვლევაში წამოაყენა პირობა ჯუღაშვილების გვარის ქიზიჯის სოფელ ჯუღაიანიდან წარმოშობის შესახებ. თვითონ „ჯუღაშვილის“ გვარის სწორი ისტორიული მართლწერის დადგენაც, თავისებურ გაზიკვლევს წარმოადგენს საკითხის გასარკვევად. როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, ჩვენამდე

დოქტორულ აბსოლუტურად ყველა ძველ ისტორიულ ძეგლსა და სიგელ-გუჯარში გვარი „ჩუღაშვილი“ არსად არ გვხვდება, „ყველგან ჩუღაშვილი“ გვხვდებაო, — აღნიშნავს ბ-ნი ივანე: 1689 წლის საეკლესიო ნუსხიდან მოყოლებული, ვიდრე 1785 წლის ერეკლე II მიერ დაბეჭდილებულ ნასყიდობის ერთ-ერთ დოკუმენტამდე ყველგან გვარი „ჩუღაშვილი“ ფიგურირებს. საერთოდ კი, სახელი „ჩუღა“, ისე როგორც ზედწოდება „ჩუღაანთ“. ხშირად გვხვდება ამ გვარში: „ჩუღაანთ დითუნა“, „ჩუღაანთ ივანე“, „ჩუღაანთ ბესო“... ექვს არ უნდა იწვევდეს ის, რომ გვარი „ჩუღაშვილი“ ამ სახელთან ანდა ტობონომიკური ზედწოდებიდან უნდა იყოს ნაწარმოები.

მართლაც, ისტორიულად ქართული გვარების, განსაკუთრებით კი, დაბალი სოციალური ფენების გვარების წარმოება წინაპართა სახელებიდან ანდა ტობონომიკური ზედწოდებებიდან და ე. წ. „მეორე სახელებიდან“, საკმაოდ გავრცელებულ მოვლენას წარმოადგენდა. ასეა ნაწარმოები დღევანდელი ქართული გვარების საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი: „ბიძინაშვილი“, „დავითაშვილი“, „გელაშვილი“ „ზურაბიშვილი — ზურაბაშვილი“, „კახიძე — კახაძე“, „მგელაყაშვილი“, „დათუნაშვილი“ და ა. შ.

როგორც ჩვენამდე მოღწეული დოკუმენტების ურთიერთშეჯერებიდან ჩანს, „ჩუღაშვილის“ გვარის „ჩუღაშვილად“ ტრანსფორმაცია უნდა მომხდარიყო XIX საუკუნის შუა წლებში, კერძოდ როდესაც ივანე ჩუღაშვილი ლილოში დასახლდა. ამ გვარს იგივე დემარტა, რაც, — ივანე ჭავჭავაძის წავალითი რომ მოვიშველიოთ, — „აგლაძის“ გვარს: ჩვენი მაშინდელი თავად-აზნაურების მიერ გვარების მსოლირივად რუსულ ყობაზე გადაკეთების საპირისპიროდ და მისდამი გარკვეული ჩუმი პროტესტის ნიშნად (ანდრონიკოვი, გიდეგინოვი, ბარატოვი, სუმბატოვი, ჩოლოკაევი, არაქრევი, ჩელაევი და ა. შ.), პატრიოტულიდ განწყობილი მღვდლები, დიაკნები და სხვა დაბალი მოხელეები თავიანთი აზრით უფრო „ქართულად“ სწერდნენ. ხოლმე გლეხების, განსაკუთრებით კი, ზიზნად მოსული გლეხების ისედაც ქართულ გვარებს — „აგლაძეს“ — „აღლაძედ“, „ჩალაძეს“ — „ქალაძედ“, „კოვოშვილს“ „კოლოშვილად“, „ჩუღაშვილს“ — „ჩუღაშვილად“... ასე დემარტა, როგორც სჩანს, მატანიდან ლილოში გამოხიზნულ ივანე ჩუღაშვილის გვარსაც.

ამრიგად, დღეისათვის მოპოვებული ისტორიული დოკუმენტების ანალიზით ფაქტია შემდეგი:


ჩუღაშვილის გვარი XVII საუკუნიდან (უფრო ადრეულ საუკუნეებში ასეთი გვარი არსად არა სჩანს), XIX საუკუნის შუა წლებამდე იწერებოდა და იწოდებოდა „ჩუღაშვილად“.

მათა ერთი შტო მატანიდან გადმოსახლდა ლილოში, ლილოდან კი გორში.

მაგრამ საკითხის გარკვევისათვის მთავარი მაინც, რა თქმა უნდა, იმ კითხვაზე უნდა ვსაუბრობოთ საიდან, როგორ, რის საფუძველზე განსაკუთრებული XVII საუკუნეში პირველად გვარი „ჩუღაშვილი“? სად უნდა ეთოს კაცმა მისი წარმოშობაში ძირი და რატომაა ეს გვარი დღეს ასე მეტად მცირე რაოდენობით შემორჩენილი?

აქ მხოლოდ ალბათობის პრინციპზე დაფუძნებული ვარაუდების გამოტყმა შეიძლება, რამდენინაც, როგორც ამას ჩვენი აღნიშნავს სინანულით ივ. ჭავჭავაძის, „ძნელმდოაზის“ პერიოდისა და ძალზე მცირე რაოდენობის წყაროებმა მოაღწიეს ჩვენამდე, განსაკუთრებით გლეხთა ცხოვრების ამსახველმა წყაროებმა, მაგრამ შედარებითი და წმინდა ლოგიკური მეთოდებით მაინც შესაძლებლად მიგვაჩნია ივ. ჭავჭავაძის მიერ წამოყენებული ჰიპოთეზის დადებითად გადატრა. საქართველოს ისტორიის სხვადასხვა საკითხებზე განემოქმედო ივ. ჭავჭავაძის არაერთი ვარაუდი გამართლებულა შემდეგში და ვფიქრობთ, რომ ჩუღაშვილების გვარის წარმომავლობის მისეული ჰიპოთეზაც დიდი მეცნიერის ისეთი ინტუიტიური მძკვლევაა, რომელც ისტორიულ სინამდვილეს უნდა ასახავდეს. ბ-ნი ივანეს ამ შემთხვევაშიც რომ არ უღალატა დიდმა მეცნიერულმა ადამიანმა, ეს რამდენიმე არგუმენტით შეიძლება იქნას გამაგრებული:

ქალაქური დასახლებანი რომ გამოერეცხოთ, ქართულ სოფლებში დღეისაც კი, მოსახლეობის ძირითადი მასა, როგორც წესი, ადგილობრივი, მხოლოდ მოცემული სოფლისათვის დანახასიათებელი ტრადიციული გვარებისაგან შეადგება უბრატესად. ეს, უპირატესს ყოელისა, იყო და დღესაც არის გაპრობებული ქართველი კაცის ათანწლებლებში მომდინარე იმ ეროვნული ფსიქიკით, რომ, თუ ცხოვრების უკუღმართობამ არ დარია ხელი, იგი იშვიათად მიტოვებს ხოლმე თავის სოფელ-ქვეყანას და მამა-პაპეულ ადგილს — საბინოდ და სახეტილად ძვირად თუ გაიბნის საქმეს. ამიტომაც არის, რომ თვითნულ ჩვენს სოფელს ამჟამად ეტყობა ხოლმე მისთვის არატრადიციული, არადგილობრივი უცხო გვარები უბრერეულს ყოელისა მათი მცირერიცხოვნების გამო. ჩუღაშვილ-ჩუღაშვილების გვარი თუ ძალზე მცირერიცხოვანია მათათუშეთსა და მის მომიჯნავე ბარის სოფლებში, სამაგიეროდ იგი საერთოდ არ მოიპოვება არც ქუჩაგანსა და არც მთელ ქიზიყში. აქედან თავისთავად გამომდინარეობს ლოგიკური დასკვნა: გვარი „ჩუღაშვილი“, რომელიც სხვა ზიზნობამდელი გვარიდანაა ნაწარმოები ტობონომიკური ზედწოდების ანდა, რომელმე უახლოეს წინაპარზე შერქმეულ „მეორე სახელზე“ „შვილია“ დართვის ტრადიციული ფორ-



ნით. არსებულ დოკუმენტურ მასალებიდან ჩანს, რომ ეს უნდა მომზადდეს არა უგვიანეს XVII საუკუნის I ნახევრისა, ქიზიჯის მოსახლეობის მთავრებით იძულებითი მიგრაციის დროს.

XVII საუკუნის შემორჩენილი მასალებიდან ჩანს, რომ გახიზნული მოსახლეობის დიდი ნაწილი ახადში, შტაფხოსა და მის ახლო-მახლო ადგილას იდგა. XVII საუკუნის ბოლოსთვის, როგორც ეს მასობრივი იძულებითი მიგრაციის დროს ხდება ხოლმე, როდესაც „გათათრებისა“ და ფიზიკური განადგურების საფრთხემ გაიარა, მოსახლეობის დიდი ნაწილი კვლავ დაუბრუნდა ძველ მამა-პაპეულ ადგილებს. ქიზიჯიდან მთავრებით მიგრაციული ტალღის ერთი ნაწილი — ისინი, ვისაც ეტყობა ქიზიჯში მაინცდამაინც დიდი მამულები და ავლა-დიდება არ დარჩენილი, თუ შეთიდან იქვე ახლო-მახლო ბარის მიწებზე დასახლებულა და მესაქონლეობისათვის მოწყვია ხელი. სავარაუდებელია, რომ ქიზიჯელთა ამ მიგრაციებთან ნაწილში იყო თუ შეთში დიდი პატრიარქალური გვარიანი გამოყოფილი ის შტო, რომელსაც წყაროები ხან ჟუგა ბეროშვილად და ხან კი „ჭუგანთ ბეროდ“ იხსენიებენ. გვარების ასეთი აღრევა და ზშირი ცვლა კი ფეოდალური საქართველოს დაბალსოციალურ ფენებში საკმაოდ გავრცელებულ მოვლენად მოჩანს. როგორც ეს აღრეც ითქვა, XVII-XVIII საუკუნეა წყაროებში, სადაც ჟუგაშვილების გვარი გვხვდება, ზედწოდება „ჭუგანთ“ რამოდენიმეჯერ იხსენიება. ბუნებრივია, რომ ხალხი კაცს, რომლის უახლოესი წინაპარი ჟუგანიდან იყო გახიზნულად დასახლებული, „ჭუგანთს“ დაარქმევდა ზედწოდებად.

დოკუმენტური წყაროების გარდა არის სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორები და ვარკვეული ნიშანები ივ. ჯავახიშვილის მიმოთხიზის სასარგებლოდ.

საქართველოს თვითეულ რეგიონში არსებობენ თავისებური ორიგინალური იერ-სახის მქონე სოფლები. ჩვენ აქ მხედველობაში გვაქვს არა ბუნებრივ-გეოგრაფიული, არამედ, პირველ რიგში, ზშირად პირადოქსალური ხასიათის, სხვებისთვის გაუგებარი, და უცნაური სოციალურ-ფსიქიკური თავისებურებანი, ლეგენდებისა და ანეკდოტების ობიექტური რომ ზღვებიან ხოლმე თავიანთ რეგიონებში. ქიზიჯში ასეთი ორიგინალური თავისთავადობის რეპრეზენტაცია აქვთ ჟუგანსა და ანგას. ამასთან, ჟუგანი თავისებური „რეკორდსმენი“ სოფელიცაა ქიზიჯში თავისი ზშირი ადგილმონაცვლეობით: „ალანის“ „გადმა“ და „გამოდმა“ მხარე, „ქუშმათი“, გომბორის კალთების რამოდენიმე ხეობა — აი, არასრული სია ჟუგანის დემოგრაფიულ-გეოგრაფიული მოგზაურობის სამარშრუტო პუნქტებისა. იუმორით იტყვიან

ხოლმე ჟუგანზე — „ქიზიჯელთა კლავი-რატში“. კახურტი ბატონიშვილი რომ მოვიხველით, „არათუ უსაქციელი, არამედ... კაცი მებრძოლნი, მხნენი, ახოვანნი, შეწირულნი, თებელნი, მაგარნი, მიყოლნი ურთიერთთა“. ეს თვისებები მართლაც რომ მოჭარბებით აქვთ ამ სოფლის მკვიდრთ, ქიზიჯური სიჭოუტითა და გაუტებლობით, შესაშური ენერჯიითა და მიზანსწრაფულობით რომ ეწყვიან ოლითგანვე ცხოვრების ქაანს. ხაზგასმული სიღინჯე ქვეყაში და რადაც საოცარი. ლაქონურობა მეტყველებაში, ღრმა, აზრიანი იუმორი და უხეშობამდე მისული პირდაპირობა და პირშიმთქმელობა ჟუგანელის ასეთივე ზოგადი მახასიათებელი არიან. გენეტიკის თანამედროვე მიღწევები კი გვეუბნებიან: ფსიქიკურ-გენეტიკური ფაქტორები — პიროვნებისა და საზოგადოების ეს სუბსტანტური საწყისები, უადრესად სტატიკური არიან და ათასწლეულებში სძლებენ. სანდრო შანშიაშვილი იხსენიდა ხოლმე ივ. ჯავახიშვილის ერთ ნახევრად იუმორულ და ამასთან, თავისებურად სერიოზულ არგუმენტს: ჟუგაშვილების გვარის გენეტიკური ფესვები თუ კახეთიდანაა, იგი აუცილებლად ქიზიჯიდან უნდა იყოს და თუ ქიზიჯიდანაა, იგი აუცილებლად ჟუგანიდან უნდა იყოს. სანდრო შანშიაშვილისავე მოგონებით ბ-ნ ივანეს — ილიასავით აზრიანი და ძარღვიანი იუმორის ამ დიდ მოყვარეს და დამფასებელს, — თურქე ძალიან ჰყვარებია ანეკდოტის მოსმენა კახელსა და ქიზიჯელ შორის განსხვავებაზე: მათ შორის ასე განსხვავებაა, რომ კახელს თავს რომ მოაჭრიან, ბოლოსდაბოლოს გაჩერდება — მუშტების ქნევასაც შეწყვეტს და მტრის ლანძღვა-მუქარასაც, თავმოჭირი ქიზიჯელი კი ხერკით მუშტების ქნევას ისევ აგრძელებს და მტრის მუქარა-გინებასაც. — თავმოყვითილი მიანც ხრიალებს — დედის ვიტარებათ. მართლაც და მრავალსმეტყველი ისტორიული ფაქტია, რომ ლეიანობის დროს კახეთსა და, საერთოდ, მთელ აღმოსავლეთ საქართველოში, ერთადერთი ქიზიჯი იყო, რომელსაც ლეკები ვერ უბრძავდნენ ისე იოლად ქურდბუცაცობას და აწიოტებას: გამოცდილებით იცოდნენ — არ შეჩვეოდნენ, ადრე თუ გვიან ერთი ათად გადაუღდინდნენ ქიზიჯელები სისხლის ნთხევასაც და ძარცვა-რბევასაც.

უთუოდ, ანგარიშგასაწევი ფაქტორია ისიც, რომ თვითონ სტალინის მამა თავის ნაცემბეგობრებში ყოველთვის თავს კახელად აცხადებდა და მიანდა, რომ მის წინაპრებს მერე გვარიც ჰქონდათ. ალბათ, ამითაა გაპირობებული, რომ მისი სიცოცხლის ბოლო პერიოდ და თვით საფლავიც თავის შრომლიერ კოლხეთთანაა დაკავშირებული. „ადგლის დედა“ ხომ ყოველთვის იზიდავდა და იზიდავს ქართველი კაცის სულს. აქ შეიძლება ისიც

გაიხსენოს კაცმა, თუ როგორ უყვარდა სტალინი ჩვენებური ხალხური სიმღერა, ერთდროულად ვაეკაცურიც და სევდიანიც — „გაფრინდი შავო მერცხალო, გააყეფ ალაზნის პირსაო...“. ფსიქო-გენეტიკური თვალსაზრისით ხომ კაცში ქვეცნობიერად ყოველთვის თვით ყველაზე შორეული ეპოქების-ექვსიანიანდება ზოლმე. გვიანფეოდალური ხანის ჭუგაანის ტერიტორია კი სწორედ ალაზნის ბირზე იყო განფენილი...

უკვე ითქვამ: ჩვენთვის იგ. ჭავჭავაძის ზემოთგანხილული პიპოთეზა, პირველ რიგში, იმითაა საინტერესო და აქტუალური, რომ იგი ეხმაურება და ნათელს ჰყენს „ძნელბედობის“ ეპოქის ჩვენი ისტორიის ბევრ მნიშვნელოვან პრობლემას, აერძოდ კი მთის რეგიონის საერთო-ეროვნული მნიშვნელობის ზოგად-ისტორიულ პრობლემას, რომლის კვლევითა და გააზრებით ჩვენ ჭერ-ჭერობით ვალში ვიმყოფებით. ისიც ითქვამ, რომ ეს პიპოთეზა ეხმაურება აგრეთვე, ისტორიულ პიროვნებათა შესწავლა საყოველთაოდ აღიარებულ მეცნიერულ კულტურასაც და საერთო-საზოგადო მოთხოვნილებასაც, რომელთა მიმართაც ქართული საისტორიო მეცნიერება ასევე ვალშია. არაერთი მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ, როცა ჩვენი ისტორიული პიროვნებანი მათი თანამედროვეთა თუ შემდგომი თაობების მიერ წმინდა სტუბიექტური მოსაზრებებით თუ კონიუქტურული პოზიციებიდან აბსოლუტურად უგულველყოფილნი ყოფილან, ანდა, მხოლოდ ლანძღვა-გინების ობიექტნი გამხდარან.

რან. ცოტა შორეულ ეპოქებს რომ გადავხედოთ, ასეთი უმადურობის კლასიკურ ნიმუშად გვიორგი სააკაძე გამოდგებოდა, ჩვენს სატექნიკურ ეპოქაში 20-30-იანი წლების ილია ჭავჭავაძე ასე, რომ ამ მხრივ, ჩვენს საზოგადოებაში როგორღაა სამწუხაროდ, საკმაოდ მკვიდრი ტრადიცია გვაქვს შემორჩენილი. არადა ელემენტარულ ქვეშაობიერებად მოჩანს: ამ წუთისთვის სოფლიდან წასულ ისტორიულ პიროვნებებს აღარც კება მძაბრებთ და აღარც აგებმა აკლბებთ რაიმეს, არც მადლი მოემატებათ და არც ცოდვა შეუძლებუქდებათ. მათი შესწავლა და გააზრება-გამოხეობება ერთნა მატერიალური თუ სულიერი ზრდა-განვითარების ისტორიის პოზიციებიდან ისევე ჩვენვე თუ მოგვეყვას რაიმე სარგებელს. ისე კი, ალუდასი არ იყოს, ღირსეულ მტერსაც კი უნდა დაფასება-პატივისცემა, არა თუ მართო ერისკაცს.

ისტორიული პიროვნების ამ კუთხით შესწავლისა და გააზრების მეცნიერულ ტრადიციასაც იგ. ჭავჭავაძე დავუდო საფუძველი. ჩვენს ისტორიოგრაფიაში სხვა კარგად ცნობილ გამოკვლევებთან ერთად, განჭილელი გამოკვლევაც მისი ამ მაღალი მეცნიერული და მოქალაქეობრივი კულტურის მაგალითად გამოდგება, თუმცა მას, ალბათ, ყველა ჩვენთაგანზე მეტად ჰქონდა განუსჯელოდ და უსამართლოდ დევნილი კაცის განაწყენებული პოზიციებიდან ლანძღვა-გინების საფუძველიც და თუნდაც, მორალურ-ზნეობრივი უფლებაც.



დროზე მივხედოთ

სამხრეთ საქართველო უძველესი კულტურის ქვეყანაა. მნახველი დღესაც განცვიფრებაში მოჰყავს ცოცხალმატიანესავით შემორჩენილ ციხე-ქალაქებს, ეკლესიებს, ტაძრებს, მონასტრებს, კლდეში გამოკვეთილ მაღაროებს და მიწის ქვეშა სამალავებს — დარანებს.

სამცხე-ჯავახეთში დღესდღეობით არსებული აღრიცხული და შესწავლილი, ამასთან აღურიცხავი და შეუსწავლელი ისტორიული ძეგლების სიმრავლენებისმიერ ერს დაამშვენებდა. ბოლო ხანებში დიდი ყურადღება ეთმობა მათ მოვლა პატრონობას. ძეგლთა დაცვის სარეგისტრაციო საწარმოო გაერთიანების თანამშრომლების მიერ ასპინძის რაიონში უკვე აღდგენილია რიგი ძეგლებისა. უმრავლესად VIII ს. ძეგლები: წითელი საყდარი (აგარა), ხვილიშა, ალანძია, — სოფელ ფიის X საუკუნის ეკლესია, გავეთის ეკლესია, ზედა ვარძია, ახჩია და ასპინძის ციხე; მიმდინარეობს სარეგისტრაციო სამუშაოები ხერთვისისა და კობტის ციხეებზე. აღდგენილია ბევრი ძეგლი ახალქალაქისა და ბოგდანოვკის რაიონებში. ახალქალაქის რაიონში ეკლესიები სოფ. ხოსპოშიცაა. მიმდინარეობს სამუშაოები კუმურდის დიდებულ ტაძრის აღდგენაზე. ბოგდანოვკის რაიონში აღმინისტრაციული სარეს-

ტავრაციო სამუშაოები ჩაუტარდა განძის ეკლესიებს, მუშაობენ როდია-ნოკის (სოფ. თავდარავნის) ეკლესიის აღდგენაზე.

სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიაზე არსებულ მიწასთან გასწორებულ ძეგლებს პირვანდელი სახე უბრუნდებათ, ცოცხლდებიან ქართველი ერის ისტორიის ფურცლები.

სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიაზე განლაგებულ ძეგლთა სიმრავლით გამოირჩევა სოფ. აწყვიტა. მისი ტერიტორია, ისევე, როგორც მთელი საქართველო, უძველესი და ახალი ღირსშესანიშნავი ისტორიული ძეგლების მხარეა: ზოგიერთი მათგანი, უამთა სიავის გამო ძველადვე დანგრეულა და მშენებელთა გმირული შემართებაც თან ჩაუტანია. ნაწილმა, საბედნიეროდ, ნანგრევების სახით მოაღწია ჩვენამდე. შემორჩენილია ისეთი ძეგლებიც, რომელთაც თითქმის პირვანდელი სახე შეინარჩუნეს და თავისი სილამაზით დღესაც ხიბლავენ და აოცებენ მნახველთ. მთებზე წამომდგარი ეს ციხე-კოშკები, ეკლესიები, დარანები თუ კლდეში ნაკვეთი მაღაროები, ჩვენი წინაპრების სიბრძნისა და გმირობის უტყვი მოწმენი არიან.

დაბა ასპინძიდან სამხრეთით, 15 კმ-ის დაშორებით მდებარეობს სოფელი აწყვიტა. მის გარშემო აღმართულია

მალალი კლდოვანი მთა, რომელშიც უბსოვარ დროს ადამიანის ხელს სხვადასხვა ფორმისა და ზომის მრავალი დარბაზი თუ გარკვეული დანიშნულების სათავსო გამოუყვეთია.

ფიზიკური გეოგრაფიის თვალსაზრისით აწყვიტის ტერიტორია დაცემულ ზეგანს განეკუთვნება. დასავლეთიდან მას ერუშეთის მთაგრეხილი, სამხრეთით — სოფ. ტოლოში, აღმოსავლეთით — მდ. მტკვარი და დარანეთი, ჩრდილოეთით კი (ნას.) ერკოტა ესაზღვრება. აწყვიტის მოსაზღვრე ერუშეთის მთაგრეხილის უმაღლესი მწვერვალებია: ზიარეთი (1450 მ.), ამაღლების მთა (1450 მ.) და სხვა, ხოლო აწყვიტის ტერიტორიის სიმაღლე ზღვის დონიდან 1260 მ-მდე მერყეობს.

მთის სადაბო საბჭოში გაერთიანებულია 135 ოჯახი, სულადობა 735 კაცია. 12 ნასოფლარი, 8 ეკლესია, 4 დარანი, 4-5 გამოქვაბული და ერთი კოშკი. ძირითადად მოსახლეობენ ივანიძეები, დიასამიძეები, ბერიძეები, მელიქიძეები, ხიზაძეები, ბირჩაძეები და სხვა.

ამჟამად უკვე არქეოლოგიურ ძეგლებად ქცეული სხვადასხვა ხასიათის სამეურნეო დანიშნულების ნაგებობა აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ გვიან ფეოდალურ ეპოქაში აწყვიტისათვის და მის ტერიტორიაზე შემავალ ნასოფლარებისათვის დამახასიათებელი იყო მრავალპროფილიანი სოფლის მეურნეობა — მემინდვრეობა, მესაქონლეობა. სოფლის მეურნეობის ორივე დარგი ინტენსიურ ხასიათს ატარებდა.

აწყვიტაში და მის ტერიტორიაზე განლაგებულ სოფლებში ძველი მიწათმოქმედების მაღალ კულტურულ დონეზე მიგვითითებს აგრეთვე სახნავი იარაღების მაღალ-ტექნიკური, მოდიფიცირებული ნაირსახეობანი და სა-

სოფლო სამეურნეო იარაღების სიმრავლე, რომელიც დღეს აწყვიტის მუზეუმის კუთვნილებას წარმოადგენს.

XIX ს-ში უბან-კვარტლები მხოლოდ და მხოლოდ ერთი გვარით იყო დასახლებული. თითოეულ ამ უბანში რამდენიმე ოჯახი ცხოვრობდა და მათი სახლ-კარი ერთმანეთზე მიდგმულ-მიშენებულ ბანიან ნაგებობათა ლაბირინთს წარმოადგენდა. საცხოვრებლად გამოუყენებელი იყო კლდოვანი ფერდობი, პატარა ხევი, ხრამი.

აწყვიტის ტერიტორიაზე განლაგებულ სოფლებში სახლი მოიცავდა საცხოვრებელ და სხვადასხვა დანიშნულების სამეურნეო ნაგებობას. იგი წარმოადგენდა დიდ კომპლექსურ შენობას, რომლის საერთო ჭერქვეშ გაერთიანებული იყო ადამიანის საცხოვრებელი ერდოიან-გვირგვინიანი დარბაზი, საქონლის სადგომი ბოსელი, საბძელი, მალეფუჭებადი პროდუქტების შესანახი საციო, ზამთარში საცხოვრებელი თაჯარებიანი, ანუ იგივე ახერის ოდა, ფურნის ოთახი და კარაპანი, რომელიც საფასადო მხრიდან ჰქონდა მიდგმული შენობას. აქ ჩამოთვლილი ყველა ოთახ-სათავსო ერთმანეთთან დაკავშირებული იყო კორიდორული სისტემით, ვიწრო და სანახევროდ ბნელი დერეფნებით. გვირგვინიანი საცხოვრისი, რომელსაც დღეს დარბაზს უწოდებენ, მცირედლაა შემორჩენილი სამცხე-ჯავახეთში.

ქუჩაში არსებობს ეკლესია, რომელიც 1903 წელსაა დაშენებული ძველი ეკლესიის საძირკველზე. მის ეზოში განლაგებულია ვერძები და სხვადასხვა ორნამენტოვანი და ჩუქურთმებიანი ქვები, ხოლო მის ძირში სამალავი დარანია, რომლის სიგრძე 1,5 კმ-ია.

გამოიყენებოდა თავდაცვის ერთ-ერთ საშუალებად.

აგრეთვე აწყვეტის ნასოფლარში დანგრეული დარბაზული ეკლესიაა შემორჩენილი. მასზე, როგორც სამხრეთიდან ასევე ჩრდილოეთიდან, მინაშენები შეიმჩნევა. ნაგებია კარგად დამუშავებული ქვის კვადრებით. ნანგრევებში გდია მეტად საინტერესო სადავკარდაქმნო ქვა. აქვეა დარნები, რომელსაც ჩამოხშული აქვს ქვის კარები, ზედ გამოსახულია პატარა 20×25 სმ სიდიდის ჯვარი. კარის სიგრძე 135 სმ-ია, ხოლო სიმაღლე, თუ ღერძებიანად ჩავთვლით, 175 სმ-ია. შესასვლელში მოწყობილია ხაფანგი, 2-3 მეტრიანი ორმო. აწყვეტის ტერიტორიაზე მდებარე ძეგლების შესახებ მონაცემები აღებული გვაქვს ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს არქივიდან.

ნასოფლარ როკეთის ტერიტორიაზე არის შემორჩენილი ორი ეკლესია. ერთი XIX საუკუნისაა, ხოლო მეორე XVI საუკუნეს მიეკუთვნება. შემდეგი ნასოფლარია ქვაბი-ხევი, სადაც კოშკი და კლდეში გამოკვეთილი XVI-XVII ს-ის ეკლესიაა. შემორჩენილია აღმოსავლეთის კედელი, ნახევარწრიულ აბსიდათა და ჩრდილოეთის კედელი აბსიდში ჩასაჯდომით. კლდეშივეა გამოკვეთილი საკურთხევლის ქვა, ორივე მხარეს თითო თაროთი. სამხრეთის კედელი ჩამოშლილია. შემორჩენილია პელასტრიტა და აბსიდის მხრით, რომლებიც თარი იშპოსტებით არიან დაგვირგვინებულები. 200-250 მეტრის მანძილზე დევს ქვა, რომელზეც გამოსახულია 5 ჯვარი, ხოლო კოშკის სიმაღლე 6 მეტრამდეა დარჩენილი, ციხის შუაგული 5-5 მ-ია, ძირშივე არის 100 მ. არის უფრო მეტი სიღ-

რმის გამოქვაბულები, სადაც შემორჩენილია ცხვარს აფარებდნენ. მის ახლოსვე ნასოფლარი არისკაა, სადაც გამოსახულია ბაზილიკიანი ეკლესია (XVII-XVIII-სს). შემორჩენია ქვა ბოლნური ჯვრის გამოსახულებით. შესასვლელშივეა მეტად საინტერესო კარნიოზონის ქვა.

ნასოფლარ ბერიებში შემორჩენილია X-XII საუკუნეების ეკლესიის აღმოსავლეთის მცირედი ნაწილი. ჩანს, ეკლესია ნახევარწრიული აბსიდაიანი ყოფილა.

აღმოსავლეთით გვხვდება XVII-XVIII ს. ეკლესია, სადაც დევს საინტერესო ქვა, რომელსაც გვერდებზე ორმაგი ღარები აქვს, დასრულებული ნალისებური თაღით. ერთ მხარეს ბოლნური ჯვარია ამოტვიფრული. მისგან 200-300 მეტრით დაშორებულია ნიკოლოზის გორა, სადაც დგას მეტრნახევრიანი სტელა. გვერდებზე ღარები ჩამოუდის, ჩასმული აქვს ჯვრის გამოსახულებიანი ბუნის ქვა. სტელას დასავლეთით, 1500 მ-ის მანძილის დაცილებით, გვხვდება ნასოფლარ დაღეშის ორი ეკლესია. ერთი აგებულია 1890 წელს ვინმე ზედგენიძის მიერ, ხოლო მეორეს პირვანდელი სახე არა აქვს შემორჩენილი. ვახუშტი ბატონიშვილი მოიხსენიებს, რომ არს მონასტერი დაღეშში ამჟამად ცარელიო. მის გარშემო არის ქვის აკვნები, ვერძები და სასაფლაოს ქვები. ეკლესიაზე გამოსახულია ორნამენტოვანი ჯვარი და აგრეთვე ტრანეზის ქვაჯვრის გამოსახულება.

ეკლესიის გარშემო მოთავსებულია რამდენიმე დარანი ქვის მუხლანი კარით, ჯვრის გამოსახულების პატარა ორმოთი, რომელშიც ყოველთვის წყალი იდგა.

ჩვენამდე მთლიანად არის მოღწეული დაღეშის გამოქვაბულები. ისინი გამოკვეთილია კვერცხისებური ფორმის კლდეში და დაცილებულია დაღეშიდან 500-600 მეტრით. გამოქვაბულები

შედგება 3 სართულისაგან, 18 ოთახისაგან და 16 ფანჯრისაგან.

საჭიროა დროზე ვუპატრონოთ ამ ძეგლებს, თორემ დრო თავისას შერევა, მოუვლელობით ისინი პირვანდელ სახეს ჰკარგავენ.



ემზარ კვიციანი

* * *

დიდი ხანია ვმუშაობ და ამჟამად უკვე ვამთავრებ მონოგრაფიას „აკაკი წერეთლის პოეტური ხელოვნება“. ამ წიგნს, ალბათ, „საბჭოთა საქართველო“ გამოსცემს პოეტის იუბილესათვის, 1990 წელს. აკაკის სიდიადე რომ დავინახოთ, ამას საგანგებო კვლევა-ძიება არ ჭირდება, მაგრამ მაინც შევეცადე საფუძვლიანი დაკვირვების საგნად გამეხადა ის აშკარა თუ ფარული ხერხები, რითაც „ციცინათელას“ და „სულიკოს“ ავტორი მკითხველზე ასეთ მიაგიურ ზემოქმედებას ახდენს.

ახლო მომავალში ალბათ შევეუდგები წერას გიორგი ლეონიძის პოეზიის თავისებურებებზე. საამისოდ მზად ვარ, მხოლოდ ჩაჯდომა მაკლია.

პროზაზე წერას ვერიდები, მაგრამ დიდი სურვილი მაქვს ჩემი დამოკიდებულება გამოვხატო ისეთი ოსტატის შემოქმედებისადმი, როგორც ნიკოლორთქიფანიძეა. წინასწარი სამუშაო აქაც შესრულებული მაქვს და ბევრი რამე კიდევ მოვინიშნე, მაგრამ ვერ იქნა და შესაფერი დრო ვერ ვიგდე ხელთ.

გაისად „ნაკადული“ გამოსცემს ჩემი საყმაწვილო ლექსებისა და პოემების შედარებით მოზრდილ კრებულს და ძალიან მინდა პირნათელი წარვდგე ნორჩი მკითხველების წინაშე. ყველაზე მეტად ჩვენ მათს ნდობასა და გემოვნებას უნდა ვუფრთხილდებოდეთ.

გამომცემლობა „მერანს“ მალე ჩავაბარებ ჩემი ლექსების ახალ წიგნს, რომლის ავ-კარგზე პირადად მე ვერაფერს ვიტყვი.

ყოველდღიური, გულისგამომჟმელი ყოფითი წვრილმანები რომ არა, ალბათ მეტიც გაკეთებას შეეძლებოდა.



* * *

დავწერე ლექსების ახალი წიგნი, რომელსაც მალე შეიღებებს შვიტხველი. უახლოეს ხანში გამოვაქვეყნებ ახალ მოთხრობებს.

მოფიქრებული მაქვს პიესა ლექსად.

დავწერე რამდენიმე ესსე ჩემს მეგობარ მწერლებზე — მ. დუდინზე, თ. გონჩარზე, ჩ. აიტმატოვზე, რ. გამზათოვზე, ყ. ყულიევზე (ეს უკანასკნელი გამოქვეყნდა რუსულად ჟურნალ „ოგონიოკში“).

ვაშალებ ჩემი რჩეული ნაწერების წიგნს.

ამჟამად ვმუშაობ უნგრული და ბულგარული პოეზიის ნიმუშების თარგმანზე.

აპატი გაწერელია

* * *

ვმუშაობ ორტომიან ეპოსზე „შამილი“. მასალას ვაგროვებ 40 წლის მანძილზე. არაერთგზის მოველილი მაქვს ჩეჩნეთი, დაღისტანი და ინგუშეთი. წიგნს დავამთავრებ 5 წელიწადში, თუ უფალმა არ მომიხმოს სასუფეველში ან ჯოჯოხეთში.

ცალკეულ თავებს გამოვაქვეყნებ ჟურნ. „მნათობსა“ და „ცისკარში“.

დიდი ხანია ვწერ ვრცელ „მემუარებს“. ამ წიგნის უკანასკნელ წერტილს სიკვდილის წინ დავსვამ.

„მემუარები“ ჩემს სიცოცხლეში არ გამოქვეყნდება. ჩემს ხალხს ვერტოვებ მას მოძავალში წასაქითხავად. არ ვიცი — როგორ იკრძობენ თავს ქართველი ერისა და პირადად ჩემი უბოროტესი (სულიერად და არაგონიერად!) მტრები.

წიგნში გამოყენებული იქნება ფოტო და დოკუმენტური მასალა. არც ერთ ფრაზას არ ვწერ, რომელიც აბსოლუტურ სიმართლეს არ შეიცავდეს.

„მემუარებში“, როგორც ვრცელ პანორამაში გაივლებენ საყვარელი, უდანაშაულოდ დასჯილი, ჩენი საზოგადოების საამაყო შვილთა მომხიბლავი, თუმცა უკვე ეფემერული სახეებიც.

დავიღალე! ჩემი დიდი სიყვარული და ნდობა ეკუთვნის ლიტერატურულ ახალგაზრდობას, რომელმაც ამდენი გამამხნეებელი სიტყვა გამაგონა ჩემი მოღვაწეობის მანძილზე.

ოქია იოსელიანი

• • •

არამც და არამც არ მიყვარს იმაზე მუსაიფი, ხვალ რა იქნება („ხვალემ იზრუნვოს ხვალისაზეო“). ეს ღმერთის საქმეში ჩარევა მგონია („კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო“).

ახლახან დავამთავრე ვრცელი რომანი „შავი და ცისფერი მდინარე“ და ისე გამწყვდია წილში, ისევ რომანზე ფიქრისაც კი მეშინია.

ნოველებს კი...

იმ ავად გასახსენებელ ოცდაჩვიდმეტში, მგონი მთელ საქართველოში ერთად ერთი ჩემი სოფელია სადაც სოფლსაბჭოს თავმჯდომარის კაცობით, სინდისით თუ თავგანწირვით... არ ვიცი... (მაშინ ხომ შეიდი წლისა ვიყავი) არავინ დაუხვრეტიათ. ამას, რაც თავი მახსოვს ყველა ჩემ ახლო მეგობართან ვყვებოდი, რომ იმ უბედურების დროსაც გყოლია კაცი, რომელსაც უდანაშაულო, უბირი თანასოფლელები ვერ გაუწირავენ, რაც რა თქმა უნდა, ძვირად დაჯდომია (იგი მოგვიანებით გულის ავადმყოფობით გარდაიცვალა).



ამის თაობაზე თემურ ჩხეიძემაც იცოდა. შარშან საგანგებოდ შევხვდით და მიჩნია დამეწერა კაცზე და არა არაკაცზე. ჩემი სოფლიდან თხუთმეტი კაცი განწირული ყოფილა, — ბაგრატი ბობორიძეს „საქმეები შეუღდგენია“ და შავი მანქანით უნდა გაეგზავნა.

პიესის პირობითი სათაურია „განკითხვის დამე“. პირველი, ერთი პირა დაწერილია (სამუშაო ჯერ კიდევ ბევრია), რაღაც მაინც გამოიკვეთა და იმდენად გაკვებდნენ თქვენთვისაც გამემზილა, რომ „ღმერთს არ გასცინებოდა“.



რომან მიხინოზვილი




სუფთა ფურცელი საწერ მაგიდაზე დიდხანს არ მიჩერდება. ზოგჯერ მგონია, რომ შემიძლია განვაგრძო კარგა ხნის წინათ დაწყებული სამუშაო, მაგრამ იძულებული ვარ, უკვე დაწერილი ფურცლები გვერდზე გადავდო და კვლავ სუფთა ფურცელს მივუბრუნდე, ახალი საქმე წამოვიწყო. ჩემზე არ ითქმის, არაორგანიზებული და დაბნეული კაციაო, მაგრამ დღევანდელი ცხოვრების ტემპი მაიძულებს, არ ჩამოვრჩე მოვლენებს და შეძლებისდაგვარად მოკრძალებული წვლილი შევიტანო იმ საკითხების გადაჭრაში, ასე რომ აღელვებს ჩემს ერს. თავი არც კრიტიკოსად მიმაჩნია, არც პუბლიცისტად, მე უფრო ლიტერატურის ისტორიკოსი ვარ და როგორც მწერალი — მთარგმნელი, პოეტი, მაგრამ წლების მანძილზე იმდენი სატიკივარი დამიგროვდა, რომ, შეიძლება ძტრებიც გავიჩინო, მაგრამ მაინც მწარე სიმართლე უნდა ვთქვა. უნდა ვთქვა, რის თქმაც ადრე არ შეიძლებოდა. პირდაპირ — სიმბოლიკისა და იგავის მოუშველიებლად. მიუხედავად ამისა, ზოგიერთ ადრე დაწყებულ სამუშაოს მიუბრუნდი. „ნაკადულში“ სულ მალე გამოვა ჩემი წიგნი ახალგაზრდობისათვის „პომეროსის სამყარო“, „საბჭოთა საქართველო“ გამოსცემს პომეროსის „ილიადას“ საგრძნობლად გადამუშავებულ თარგმანს, „მერანს“ ჩავაბარე ლექსების ახალი კრებული, დავამთავრე და მხატვრული თარგმანის მთავარ სარედაქციო კოლეგიას მალე წარვუდგენ ბერძნული ეპიგრამების

კრებულს. ეს ცოტა არ არის, მაგრამ დაწერილი ფურცლებია, მე კი სუფთა ფურცელზე მეკითხებიან...

მკითხველს, ალბათ, დააინტერესებს, რომ დაეიწყე მუშაობა ჟურნალზე. ფეხბურთის დიდოსტატის ანდრო ჟორდანიას ცხოვრების წიგნზე. ვერ გეტყვით, რა გამოვა, მაგრამ შემიძლია მოგახსენოთ, რა მიზანი მამოძრავებს. მთავარი ამ წიგნში ფეხბურთი არ იქნება, მთავარია პიროვნება, ტრავიკული პიროვნება, რომელსაც სიცოცხლის ბოლომდე მხოლოდ სიკეთე მოჰქონდა, თუმცა მისი პირადი ცხოვრება ისე აეწყო, რომ ლოგიკური იქნებოდა, მთელს კაცობრიობას შტრალ მოკიდებოდა. ახლა ბევრი იწერება საბჭოთა ლიტერატურაში რეპრესირებული ადამიანის ბედზე. ანდრო ჟორდანიას ერთი დღეც არ გაუტარებია ციხეში ან იძულებით გადასახლებაში, მაგრამ ქმთელი ცხოვრება განიცდიდა სულიერ რეპრესიას შურის მიზეზით და მენშევიკთა ლიდერის ნათესაობის საბაბით. ასე რეპრესირებული მარტო იგი არ ყოფილა. ასე იყო ბევრი და მათ შორის მხოლოდ მცირე ნაწილმა გაუძლო ცდუნებას, არ გახდა საკუთარი პრინციპების მტერი, მედროვე, სულმდაბალი. ვფიქრობ, ასეთი გმირი სჭირდება ჩვენს ლიტერატურას.

ასე გავთქვი, ძვირფასო მკითხველო, შენს წინაშე შემოქმედებითი საიდუმლო, იმიტომ რომ შენი მხარდაჭერის იმედიც მაქვს.

ჩემს შაგიდაზე სუფთა ფურცელი დევს... ზოგჯერ დამრჩება ხოლმე, მოგეხსენებათ — სამსახური, ოჯახი... მაშინ ჩემს სამუშაო ოთახში შეიღიშვილები შეიპარებიან და ზედ ძალიან საყვარელ სურათებს დამიხატავენ...



სამხელ კოლმსიანი
არჩილ ღვინთიანი

გრიგორ ნარეკაცი

ათი საუკუნე გვაშორებს გრიგორ ნარეკაცს. მაგრამ მისი ღირსი კმნილების — „გოდების მატიანის“ კითხვისას უნებურად იშლება ზღვარი შეითხველსა და პოეტს შორის და შეგვიდვართ საოცრად ნაცნობ, რეალურ სამყაროში, ხაიდანაც კაცობრიობის ბედზე დრმაღ ჩაფიქრებულსა ადამიანი შეგვივცვრის.

სომეხმა ერმა იმთავითვე იწამა გრიგორ ნარეკაცი თავისი ერის უდიდეს შვილად და გვერდში ამოუყენა მესროპ მაშტოცს, გრიგორ განმანათლებელსა და ვარდან მამიკონიანს, რომლებიც სომეხთა ყველა თაობის მსოფნაში ცოცხლობენ... სომეხთა ფოლკლორშიც არაერთი ღვინთიანი თუ ნამდვილი ამბავი შეგვიანება ნარეკაციის უკვდავსაყოფად: „გოდების მატიანე“ სახელმწიფო სტენიით წუთისოფლი-საგან შექირვებულთ და ყველას, ვისაც ამ ქვეყნურ ხაიდუმლოებაში ჩაძიების სახშილი სწავდა... შინაარსობრივად ამ პრობლემის არეალში ტრიალებს ნარეკაციის ფიქრები „გოდების მატიანეში“ და იგი ანიჭებს პოემას იმ ძალასა და ხიდიადეს, საქვეყნოდ აღიარებულ რენესანსის სწორუპოვარს ოსტატების გვერდით რომ მიუჩინა ადგილი პოემის ავტორს... სამწუხაროდ, ნარეკაციის საქვეყნო აღიარებამ დაიგვიანა. 1064 წელს საქართველოში შემოჭრილმა ხელაქიანთა ურდოებმა დაიპყრეს ანისი, დაანგრეს ქალაქი და იქ ქრისტიანთა „სახლის ახანო“ მოაწყვეს. ცალკე თურქმენების მხედრობისა და ცალკე შინაური აშლილობის გამო, XIV საუკუნეიდან, ხაზლორდ დაემხო სომეხური სახელმწიფოებრიობის უკანასკნელი ბურჯი კლიკიაში და სომეხთის მიწა-წყალზე ჩამოწვა „დღი და მთ“, რომელიც ფაქტურად თითქმის ოქტომბრის რევოლუციამდე ვაგრძელდა.

სომეხთში საბჭოთა ხელისუფლების დაშეყ-

რების პირველ წლებში, გრიგორ ნარეკაციის „გოდების მატიანე“ ერთხანს „ჩრდილში“ აღმოჩნდა; გრამარზე — ძველ სომხურ ენაზე — დაწერილი პოემა ფართო მკითხველისთვის გაუგებარი იყო. თანაც, იმ პერიოდში, ხევის რამდენი, სიხლეს ეწირებოდა... 60-იანი წლებიდან ჩნდება ძველი სომხურიდან ახალ სომხურზე თარგმნილი პოემის რამდენიმე ვარიანტი და იწყება „გოდების მატიანის“ ხელახალი დახატება; ხისტმატურად იცემა პოემა, იწერება რეცენზიები, მონოგრაფიები, გამოკვლევები, ითარგმნება ევროპულ ენებზე, სომეხთში გამოცხადებულია კონკურსი საუკეთესო რუსულ თარგმანზე. ერთი სიტყვით, სომეხი ერის „ბიბლია“, როგორც „გოდების მატიანის“ უწოდებდნენ მომდევნო თაობები, დღითიდღე სცილდება დროის ზღუდეებს და თანდათან ცნობილი ხდება მთელ მსოფლიოში.

გრიგორ ნარეკაცი დაიბადა რშტუნის მხარეში (დასავლეთი სომხეთი) 881 წელს, სოხრად ანქევაციის ოჯახში. მამამისი ბოსროვი, ეპისკოპოსი, მეცნიერი, სასულიერო ლიტერატურის გამოჩენილი მკვლევარი იყო. ბავშვობიდანვე გრიგორი იზრდებოდა და ცოდნას იძენდა, იმ დროის კვალობაზე, სახელგანთქმული სწავლულის, ანანია ნარეკაციის ზედამხედველობით, რომელიც განაგებდა სევანის ტბის ნაპირზე მდებარე ნარეთის მონასტერს — ერთ-ერთ ფრიად ცნობილ კერას ძველი სომხური კულტურისა. როგორც მიღებული უფილია მამის, სოფლის — ნარეთის სახელიდანა ნაწარმოები გვარი — ნარეკაცი. გრიგორს ამ სოფელში უცხოვრია, სადაც დაუსრულებია კიდევ თავისი ხანმოკლე სიცოცხლე 1008 წელს და იქვე, მონასტრის ეზოშია დაკრძალული. მისი საფლავი, კარგა ხანს, უწმინდესი ხალკავი ყოფილა რშტუნის მხარის სომეხთათვის.

გრიგორ ნარეკაციის ბიოგრაფია ღარიბია სათავადასავლო აშხნებით, მაგრამ ეტყობა, ბევრი უხამო დღე გაუვლია მას და მის მახ- წავლებლებსაც, რადგან თონდრაკელებთან" სა- ეტვო კავშირი შეუწამებიათ შათავის.

შუა საუკუნეების, კერძოდ, IX და XI საუ- კუნეების შუა ხანებში, სომხეთში მძვინვარებ- და თონდრაკელების ანტიფეოდალური ხახა- ზო მოძრაობა, მიმართული ორთოდოქსალურ- ქრისტიანული იდეოლოგიის წინააღმდეგა- თონ- დრაკელები უარყოფდნენ სულის უყვადვებასა და საიქიო ცხოვრებას, ფაქტობრივად კი ბრძოლა მიმდინარეობდა წოდებრივი პრივილეგიების და ფეოდალურ-საეკლესიო მიწათფლობელო- ბის წინააღმდეგ, მოძრაობას უარყო ხახა- თი მიუღია, გავრცელებულა არარატის ველზე და დროაადრო გლენბთა ამზობნაშიც გადაზრ- დილა ხოლმე. ეკლესიის შეხვეურებში სასტი- კად ხდებდნენ თონდრაკელების თანაგრძნო- ხაში შენიშნულ პირებს, ხოლო, როდესაც, შათ- ნა რიხვამ ამხვერპლა ხოსროვ ანჟევაცი, გრიგორ ნარეკაციის მამა, რომელსაც კათალიკო- სის ვერედქტით ჩამოერთვა ეპისკოპოსის წო- დება და მისი ნაშრომები საჯაროდ ჩაიფრთხლა კოცნაში, ანანია ნარეკაცა და მის შოწაფესაც დაუდგათ „შავი დღეები“. ნარეკაცი ძაღლე- ბული გაშტანა, ეძებნა გამოხახავალი — ართა თა- ვი დაეხსნა, ინკვიზიციის სახრალდებლო სკამ- ზე მოხვედრისაგან; საკირად მიუჩნევია შიკ- ვლია თხვის ისეთი მანერისათვის, რომელსაც არ გამოქნავდა ლიტერატურას მიხტიციონისა- გან და საშუალებას მისცემდა მახტიკურ სა- ბურველში გახვეული თბრობით წმინდა მიწი- რი ხატუაციებისათვის შეესბ ხორცი. ამაშა გრ. ნარეკაციის გენიალობა და „გოდების მა- ტიანის“ დღევანდლობის საადუმლო. სწორედ ამიტომ გადაურჩა პოემა ეკლესიის შესვეურთა რისხვას და ჩვენამდე მოაღწია.

ხვათა შორის, X საუკუნის ცნობილი ის- ტორიკოსი უხტანესი, ავტორი თხულებიხა — „ისტორია გამოყოფისა ქართველთა ხომბთა- გან“, სადაც დოკუმენტური მასალის საფუ- ველზე აღწერილია VII საუკუნის დამდგეს, ქართველთა და სომხეთა შორის მომხდარი სე- კლესიო განშეთილება, ნართას სკოლაშია აღწერილი და თავისი ნაშრომი დაუწერია ნა- რეკაციის ჩავრებით.

გრიგორ ნარეკაციის მითიურ სიუჟეტებში ბუნებას, ადამიანს, სანგებებს აღქმის საბუაროს. ჩამოცლილი აქვს რელიგიური საბურველი. მა- გალითად, ღვთისშობლისადმი მიძღვნილ ლექს- ში ძველი რელიგიური საუბრები გადაზრებულია

ახლებურად; ჩვენს წინაშე მარამის, არა რა- გორც წმინდანის, არამედ ტრიკლორ, ლამაზ ქალის პორტრეტი — სახე. გრიგორ ნარეკაციის ეპოქაში, როდესაც განუყოფლად გატარონდა ორთოდოქსული ქრისტიანული იდეოლოგია, ახალი აზრები, იდეები, მოვლენების რეალური აღქმა, მხოლოდ შეფარვით შეიძლება ყოფილი- ყო გამოხატული. მიუხედავად ამისა, გრიგორ ნარეკაცმა შეძლო რენესანსის მოტივების ად- რიულის „წამდებრება“, განახლების სიოს „ჩარ- თვა“ როგორც ბიბლიურ ეპიგრაფებში, ისე ძველი და ახალი აღთქმის რელიგიური თემე- ბისადმი მიძღვნილ ლექსებში და განსაკუთრე- ბით პოემაში „გოდების მატიანი“.

„გოდების მატიანი“ შედგება მნ თავისაგან და ყველა თავს წამდებარებული აქვს ერთი და იგივე თავხართი: „გულახლოვიდან აღე- ლნილი სიტყუების ღმერთთაა“. წერის მანერის- ხა და ვერსიფიკაციული სიახლეებით პოემა უნიკალური მოვლენაა სომხურ პოეზიაში. სომხურ ლიტერატურაში გრ. ნარეკაცი თავ- კაცად ითვლება ლექსთა ინგვარი წყობისა, დღეს რომ თავისუფალ ლექსს, ანუ ვერლიბრს უწო- ლებენ. პოემა თავისუფალი ლექსითა გაწყობი- ლი თავიდან ბოლომდე. მიუხედავად ამისა, ზო- გან მთიენ გვხვდება გართიმული სტრიქონები. საერთოდ კი, გრიგორ ნარეკაცი დიდად აფასებს რითმას და პოემის ერთ-ერთ თავში (მნ-ე), სანგებოდ მიუთითებს: სტრიქონების ხოლოს ერთგვაროვანი ან მსგავსი მარცვლებით ლე- ქსი შეტ ემსოცურობას და გამოხახველობას იძენსო.

ყველა ადამიანურ ცოდვას ნარეკაცი თავის თავზე იდებს და ყველას ხახელით („მე ვარ ყოველი და ჩემშია უველა“) იწყებს ღმერთთ- ან სჯა-ხაასს. პოემის ლირიკული გმირის შინა- განი „წვა“ მკითხველებში მძიმე სულიერი თვითგვემის ახოციაციებს იწყებს და უნებურად ვგრძნობთ, რომ ჩვენც წყლილი გვიდგეს იმ ცოდვებში პოეტის გულსა და გრძნობას რომ ამოუცვია და საქვეყნოდ გამოუმხურე- ბია, რადგან: „აუთანავეა ბინძურ ორმოში ცხოვრება“ (აქ და ქვემოთ ყველგან თარგმა- ის ჩვენი — ა. დ.; ს. ა.).

რწმუნდაკარგული ადამიანის სულის იდუმალ ხიდრმებზე დალქალი ტაკილებია გამბელი- ლი ამ სტრიქონებში. აქ იკვთება პოეზიკა პოეტისა და მოქალაქისა, რომელიც მამურად განიცდის ქვეყნად გამეფებულ განუკითხობას: „ქველმოქმედების ნაყოფი და მკანარან, ცოდ- ვები კი გამრავლებულან, ანდერძი დაკარგული მსჯავრდებულის დალი სახეზეა, ხიკვილის ვეჟ- სილი დაწერილია, ანდერძანაგა მივიწყებულია იკეთის მქმნელი მოწყვნილან, ციბერნი გახარებულნი არიან, ანკელოვების გუნდი დაღვრემილა, სატანა კი გულდაგულ ცმაკავს. მკველის ხეღელი საჟხეა ხორავით, ვინც

* სახელწოდება მიიღო სოფელ თონდრაკი- დან, სადაც დამკვიდრდა მოძრაობის ბელადი სმბათ ზარეკავენილი და სექსტანტური თეძი შექმნა.

მისდაგარა — გაბარცულია, სიცოცხლის წყარო დაშრალა, მედღღურის გებლოც კი სიმურთღედ ჰქცეულია.

პოემაში ემსოცურია დატირთვით იკითხება სოციალური განუყოფლობის ტყველები, რომელმაც თონდრუკელების მოძრაობას დაუდო სათავე. არანაკლები სიმძაფრითაა წარმოჩენილი ადამიანთა გაორება, ორპირობა, ორკოცობა.

... როცა ისვენებს, მუდამ გატანჯული და დაღლილია, თუ ნადიშმა, მოწყვნილი და სველიანია, სახე მოწყინარე აქვს; თვალი მგლოვარე, ხელში ორი სასპისი უკირავს, ერთი ღვინით სავსე, მეორე — ნადველით.

პოემაში თანდათან ძლიერდება სამედურავი ღმერთისადმი: პოეტი დაწვრილებით ჩამოთვლებს იმ ტყველებსა და ცდუნებათ მოჭარბებულ ნაირსახეობას, განუყოფელი თანამგზავრივით რომ მიმუყებთან ადამის ძეს დაბადებიდან ხიკვდილამდე. დაშრალა რწმენის მახარადობელი წყარო; ეშმაკი ადამიანს უკეთურ ფიქრებს უღვიძებს, ამიტომაც, ადამიანი თანდათან იცვლის ზნება და იერს, ნელ-ნელა შორდება მშობლიური მიწის ფხვვებს, აღარ აწუხებს სამშობლოს ხატკვარი, ურწმუნოება დღითიდღე არღვევს სულისა და ხორცის პირველყოფილ მთლიანობას.

„ცოდვების მყრალ შტამში ჩაფლული არც ცოცხალი ვარ, არც მკვდარი.“

სამყაროს ახსოვლუტურ და სრულყოფილ გაშირვებს ადამიანი გაუჩინია „სახედ და ხატად თვისა“, უბოძებია ყოველივე ის, რაც თავად გაჩინა: სამართლიანობა, სულგარძელობა, გამტანობა, მშვენიერებისაკენ ღიჯობა, შავრამ, ვერ მოუწყვია მისი ცხოვრება ისე, რომ ადამიანს გზადგვა არ დაერღვია ბუნებაში არსებულ იდეალურ მარშონია, არ ჩაფლულიყო ხიჭიერების კაოხში.

გაწამებული პოეტი ეძებს გამოსავალს. ეძებს იმ ნეტარ გრძნობას, კაცს რომ გადაარჩინს; ხსნა კი ღმერთშია. ღმერთი უნდა ჩახახლდეს ადამიანში, მან უნდა შეაკოწიწოს და გაამთლიანოს გაორებული სული, რადგანაც ღმერთი და ხიყვარული, გაუთზიველი ცნებებია.

მეტაც: უწინების მიერ მოწყობილი სიწამდვილით აღშფოთებული პოეტის სულში უნებურად იღვიძებს მტამობის სულიცკეთება, პოემაში თანდათან ნელდება ღრმადმორწმუნე მორწმუნის იტონაცობა და ღმერთთან პაქტობის სწები იმდენად ძლიერდება, რომ ნარეკაცი ბრალისკე კი სდებს უფალს:

„ჩემი ხსენება არ იყო და გამაჩინე, არ მითხოვია და ხორცი შემასხი, ამქვეყნად არ ვიყავ მოსული და დამინახე, იყოდი, რაც გადამხლებოდა და არ ამარადე, წინასწარ მკურნეტი თვალთ შენიშნე ცოდვები, მე რომ გამ-

ტანჯადენდი და მაინც გამაჩინე, მე... ესე ჰქმენ, ცოდვებმა არ ჩინშეთან ერთიანად... ჰპა კიძეა;

„შენ გააჩინე ყველა და ყველაზე უფლებას მწყალობელი და გულშემატკივარა უნდა იყო მხოლოდ, გინდაც შესცოდონ, — შენთანები არიან, — შენს სათვალავში ითვლებიან“.

გრიგორ ნარეკაცის პოემაში აშკარად გამოიკვეთება აზრი, რომ ღმერთს ადამიანი გაუჩინია თავისი საქორეობისათვის. ღმერთი, ადამიანს გადასარჩენად, არა როგორც მხაჯული, არამედ ავადმყოფთან მიხული ექიმვით უნდა ზრუნავდეს; „ექიმვით თანაზიარს იყავი და ნუ იქნები განმსჯელი“.

და ამა, ჩვენ მიუვდით პოემის იმ ნაწილთან, სადაც ნარეკაცის მხოფლმხედველობას იღუშალებს ბინდი ეთნება და უოველი სიტყვა იდეალიზმის სახურველში ეხვევა... თვითონ პოეტის ხელში კი, თითქოს, უჩინარი ღუმელი ჩაუდგამთო, ჩაუქრობილი ცეცხლი ანთია.

რა ხდება პოეტის არსებაში?

ისევ ღმერთისაკენ, ისევ ცისკენა მიმართული ნარეკაცის თვალთაბედვა, შავრამ, ამქრად მის ფიქრებს მისტიკური იმპულსები ასაზრდოებს, რომლის თანხმადაც შენაძლებელია დეათების უშუალო წვდომა, არაფრების ან შეტრძებების საშუალებათ, არამედ თავისებური განცდით, რომელიც უჩნდება ადამიანს ექსტაზის დროს. გრიგორ ნარეკაცისათვის ღმერთია უმაღლესი იდეალი, ამიტომ ვგი მთელი არსებით ისწრაფვის მისკენ და რაკი ადამიანსურობას თვლის ზენარისის უმაღლეს დრსებად, ადამიანსაც ღმერთს უნდა მიხამოს ყველაფერში; ესაა უკანასკნელი მისწინ აღრინდელი ბიწმინდის დასახარუნებლად.

„ჩემი ხატება, შენ რომ მომეცი, ჩემი ცოდვებისაგან გაფერმკრთალდა — გაბუნდოვანდი. გემუდარები, მეხთატებით გადაადნე შენი სიტყვების ქურაში და ახლად ჩამოსახი იგი“.

პოეტი დარწმუნებულია, მხოლოდ ამ ზნით განიწმინდება ცოდვებისაგან. მხოლოდ განწმინდული ადამიანს ხედუწიფება ტეშმართებლისათვის, სიკეთისათვის, მშვენიერებისათვის, ამაღლებულისათვის თავგანწირვა, ქრისტესავით ვალგათაზე ასვლა, განუყოფლობით დადღამსულ ცხოვრებაში ბრძოლა და ნამდვილი რწმენით ქმედება...

თითქოს სახლოლოდ გამოიკვეთა პოემის შინაარსობლივი კრელო: ეკლესიის მსახურის ნარეკაცის აზროვნება ერთი შეხედვით ვერ ვასცდა ღმერთს, — „გადამჩენელს თავისსავე შექმნილისა“, შავრამ, მკითხველი მადრ რწმუნდება, რომ მოჩვენებითი, დროებითი ყოფილა პოეტის ამგვარი პოზიცია. მომდევნო „აღხარებენ-

ში“ ანუ თვითონვე უარყოფს ადამიანის გა-
დარჩენის მისტიკურ ვერსიას.

სხვათა შორის, ნარეკაცი თავადვე აღიარებს თავის შეხედულებათა ცვალებად ხასიათს:

„ჩემს არსებაში ცრმა წინააღმდეგობაა სხვადასხვა მიმართულებათა შორის. ჩემი ცხოვრება აბოთქრებული ზღვა მგონია. სა-
დაც სული ჩემი თავისი სხეულის ვარსში ნაეი-
ვით ქანაობს სამყაროს ზვირთებისაგან, ერთი-
მეორის მიყოლებით რომ მოისწრაფიან ჩემს-
კენ“.

ამ სტრატეგიაში ჩართული შედარებები და მტკაურობები ცხადად მტკაულებიან პოეტის ფი-
ლოსოფიური აზრის გაორებაზე და ჩვენ ისღა დავერჩინა ვერწმუნოთ მას.

გმირიგად, ნარეკაცი როცა „კაშია“, ფანატი-
კური მოჩქმუნა, არ იშურებს მხატვრულ სა-
ნუბავებს უფლის განდიდებისათვის; ღმერთში
ხედავს ადამიანის დახმარებას; ღმერთია იმედით,
რწმუნა, იდეალი... მაგრამ, როცა მიწაზეა,
ხაინააღმდეგ პოზიციაზე დგება; თითქმის
უარყოფს იმას, რასაც ხობტას ახსნიდა, რადგან
უზარმაზარ ზღვარს ხედავს ადამიანისათვის ღმე-
რთის მიერ „დაგვემდე“ ცხოვრებასა და მიწი-
ერ, რეალურ სინამდვილეს შორის; აქ განუ-
კითხაობის ფერმიწინ უხუთავს სულს და ამ
მდგომარეობაში მყოფს, ღმერთი თურმე მხარ-
ში რადი ედგას, პირქით, გაუარსებს; რაც უფ-
რო უახლოვდება, უფალი მით უფრო შორდება:
„რაც უფრო გაახლოვდება, მით უფრო გშორ-
დება, რაც უფრო ვცდილობ ამაღლებას ცასა
შინა, მით უფრო მიწისაკენ მეწადება თიხა“.

ღმერთს, თუშეცა „სახედ და ხატად თვისა“
შეუქმნია ადამიანი, მაგრამ მაინც წარმავად
არსებდა გაუჩინა, არსარულყოფად არსებდა და
მის თავზე დაამკლეს მახსილოვით ჩამოყალიბა
ყოფნა-არყოფნის საზარელი პრობლემა...

ერთგან, პოდმის ღირსეული გმირი, თუ მთელი
არსებით ერწმუნება ცილად დედამიწაზე ეკლემ-
სიის მამათა „ჩამოტანლი“ შეგონებას უფლისას,
რომ ადამიანმა ლოცვითა და მარხვით, სამოთხე-
ში მოხვედრის იმედით, სულისთვის ხორცი
გახწიროს, — სამოკლამერვე თავში ამის სა-
პირისპირო აზრს გვთავაზობს: რეალურ სინამ-
დვილეს სახლოლოდ დაურწმუნებია, რომ მიუწ-
ველომელი ყოფილა დროებითი არსის სწრაფვა
უკვადვებისაკენ; რომ ადამიანი დიდი ცხოვრე-
ბის გზაზე მიმავალი მგზავრია და ამიტომ, მი-
სი უმარტველესი ამოცანაა, დროზე მოიმარავას
სანოვადე „მკაცრი ზამთრის“ დღეებისათვის;
სამყოფელსაც დროზე ამოუწმოს კედლები და
სახურავიც დროზე დაადგას, რომ ვარაუტისა-
გან თავი დაიხსნას; წინ მიმავალმა ზურგს
უკანაც მიიხედოს ხოლმე; დარწმუნდება, არსე-
ბობისათვის ბრძოლა მიხგან მოთხოვს ლოცვა-
ნის ნაცვლად მარტვენა ხელში ხმალის დავტრასა,

მარტვენაში — ფარნას, რათა მზად იყოს მარტ-
თის, მან მერთის მომარტვებისათვის.

ადამიანმა თავად უნდა იზრუნოს თავის არ-
სებაზე, შეცას კი თავლი აარიდოს. ღმერთის
ძალას მიენდოს, თვითონ მოიწყოს თავისედა-
რი მარტვე და საზოგადოებრივი ცხოვრებით
აფორიავებულმა თვითონვე გაიკვლიოს გზა, აქ
ქიოს იმედის წყარო, მოუაროს საკუთარ „ხალს“
და რწმენის სათავის აღმოჩენაში ჰპოვოს ნუ-
გეში...

დღეს, რაგინდ უცნაურად და ტრავიფალურა-
დაც არ უნდა მოგვეტვენოს „ფანატიკურად
ღმერთმორწმუნე“ გრიგორ ნარეკაცის ლოგია
მე-10 საუკუნის მისტიკურ წყვილიდში, ფაქტი
ქიუტია: „გოდების მატანე“ უარყოფს ღმერ-
თს, მის ბუნებას; ადამიანის გადარჩენას, ზედ-
ნიერებას, უკვლავებას თვითონ ადამიანში, მისი
შემოქმედებითი ძალიებისადმი რწმენაში ხედავს.
ამაში კიდევ უფრო დაერწმუნელებით, თუ ზე-
მოთმოტანილ სტრატეგებს: — „რაც უფრო გა-
ახლოვდება, მით უფრო გშორდება, რაც უფრო
ვცდილობ ამაღლებას ცასა შინა, მით უფრო მი-
წისაკენ მეწადება თიხა“, გვრდში დაუხუენე-
ბთ: „არ ვცნობ და ვერც ოდესმე შევიცნობ,
ვისი ნებით გაგჩნდი, ვახი მხავსებით და ღრის-
თვის“. უარყო რა, ღმერთი და მის ღვთიურ ნა-
თელთან მიახლოვების მისტიკური მცდელობა,
დარწმუნდა რა, აქ ვერსიის სიყალბეში, ამას-
თან ერთად, ნარეკაცმა უარყო ეკლემსიის რო-
ლი, — იყოს შუამავალი ცასა და დედამიწას
შორის. გრიგორ ნარეკაცმა, სრულეცი თვითონ
იყო სომხური ხახუდიერო წოდების ერთ-ერთი
წარმომადგენელი; კარგად უწყობდა თავისი მრე-
ვლის ავ-კარგი, რა უღბინდა მას, რა აწუხებდა
და რა ხუდიერ საზრდოს აძლევდა ეკლემსია ადა-
მიანს. ერთი სიტყვით, ნარეკაცმა დამსო ბრმა
რწმენა და ასეც უნდა მომხდარყო — სტანდარ-
ტული შეგონებებითა და დოგმებით დროებით
შეჩერდება ხოლმე მარადიული შემეცნების პრო-
ცესი. მაგრამ ერთ წერტილზე გაყინვა არ ეტყ-
ბის, ყოველი საღად მოაზროვნე ადამიანი ხიხ-
ლეს ეციბეს, ხოლო ჰიგმის პროცესი ისეთი
ძლიერი და უსასრულოა, მისი შემჩრებელი ძა-
ლა არ არსებობს...

გრიგორ ნარეკაცი იმ მოაზროვნეთა ერთ-ერთ-
თი მრწმენადე წინამორბედა, „ბეტი რამ რომ
ისესხეს“ მისტიკისაგან, — თავანთი ახალი იდე-
ების შეფარვით გაცხადებისათვის.

საინტერესოა, რაგორ შეეუთავსოთ ღმერთის
უარყოფა, ღმერთის შიმართ აღვდენილ ადარე-
ბებს, ისე როგორც პოემაშია, თითქმის ბოლო
თავებშიც კი?

აქ მართლაც ერთგვარი ურესაბამოა. რაც
უფრო ახლოვდება ფინალი, მკითხველი ნელ
ნელა რწმუნდება, რომ ღმერთის ცნებაში ნარე-
კაცი აცნობიერებს სამყაროს უსასრულო გან-
ფენილობას, ანუ ბუნებას (ახე ესმოდა პოეტის

ინტერესები წყობებულს), ხოლო ადამიანის ცნებაში — საშუაროს მარადიულობიდან ამონა-ზე აუცილებლობას, ბუნების შენაღებებელ ნა-რისსა და ამდენად, მასწავლელ დაქვემდებარებულ რსებებს, ანუ ბუნების „ანგარიშში“ მყოფ არ-რებს, რომლის უწინდესი მოვალეობაა კი არ დაშინებოს და გააღატაკოს ბუნება, არამედ შე-ფასოს და გააღამაჟოს თავისი დიდი თავშეხა-ფარი — დედამიწა. რწმენითა და იმედით აღუ-სოს თავისი ჩაცოცხლები თავისი არსებობით არ დაარღვიოს ბუნების მარწმინდულობა; ამ ფენო-მენს ცილის დროისა და ცვლილებების კვალი-ბაზე მტკნალად საშუაროს საიდუმლოების ამცნობის გზები, — ადამიანის ტანჯვის შემთხ-ვებულებები საღებუნო და ბარბოტებისა და უსა-მართლობის დამარცხებით დამკვიდროს სიყვა-რული. პოემის ფინალში, ნარეკაცს ეს რწმენა ასულაგმულებს და ამითავე გაინსმის ხოლო: სტრიქონებში მისი მკვნივარე მოწოდება: „დაე-მარწყვდენ შატლები, ტირილი შეწყდეს, ნუღარ იქნება დარტყვითი კბილების კრახუნო დაე ამო-იბრკვოს გლოვა-გოდების ფესვი, გაშრეს ცრემ-ლი, ჩანაცრდეს ხორბოტი ციციხლი გაფანტოს წყვილი და ხოლო მოგლოს ადამიანის უსა-შეგლო ტანჯვა-წამებას“!

დიდი ინტელექტუალური და პეტური კი-თილშიხილება გამოხვევის ამ სტრიქონებში და არა მარტო აქ. — პოემის უფრო თავში იტყვნო-ბა დიდი შოაზროვნისა და დედამიწაზე ადამი-ანურ სიხარულს დანატრებული შემოქმედის ხა-ონობით აღსავებ გულის ფთქვა, მისი მუშა-ნიში, ამიტომაც უწოდო თავის „გოდების მატია-ნის“ ნარეკაცში „მარადიული ძეგლი“, მარადი-ულ სასუფოვედში კი თან წაიღოს პოემის ფურც-ლებზე დარჩენილი რწმენა: „ვეცი გათრელება ჩემი აღსახრულის დედა — ამ „მატიანის“ წყა-ლობით უკვდავი დურჩები“! დარჩა კიდევ XIX საუკუნიდან დარწმუნ ნაწყვობების თარგმ-ნა: „გოდების მატიანიდან“ ფრანგულ, ინგლი-სურ, პოლონურ და იტალიურ ენებზე. აშუაბად, პოემა სრულად თარგმნილია ფრანგულ ენაზე. ნაწყვობები არაბულ, რუმინულ და თურქულ ენებზე. უკვე არსებობს რამდენიმე სრული თარგმანი და როგორც ჩვენში, ისე უცხოეთში, გამოჩენილი მწერლები და ლიტერატურათმცო-რებელი დიდ ინტერესს იჩენენ ნარეკაცის „უკ-ვდავი ძეგლისადმი“.

როგორც ვთქვით, „გოდების მატიანი“ და-წერილია თავისუფალი ლექსით. პოეტისა და არანაკლებ დიდი შოაზროვნის მოუხვეწარი ფიქ-რები, განცდები გადმოცემულია შედარებით, პეტაფორებით, პოეტური ენის სხვა საშუალებ-ებით (რიტორული მიმართვა, შეძახება, შე-კითხვა, გამორჩევა).

გროგორ ნარეკაცის მეტყველება მდიდარია ახალი სიტყვებითა და გამოთქმებით, რომლებ-საც მანამდე არ იცნობდა სომხური სიტყვაქა-

მული ლიტერატურა. მათი რაოდენობა 750-მდე აღწევს. აქედან მან სიტყვა კი, ბუნებრივად არ მარტა სომხურ ლიტერატურულ ენაზე.

დიდი ნარეკაცის გავლენა მხოლოდ ნარეკაცის უფროსი თაობის წარმომადგენლებზე, განსაკუთრებით ჩვენი დროის ისეთ ცნო-ბილ პოეტებზე, როგორც პარიზურ სხვაკი და რვანეს შირაზია. რვანეს შირაზის ფილოსოფიუ-რი პოემა „ბილიური“, რომელიც შეხანიშნა-ვად თარგმნა შირის ფოცხიშვილი და გამოქვე-ყნდა შურნალ „მნათობში“, გროგორ ნარეკაცის გავლენითა შეთხზული.

ქართულ რწმენადოგორ ლიტერატურათმცო-დერებაში ნარეკაცის ბიოგრაფიული ცნობები და მისი შემოქმედების მოკლე მიმოხილვა, პირ-ველად „სომხური და აზერბაიჯანული ლიტერ-ატურის ქრისტომათიაში“ გამოქვეყნდა. ქრის-ტომათია მოხლის სახელმწიფო უნივერსიტე-ტის ახალი ქართული ლიტერატურის კათედრის გროგორ 1988 წელს გამოცა და განკუთვნილია დამხმარე სახელმძღვანელოდ სტუდენტებისათვის.

სომხური ლიტერატურის ქრისტომათიის შე-მდგენელია აწ განხვევებული ცნობილი არმე-ნილოვის პროფესორი ვანო ნიკაყაძე. მასვე ეკუთვნის გროგორ ნარეკაცის მოკლე ბიოგრაფია და მისი შემოქმედების მოკლე დანახათება, აგრეთვე აწკარდული თარგმანი ლექსისა „სიმ-დერა ფერისცალებანი“ და პატარა ნაწყვობი „გოდების მატიანიდან“.

რუსულ სინამდვილეში გროგორ ნარეკაცის ხანელი პირველად იხსენიება ვალერი ბრიუსო-ვის „სომხური პოეზიის ანთოლოგიაში“. მასში ვ. ბრიუსოვის შეუტანია ნარეკაცის ორი ლექსი: „მეხისის ვარდი“, „სიმდერა ქრისტეს მკვდრე-თით აღდგომასზე“.

გროგორ ნარეკაცის პოემა რუსი მკითხველი-სათვის ხელმისაწვდომი გახდა 75-იანი წლები-დან, როდესაც ცნობილი პოეტია და მთარგმ-ნელია ნაუმ გრენენევა თარგმნა ნარეკაცის ლექ-სები, როგორც მატიანის“ ექვნი თავი და ცალ-კე კრებულის ხებით დასტამბა, სათაურით — „ლექსები საუკუნეთა სიღრმეიდან“.

1972 წელს რუსულ ენაზე გამოცემულ ანთო-ლოგიაში „საშუალო საუკუნეების სომხური ლა-რიკა“, ნ. გრენენევა კიდევ ათი თავი თარგმნა პოემიდან, შემდეგ კი პოემა მთლიანად ცალკე წიგნად გამოცდა.

ამ თარგმანება უდიდესი გამოხმაურება გამო-და და ნარეკაცის შესახებ ააღამარა ჩვენი ქვეყნის ცნობილი პოეტები და კრიტიკოსები. რომელთა წერილები დაიბეჭდა შემდეგ პერიო-დულ გამოცემებში: „იუნოსტა“, „დურუბა ნაროდოს“, „ლიტერატურანი“ არმენია“, ცნ-ტონური „ლომინტი“, „მატერსტრო პერეგო-და“, ლიტურთი „დენე პოეზია“.

ეს პუბლიკაციები სომხეთში ცალკე კრებუ-

ლად აიკინძა და რუსულ ენაზე მიეწოდა მკითხველს 1974 წელს.

ცნობილი საბჭოთა მწერალი ჩინგიზ აიტმატოვი ვრცლად განიხილავს „გოდების მატთანს“ დიარსებებს და რუსულ თარგმანს ნარეკაციის მეორე ხიცოცხლის დაწყებად მიიჩნევს... „ამ ნაწარმოებმა მე ამაღელვება და ზევრ რაშეზე დაშაფქვა, კერძოდ იმაზე, რომ ათახი წლის წინათ ჩვენი დაშორებულ კაცს ისეთი კატეგორიებით უაზროვნიან, რაც დღეს ჩვენ ფიქრადაც არ მოგვადის, — ჩვენ მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის აღამიანებს.

ჩემი სიტყვების დასტურია გრ. ნარეკაციის „მატიანე“, რომელშიც არის, როგორც თავისი დროის, ისე ყველა დრო-ჟამის პოეტური „აზრის ნახტომი“.

„მატიანე“ დღემდე ჩემი წაკითხული წიგნი-ბიდან ერთ-ერთი ყველაზე ფილოსოფიური ნაწარმოები და არაჩვეულებრივი წიგნია. ამიტომაც, ჩემს რომანს — „და დღე იყო უფრო ვრცელი წუთისოფელიზე“, წავუშვებ ვრიგორ ნაირეკაციის სიტყვები: „წიგნი ესე არს მაგიერი ჩემი სხეულის, სიტყვა ესე არს მაგიერი ჩემი სულიისა — იგი პასუხობდა ჩემს განწყობილებას და დამოკიდებულებას რომანისადმი“, — წერს ჩ. აიტმატოვი (ეურნ. „გარუნი“ (გაზაფხული), №2, გვ. 24-25, 1982, ერევანი).

ამრიგად, მისტიკურ სამონელიდან „გათავისუფლებული“ გრიგორ ნარეკაცი სომხურ მიწაზე აღმოცენებული სომხური ხულის ზოგადი ფენომენია, რომელიც თავისი განცდების სიმართლით ყველა დროში შეძრავს აღამიანთა გულებს.



დავით წოვაკოლაური

გაღიხილი და ახალი ვაჟა-ფშაველას კაი ყოის სახეში

ვაჟა-ფშაველას რწმენით, ადამიანის ცხოვრების საზრისო საზოგადოებისა და პიროვნების ინტერესების თანაფარდობის მართლად წვდომასა და მსგავსი თუ განსხვავებული მოთხოვნისებების ჰარმონიულ შეწონასწორებას უნდა ემსახურებოდეს. ამიტომაც ადამიანის შინა-სამყაროს მოძრაობის პირობათა და მოტივთა მხატვრული გახსნა პოეტმა მიიჩნია მწერლობის უძირითადეს ამოცანად. პოეტი აღნიშნული თვალსაზრისით აფასებდა ზალხური შემოქმედების ნიმუშებს, საკუთარსა და სხვა მწერლების მხატვრულ ქმნილებებს.

ვაჟა-ფშაველამ ცხადყო, რომ ხელოვნების მიერ გახსნილი პიროვნული იდეალი უშუალოდ და განუყრელად უკავშირდება ერისა და შემდგომ კი კაცობრიობის ცხოვრების მოთხოვნებს. დიდ ლიტერატურაში შექმნილი ტიპები პასუხს უნდა აძლევდნენ ერის საჭირობოთა კითხვებსაც და კაცობრიობის საზოგადო სულისკვეთებასაც. პოეტის სიტყვისამებრ, ამიტომაც „გენიოსს არ შეუძლიან იგრძნოს ეს ცხოვრება ნახევრად, მესამედად ან მეოთხედად, არამედ გრძნობს მთლად, ერთობლივ; არ შეუძლია აგრეთვე იგრძნოს დაბალი, მცირე ღირსების საკითხები, რომლებიც დაახლოებულნი არ არიან კაცობრიობის ცხოვრების ღერძთან.

გენიოსთა ნაწარმოებები ეროვნულ ნიადაგზე და ხშირად ეთნოგრაფიულზეა აღმოცენებული, მაშასადამე — კერძო თვისებისა, ზოგადი, საკაცობრიო ხდება და ერთნაირად საყვარელია ყველა ადამიანისათვის, რომელ ეროვნებასაც უნდა ეკუთვნოდეს იგი...“

ირვევა რომ. მწერლები ადამიანის სწრაფებისა თუ სხვა ცხოვრებისეული მოთხოვნისებების დაფასება-გადაფასების, აქედან ახლის გამორჩევისა და მისთვის გზის გახსნის დიდ სურვილს მიყვებიან. ცხადია, პოეტის სიტყვები იმაზეც მიგვანიშნებენ, რომ ეროვნულ-ეთნოგრაფიულ ნიადაგზე მდგომი და ამ გარემოში მოღვაწე ან ამგვარი მასალის საფუძველზე შექმნილი ლიტერატურული გმირის სახე ყოველთვის უნდა იყოს დაახლოებული „კაცობრიობის ცხოვრების ღერძთან“. ფართო მნიშვნელობით ამაშიც ცნაურდება ვაჟა-ფშაველას ნათქვამის — „ხელოვნება ქვეყნის საჭიროებას თან მისდევს“ — ჰე-შმარიტი აზრი. იგულისხმება, რომ მწერლობის განუწყვეტელი ზრუნვა ადამიანთა სულისა და თვითშეგნების ასამაღლებლად თავისთავად ნიშნავს დიდი ეროვნული და საკაცობრიო მიზნების რეალიზებისათვის ბრძოლას. ეს ღრმად სწამდა ვაჟა-ფშაველას და ამიტომაც თავის ნაწარმოებებში ათასი კუთხითა და ნიუანსით გვიჩვენებდა

ქვეშაარტ სულიერ გმირობას, მის ნიშან-თვისებებსა და საზოგადოდ ადამიანის თვითშეგნების რთულ ბუნებას.

მსოფლიო ხალხების ფოლკლორსა და ლიტერატურაში და, ცხადია, ქართულ ფოლკლორსა და მწერლობაშიც ოდითგანვე მთავარი ადგილი დაიჭირა სამშობლოს ერთგულების, ადამიანთა უფლებებისა და ღირსებების მხატვრულმა განსახიერებამ. ეს მარადიული თემები სხვადასხვა ხალხის მხატვრული კულტურის ისტორიაში ორიგინალური შინაარსითა და ფორმით იძერწებოდა. გმირობისა და გმირის ბუნების გამოხატვის თავისებური აღწერითი ცდები უძველეს ისტორიულ თუ მითოლოგიურ თქმულება-გადმოცემებშივე მოცემული. ქართულმა ხალხურმა პოეზიამაც გამჭირაბი და გამორჩეულად მამაცი გმირის ქება იმდროიდან იკისრა, როდესაც საჭირო გახდა მამულისა და ხალხის ინტერესების დაცვა.

ვაჟა-ფშაველას მოღვაწეობის ერთ-ერთი თავისებურება ის არის, რომ იგი ულევ პოეტურ ენერჯიას ახმარდა ფოლკლორული და ლიტერატურული ტრადიციების შემოქმედებითად ათვისებ-განვითარებას. ცნობილია, თუ რა გულმოდგინედ განიხილავდა პოეტი ხალხური საგმირო პოეზიის ნიმუშებს: თავის ფოლკლორისტულ წერილებში მან არა მარტო ძველი საგმირო ლექსების შეუდარებელი დახასიათება მოგვცა, არამედ მთელი ფშაური ხალხური პოეზიის მნიშვნელობის მრავალმხრივი შეფასებაც იკისრა.

ხალხის შეხედულებითაც და ვაჟა-ფშაველას აზრითაც კაი ყმა სანაჭებო გმირია, ხოლო ნამდვილი გმირი ყოველთვის კაი ყმად იწოდება. ამ ცნებებს სინონიმური მნიშვნელობა აქვს. გმირობა, კაიყმობა კონკრეტულ-ისტორიული ვითარებისა თუ იდეალის შესატყვისად ფასდება, თუმცა მასში ბუნებრივად ექსოვება ზოგადადამიანური სულისკვეთებებიც. კაიყმობის ცნებაში ნაგულისხმევი შინაარსი, როგორც პოე-

ტი ამბობდა, „დროების მოთხოვნის მიხედვით“ თავისებურად იცვლებოდა.

კაი ყმის სახელით მეტროპოლი ადამიანის მოხსენიება უძველეს რეალურ-მითოსურ რწმენა-წარმოდგენის ბაზაზე ჩანს დამკვიდრებული. ცნობილია, რომ მთიელთა რწმენით, ესა თუ ის „საყმო“ იქმნებოდა იმ ხატის სიახლოვეს, რომელსაც გადმოცემით კონკრეტული თემის წინაშე მეტროპოლისა და მფარველის დიდი ღვაწლი მიუძღოდა. მაშასადამე, საყმო თავისი კარგი ჩვეულებრივი თუ ცუდი ყმებით ერთდროულად სათემო ან სატომო ხატის ყმად, მის თავყანისმცემლად ითვლებოდა. ასე რომ ფშაველი, მათივე შეხედულებით, თავისი თემის ხატის ყმაც იყო და საერთოდ სატომო სალოცავის ლაშარის ჯვარისაც. ეს გარემოება მას შინაარსით რამდენადმე განსხვავებულ მოვალეობასაც აკისრებდა. აქ აღვნიშნავთ სხვაობის მხოლოდ ერთ ასპექტს: სათემო ხატი საყმოს შიგნით ქორწინებას კრძალავდა.

ხალხური მელექსის ხოტბის საგანია უბრალო მშრომელი კაცი თვისტომთა და საკუთარი ღირსების დასაცავად „ბასრი ხმლის ამზიდავი“ კაი ყმა. სწორედ ასეთ ადამიანს გულისხმობს ვაჟა-ფშაველა, როცა ამბობს: „გმირი ფშაურს ლექსებში „ვაჟაყვად“, „კაი ყმად“ იხსენიება; იგი თემიდან გამოდის, თემს ემსახურება, იმის გულისთვის იბრძვის. გმირის მაღალი ზნეობა და საგმირო საქმენი თემს დასტრიალებს თავზედ. გმირი გარეგნობით არა ჰგავ მზესა და მთვარეს. იგი თავისებურად არის ლამაზი: „სვილისფერა“, „შავგვრემანი“.

ამასთანავე, კაი ყმა პირდაპირია, ნამუსიანია და ცუდის შემჩნევისას აშკარად მთქმელი. კაი ყმის ხასიათისა და იდეალის გამომხატველი ხალხური ლექსები ცხადყოფენ, რომ ამ გმირის მოქმედების გამაპირობებელი უმთავრესად თემისა და ტომის ინტერესები და მოთხოვნებია. თავისი ხალხისათვის სარგებლობის მოტანის აზრი უდევს საფუძ-

ვლად კაი ყმის ზნეობრივ საქციელს. მისი აქტიური მოქმედება, უწინარეს ყოვლისა, თემისა და ტომის მტრების წინააღმდეგაა მიმართული. გვირგვინი ან-რეზთა მოთხოვნას კი არ არღვევს, არამედ სხვებს აღემატება მათი აღსრულებისას გამოვლენილი ფიზიკურ-მორალური უნარით. ის მხოლოდ ხალხის საზოგადო კეთილდღეობისათვის „იხარჯება“. სანაცვლოდ კი მხოლოდ სახელი რჩება. ამიტომაც მწერლის სიტყვისამებრ, „ყველგან მაღლობას სწირავენ მარჯვენას კაი ყმისასა“. მაღლობას კი იმიტომ სწირავენ კაი ყმებს, რომ ცხოვრების საყოველთაო წესებს, მამა-პაპისგან გადმოცემულ დარიგებებს ერთგულად მიყვებიან. ამ აზრით გვირი შინაგანად მონოლითურია და კონკრეტულ-ისტორიული ცხოვრების ნორმათა ერთგულად დამცველი. მთელთა საზოგადოებრივი ყოფა-ცხოვრება ადათებითა და სარწმუნეობრივი მრწამსით მტკიცედ შეკრული ისეთი რეალობა იყო, რომელიც არავის აძლევდა ნებას ოდითგანვე დამკვიდრებული ადათების უარყოფისას. ამის გამო ვერც ხალხური მეღვქმე შეაქებდა ისეთ ადამიანს, რომელიც ხალხის შეხედულებებისა თუ ცხოვრების წესის შეცვლას მოინდომებდა. ხალხური პოეზიის მიერ დახატული კაი ყმა იმითაა გამოარჩეული, რომ უნაკლოდ, ერთგულად, მრავალზე უკეთესად განასახიერებს საყოველთაო წესებს და სახალხო იდეალებს. ასეთი აღმსრულებლობით იყო სახელმწიფოგებელი გვირი, ხალხის რწმენით, და ის ამ სახელსაც ვერ დაიმკვიდრებდა თუკი საზოგადოების თვითშეგნების, ადათებისა თუ რწმენა-წარმოდგენების წინააღმდეგ მოიქცეოდა.

ვაჟა-ფშაველამ თავისი თხზულებების ზოგიერთი პერსონაჟი კაი ყმის სახელით მოიხსენია. ამით პოეტმა გვირობის, კაიყმობის მნიშვნელობის ხალხურ შეფასებებთან თავისებურ შემოქმედებით მიმართებაზე მიგვანიშნა. ეს გარემოება საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ზოგჯერ ხალხური პოეზიისა და

ვაჟა-ფშაველას მიერ დახატული კაი ყმები სრული იგივეობის ნიშნით წარმოედგინათ.

ვაჟა-ფშაველას პოეტური ერთ-ერთი უძირითადესი ნიშანი ის არის, რომ საყოველთაოდ მოსაწონსა და მისაღებ ტრადიციულ შეხედულებებთანაც კი ავტორი ყოველთვის ნოვატორულ მიმართებას ამყარებდა. პოეტის შემოქმედებით ინტერესს ხშირად ვერ აკმაყოფილებს კარგის, იდეალურის მხატვრული განსახიერების ის მასშტაბები და ხარისხი, რაც მთის პოეზიაში სანიმუშოდაა დასახული. ინდივიდი შემოქმედის ფანტაზია კაი ყმის სულიერ მოთხოვნილებებსაც ავითარებს და სოციალურ-ფსიქოლოგიური და მორალურ-ესთეტიკური აზრით აღრმავებს კიდევაც მათ. ამიტომაც გარკვეულ ლიტერატურულ ინტერესს წარმოადგენს ის, რომ შედარებითი ანალიზის საფუძველზე გამოვლინდეს ხალხური და ინდივიდუალური პოეტური ინტერესების სხვადასხვაობა, რაც, უწინარეს ყოვლისა, კაი ყმების მხატვრულ სახეებშია ცხადყოფილი. საკითხის ამ მიმართულებით კვლევამ ერთგვარი სინათლე უნდა შეიტანოს პრობლემების შესწავლის ისტორიაში და მის ირგვლივ არსებულ ბუნდოვან წარმოდგენებში. კერძოდ, უნდა გაიარკვეს ის, რომ ხალხური კაი ყმისა და ვაჟა-ფშაველას კაი ყმის ხასიათის განმსაზღვრელი შინაგანი მოტივები თუ გარედან მოქმედი მოვლენები ხშირად ღრმა სხვაობას წარმოაჩენენ. ინდივიდმა შემოქმედმა კაი ყმის ხალხურ იდეალს ახალი შინაარსი მოუწინაა, მის სულის მოძრაობას ახალი მოტივები აღმოუჩინა და ისინი ორიგინალური მხატვრული ღირებულებების სახით დაამკვიდრა. ხალხური კაი ყმის მისწრაფებები პოეტმა იმ მხრივ გააღრმავა, რომ გვირის ინტერესი მკვეთრად შეაბრუნა საზოგადოების თემის საშინაო სო-


ციალურ-სამართლებრივი და მორალურ რი ურთიერთობის ნორმითა გადაფასებისაკენ. ეს იმას გულისხმობს, რომ კაი ყმის ძველ იდეალს ინდივიდუალ პოეტმა ყოველი საზოგადოების შიგნით მოქმედი სიკეთისა და ბოროტების, სიმართლისა და უსამართლობის ორიგინალურად, ახლებურად შემეცნება-შეფასების მიზანიც მიუმატა. ვაჟა-ფშაველას აზრით, ჭეშმარიტი გმირი გარეშე მტერსა და შინაურ უკეთურობა-უსამართლობას ერთნაირი ძალით უნდა ებძოდეს.

კაი ყმა საზოგადოებრივ-მოქალაქეობრივ თანასწორობას უნდა იცავდეს და „იქ იღვეს ხმალ-ამოწვდილი, საც ძალა აღმართს ჰველავედეს. გაბეჩავებულს სიმართლეს უსამართლობა სძალავდეს“. გმირის ამგვარი მრავლის დამტევი საქციელი არის მნიშვნელოვანი და ჭეშმარიტი სიკეთის შთამავონებელი. კაი ყმა, ავტორის შეხედულებით, პატრიოტულ გრძნობასთან ერთად, უღრმეს სოციალურ-ზნეობრივ გრძნობებსაც უნდა სწვდებოდეს, განსჯიდეს, პრაქტიკულად ასახიერებდეს და ამით „სწორ ფიქრს აძლევდეს [თემ-სოფელს]; ცდუნება არა სძირავდეს“. ერისათვის, თემ-სოფლისათვის სწორი ფიქრის, სწორი აზრის, ცდუნებისაგან განწმენდილი იდეალის მისაცემად, შექმნა პოეტმა კაიყმების ისეთი სახე-ხასიათები როგორც არიან მისი გიგლია, ვოგოთური, ივანე კოტორაშვილი, ალუდა, მუცალი, ჯოყოლა, ზეზვა, ლუზუმი, კვირია, ჩონთა, ქიჩირი, გველისმჭამელი მინდია და სხვანი. მაღალი სულისა და ზნეობის ბრძმედში გამოვლილი კაი ყმის სურვილი მარტივია: „სჯობს მოკვდეს მშიერ-ტიტველი, კვდებოდეს, არა გმინავდეს; თავის სამარხად, სუღრად მარტო სახელსა სწირავდეს“. „ცუდაი“ ვერასოდეს გაუთანაბრდება კაი ყმას, რადგან იგი მხოლოდ თავისთვის ცოცხლობს, ჭვეყნისათვის უსარგებლო და მცონარეა.

კაი ყმისა და „ცუდაის“ ხასიათებისა

და სწრაფვების კონტრასტული ჩვენება ფოლკლორისა თუ ინდივიდუალური შემოქმედების მუდმივი ამოცანაა. თვითონ ცხოვრება აძლევდა უმეტესწილად ამგვარი სახეების შექმნას, რადგანაც, პოეტის სიტყვისამებრ, სინამდვილეში „ვაი რომ ცუდი ბევრია, პოვნა ძნელია კარვისა“. მაშასადამე, გრძნობისა თუ თვითშეგნების ნაირგვარი დონე შეაპირობებს საქციელის სიჭრელესა და წინააღმდეგობრივ ბუნებას. ადამიანები სიკეთისქმედებისა და სამართლიანობის გრძნობის ინდივიდუალური გაცნობიერებით არა მარტო ერთმანეთს უპირისპირდებიან, არამედ ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის სწრაფვებსაც. ამ განსხვავებულ ადამიანურ პოზიციითა რაობას, ხალხური პოეზიაცა და ინდივიდუალური პოეტური შემოქმედებაც თავისებურად, ორიგინალურად განასახიერებს. ცხადია, პოეტს ტრადიციულ მოთხოვნათა წრეში მოქცეული კაიყმის სულის მოძრაობა, მისწრაფებები ვერ აკმაყოფილებდა. მას ადამიანი წარმოუდგებოდა საკუთარი ქცევის, მოტივებისა თუ მიზან-მისწრაფებების მუდმივად დაფასებულ და სრულმქმნელ არსებად. ადამიანის ასეთი ცხოვრების წესი კი ყოველთვის სინდისის უწმინდესი ფუნქციით უნდა საზრდობდეს. შინაგანად ასე მომართული ადამიანები ცხოვრების შუაგულში უნდა იდგნენ და საზოგადოების თვითშეგნებას გზას უხსნიდნენ უმაღლესი სიკეთისაკენ. ასეთია თავისი ბუნებით ვაჟა-ფშაველას კაი ყმა. მისი მოღვაწეობის თუ ბრძოლის მიზანი აღარ არის მიმართული მხოლოდ გარეშე მტრის წინააღმდეგ, არამედ მოიცავს საზოგადოების შინადაცხოვრების რაობის სოციალურ-ფსიქოლოგიური ინტერესით განსჯას.

ვაჟა-ფშაველას ქმნილებათაგან ვფიქრობთ, „ალუდა ქეთელაურის“ სიუჟეტი ყველაზე უკეთ გამოხატავს კაი ყმის ტრადიციული იდეალის გარდაქმნისა და სრულქმნის პროცესს. ამ ნაწარმოების სახეთა ურთიერთმიმართებაში მთელი სისავსით ვლინდება გმირობა —



კი ყმობის მაღალადამიანური მოთხოვნის წარმოშობა-განვითარების სოციალურ-ფსიქოლოგიური და ზნეობრივი მექანიზმი. გმირისა და საზოგადოების კონფლიქტი კი ყმის ციკლის ხალხურ ლექსებში არც გახსნილა ისე, რომ მასში სათვისტომო ადათ-წესების ან საღვთო რიტუალების დამრღვევი ადამიანი დახატულიყო. ხალხური სამართლის მოთხოვნით ადათების მოწინააღმდეგე ადამიანი ისჯებოდა თვით ღვთის სახელით და მის ხოტბას ვერავინ გაბედავდა, თუნდაც ის მტრის წინაშე „ბასრი ხმის ამამზიდავიც“ ყოფილიყო.

ვაჟა-ფშაველამ „აღუდა ქეთელაურის“ მხატვრული მოქმედება ისე წარმართა, რომ კი ყმის ტრადიციული იდეალი ახალი, სოციალურად მკვეთრი შინაარსით ავსილიყო. ბრძოლა საზოგადოებრივ ურთიერთობათა ჰუმანიზაციისათვის აქ უშუალოდ გადაქცოვა პატრიოტულ გრძობებს. ამის გამო კი ყმის თავისუფლების წყურვილი, სიკეთისქმედება, სპირტოვანი, პიროვნული იდეალი მთელი ერის ცხოვრების სრულქმნის პრობლემას დაუქაფშირდა. ხალხური საგმირო პოეზია კი ყმის საქციელს თავისებურად ალაშქვებდა, აქებდა მაგრამ საზოგადოების წრეში სამოქმედო მის პროგრამას მხოლოდ ტრადიციული შინაარსით იაზრებდა და გადასახავდა. მამა-პაპათა ანდრეზების დამრღვევი კი ყმად არასოდეს მოიხსენიებოდა. კი ყმა უმთავრესად მტერს ევლინებოდა რისხვად, ხოლო თემთან ურთიერთობისას ერთგული იყო ასეთი აზრისა: „სოფელში ამაყობასა ისევ დათმობა ვარჩიე“. მოვალეობის შინაარსის გაგებით გმირის მიზნები და თემის მისწრაფებები ერთმანეთს ემთხვევა. თემში დამიანები ვალდებულების შინაარსით კი არ განსხვავდებიან, არამედ მათი განხორციელებისას გამოვლენილი ფიზიკურ-სულიერი შესაძლებლობებით. ეს შესაძლებლობები კი ადამიანებს ერთი მეორისაგან განასხვავებს, რაც

იმის საფუძველი ხდება, რომ ზოგმა კი ყმის სახელი მოიხვეჭოს, ხოლო სხვანი საშუალო კაცის თუ „სოფლის“ სახელს დასჯერდნენ. მიტომაც ხალხური პოეზიის გმირები ცხოვრებაშიც მოქმედ ტიპებს უახლოვდებიან.

ვაჟა-ფშაველას გმირი ახლის მაძიებელი ადამიანის თვალთ იცქირება არამარტო გარემოსკენ, არამედ თავის სულიერ სამყაროშიც. იგი ცდილობს, შეცვალოს, გარდაქმნას მოვლენათა შორის არსებული ძველი კავშირები და ამ სულიერ-მორალური ძიებისას ახალი ღირებულებებიც აღმოაჩინოს. ამ ახლად მიკვლეული ღირებულებების დამკვიდრებისათვის ის საოცრად ძლიერ ნებას ავლენს. ვაჟას კი ყმა საზოგადოებას ყველაფერში აღარ ეთანხმება. თვითგანსჯით აღმატება მას და ზოგიერთი ადათის ცხოვრებასთან შესაბამისობაშიც აეჭვებს. ვაჟა-ფშაველას კი ყმისათვის სიკეთის გრძობა სრულქმნის საფუძველი და სინდისიერი საქციელის წყაროა. ამიტომ სიკეთეცა და სინდისიც მისი გმირისათვის ღირებულებათა შეფასების უტყუარ საზომად წარმოსდგებიან. ამ გზით ჩვეულებრივი ადამიანი პიროვნებად ყალიბდება.

ხალხური კი ყმაც, რასაკვირველია, აფასებს ტრადიციით დამკვიდრებულ მოთხოვნებს და იცავს საყოველთაო ნორმებსა და შეხედულებებს. ამის გამო თავისებურად გამოიხატება ხალხურ პოეზიაში მელექსისა და მისი გმირის დამოკიდებულება საზოგადოებასთან, სინამდვილესთან. ხალხური კი ყმის თავგადასავალში უპირატესად ცხოვრების სურათების, ადამიანის სწრაფების უშუალო, ნატურალური სახე იხატება. ფოლკლორში კი ყმა უპირატესად ობიექტური მოქმედებით არის წარმოდგენილი, ვიდრე ქვეყნის მოტივების შინაგანი ჰილიდიო ან ძველის უარყოფასა თუ ახლის დამკვიდრებისათვის ზრუნვით. მისი საქციელი, მოვალეობის მისეული გაგება, პირადი ღირსების გრძობა არასოდეს არის გაუცხოებული საყო-

ველთაოდ აღიარებული ცხოვრების წარმებისაგან.

ხალხური კაი ყმისა და ვაჟა-ფშაველას კაი ყმის იდეალები და ბუნება, როგორც აღვნიშნეთ, მართალია რამდენადმე ენათესავება ერთმანეთს, მაგრამ მათ შორის ღრმა შინაარსის განსხვავებაც არსებობს. მათი ბუნების სხვადასხვაობის შესახებ საგანგებოდ არავის უმსჯელია, ხოლო მსგავსებაზე კი ხშირად ლაპარაკობენ. ამ გარემოებასაც თავისი მიზეზი აქვს. გარეგნულად კაი ყმის მოქმედების სარბიელი ხალხურ პოეზიაშიც და ვაჟა-ფშაველას თხზულებებშიც ერთნაირ ტრადიციულ ცხოვრებისეულ მოვლენებს ემყარებოდა და ეს ქმნიდა ამ გმირთა ხასიათების იგივეობის თავისებურ ილუზიას. მაგრამ თუ დავუკვირდებით ხალხური მელექისა და ინდივიდი პოეტის მიმართებებს გარე მოვლენებთან, საერთოდ, მათ მიერ ცხოვრებისეულ-ტრადიციული თუ წმინდა ადამიანური სულიერი სწრაფვების შეფასების ხასიათს, ვირწმუნებთ, რომ სახეთა იგივეობის აღიარების საფუძველი არ არსებობს.

ვაჟა-ფშაველას მხატვრულ სახეთა ურთიერთდამოკიდებულებისა და თვითმოქმედების მთელი სისტემა იმაზე მიახლოებულია, თუ როგორია ადამიანი თავისი სოციალურ-ფსიქოლოგიური და მორალური ბუნებით ან როგორი უნდა იყოს იგი, რათა პარმონიულ პიროვნებადმდე ამაღლდეს. ცხადია, ამასთანავე, პოეტი გახსნის საზოგადოებრივი ცხოვრების იმ პირობებსაც, რომლებიც ხელს უშლიან ან ხელს უწყობენ ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბებას. იგულისხმება, რომ გმირის იდეალი აწმყოში იკვეთება, განხორციელების იმედი კი უპირატესად მაინც მომავალზე ემყარება. ადამიანი ყოფიერების დოგმებისაგან საკუთარმა გრძნობად-ინტელექტუალურმა ძალებმა უნდა იხსნას. პოეტის რწმენით თავისუფლებისაკენ ადამიანის სწრაფვა, მისი სიკეთისქმედების უნარი, მოვალეობის მაღალი გრძნობა

და სინდისის შინაგანი მოთხოვნა განუყრელად არის დაკავშირებული ცხოვრების სრულქმნის მიზანთან, კუთვნილებისა და საზოგადოების განსწრაფვების ამგვარი კავშირი ზოგადსაკაცობრიო სწრაფვებსაც უშუალოდ შეერთვის. ვაჟა-ფშაველას ეპიკურ სახეთა ურთიერთზემოქმედების შინაარსი სწორედ აღნიშნული კავშირების მაღალმხატვრულ განსახიერებაზე დაფუძნებული.

ვაჟა-ფშაველას კაი ყმებს ისეთი თავისუფლება სურდათ, რომელიც მათ იდეალს წაახალისებდა, არ შეზღუდვდა, ამასთანავე, გარემოში საყოველთაო სიკეთისა და სამართლიანობის მიღწევის პირობებს დაამკვიდრებდა. მწერალი მუდმივად ეძიებს და აღმოაჩენს მოვლენათა შორის არსებულ ისეთ კავშირებს, ისეთ პიროვნულსა და საზოგადოებრივ მიმართებებს, რასაც უშუალოდ გადაეკისოვება ხოლმე ამაღლებულის, ტრაგიკულისა და მშვენიერის წვდომის განუმეორებელი პოეტური ინტუიცია. მის ქმნილებებში სუბიექტურ-პოეტური განცდა თავისუფლად, დაუძალებლად უკავშირდება ობიექტურს და იქმნება რთული, მრვალწახნაგოვანი მხატვრული მოქმედება, სიუჟეტურ სიტუაციათა ჯაჭვი, რომელმაც გმირთა ორიგინალური სახე-ხასიათები უნდა წარმოადგინოს. ასეთი შემოქმედებით-მხატვრული მოღვაწეობა ბუნებრივად მოიცავს მოვლენათადმი შემეცნებით და ღირებულებითი მიდგომის განუყრელ ერთიანობას. ნაწარმოების მხატვრულ სიუჟეტში შემეცნება და შეფასება ერთმანეთს ავსებს, ეს ორი მოვლენა ვერც წმინდა სახით გამოცალკევდება ერთმანეთისაგან და ვერც ერთმანეთზე დაიყვანება თავიანთი მნიშვნელობებით. ვფიქრობთ, სახეთა ინდივიდუალობის განმსაზღვრელი უმთავრესად შეფასების ნაირგვარი შესაძლებლობებია, რადგან შემეცნება კუთვნილების რამდენადმე მყარი ნიშნების ათვისებაა და ეს კი რეალობასთან მეცნიერული ლოგიკით მიახლოვებას უფ-

ხო გულისხმობს. შემეცნება-შეფასე-
ბების ამგვარი უნარის წყალობით ხალ-
ხურმა მოღვესებმა თავიანთი კაი ყმა
აგვიჩატეს, ხოლო ვაჟა-ფშაველამ სა-
ეთარი.

ვაჟა-ფშაველას ალუდა ორიგინალუ-
რად ტრანსფორმირებული კაი ყმის ხა-
სიათს წარმოადგენს. კოლექტივის
თვითშეგნებასთან დაპირისპირებამ
ალუდა ახალი ადამიანური პრინციპების
დამკველ კაი ყმად აქცია. მოვლენათა
სიხლის შეფასება-შემეცნებისას იგი
კინიერი, ფილოსოფიურად მეოცნებე
ადამიანია. ის სხვათაგან გამორჩეულად
აზრებს სიკეთეს, ცოდვა-მადლს, მო-
ვლეობისა და სინდისის მნიშვნელობას.
ახალ გრძნობებს საზოგადოების თვით-
შეგნების ასამაღლებლად მოიხმობს.
ალუდა მტრის წინააღმდეგ მხოლოდ
ხნლის მქნეველი ადამიანი აღარ არის.
იგი ღრმა სოციალურ-ფსიქოლოგიური
და ზნეობრივი გრძნობებით, აზრის სი-
ღრმითა და ხასიათის სიმტკიცით ამაღ-
ლებული რაინდია. ამ გმირის თვითშეგ-
ნება მრავალმხრივ ანაწევრებს ცხოვრე-
ბისეულსა თუ სულიერ ღირებულებებს
და თავისუფალი უნართი ნებისმიერად
აფასებს ხარისხით განსხვავებულ მოვ-
ლენებს. მაღალი იდეალის დასაცავად
იგი თმობს პირადულს, თამამად მიყვე-
ბა ცხოვრების ჩვეულებრივი მდინარე-
ბიდან ამოვარდნილ ისეთ საქციელს,
რომელიც თემში არავის ეფასება. ალუ-
დას ღრმად სწამს ახლად მიკვლეულის
საყოველთაო მნიშვნელობა. იგი ახალ
სურვილებსა და ახალ გზას აყოლილი
გმირია. მისი იდეალი, წადილი ვერ თა-
ვსდება იმ დროსა და სივრცეში, რომე-
ლიც უცვლელ ადათ-წესებსა და რელი-
გიურ წარმოდგენებს შემოუსაზღვრავს.
ამიტომაც ალუდა იმას ესწრაფვის, რაც
ჯერ საზოგადოების თვითშეგნებაში და-
უმკვიდრებელია. იგი ალღოთი, შინაგა-
ნი რწმენით აფასებს სიანლეს და სჯერა,
რომ ეს უნარი თუ სინდისის მაღლი გა-
დაალახვინებს დაბრკოლებებს. ალუდას
სახე თავისებურად გამოხატავს პოეტის

ნათქვამის შინაარსს: „რასაცა ვეძიებ
იმისა, არასდროსა ვარ მნახველი“

ალუდასათვის განსაკუთრებული მნი-
შვნელობა შეიძინა მუცალის ვაჟა-ფშაველას
ბამ, მისმა ზეპიროვნულმა საქციელმა,
ვიდრე მარჯვენის მოჭრისა თუ იარა-
ღის აყრის წესებმა, რომლებიც ტრა-
დიციის მოთხოვნით უნდა შესრულე-
ბულიყო. აქ სუბიექტურმა შეფასე-
ბამ განსაზღვრა გმირის ცხოვრები-
სეულ ღირებულებებთან მიმართების
მთელი შემდგომი შინაარსი: გმირის
სინდისის გრძნობა წარმოსახულ ღი-
რებულგბათა დაფუძნებას ეთანხმება,
მიიჩნევს მათ ისეთ შეგნებულ მიზნად,
რომელსაც უნდა დაემორჩილოს მისი
ნება. როცა ალუდამ ახლის ცხადყოფა
მოინდომა მან უშიშას და თემის სხვა
წევრების განცვიფრება გამოიწვია. ამ
განცვიფრებისას შეეჯახა სწორედ ერთ-
მანეთს ძველი და ახალი ახლის და-
ცვით ალუდა ქეთელაურმა ცხადყო,
რომ ტრადიციული ანდრეზებით თუ
რელიგიური რწმენით გამაგრებული თე-
მის ცხოვრების ზოგი წესი, რომელიც
დასაფასებელ ჭეშმარიტებად მიიჩნეო-
და, ასეთი თურმე არა ყოფილა. ახალი
შეფასება დაუპირისპირდა ძველს და
წარმოიქმნა საზოგადოებრივი კონფლი-
ქტის პირობები. ავტორის რწმენით, ეს
ასე ხდება პროგრესის გზაზე მიმავალ
ყველა საზოგადოებაში. ალუდას ქცევის
ლოგიკა თავისი უნივერსალური მნიშვნე-
ლობით ყველა დროისათვის ნიმუშის
ძალას იჩენს.

ვაჟა-ფშაველას საზოგადოებისაგან
მოწყვეტილი ინდივიდუალისტის მხა-
ტრული სახის შექმნა არ სურდა. მას
ისეთი ახლის მწვედომი და დამკველი
ადამიანის თვითშეგნების გამოხატვა
უნდოდა, რომელიც მაღალადამიანურ
ფასეულობებს ცხოვრების სამსახურში
ჩააყენებდა და წმინდა იდეალის ძალით
ერის სინდისის ჭეშმარიტ ძალას გამოა-
ღვიძებდა.

პოეტის რწმენით, კაი ყმა მაძიებე-
ლი ადამიანის პათოსით უნდა უკავშირ-
დებოდეს გარემოს, სხვა ადამიანებს და

ამით საკუთარ იდივიდუალურ ხასიათსაც ქმნიდეს. ალუდას მხატვრული სახეცხადყოფს, რომ აღამიანი უნდა ესწრაფვოდეს თვითსრულქმნას, უნდა იღვწოდეს გარემოს გაუკეთესებისა და მოწესრიგებისათვის. ცხადია, პოემის მხატვრული აზრი იმაზეც მიგვანიშნებს, რომ სრულქმნა-მოწესრიგება დაუსრულებელი პროცესია, რომელშიც არ მიიღწევა ისეთი საფეხური, ისეთი დონე, სადაც პიროვნების ან საზოგადოების მოთხოვნილებები საბოლოოდ თუ უნივერსალურად დაკმაყოფილებული აღმოჩნდებოდა. ასეთი საერთო ვითარებაც ქმნის მხატვრულ სახეთა სისტემაში ობიექტურისა და სუბიექტურის დამოკიდებულების უთვალავი ასპექტით განსახიერების შესაძლებლობას. ქეთელაური მართლა გამოეყოფა თემს ორიგინალური სურვილებით, უპირისპირდება კიდევაც დამკვიდრებულ შეხედულებებს, მაგრამ არა აბსოლუტური აზრით. ამ დაპირისპირების ქვეტექსტი ალუდასათვის თავისი ხალხის მიმართ მტრობას სრულიადაც არ გულისხმობს. სიკეთე, ჭეშმარიტება, სამართლიანობა და სინდისის არსი, რაც ალუდას დაეუფლა ყოველთვის აღარ ეფარდება კოლექტივისათვის სარწმუნო აზრს. გმირს სწამს, რომ ღირებულებათა მისეული დაფასება სწორია, პუმანური და ამიტომ ყველასათვის სასარგებლო. ამიტომაც ალუდა თამამად სთავაზობს საზოგადოებასა და თვით კაი ყმებისთვის „ძალის მიმცემ“ გუდანის ჯვარსაც იმ ახალ ღირებულებებს, რომლებიც მას ეფასება. იგი ჭერ კიდევ ძნელად დასამკვიდრებელი სიკეთის, ჭეშმარიტების, სამართლიანობისა და თავისუფლების განსახორციელებლად იღვწის და თავსაც იმეტებს. გმირი ახალი სულიერი მოთხოვნილებითა აღმატებული სხვა აღამიანებზე და ეს იქცევა მისი ცხოვრების ტრაგედიად. ტრაგედია ალუდასი კი იმან წარმოშვა, რომ მას ძველისა და ახლის სწორი შეფასება ძალუძს. კონსერვატული ბუნების საზოგადოება კი არც ძველს თმობს და ვერც ახალს იგუებს. წარმოიქმნება

კონფლიქტური სიტუაციები, რამაც უნდა გამოავლინოს დადებითი ეპიკური გმირის სულის სიმადლე, ხასიათის ნიშნებიც, თვითმოფადობა. ნაირ-ნაირ ღირებულებათა არსის „მჩხრეკელ-მრკვეველი“ გმირები, როგორც ვეა იტყოდა, მთელი ერის და კაცობრიობის მოთხოვნილებებს აძლევენ პასუხს პოეტი ასეთი სახეების შემოქმედად ასახელებდა შექაპირს, სერვანტესს, ჭლია ჭავჭავაძეს. ვფიქრობთ, ალუდას ნაირი ტიპებიც ერისა და კაცობრიობის სინდისის გამაფხიზლებელნი და ამაძღლებელნი არიან.

პოემა „ალუდა ქეთელაურის“ დასაწყისი ნათელყოფს, რომ თემი, საზოგადოება ალუდას ქებას ასხამს და მისი დიდი იმედი აქვს. თემის წევრების აზრით, იგი „დავლათიანი“ და „სიტყვაგზიანი“ კაი ყმაა. ალუდა აღამიანთა ცხოვრებაზე გონივრული სიტყვის-მთქმელიცაა და მისი ინტერესების დამცველიც. იგი კარგი ვაჟაცაა და ამიტომაც „ცუდაისაგან“ განსხვავებით მუდამ მტრია. მის ქავზეც მტრის „ხელებ ჯღრღნესავით ჰკიდა“. მუცალთან ბრძოლის შემდეგ ალუდას ხასიათი და მიზანსწრაფვა უცბად შეიცვალა. ბუნებრივად იხადება კითხვა: რა მოხდა, რამ გარდაქმნა ალუდას სულიერი მიდრეკილებები? რამ აიძულა იგი, რომ ანდრეზებისა თუ საყოველთაო მორალურ-რელიგიური შეხედულებების საწინააღმდეგო მოვლენები დაეფასებინა გარემოშიც და საკუთარ არსებაშიც? ამ კითხვებზე პასუხის გაცემა გარკვეულ იმას, თუ ფოლკლორული ტრადიციისაგან რითია განსხვავებული ჭეშმარიტი პოეტურ-ინდივიდუალური მხატვრული მოღვაწეობა ან კიდევ მწერლის მიერ შექმნილი სახე-ხასიათები და ხალხური პოეზიის კაი ყმები იდეალის რა ნიშან-თვისებებით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. აქვე უნდა გათვალსაზიროვდეს ხალხური გმირის ალუდასნაირ კაიყმად — გარდაქმნის შემოქმედებითი პროცესი.

ალუდას მხატვრული სახის ორიგინა-

ლობა ისეთმა ცხოვრებისეულმა სიტუაციამ განაპირობა, რომელმაც ძალიან მკრთალად წარმოაჩინა ახალი, არატრადიციული მიმართების შინაარსი, ალუქასთან გმირული ორთაბრძოლის უამს მუცალმა შეუდარებელი სიმამაცე გამოიჩინა. ამას გარდა მან მტერს ისიც დაანახა, რომ კეთილისმოქმედი და სამართლიანიცაა. მუცალი კაი ყმაა. ასე უწოდა მას თვითონ ალუდამ. მუცალმაც ალუდას სავაჟაკო ღირსებათა სიმბათეური განცდით დაჩრდილა თავის არსებაში კაი ყმის ტრადიციული სწრაფვები. მუცალმა სრულიად უჩვეულო, ყოვლისმომცველი შურისგებისა და სიძულვილის ვითარებაში, მაშინ, როცა მამა მოუტკეს და თავადაც სასიკვდილოდ დაჭრეს, სხვაგვარი თვალთ შეხედა მოვლენებს და სიკეთეს, სამართლიანობას თავისი წილი მიაგო. მან მოსახლე მტრის სახეში მალაღამიანური ღირსებების ძებნა-დაფასება მოინდომა. მუცალმა თავისი იარაღი ალუდას გადაულოცა და უთხრა: „ეხლა შენ იყოს, რჯულ ძაღლო, ხელს არ ჩავარდეს სხვისასა“. დიახ, მუცალის სურვილია, რომ მისი იარაღი ალუდას გარდა სხვა ადამიანის ხელში არ ჩავარდეს. ვმირის ცნობიერებაში უღრმესი ფსიქოლოგიური ზნეობრივი გარდატეხა მოხდა, რამაც ალუდაც აიყოლია. მხოლოდ ბრძოლის დასასრულს გაიცნობიერეს უშუალოდ ერთმანეთის ღირსებები მუცალმა და ალუდამ. მუცალი მოიხიბლა ალუდას სიმარჯვითა და სიმამაცით. თავისმხრივ, ალუდაც განაცვიფრა, შეძრა მუცალის ვაჟკაცურმა საქციელმა, მისი სულის მალაღამიანურმა წონასწორობამ, სამტრო ვითარების უამს სიკეთესქმედების უნარმა. აღნიშნული ეპიზოდი ცხადყოფს, რომ ტრადიციული წესების აფუძველზე მოქმედებამ წინ გაუსწრო უშუალო გრძობითა და შეფასებით მოქმედებას. მნიშვნელოვან ღირსებათა წვდომა, ამ ღირსებათა თუ ღირებულებათა კარნახით გმირის მოქმედება დროის მდინარების თვალსაზრისით უკვე

დაგვიანებული იყო, რამაც მუცალის ტრაგედია და ალუდას სულიერი ტანჯვა, მისი შინაგანი გაორება განაპირობა. მუცალი დაიღუპა. მაგრამ მოასწრო სულის სიმადლე, თავისუფალი, ტრადიციული წარმოდგენების დამძლველი ორიგინალური საქციელი ეჩვენებინა. მისმა ამგვარმა სწრაფვამ გამოაფხიზლა თემური ადათ-წესებისა და იდეოლოგიის ტყვეობაში მოქცეული ალუდას თვითშეგნება. მან მუცალის საქციელის ზემოქმედებით საკუთარი სულიერი თვისებები ამოიცნო. მისი სინდისის ახალი შინაარსი დიდი ცოდვის შემდეგ ატირდა და მთელი ძალითაც ამოქმედდა:

ალუდას თოფი არ უნდა,
 ატირდა როგორც ქალით;
 არ აყრის იარაღებსა,
 არ ეხარბება თვალით

მარჯვენას არ სჭრის მუცალსა
 იტყოდა: „ცოლო არიო;
 ვაჟკაცი ჩემგან მოკლულო,
 ღმერთმა გაცხონოს მკვდარიო“.

მუცალის ზეადამიანურმა თვისებებმა, სრულიად სხვაგვარი მიმართულება მისცა ალუდას განცდათა დინებას. მან უცბად დაივიწყა თუ გადააფასა იარაღის აყრისა და მარჯვენის მოკვეთის ჩვეულებები. ისინი მუცალისწაირი გმირის მიმართ ძალადაკარგულად, უვარგის წესად მიიჩნია. ასე გამოიყვეთა გმირის ცნობიერების სიღრმეში ახალი ღირებულებების მათრიენტირებელი ფუნქცია. აქედან დაიწყო ალუდამ თავის სულიერ მოთხოვნილებათა და ობიექტურ-ცხოვრებისეულ ნორმათა რანგობრივი ბუნების გარკვევა. თემის წევრებსაც აუწყა, რომ მუცალი ცხოვნების ღირსი ვაჟკაცი იყო და ასეთის მიმართ მნიშვნელობა აღარ ჰქონდა ხალხის თავდაჭერებულ აზრს, ტენდენციურ შეხედულებას:

ჩვენ ვიტყვით, კაცნი ჩვენა ვართ,
 მართო ჩვენ გვზრდიან დედანი;
 ჩვენა ვცხონდებით, ურულოთ
 აუპრში მოელის ქშენანა.

ამ სიტყვების აზრი უსაფუძვლო ამავობის დაგმობასა და მისგან თავდასხ-

ნას მოითხოვს. ალუდას რწმენით, მუ-
ცალი ცხონდება, მას არ შიშის „კუბ-
რში ქშენანი“, რადგანაც ღვთისშვილ-
ნი აღამიანებზე უკეთ განსჯიან სიმარ-
თლეს. სინდისის გრძნობისაგან და სი-
ზმარ-ჩვენებათაგან „გუნება-ალეღვებუ-
ლმა“ ალუდამ არ მიიღო მინდიას მიერ
მირთმეული მუცალის მოკვეთილი მა-
რჯენა. ამგვარ საქციელს „ავად მორ-
თული“ საქმე უწოდა, ხოლო მინდიას
კი დიდად ნაწყენმა ასე მიმართა:

წაიღე თუ გწამს უფალი
ნულარ მარჯვენა თვალითა.
კიი ყმის მარჯვენა არი,
გული მეწევა ბრალითა.

ალუდამ ამის შემდეგ მტკიცედ განა-
ცხადა, რომ მტერს საერთოდ მარ-
ჯვენას აღარასოდეს მოკვეთდა, რადგან
ეს წესი ცოდვა-ბრალით მონათლული
იყო. როგორც ვთქვით, ადათების თავი-
სუფლად გადამფასებელ მუცალს ალუ-
დამ კიი ყმა უწოდა. მან თანდათანობი-
თი თვითამაღლების კვალდაკვალ, ღი-
რებულეებების თავისუფალი შერჩევის
წესით უსარგებლო, მდაბალი ადათები
დაიწუნა. სინდისის პიროვნულმა ძალამ
ალუდას გუდანის ჯვარში მუცალის სუ-
ლის მოსახსენიებელი კურატიც მიაყვა-
ნინა. მრავლისმთქმელმა სიზმარ-ჩვენე-
ბებმა, გრძნობათა კათარზისმა, მუცა-
ლის ღირსებების უცდომელმა დაფასე-
ბამ ალუდას, თემის გაგებით, მიუტრევე-
ბელი შეცდომა ჩაადენინა. ალუდამ ის
დააშავა, რომ მუცალს მარჯვენა არ
სოაჭრა, იარაღი არ აპყარა, თემის
წინაშე შეაქო და „ცხონებულად“
მოიხსენია, არ მიიღო მინდიასაგან
მუცალის მარჯვენა, თემის სალო-
ცავში ხვეისბერს ურჯულოს სუ-
ლის მოსახსენიებლად კურატი მიუ-
ყვანა. როცა თემის ადათების ერთ-
გულმა დარაჯმა შესაწირავი „არ
დაუბწყალობა“, მაშინ წესის წინააღ-
მდეგ ხვეისბერის მოვალეობაც თვითონ
შეასრულა. თვითონ გმირს კი სწამს,
რომ მისი საქციელი უმაღლესი ადამი-
ანური ღირებულეებების რიტუალური

ფორმით განმტკიცების წმინდა ცდაა.
ნაწარმოების სიუტეტის აღ-
ღნიშნულ ეტაპზე შეეჯახა გუთმების
უფრო მაღალი რანგის ანდრეზისკო-
ლიგიური და ახალი ზნეობრივი ღირე-
ბულეებები. მკვეთრად დადგა ტრადიცი-
ების განახლების პრობლემა, როგორც
ირკვევა, თემის წინაშე ამდენი „ცოდვი-
სა“ და „დანაშაულის“ ჩამდენს შემოქ-
მედი ხალხი სახობტო ლექსს არ უძ-
ლენიდა.

თემის ანდრეზებისა და რელიგიური
წარმოდგენების მტკიცედ დამცველი
ხვეისბერი აღიარებს, რომ „კარგი ყმა
უყვარს ბატონსა, წყალობა ემეტებისა“
და გუდანის ჯვარი ალუდას სახვეწარ-
საც მიიღებს. მაგრამ ალუდამ, როცა
მსხვერპლშეწირვის მიზანი უთხრა და
მის ობიექტად ურჯულო მუცალი დაუ-
სახელა, გაოცებული ბერდია ეტყვის:

ნამით არ მოღის ანდრეზი,
პაპითა-ღ პაპის-პაპითა,
გონთ მოდი, ჭრისტიანი ხარ,
ურჯულოვდები მაგითა.

საკუთარ უწრფელეს გრძნობათა დამ-
ფასებელი გმირი უნებლიედ წინ ალუდ-
ვა მამა-პაპათა ადათებს. სხვადასხვაგვ-
რად მოაზროვნე ხვეისბერისა და კიი
ყმის სიტყვებმა დიდი პოეტური თვალ-
საჩინოებით წარმოაჩინეს კონფლიქ-
ტის არსა.

პიროვნულ თვითსრულქმნაზე ზრუნ-
ვა, საზოგადოებრივი თვითშეგნების
ამაღლებასაც გულისხმობს. ეს მიზანიც
ამოქმედებს ალუდას სულიერ სამყა-
როს. ალუდას თხოვნა, მისი შესაწირავი
არ მიიღო ხვეისბერმა. მისგან გაწბილე-
ბულმა გმირმა კვლავ გაუგონარი საქ-
ციელი ჩაიდინა. ალუდამ ხვეისბერის
ფუნქცია თვითონ იკისრა, თვითონ და-
კურატი და მოიხსენია ქისტი მუ-
ცალი. კონფლიქტმა კულმინაციას მია-
ღწია. გამომწვეურდა უფლება-მოვალე-
ობების აღსრულებისას პიროვნული და
საზოგადოებრივი ინტერესების შეჯახე-
ბის რეალური ხასიათი. ვერ მორიგდნენ
კერძო და ზოგადი. უნდა დადგინდეს

ქეშმარიტებისა და ღირსების ახალი სა-
ზომები. ალუდას კი ამის თაობაზე
არავინ ეთათბირება. მამა-პაპათა ადათ-
წესებისა და საერთოდ, თემის იდეო-
ლოგიის დასაცავად ხვეისბერმა ბერ-
დიამ მხარდაჭერა ხალხს სთხოვა. „და-
ჯარდნენ“ და ალუდას დასჯა, მოკვეთა,
საზოგადოებიდან გაძევება გადაწყვი-
ტეს:

მოკვეთილ იყოს, სხვა ქვეყნის
ცაღრუბლის შენაშორები!
წადით, უმტვრიეთ შვე-ბნელსა
სახლისა, ციხის კარები!
ცეცხლი მიეციეთ სამოვარს,—
ცასა სწვდებოდეს ალები!

პრისხამდეს ჩვენი ბატონი,
არ არის შესაბრალები.

ასეთია თემის თვითშეგნება, მისი
იდეოლოგია. მოკვეთილმა ალუდამ თან
უნდა წაიღოს თავისი ახალი გარძნობები
და იდეალი. მის სიმართლეს ვერაფერ
აღიარებს. ალუდას თავგამოდებამ თანა-
გარძნობის სუსტი კვალი მხოლოდ მიწ-
დიას სახეზე აღბეჭდა. თემის განაჩენის
წინაშე კი მიწდია ც უძლურია და გაუ-
ბედავი:

ამის გამგონეს მიწდიას
მაუწყლიანდეს თვალები:
ველარას შეგლის ალუდას,
გულზე გადიწყვის მკლავები.

ამგვარ ფონზე წარმოიდგინა პოეტმა
განსხვავებული უნარისა და სულიერი
მოთხოვნილებების მქონე ადამიანთა
საქციელი. ერთნაირ გარემოში ჩნდებ-
ა სხვადასხვანაირი ადამიანური სწრაფ-
ვები და ამ სწრაფვების რეალიზებისას
ადამიანები სხვადასხვა უნარსა და ნების
ქალას ავლენენ. მიწდია ვერ ამალღდა
მუცალისა და ალუდას დონემდე. მან
ვერ შეძლო ალუდას დასაცავად დაპი-
რისპირებოდა თემს, მის ადათებს. ამ
ნიშნით იგი ხალხური კაი ყმის ხასიათს
უთანაბრდება. მიწდიამ იგარძნო კი ალუ-
დას სწრაფვათა ღირსება, მაგრამ ახალ
სიმართლეს მხარი ვერ დაუჭირა. ამი-
ტომაც ის თემის სხვა წევრებს ძირითა-

დად მოკლული მტრის რაოდენობით
აღმატება და არა თვითშეგნების
სხვაგვარი ბუნებით. მიწდია
„ახალუხლები“, ბერდია და საზოგა-
დოდ, თემის ყველა წევრი, იმ საერთო
რწმენის ერთგულია, რომლის მოთხოვ-
ნითაც კაი ყმა არც თემის ადათ-წესებს
და არც რელიგიურ-მორალურ შეხედუ-
ლებებს არ უნდა უპირისპირდებოდეს.
მაშასადამე, უმრავლესობისათვის მამა-
პაპური რწმენისა თუ ცხოვრების წესი
უცვლელი და უნაკლოა. ამის აღიარე-
ბა, პოეტის რწმენით, იმ ჭანსალი პირ-
ოვნული საწყისების ჩახშობას გულის-
ხმობს, რომელმაც ახალი, პროგრესუ-
ლი უნდა დაამკვიდროს.

ალუდას სახე ღრმად ინდივიდუა-
ლურ-პიროვნული შინაარსით არის აღ-
ბეჭდილი. გმირის თვითშეგნება სინ-
დისის ახალი გარძნობის მძლავრი ზემო-
ქმედებით ბუნებრივად ვითარდება, ხო-
ლო ამ პროცესის კვალდაკვალ საზოგა-
დოებასთან კონფლიქტი კი ღრმავდება.
ნაწარმოების მხატვრულმა მოქმედებამ
წარმოაჩინა საზოგადოებისა და პიროვნ-
ებისაგან სხვადასხვაგვარად შეფასე-
ბული სიკეთე, ქეშმარიტება, ადამიანუ-
რი მოვალეობა და ღირსება. საზოგადო-
ების შეხედულებები კონსერვატიული
ბუნებისაა. ამგვარი გარემო არ ქმნის
სხვა ახალი ტიპის კაი ყმას, ან ალუდას-
ნაირი ადამიანის იდეალების განხორ-
ციელებისათვის საჭირო პირობებს. სა-
ზოგადოებრივ-პიროვნული ურთიერთ-
მიმართების სუბორდინაციის ჰუმანის-
ტური პრინციპები კი ამას ითხოვდნენ
და პოეტის იმედიც სასურველის წარმო-
სახვეს გაუვა. მართალია, ალუდას სუ-
რვილები ოცნებისა და ინდივიდუა-
ლური მოქმედების საზღვრებს ვერ
გასცდა, მაგრამ განუყოფელი რეა-
ლური სახე მიიწე შეიძინა, რადგან
კერძოსა და საზოგადოს ურთიერთ-
მიმართების წინააღმდეგობრივ ფენო-
ქენს დაეფუძნა. პოეტურმა ფანტაზიამ
ალუდა მოვლენათა არსის წვდომის
განსაკუთრებული უნარით დააჭილ-
დოვა. გმირის მხატვრული სახის

თვითმყოფადობა, მისი სწრაფვების
ეროვნული თუ საკაცობრიო მნიშვნე-
ლობა ახლის დამკვიდრების რაინდულ
ცდაში გამოვლინდა ამ გამრულმა

ცდამ და იდეალმა კი მხოლოდ ისეთ
ტრადიციული უარყო, რომელიც პე-
როვნების სულიერი ძალების თავისუ-
ფალ თვითგანვითარებას ზღუდავდა.



ზურაბ გოცვაძე

იაკობ გოგებაშვილი და ქართული ურნალისტიკა

იაკობ გოგებაშვილმა, XIX საუკუნის
მეორე ნახევრის ეროვნულ-განმათავი-
სუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთმა
თვალსაჩინო მოღვაწემ, ქართული პე-
დაგოგიის კლასიკოსმა, გამოჩენილმა
მწერალმა და პუბლიცისტმა უაღრესად
მნიშვნელოვანი კვალი დასტოვა ქარ-
თული ურნალისტიკისა და კრიტიკუ-
ლი აზროვნების განვითარებაში.

„ერი, რომელსაც წინ არ მიუძღვის
და არ უკავფავს პროგრესის გზას რაზმი
მძლავრისა და მრავალის ინტელიგენცი-
ისა, ადრე თუ გვიან წააგებს საარსო
ბრძოლასა და დაჰკარგავს თავის ად-
გილს ერთა შორის“. — წერდა 1880
წელს გაზეთ „დროების“ მეთექვსმეტე
ნომერში იაკობ გოგებაშვილი და განა-
გრძობდა, „ეს ჭეშმარიტება უნდა ყო-
ველ წამს თვალწინ გვედგას და აღვი-
ძებდეს ჩვენში მხნეობას და ენერჯიას
საფუძვლიანი განათლების გაძლიერები-
სათვის საქართველოს შვილთა შორის“.
ამ დიდად საპასუხისმგებლო საქმეში
იაკობ გოგებაშვილი პერიოდულ პრე-
სას და მათში დაბეჭდილ ნიჭიერ პუბ-

ლიცისტურ წერილებს უთმობდა უბირ-
ველეს ადგილს. აქედან გამომდინარე
იგი, როგორც საზოგადოებას, ისე ცა-
ლკეულ პიროვნებებს აუცილებელ მო-
თხოვნილებას უყენებდა პერიოდული
პრესის საშუალებით შკითხველ საზოგა-
დოებაში მამულისადმი ზრუნვა, პატრი-
ოტული სულისკვეთება გაეღვივებინათ,
აღეზარდათ ისეთი გულმხურვალე მა-
მულიშვილები, „ვისაც სიცოცხლის უმ-
თავრეს საგნად გაუხდია მშობლიურის
ქვეყნის ბედნიერება, ვინც თავ-გამო-
დებულად და შეუპოვრად ებრძვის და-
ულალავად ყოველს დაბრკოლებას, რო-
მელიც მის სამშობლო ქვეყანას წარმა-
ტების გზაზედ გადალობებია, ვისაც
მთლად დაკარგულად მიაჩნია ყოველი
წამი, რომელიც არ მოუხმარანია მამუ-
ლის ზრუნვისათვის, ვისაც ედაგვის გუ-
ლი მამულის ტანჯვითა, უხარის მისი
ლხენითა, ვინც ბედნიერია მის ბედნი-
ერებით, უბედურია მის უბედურებით,
და ვინც მზად არის ღიმილით შესწი-
როს მას თავისი სიცოცხლე“ (ი. გოგე-

ბაშვილი. თბზულებანი. 1952 წ. ტ. I. გვ. 371).

იაკობ გოგებაშვილის პუბლიცისტური წერილებიც სწორედ ამ ჭეშმარიტ ჭზას ადგას და სამშობლო ქვეყნის ნათელ მიზნებს ემსახურება.

იაკობ გოგებაშვილი დიდად აფასებდა „ივერიის“ ღვაწლს ერის სულიერი კულტურის ამაღლების საქმეში, იმ უპარტისად ღრმა პატრიოტულ მიმართულებას, რომელიც მას გააჩნდა. იაკობ გოგებაშვილის განმარტებით ამ გაზეთმა „უპირველეს ამოცანად დაისახა ქართველი ხალხის კონსოლიდაციის, ეროვნული სახის შენარჩუნებისა და სულიერი ცხოვრების ამაღლებისათვის ხელის შეწყობა“ (ნ. ტაბიძე. ილია ჭავჭავაძის „ივერია“. 1977 წ. გვ. 348). იაკობ გოგებაშვილს გულს ტყენდა ის ფაქტი, რომ „ივერიას“ საკმაო ხელმძღვრეო არ ჰყავდა, რაც, ერთგვარად, ხელს უშლიდა რედაქციას თავისი მიზნების სრულ განხორციელებაში. ამ საკითხთან დაკავშირებით იაკობ გოგებაშვილმა გამოაქვეყნა პატარა წერილი სათაურით — „პრესა ჩვენში და სხვა პატარა ერებში“. წერილი პირველად გამოქვეყნდა „ივერიაში“, 1887 წელს (№ 3), სათაურით „ჩვენი სისუსტე“. ი. გოგებაშვილი შეუშფოთებია 1886 წლის „ივერიის“ უკანასკნელ ნომერში გამოქვეყნებულ ცნობას, რომ გაზეთს მთელს საქართველოში მხოლოდ ექვსასი ხელის მომწერი ჰყავდა. როგორც წერილის ავტორი აღნიშნავს, ყველაზე მცირე ხელმომწერი „ივერიას“ რედაქტორის სამშობლოში — კახეთში ჰყოლია დასაყვედურს გამოთქვამს, რომ „კახეთში შედარებით სხვა კუთხეებთან იბარებს ბევრით ნაკლებს რიცხვს როგორც სასკოლო სახელმძღვანელოებისას, ისე ყოველგვარის წიგნებისას“. იგი კახეთის დღევანდელ მდგომარეობას დიდებით მოსილ მის წარსულს ადარებს, როდესაც რამოდენიმე სუეკუნის განმავლობაში სპარსეთისა და ლეკების გამუდმებულმა თავდასხმებმა სწავლის ლამპარი ვერ ჩააქრო, სადაც არსებობ-

და მთელი საქართველოს საუკეთესო სასწავლებელი — სასულიერო სემინარია, თავისი დიდად განათლებული რექტორებით — გაიოზით, დავითოვანად სხვებით. იაკობ გოგებაშვილი მოუწოდებს აგრეთვე იმერეთის მოსახლეობასაც, ეგრძოდ კი ქუთაისის „განათლებულ დასს“, ჯეროვანი ყურადღება მიაპყრონ წიგნებისა და გაზეთების კითხვას, განათლების შექმნის უპირველეს საშუალებას. იქვე წერილის ავტორი ხაზს უსვამს, აგრეთვე, ზუგდიდის მოსახლეობის გულგრილობას ამ საკითხის მიმართ. აქ თურმე დიდი და პატარა ძლიერ ეტანება გონებრივ საზრდოს, ბევრ წიგნებს კითხულობენ, წიგნების ხუთი თუ ექვსი მაღაზიაც აქვთ. აქედან გამომდინარე, ვერც აუხსნია „ივერიის“ ხელმომწერთა ესოდენი სიმცირე. ამასთან, იაკობ გოგებაშვილი მეტ-ნაკლებად საყვედურს გამოთქვამს ბათუმისა და ქართლის მოსახლეობის მისამართითაც. ამის შემდეგ იგი ხაზგასმით აღნიშნავს იმ უპირველეს როლს, რომელსაც „ივერია“ ასრულებდა სხვა პერიოდულ გამოცემათა შორის. მისი აზრით „ივერია“ „არის არამც თუ ერთადერთი ყოველდღიური გაზეთი ქართულს ენაზედ, არმედ თითქმის მარტოდ-მარტო წარმოადგენს ჩვენს პერიოდულს ლიტერატურას. მას არა ჰყავს მოცილებდ არც ერთი გაზეთი, არც ერთი ჟურნალი და არც რაიმე სპეციალური გამოცემა...“ (ი. გოგებაშვილი. თბზულებანი. 1954 წ. ტ. 2. გვ. 166-167).

„ივერიის“ ხელისმომწერთა სიმცირე კიდევ უფრო იმიტომ უშფოთებს გონებას იაკობ გოგებაშვილს, რომ თვალწინ უდგება მეტად ხანმოკლე სიცოცხლე „საქართველოს მოამბისა“, „მნათობისა“, „კრებულისა“, „შრომისა“, „იმედისა“ და „ნობათისა“, რომლებმაც „ვერ გააღხვეს ყინული საზოგადო გულგრილობისა“.

გაზეთ „ივერიის“ 1896 წლის 67-ე ნომერში გამოქვეყნდა ი. გოგებაშვილის წერილი „შენიშვნა „მოამბე“-

ზედ“. ეს სტატია მეორედ 1910 წელს გოგებაშვილის „რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერების“ პირველ ტომში დაიბეჭდა სათაურით „ორიოდე სიტყვა ქართულ ჟურნალზე“. წერილის დასაწყისში ი. გოგებაშვილი პერიოდული ლიტერატურის დედაბოძად ყოველთვიურ ჟურნალს მიიჩნევს და იქვე აღნიშნავს, რომ „გაზეთი, ყოველდღიურია იგი თუ საკვირაო, მხოლოდ წუთის საზრდოს იძლევა და მერე ქრება შარშანდელი თოვლივითა... თითქმის ყველას ხელში იგი მეორე-მესამედღე იხვევა, იფხრიწება“. ამ საჩოთირო მოსაზრებას ცოტა ქვემოთ თვითონ ავტორი ნაწილობრივ ცვლის და წერს, რომ „თუ გაზეთი მარჯვედ და ცოცხლად მოქმედობს, იგი აფხიზლებს საზოგადოებას, შოქრაობაში მოჰყავს, მის წარმატებას ეხმარება“. ი. გოგებაშვილი, როდესაც ჟურნალის უპირატესობაზე საუბრობს, მშობლიური ლიტერატურის განვითარების საქმე აქვს მხედველობაში, ხოლო რაც შეეხება გაზეთის უაღრესად მნიშვნელოვან როლს საზოგადოების წინსვლის საქმეში, ამას იაკობ გოგებაშვილი სრულიადაც არ უარყოფს. ი. გოგებაშვილი ჟურნალის სარგებლიანობას იმაში ხედავდა, რომ იგი „ყოველწლივ ამდიდრებს ლიტერატურას თორმეტი ახალი წიგნით, რომელიც ას-ას წლობით სცოცხლობს და გონებრივს საზრდოს აძლევს ერსა დიდი ხნობით“. იაკობი გულის ტკივილით აღნიშნავდა იმ ფაქტს, რომ ჟურნალს მხოლოდ შეძლებული და განათლებული ოჯახები იწერენ, რომელნიც ყველა ქვეყანაში მცირედენ ნაწილს შეადგენენ და მეტადრე ეს შეიძინება ჩვენს საქართველოშიო. იგი დიდად აფასებდა ჟურნალ „მოამბის“ ღვაწლს, რომლის დიდი ნაწილი, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „შესდგება ნიჭით და ცოდნით დაწერილი წერილებისაგან, რომელთა შორის ზოგნი მაინც დაამშვენებდნენ ევროპულს საუკეთესო ჟურნალებსაც-კი“ (ი. გოგებაშვილი. თხზულებანი. ტ. 3. 1954 წ. გვ. 7.). სხვა პე-

რიოდულ გამოცემებს შორის „მოამბის“ ენა შედარებით საუკეთესოდ მიაჩნია და ხაზს უსვამს იმ უაღრესად მნიშვნელოვან როლს, რომელსაც რედაქციამ იქონიდა.

1894 წლის პირველ ნომერში მოთავსებულ სარედაქციო წერილში, — „მოამბის“ პროგრამის გამო“, — ხაზგასმითა აღნიშნული იმ სამომავლო მიზნების შესახებ, რომლის გატარებასაც ჟურნალი აპირებდა. ჟურნალი მიზნად ისახავდა პირველ რიგში, გაეადვილებინა ქართველი მკითხველისათვის „ევროპული განათლების და მოქალაქეობის შეთვისება“, ეს კი შესაძლებელი გახდებოდა იმ შემთხვევაში, თუ კი ქართველი ერი ჟურნალის საშუალებით გაიცნობდა ევროპის მწერლობას, მეცნიერებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებას. „აგრედვე მწერლობა და ცხოვრება რუსეთისა, რომელთანაც ამ საუკუნის დასაწყისიდან ეამთა ვითარებამ შეგვეერთა ჩვენ და რომელსაც ასტორიულმა დანიშნულებამ დაავალა გავრცელოს ევროპული განათლება გარშემო ერთა შორის და ჩვენსაში განსაკუთრებით, რადგან ჩვენი ერი შეეფარა მას ამ იმედით“ („მოამბე“. 1894 წ. № 1, გვ. 103.). ჟურნალის წარმატებისათვის რედაქციას საჭიროდ მიაჩნდა მკითხველი საზოგადოების თანაგრძობა, „რომელსაც ჟურნალის ავი შეაწუხებს და კარგი კი სიამოვნებას მოჰგვრის“.

მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალი თავის პროგრამას ასრულებდა, როგორც სხვა პერიოდულ გამოცემებს, მასაც ცოტა ხელისმომწერლები გააჩნდა და როგორც ზემოთ ითქვა, ეს ფაქტი გარკვეულ სიძინელს უქმნიდა რედაქციას ჟურნალის მუშაობის წარსამართავად. იაკობ გოგებაშვილი, რომელსაც კარგად ესმოდა პერიოდული გამოცემების უაღრესად საპასუხისმგებლო როლი და დანიშნულება ერის წინაშე, გულმხურვალედ მოუწოდებდა მკითხველ საზოგადოებას:

„განა ყველა ქართველმა, ვისაც-კი ცოტაოდნად გული შესტივა საზოგადო-

სიკეთისათვის, ვინც ჩვენში სერობუ-
ლის ლიტერატურის გაზრდას, წარმა-
ტებას და აყვავებას ნატრობს, ხელი
არ უნდა მოუშვებოს „მოამბეს“, დაე-
ხმაროს, რითაც-კი შეუძლიან, ეცადოს
მის გავრცელებას ჩვენს საზოგადოება-
ში? მაგრამ ამის ნაცვლად რასა ვხედ-
ავთ? ზოგნი ჩვენგანნი დაუძინებელი
მტრობით ეკიდებიან, ყოველ ღონის-
ძიებას ხმარობენ, რათა სახელი გაუტე-
ხონ, გაათახსირონ, შეუმცირონ ხელის
მომწერნი და საქმე გაუჭირონ. დაბა-
დებიდგან ყურნალისა ერთი ღვთისწყა-
ლობა არ უთქვამთ მისთვის, სულ
ღვთისრისხვას ნატრულობენ. არც ერ-
თი საქმეები წერილი არ მოუწონებიათ,
არც ერთი კეთილი სიტყვა არ გამოუ-
მეტებიათ. სანაცვლოდ, თუ რასმე კლა-
ნკი გამოედებოდა, თუ რისამე დაწუ-
ნება შესაძლებელი იქნებოდა, ერთს
ლაღადისს, ერთს ალიაქოთს ასტეხ-
დნენ“ (ი. გოგებაშვილი, თხზულებანი,
1954 წ. ტ. 3. გვ. 7).

ი. გოგებაშვილი შიშს გამოთქვამდა
იმის გამო, რომ ერთადერთი სერობ-
ული ლიტერატურული ყურნალი ხე-
ლიდან ეცლებოდათ და მოწინავე ინ-
ტელიგენციისაგან მოითხოვდა, რათა
რიგიანი წერილები მიეწოდებინა ჰონო-
რარის გარეშე; ხელისმომწერლებიც
გაემრავლებინათ. ამასთან ერთად, ყუ-
რნალის რედაქტორს ალექსანდრე ჭე-
რნიას და გამომცემელს ალექსანდრე ჯა-
ბაძარს ურჩევდა, დაპირებისამებრ, მკი-
თხველისათვის რვიდან ათ თაბახამდე
მოცულობის ყურნალი მიეწოდებინა
და არა თორმეტი, რაც ხშირი შემთხ-
ვევა იყო. ი. გოგებაშვილის აზრით ას-
ეთი სიდიდის ყურნალი მკითხველს და-
აფრთხობს, გარდა ამისა, „ჩვენ ლიტე-
რატურული ნიჭით და ცოდნით იმდენ-
ად მდიდარნი არა ვართ, რომ თორმეტ
თაბახიანი წიგნი—ყოველ-თვის გავავსოთ
შინაარსიანი და ჩინებული წერილები-
თაო“.

ი. გოგებაშვილი თავგამოდებით იბრ-
ძოდა, რათა ქართველებს დახვეწილი
პერიოდული გამოცემები ჰქონოდათ,

რაც ჰაერით სჭირდებოდა ფართო სა-
ზოგადოებას, ვინაიდან, როგორც ერთ
აღნიშნავდა, მაშინდელი „ტიპოგრაფი-
ლებულის ქართველებისა ძალადან მდა-
რე“ იყო. მათ აკლდათ „გონებრივი ძა-
ლა, ცხოველი ჰქუა, ნამდვილი ცოდნა,
მტკიცე ხასიათი, მხნეობა, თაოსნობა
და ეხერხებათ მხოლოდ ერთად-ერთი
საქმე — კანცელარიაში სამსახური,
ოფიციალურ ქაღალდების წერა, მოხე-
ლეობა, „ჩინოვნიკობა“... „სამს ქართ-
ველში ერთი ძლივსდა ეღირსება ხოლ-
მე კანცელარიის შუშაბანდში ადგი-
ლის შოვნას. უმეტესობა ამ შუშაბან-
დის გარედ რჩება, და რადგან მხოლოდ
იმ შუშაბანდისათვის არის მომზადებუ-
ლი, ვარდება საცოდავს მდგომარეობა-
ში, და... ხშირად თავისს ჯავრსა ყრილ-
ობს ქართულის ლიტერატურის საწყალ
მკითხველებზედ, რომელთათვისაც ხომ
ცარიელ-ტარიელ წერილებსა“.

იაკობ გოგებაშვილს მიაჩნდა, რომ
გაჭირვებული მდგომარეობიდან თავის
დასახსნელად ერს განსაზღვრული, ნა-
თელი მიმართულება უნდა გააჩნდეს,
მითუმეტეს ისეთ ერს, „რომელსაც
ბრძოლა არსებობისათვის მეტად გაძ-
ნელებია საზოგადოდ უკუღმართთა გა-
რემოებათა წყალობით“ („ქართული მი-
მართულება“). ასეთ უკუღმართ მდგო-
მარეობაში მყოფმა ქართველმა ერმა გა-
ჭირვებას თავი რომ დააღწიოს „საჭი-
როა გადაჭრილი გზა, მიმართულება,
პროგრამა. აქვს ჩვენს ერს ეს პროგრამა,
თუ არა? არსებობს ქართული გე-
გმა მოქმედებისა, თუ ჩვენის ცხოვრე-
ბის გზა ბინდ-ბუნდით არის მოცული?
დიალ, ქართველობას აქვს განსაზღვრუ-
ლი მიმართულება, გადაჭრილი სიმბო-
ლო პოლიტიკურის სარწმუნოებისა.
ზოგს გრძნობით სწამს ეს სიმბოლო,
ზოგს ნათლად აქვს გათვალისწინებუ-
ლი; ყველანი კი მიმდევარნი არიან მი-
სნი საზოგადოდ“. — წერდა იაკობ გო-
გებაშვილი და მკითხველ საზოგადოე-
ბას მოუწოდებდა, გადაეღობა „ყველა
ის დაბრკოლება, რომელიც წინ ედო-
ბება ქვეყნის წარმატებას, ასუსტებს,

აღარბებს და გადაშენების გზაზე აყენებს“. ამ გადაუდებელი საქმის დროზე მოგვარებაში იაკობ გოგებაშვილი უპირველეს როლს პერიოდულ პრესას ანიჭებდა, „რომელმაც უნდა ხმა-მაღალი ლაღადისი გააჩაღოს ორსავე ენაზე, როგორც ადგილობრივ, ისე სატახტო გაზეთებში საქართველოს გაჭირვებულს მდგომარეობაზე, დასახელებით იმ რეფორმებისა, რომელთაც შეუძლიანთ ფეხზე დააყენონ იგი“.

იაკობ გოგებაშვილი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა აგრეთვე ადგილობრივ რუსულ პრესას და იმათ წინააღმდეგ ილაშქრებდა, ვისი შეხედულებითაც „რუსული გაზეთი, რუსული ჟურნალი რუსულ საქმეს მოემსახურება საქართველოში და, ამრიგად, ძირს გამოუთხრის იმ საქმეს, რომლის პირნათლად განხორციელებას ცხოვრებაში ქართული ჟურნალ-გაზეთები, ქართული პრესა ასე თავგამოდებით ცდილობს“. ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ქართველთა შორის წერა-კითხვის განავრცელებელი საზოგადოების მდივანი ალ. მიქაბერიძე თავის მოგონებებში იაკობ გოგებაშვილის შესახებ გადმოგვცემს, თუ რა აზრის იყო იგი რუსული პერიოდული გამოცემების შესახებ. ი. გოგებაშვილმა მასთან საუბარში აღნიშნა: „...ქართული პრესა მძლავრი იარაღია ჩვენი ტკივილების განსაკურნებლად. მაგრამ დრო-გამოშვებით საჭიროა ადგილობრივი რუსული პრესის საშუალებით ჩვენი საჭირბოროტო საკითხების შესახებ ხმის ამაღლება და საქმის ვითარების სინამდვილით გაშუქება, რათა რუსეთის საზოგადოების პროგრესიული ნაწილის ყურადღება და თანაგრძნობა მოვიპოვოთ. ქართველებს საკმაოდ მოგვეპოვება ისეთი მწერლები, რომელთაც რუსული ენა ზედმოწევნით ეხერხებათ და რომლებიც ამჟამად ახლო მონაწილეობას იღებენ ადგილობრივსა და რუსეთის ჟურნალ-გაზეთებში. ნიკო ნიკოლაძე, ილია ბახტაძე, ლევან ყიფიანი, დავით კეზელი და კიდევ სხვანი, რომლებიც რუსულ ორგანოებ-

ში თვალსაჩინო მოღვაწეობენ, მტკილიდ სამსახურს გაუწევდნენ ჩვენს დღევანდელ სინამდვილეს, ეჭვმარტულად ყველანი სისწორით შედგენდნენ ჩვენს საჭირბოროტო საკითხებს და გაბედულად, მოურიდებლად მხარს უჭერდნენ ქართველი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს“ (სგმ. აღ. მიქაბერიძის ფონდი № 141).

ი. გოგებაშვილი დიდად აფასებს ნ. ნიკოლაძის კალამს, ხოლო ილაშქრებს ისეთი პუბლიცისტების წინააღმდეგ, რომელთა სამწერლო მოღვაწეობა არ არის გამსჭვალული „იმ გულთბილი სიყვარულით, რომლითაც გარემოცული უნდა იყოს ხალხის სასიცოცხლო ინტერესები“, რომელთა მოღვაწეობას უფრო პირადი ანგარიშების გასწორება ახასიათებს, ვიდრე საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხების წინა პლანზე წამოწევა და იქვე დასძენს: „მწერლის კალამი იქით არ უნდა იხრებოდეს, საიდანაც ქარი ჰბერავს; თუ მწერალს მართლაც ჰსურს საზოგადოებას პირნათლად ემსახუროს, მის ყოველდღიურ გაჭირვებას. შეება მისცეს, ხალხის ჭირი და ვარამი თავის ჭირად და ვარამად მიიჩნიოს“ (იქვე).

ამის ნათელ მაგალითს თვით იაკობ გოგებაშვილის პუბლიცისტიკა იძლეოდა.

ილია ჭავჭავაძე უაღრესად დიდ შეფასებას აძლევდა იაკობ გოგებაშვილის ნიჭსა და კალამს, მის ღვაწლს. იაკობ გოგებაშვილის მიერ „დროებაში“ გამოქვეყნებულ წერილებს, რომლებიც ქვეყნის უკუღმართობის წინააღმდეგ იყო მიმართული, ილია ჭავჭავაძე „ივერიის“ ფურცლებიდან უმავრებდა მხარს.

ი. გოგებაშვილი დიდი სიხარულით შეეგება პირველი ქართული საბავშვო ჟურნალის „ნობათის“ გამოსვლას და „დროებაში“ 1884 წელს წერდა: „ჩვენც ამ ახალს ნაბიჯს ჩვენს ნიადაგზედ, ჩვენ შორის გადადგმულს წრფელი გულით და სიამოვნებით ვეგებებით და გამარჯვებას ვეტყვიით“.

ი. გოგებაშვილის სავსებით სწორად

მიაჩნდა, რომ საბავშვო ლიტერატურაში პერიოდულ გამოცემებს თვალსაჩინო ადგილი უყავია. იგი არ ეთანხმებოდა იმ პირებს, რომლებიც ეჭვის თვალთ უყურებდნენ ასეთი ჟურნალის არსებობას; ღრმად იყო დარწმუნებული, რომ კარგი საბავშვო ჟურნალის გამოცემა უფრო ადვილი იყო, ვინემ სხვა რომელიმე პერიოდული გამოცემისა. მას სანუგეშო მოვლენად მიაჩნდა ის, რომ ქართველი მოზარდი თაობა ძალზე ეტანებოდა პედაგოგიურ განათლებას. იმდროინდელ სამ სპეციალურ პედაგოგიურ სასწავლებელში — თბილისის საოსტატო ინსტიტუტში, გორისა და ხონის საოსტატო სემინარიაში მოსწავლეთა უმეტესობას ქართველობა შეადგენდა. ამ სასწავლებლებიდან გამოსულ ახალგაზრდობას დიდი იმედის თვალთ უყურებდა ი. გოგებაშვილი. ამ ახალგაზრდობამ „კვირსამოსი“ უნდა გაუწიოს ხალხის განათლებას საზოგადოდ და პედაგოგიურს ლიტერატურას კერძოდ, და კიდევაც გაუწიეს, რის ზოგიერთა ნიშნები ახლავე სჩანს. ამას დაუმატეთ ის გარემოებაც, რომ არა ერთი ნიჭიერი პირი, საზოგადო სწავლით განვითარებული, იჩენს სურვილსა სიტყვით, კალმით და საქმით დაეხმაროს საყმაწვილო ლიტერატურის აღორძინებას, და მაშინ თქვენ სრულიად დამეთანხმებით, რომ ჩვენში საბავშვო ჟურნალს თანამგრძობები არ უნდა დააკლდნენ არც ეხლა, და არც, მეტადრე, „მომავალში“ (ი. გოგებაშვილი. თხზულებანი. 1954 წ. ტ. 2. გვ. 10-12.).

იაკობ გოგებაშვილი იმედს გამოთქვამდა, რომ საბავშვო ჟურნალს საკმარისი მკითხველი ეყოლებოდა და, აქედან გამომდინარე, მას უეჭველად სწამდა „ნობათის“ საიმედო მომავალი.

ჟურნალ „ნობათის“ სანიმუშო ნომერის კრიტიკული განხილვის ბოლოს ი. გოგებაშვილი აღნიშნავს იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს სადი ლიტერატურული კრიტიკა, რომელიც საუკე-

თის სამსახურს ვაუწყებს საბავშვო ლიტერატურის შემდგომ განვითარებას:

„...ჩვენ ვცდილობდით, დაწვრილებით გამოგვეთქვა სამართლიანი მსჯელობა ლირსებანი კამკამად გაგვეშუქებინა, საქები ხმა-მალა გვექო და ამასთან არ დაგვემალა ნაკლუფეანება, რაც არც საკადრისი იყო და არც სასარგებლო უპირველესად ყოვლისა თვითონ ჟურნალისათვის. არას დროს არ უნდა დავივიწყოთ, რომ ყოველივე შეცდომა საბავშვო გამოცემაში ერთი ხუთად და ათად მანებელია ვიდრე დიდებისათვის დანიშნულს წიგნში. დიდს აზროვნობა, მსჯელობა განხილი აქვს, კარგი და აგი გაეგება და კარგს ნაწერს ითვისებს, ცუდს უარს ჰყოფს. პატარა მოკლებულია ჭერედ რაიმე კრიტიკულს შეხედულებას და თითქმის ერთნაირად ითვისებს კრავსაცა და ავსაცა. ამიტომ თვით ნაკლები ნიჭის პატრონი ბავშვი ჭკვიანი, გონიერი და სასარგებლო კაცი გამოდის, თუ მას აძლევენ მხოლოდ საღსა, ნოყიერს საქმელს გონებისა, მაგრამ თუ თქვენ ბავშვს ხშირად აჩეჩებთ ხელში იმისთანა უვიცი კალმის ნაწარმოებს, როგორც არის ლეგენდა თემურიშვილზედ, თქვენ მას გონებას უთუოდ დაუსუსტებთ და დაუმახინჯებთ სწორედ ისე, როგორც სნეულდება კუჭი; რომელიც იძულებულია ხარშოს საქმელი, ყოველს სინოყიერეს მოკლებული. აი რისათვის ფრიად საჭიროა, რომ „ნობათი“ კვლავ ერიდოს ყოველს უნიჭო და განუვითარებელ წერილებსა...“ (ი. გოგებაშვილი. თხზულებანი. 1954 წ. ტ. 2. გვ. 24-25.).

იაკობ გოგებაშვილი უარყოფდა საზოგადოების გარკვეული ნაწილის ეჭვებს იმის შესახებ, რომ თითქოს შეუძლებელი იყო იმაქმად ასეთი სახის ჟურნალის არსებობა. ი. გოგებაშვილს ჟურნალის წესიერად წარმართვის იმედს უსახავდა რედაქციის უანგარო და დაუღალავი ღვაწლი, რომელსაც მხარს უმაგრებდა ჟურნალის ირგვლივ დარაზმული ცნობილი საზოგადო მოღვაწე-

ბისა და მწერლების ეროვნული სულ-
ისკვეთება. ი. გოგებაშვილი დიდ იმე-
დებს ამყარებდა მასწავლებლებსა და
მოსწავლეებზე, რომლებიც არ დაიზა-
რებდნენ და ხელისმომწერთა სიმცირეს
არ აგრძნობინებდნენ ყურნალს.

1884 წელს გამოვიდა ი. გოგებაშვი-
ლის სახელმძღვანელოს, — „საყმაწვი-
ლო კონას“, — მეორე შეცვლილი გა-
მოცემა. ამავე წლის ყურნალ „ნობა-
თის“ მე-7, მე-8 და მე-9 ნომრებში და-
ხმვკდა ბიბლიოგრაფიული წერილი,
რომელშიც რედაქცია წინააღმდეგია ეს
წიგნი გამოიყენონ სკოლის დამხმარე
სახელმძღვანელოდ. ან. ლულაძეს —
„ნობათის“ რედაქტორს, ემინოდა რა-
თა ი. გოგებაშვილის „კუნწულას“ ხე-
ლისმომწერნი არ წაერთმია „ნობათი-
სათვის“. ი. გოგებაშვილი ყოველთვის
მონდომებული იყო, რათა „ნობათის“
ბევრი ხელისმომწერლები ჰყოლოდა და
ყურნალსაც ეარსება მომავალი თაო-
ბის საკეთილდღეოდ. უფრო ნათელი
რომ გახდეს ი. გოგებაშვილის დამოკი-
დებულება „ნობათისა“ და მისი რედა-
ქტორ-გამომცემლის მიმართ, მოვიყ-
ვანთ ერთ მოზრდილ ამონაწერს მის
წერილიდან „ახირებული ვაფხუჯიანე-
ბა“:

„ყველაზედ უსაკვირველესი ის არ-
ის, რომ ბატ. ლულაძე გვიწყრება იმა-
ზედ, რაც მის გულითადს სურვილს შე-
ადგენდა. წარსული ზაფხულის დამდეგს
მან გვკითხა ჩვენ: მეორე ნომერი „კუ-
ნწულისა“ როდის გამოვაო. ჩვენ ვუ-
პასუხეთ: როდესაც „ნობათის“ საკმაო
ხელის მომწერი გაუჩნდება შეთქი.
„ნობათის“ არსებობისათვის საჭიროა
ხუთასი ხელის მომწერი, ანუ ორასი
თუშანი ფული წელიწადშიო, განგვიზა-
რტა მან. „მაგოდენა ხელის მომწერს
საბავშვო ყურნალი, თუ იგი მარჯვედ
იწარმოებს, მეორე წლის განმავლობა-
ში უთუოდ შეიძენს, რადგანაც მოთხ-
ოვნილება დიდია საზოგადოებაში, —
და ამ ხნით შეჩერება ჩვენი გამოცემი-
სა შესაძლებელია“, ვუპასუხეთ ჩვენ.
ჩვენს მოსაუბრეს ძლიერ ეამა ეს და

გვითხრა: ეგ სიტყვები, ჩვენს შორის
კერძოდ ნათქვამი, რომ „დროებაში“
იქმნას გამოცხადებული, მეტად ნაკლები
და სასარგებლო იქნებაო...“
ძე უწინ „კუნწულის“ მხოლოდ შეჩე-
რებას ნატრულობდა, ახლა სრულს გა-
უქმებას ითხოვს ამიერ და უკუნისამ-
დე: „თუ „ნობათი“ სასარგებლო გამო-
ცემაა, რაღა საჭიროა თქვენ მიერ გა-
ნძრახულის და შეჩერებულის ყურნა-
ლის გამოცემა მის შემდეგ, როცა „ნო-
ბათი“ ხუთასს წლიურს ხელის-მომწერს
შეიძენსო?“ (ი. გოგებაშვილი. თხზუ-
ლებანი. 1954 წ. ტ. 2. გვ. 49-50).

ი. გოგებაშვილი აქვე დასძენდა, რომ
შეასრულებდა ან. ლულაძის მოთხოვ-
ნას, აღარ გამოსცემდა „კუნწულას“ და
ყოველშრივ მხარში ამოუდგებოდა
„ნობათს“ თუკი იგი სამ პირობას შე-
ასრულებდა. კერძოდ, „ნობათი“ ვადა-
ქვეულებო იმისთანა ყურნალად, რო-
მელიც დააკმაყოფილებდა ბავშვებსაც
და ყმაწვილებსაც; „მან სრულიად უნ-
და აიშოროს თავიდან ღვარძი და მხო-
ლოდ წმინდა პურს იპყრობდეს. რედა-
ქტორს ჯერ-ჯერობით სრულიად უნდა
აეკრძალოს წერა, სახელდობრ იქამდის,
ვიდრე გადმეტებული სწავლულობა არ
შეუშეცირდება და ქართული ენა, ლათი-
ნურისაგან ქვეშ მოქცეული, ზევით არ
მოქცევა... იმის აზრით, რომელსაც
ჩვენ სრულიად ვეთანხმებით, რიგიანი
საბავშვო ყურნალი პირველსავე წელს
შობიბოვებს სამკარისს ხელის მომწერსა
და რაოდენიმე წლის განმავლობაში
შეიქმება არსებით მოთხოვნილებად
ყოველივე სახლობისათვის, რომელში-
აც კი წერა-კითხვის მცოდნე პირი მო-
იპოვება“ (იქვე, გვ. 51).

ან. ლულაძე საყვედურს გამოთქვამს
იმის გამო, რომ ი. გოგებაშვილმა ბ-
ნ გაბიჩვაძის პასუხად გამოქვეყნებულ
„საბასოშიაც“ („დროება“, 1884 წ.
№ 192, გვ. 2-3) „ნობათის“ შესახებ
ილაპარაკაო. თუ „ნობათი“ სასარგებ-
ლო გამოცემად მიიჩნია ჩვენი საზოგა-
დოებისათვის, იხმაროს ყოველი ღონე
და საშუალება რათა ყურნალმა იარსე-

ბოსო, — წერს ან. ლულაძე და იქვე დასძენს: „...რალა საჭიროა თქვენ მიერ განზრახულის და „შეჩერებულის“ ყურნალის გამოცემა მის შემდეგ, როცა „ნობათი“ ხუთასს წლიურ ხელის-მომწერს შეიძენს?... და თუ სცნობთ, რომ „ნობათი“ უვარგისი გამოცემაა, ჩემის აზრით, ძლიერ შემცდარხართ; თქვენი განზრახვა რომ „შეგოჩერები-ათ...“

გახეთ „დროების“ 1884 წლის მე-20 ნომერში ი. გოგებაშვილმა გამოაქვეყნა ან. ლულაძის საბასუხო წერილი „ახ-ირებული გაფხუჯიანება“, რომელშიც იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ რიგი-ანი საბავშვო ყურნალი გამოცემის პირ-ველსავე წელს მოიპოვეს საკმარის ხე-ლისმომწერთ და მალე ყოველი ოჯახი-სათვის „არსებით მოთხოვნილებად“ გა-დაიქცევაო.

ი. გოგებაშვილსა და ან. ლულაძეს შორის კამათმა გაცხარებული ხასიათი მიიღო. ან. ლულაძემ პირად შეურაცხ-ყოფად მიიღო ი. გოგებაშვილის „საბა-სო“ („დროება“, 1884 წ. №№ 259 და 261) და თხოვს „დროების“ რედაქ-ტორს, რათა ადგილი დაუთმოს ი. გო-გებაშვილისადმი მიმართულ წინადადე-ბას: „საქმე რომ ნათლად გამოიკვეთოს, ამორჩეულ იქმნენ კეთილ-სვინდისიანი პირნი, რომელთაც განარჩიონ, როგორც „ნობათ“-ში დაბეჭდილი ბიბლიოგრა-ფიული წერილი, აგრეთვე ბ. ი. გ-ლის „საბასო“-ც და გადასწყვიტონ: ა) რა-მდენად საფუძვლიანად უარ-ჰყოფს უკა-ნასკნელი პირველსა და ბ) რა უფლე-ბით აძლევს ბ. ი. გოგებაშვილი თავის თავს ნებას უპატიურად იხსენიოს, რო-გორც „ნობათ“-ის სახელი, აგრეთვე ჩემიც. ყოველივე დადგინება ამ პირ-თა დაბეჭდილ უნდა იქმნეს თქვენს პა-ტიცემულს გაზეთს „დროება“-ში.

მედიატორებად არჩეული იყვნენ დიმი. ბაქრაძე, ვ. ყიფიანი და გ. იოსე-ლიანი. მათ დაწვრილებით განიხილეს როგორც „ნობათში“ დაბეჭდილი კრი-ტიკული წერილი „კონას“ შესახებ, ას-ევე ი. გოგებაშვილის პასუხი, მხედვე-

ლობაში მიიღეს აგრეთვე ი. გოგებაშვი-ლისა და ან. ლულაძისაგან წარმოდგენი-ლი წერილები თავიანთი თავის წინასწარ მართლებლად და შემდეგი დასკვნა გა-მოიტანეს:

1) „გარჩევა „კონისა“, დაბეჭდილი ყურნალ „ნობათში“, ვერ ვსცანით ჩვენ პრინციპიალურ კრიტიკად. ის არის და-წერილი ცხადის განზრახვით დაამცი-როს უსამართლოდ, როგორც „კონა“, ისე თვითონ მისი ავტორი საზოგადოე-ბის თვალში და დასდოს ლაქი მის პე-დაგოგიურსა და ლიტერატურულს ღვაწლს. კრიტიკულ წერილში არის ისეთი ადგილები და სიტყვები, რომე-ლნიც უთუოდ უნდა ჩაითვალოს შეუ-საბამოდ, არა საკადრისად, შეუწყნარებ-ლად ბეჭდვით სიტყვაში, მეტადრე სა-ყმაწვილო პედაგოგიურ ყურნალში, და საწყენად და კიცხვად „კონის“ ავტო-რისათვის.

2) აზრი, წარმოთქმული საბიბლიო-გრაფიო წერილში, ვითომც ყველა გად-მოთარგმნილი და გადმოკეთებული გო-გებაშვილისაგან მოთხრობანი „კონაში“ გაფუჭებულნი იყვნენ, სრულიად უსა-მართლო არის. ის მაგალითები, რომე-ლნიც მოჰყავს ბიბლიოგრაფიის ავ-ტორს „კონის“ შინაარსიდან იმ აზრის დასამტკიცებლად, რომ, ვითომც, შინა-არსი წიგნისა წინააღმდეგი იყვეს მეც-ნიერებისა, — სრულიად უსაფუძვლო აღმოჩნდნენ, როგორც დავრწმუნდით; შემდეგ მათის შემოწმებისა გამოჩენი-ლი ავტორიტეტების ცნობებთან.

რაიცა შეეხება „კონის“ ენის ნაკლუ-ლევიანებას, საზოგადო მსჯელობა ბიბ-ლიოგრაფიის ავტორი მასზე, რომ, ვი-თომც, „კონა“ წარმოადგენს ნამდვილ კონასა იმ დაგლეჯილ და წამხდარის ავლაბრულ ქართულ ენისას, რომელიც დაიბადა ქართულად მოლაპარაკე სო-მეხ-თათარ-ოსთაგან“, მედიატორებს მიაჩნიათ ნამდვილ ცილის-წამებად, თუმცა კი, მართალია, „კონაში“ ნაჩე-ნებია ზოგიერთი ისეთი სიტყვები და ფრაზები, რომელნიც არ შესაბამებთან ქართული მართ-წერის კანონებს, მაგ-

რამ ამ გვარი ნაკლულუვანება, სამწუხაროდ, საზოგადო ნაკლულუვანებას შეადგენს ჩვენის აწინდელ მწერლობისას.

3) ბ. გოგებაშვილის საბაასო წერილს აქვს პიროვნული ხასიათი. მასში ხშირად არის ნახმარი მედიდური და დამამცირებელი სიტყვები და ფრაზები, რომელთაც არ უნდა ჰქონდესთ ადგილი მწერლობაში. მართალია, ბ. ლულაძემ თავის უსაფუძვლო და ბოროტ განზრახვის წერილით მიმართა და მისცა მიზეზი ისეთ პირს, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის თვისი პედაგოგიურის და ლიტერატურულის ხანგრძლივის, ფრიად სასარგებლო შრომით ჩვენი საზოგადოებისა და ახალი მოზარდის თავობის წინაშე, მაგრამ მაინც კიდევ არ უნდა ეკადრებია იმ გვარი კილო თავის პასუხში, მით უფრო, რომ კილო ბ. ლულაძის კრიტიკული წერილისა შედარებით უფრო ზომიერია.

დასასრულ, მედიატორები სამართლიანად ჰხადიან წარმოსთქვან, რომ ბბ. ლულაძისა და გოგებაშვილის პოლემიკური დავა ისეთი განსაკუთრებითი თვისებისა არ იყო, რომ ის უთუოდ სამედიატორად გამხდარიყო. ჩვენის აზრით, უმჯობესი იყო, ეს საქმე თვით ჩვენი მკითხველი საზოგადოების მსჯელობისათვის მიენდო ბ. ლულაძეს“ („ივერია“, 1885 წ. № 2, გვ. 141-142).

განჩინებას ხელს აწერს სამივე მედიატორე.

ამით ან. ლულაძესა და ი. გოგებაშვილს შორის კამათს საბოლოოდ დაესვა წერტილი.

მიუხედავად მოკამათე მხარეების გაცხარებული ტონისა, ორივეს საბოლოო მიზანი კეთილშობილური იყო — ქართველ ბავშვს კარგი საკითხავი ეურნალი ჰქონოდა.

როგორც ცნობილია, ეურნალმა „ნობათმა“ 1885 წლის მესამე ნომრიდან არსებობა შესწყვიტა. თითქმის ხუთი წლის შემდეგ ქართველმა ბავშვებმა მიიღეს ახალი ეურნალი „ჯეჯილი“, რომ-

ლის რედაქტორ-გამომცემელი იყო ანსტასია თუმანიშვილი-წერეთლისა.

იაკობ გოგებაშვილი სავსებით სწორად აღნიშნავდა, რომ მხოლოდ მეუღე ნებელი, განუვითარებელი ერი და საზოგადოება არის მოკლებული საბავშვო ეურნალს; ხოლო იქ, სადაც სწავლა-განათლებას ფესვები მეტ-ნაკლებობით ღრმად გაუღდამს, საბავშვო პერიოდულ გამოცემას ერთი უპირველესი ადგილი უჭირავს. „ბოლო ხნობამდინ ჩვენ მოკლებულნი ვიყავით საბავშვო ეურნალს. ამ ყოველ კულტურულის ერის კუთვნილებასა; სხვათა შორის ესეც უტყუარი ნიშანია იმისი, რომ ჩვენს ოჯახობასა და საზოგადოებაში სუსტია ჯერ სწავლისა და განვითარების მოთხოვნილება. რამდენისამე წლის წინად გაგვიჩნდა „ნობათი“ და დიდს იმედსაც გვაძლევდა, მაგრამ გაგვიცრუვდა ეს იმედი. იგი ქვიშაზედ ამენებული ხუხულას მსგავსი რამ გამოდგა. კუდიანი ბეუტა ვარსკვლავივით გაჩნდა ჩვენს პედაგოგიურს ცაზედ, ჯერ ცოტა ხანს იკაშკაშა, მერე სწრაფად მიიღია და ბოლოს მთლად გაქტრა, ვითომც არც კი არსებულყოფს. მაგრამ მაინც მადლობელნი უნდა ვიყვნეთ „ნობათის“ რედაქტორ-გამომცემლისა. ცოტას ხნობით ხომ დაუყენა ჩვენს მოზარდს თაობას გონებრივი დღესასწაული და ცოტაოდენი კვალი მაინც დასტოვა ჩვენს ცხოვრებაში“ (ი. გოგებაშვილი. თხზულებანი. 1954 წ. ტ. 2. გვ. 194).

ამის შემდეგ იაკობ გოგებაშვილი სიხარულით აუწყებს მკითხველ საზოგადოებას, რომ მომავალი 1890 წლიდან ქართველ ბავშვებს ახალი პერიოდული გამოცემა ექნებოდათ. მას ღრმად სწამდა, რომ „ჯეჯილი“ იქნება ჩვენს პედაგოგიურს ცაზედ არა დროებითი მოჩვენება კუდიანი კომეტასავით, არამედ, ვარსკვლავი, რომელიც ჩვენი მოზარდი თაობის სასარგებლოდ და სიხარულით წმინდა ნათელით იკაშკაშებს დიდხანს, ძლიერ დიდხანს, იქნება მუდამაც. ვინ იტყვის, რომ ეს არ იქნება დიდი ნაკლის შევსება და ძლი-

ერ ხელს არ შეუწყობს უფრო გონიერს, უფრო მხნეს და უფრო ქვეყნისათვის გამოსადეგის ახალთა თაობათა აღზრდასა, მომზადებასა“ (იქვე, გვ. 194-195).

რამოდენიმე წლის შემდეგ გაზეთ „იერიში“ (1897 წ. № 85) გამოქვეყნდა ი. გოგებაშვილის წერილი „ჩეჯილის“ ადვოკატსა“, რომელიც პასუხს წამოადგენს დ. მეგრელის წერილზე — „ბ-ნი იაკობ გოგებაშვილი და ეუზრნალი „ჩეჯილი“. როგორც ჩანს დ. მეგრელს „ცნობის ფურცელში“ „პაატას“ ფსევდონიმით გამოქვეყნებული წერილი „ჩეჯილის“ წინააღმდეგ ი. გოგებაშვილის ჰგონებია. სინამდვილეში კი წერილის ავტორი მიხ. ნასიძე იყო. როგორც ჩანს ი. გოგებაშვილს 1897 წელს ეურნალ „ჩეჯილზე“ თავისი შეხედულება შეუტკლია, ვინაიდან იგი შინაარსობრივად სათანადოდ ველარ უბასუხებდა მოთხოვნებს და მდარე ეურნალად თვლიდა. ეურნალის ხელისმომწერთა სიმცირეს იგი რედაქციის უხეირო მუშაობას აბრალებს და დ. მეგრელის მისამართით აღნიშნავს:

„თქვენ ამ ფრიად სამწუხარო მოვლენას აბრალებთ არა რედაქციის უხეირობას, არამედ ქართველი საზოგადოების შეუღნებლობას, გულგრილობას, დაუდევრობას, მაგრამ ნუთუ ჩვენი სამშობლო ქვეყანა ისე წყალ-წალბებულია, რომ მასში არ მოიპოვება ხუთასეკესასი სახლობა მაინც, რომელსაც ესმოდეს დიდი, შეუდარებელი მნიშვნელობა საბავშვო ეურნალისა? ამას არავინ დაგიჯერებთ. თუ ეს სახლობანი არ იწერენ „ჩეჯილსა“, ეს იმისაგან უნდა იყოს, რომ არც ენით და არც შინაარსით შესაფერ საზრდოდ არა სთვლიან მას თავისი შვილებისათვის“ (ი. გოგებაშვილი. თხზულებანი. 1954 წ. ტ. 3. გვ. 87).

ი. გოგებაშვილი შეახსენებს დ. მეგრელს, რომ არა თუ რუსეთში, არამედ ევროპაშიც პოლიტიკურ და სალიტერატურო ეურნალებს მცირე ხელისმომწერები ჰყავთ, ვინაიდან გაზეთები უწყე-

ვი კონკურენციასო. საბავშვო ეურნალს კი კონკურენციას ვერავინ გაუწყენს „თუ იგი ცოცხლად და გონივრად მიტყავს რედაქციასა“. ამის შემდეგ ი. გოგებაშვილი ურჩევს რედაქციას, რათა ისეთ პირებს გადასცენ ეურნალი, რომელთაც „შეუძლიან ჩინებულად წაიყვანონ საბავშვო ეურნალი“ და ხელისმომწერებიც გუმრავლონ. თუ როგორ იბრძოდა ი. გოგებაშვილი ეურნალ „ჩეჯილის“ გასაუმჯობესებლად და ხელისმომწერთა გასამარვლებლად, ნათლად ჩანს მის მიერ კირიონ საბავლიშვილისადმი 1900 წლის 31 ოქტომბერს მიწერილი წერილიდან, რომლის ტექსტიც სრულად მოგვყავს:

„...მოგახსენებთ, რომ ქართველ ბავშვთა ზნეობრივ და გონებრივ აღმზრდელ პერიოდულ ორგანოდ დღეს ერთადერთი ეურნალი „ჩეჯილია“, რომელიც სათანადო მთავრობისაგან საერო და სასულიერო სკოლებში სახმარებლად ნება დართულია, როგორც საერთხავი წიგნი. მაგრამ რა გარემოებით არის იგი მოკული და რა ღონისძიებით სულდგმულობს, უფროსმა — ერთმა ჩვენმა საზოგადოებამ სრულიად არ იცის. ნივთიერი ხელ-მოკლეობა, რომელიც ყოველ ჩვენებურ დროგამოშვებით ნაბეჭდ ორგანოს თანა სდევს, მეტად აფერხებს „ჩეჯილის“ საქმესაცა, რაც არის შედეგი ქართველის საზოგადოების შეუღნებლობისა და გულგრილობისა. ქართველობა რომ მეტი თანაგრძნობით მოპყრობოდა, დღეს ამ ეურნალს ხელის მომწერიც საკმარე ეყოლებოდა და შინაარსითაც უფრო მრავალფეროვანი და საინტერესო იქნებოდა.

„ჩეჯილის“ პატივცემულმა რედაქტორმა ქალბატონმა ანასტასია წერეთლისამ თავისი ეურნალის დღევანდელი მდგომარეობისათვის არ დაიშურა არც შრომა და არც ხარჯი, მაგრამ მაინც ვერას გახდა, და შემდეგ, მისივე წინადადებით, დაარსდა მზრუნველთა კომიტეტი, რომელსაც დაევალა, რომ ზნეობრივ, ქონებრივ და კალმით მხარი დაუჭირონ

ქურნალის რედაქციას და ამ გვარად მისი ბეჭდვის საქმე უფრო ნაყოფიერად წარიმართოს. სხვა ღონისძიებათა შორის ამ მზრუნველთა კომიტეტმა საჭიროდ დაინახა „ჭეჯილის“ გასულისა და მიმდინარე წლის დარჩენილი ნომრების გაყიდვა.

ყოველს ექვს გარეშეა, რომ ჩვენის ბავშვების გონებრივ და ზნეობრივ განვითარება, მშობლიურ ნიადაგზე აღობრინებული, საუკეთესო თავმდებია ჩვენის ერის გამძლეობისა და წარმატებისა. ამის გამო სრული იმედი გვაქვს, რომ თქვენც, როგორც ჩვენის ერის სულიერ მწყემსად ზე-განგებით დადგენილი, განახლებული და ჭეშმარიტი მოკეთე ჩვენის ქვეყნისა, კეთილინებებით და ყოველ ღონისძიებას იხმართ, რათა თქვენის სამწყსოსის სამრევლო

სკოლებისათვის დაბარებულ იქმნან „ჭეჯილის“ ნომრები წარსული წლებისა და მიმდინარე წლისა“ (საქართველოს სახელობის სახელმწიფო წესდამწერთა ინსტიტუტი. კ. საძაგლიშვილის ფონდი № 3).

წერილს იაკობ გოგებაშვილის გარდა ხელს აწერენ მზრუნველთა კომიტეტის წევრები — ეკ. გაბაშვილი, ეკ. მესხი და ალ. მიქაბერიძე.

ქართული ქურნალისტიკის განვითარებაში იაკობ გოგებაშვილის დვაწლი, უდავოდ, მნიშვნელოვანია. დიდმა მწერალმა თავის ერს მდიდარ მემკვიდრეობად დაუტოვა ძალზე საინტერესო და ღრმაშინაარსიანი პუბლიცისტური წერილები, რომლებიც სპეციალური კვლევის ობიექტს წარმოადგენენ.



პრიგოლ რობაქიძე

ვაჟა-ფშაველას გამოსათხოვარი

ქართლის დედას ძუძუ უშრება ამდენი ტკივილებით.

ცრემლიც დაშრეტია დატანჯულს და ეხლა შენს სიკვდილს, რომ გაიგონებს, შეხადლოა, გაჩენაც კი დასწყვეტლოს საბრალთ.

ცოცხალთა შორის შენ იყავი მისი ნამდვილი შეილი, მისი სიტყვა და მისი ოცნება, მისი სახელი და მისი იმედი, გაიხსენე, თუ გინდ, ილიას ტრაგიზმით სავსე სიკვდილი. ვინ იგზნო სავსებით ეს საშინელება? მხოლოდ შენა, ჩემო ძვირფასო მგოსანო.

შენი ქმნილება „შენდაში“ — ილიასადმი მიმართული, გულგაპოხილი საქართველოს ამოძახილია ნამდვილი.

ან, თუ გინდ, ცხრა მთას იქით გადაჭრილი ქართველი შეომრის ტანჯვა, ვინ იგრძნო სავსებით მისი გულის თქმა? მხოლოდ შენ — ჩემო ძვირფასო მომღერალა.

როცა შენს უკანასკნელ საგალობელს ვკითხულობ, ქართველი შეომრის სიმღერას სადღაც შორს სანგრებში ამომსკდარს, გული საგულეს აღარ დგება, იმდენი გრძობაა შიგ დანთქმული.

ახლა კი მხოლოდ დუმილი მტყუვებებს შენი, საუკუნო დუმილი, და შენს შემდგომს ჩვენ რაღა უნდა ვქნათ, სიტყვა აღარ არის ტანჯვის სათქმელად, იმ თავითვე სასტიკად აღვსილა ბედისწერა ქართველთათვის.

უვავილთა ან შენ რომ ლამაზად იტყოდით „ყოფილთა“ ქვეყანაა, მაგრამ შენი დემონი, შეშლილს მერანზე მჭდომარე, სიხსლის ღამით აღრჩობს მის სურნელოვან უვავილს: დაბჭრის, დაწრწის, ცედავს, ღერწავს — მწვანე ღერწამს, ატილიებს ყოველს.

შენ ამ უამად გიჟის ხელით მოკვეთილი ღერწამი ხარ და მერე რა ღროს გიმუხთლა ბედმა: შენს გარდა ვის შეეძლო სამშობლოს ბედის გამოცნობა, როცა ცეცხლის ალით ისტორია იქედება?

შენ იყავი ქართული გენიის ნატეხი, მისი უკვდავი ფრაგმენტი, ხომ გინახავს ველად უცნაური, ლურჯი ქვა ქართველები მების ნატეხს რომ უწოდებენ, სწორედ ასეთი ნატეხი ხარ შენ მებისა, ცეცხლის ნატეხი, რომელიც სიტყვაა თვითონ გენისა.

შენი დროული არსი გაშქრა, ხოლო შენი მარადი არსი უკვდავია, ეს შენც კარგად იცი, რა გააქრობს გენიის ალს, სიცოცხლის წარმოშობას? უმალ მსოფლიო გაქრება.

და ეს გვამბედებს ჩვენ, ამხნევებს საქართველოს.
არც ერთი გრძნობა შენისთანა ქართველისა არ დაიკარგება, სწორედ
ისე როგორც არ დაიკარგება უხმაუროდ არც ერთი წვეთი სისხლიმქანთვე-
ლი მემორისა და საუკუნეებში კავშირი ედება უტეხი.

გადასულნი არ სცილდებიან დარჩენილებს და დარჩენილნი არ შორდ-
ებიან გადასულებს. აქ მარხია — ჩვენი ისტორია, და შენს საფლავთან სწორედ
ეს გვამხნევებს, მაგრამ მე პირადათ საშინელი ფიქრი მაწუხებს; ვაი თუ კი-
დეც უარესს მოველით და შენი ამ უამითი სიკვდილი მხოლოდ ჩვენებაა საც-
ნაური.

თანდათანობით გვწაფრავს მკაცრი ბედისწერა, ეს შენც იცი... და ვინ
იცის შეხადლო... მაგრამ არ მსურს... ავხახო. დეე რაც მოხდეს მოხდეს!
საქართველო მსხვერპლი იყო მუდამ და როგორ იქნება რომ მსხვერპლმა
გარდაქმნა არ გამოიწვიოს?

მშვიდობით, ჩემო ვაჟა.

1916 წ.

მოგაწოდა მწერლის დისწულმა
როსტომ ლომინაშვილმა



ამთანდომ ვართაგავა

ნახევარი საუკუნის მერე

1962 წელს მწერალს და საზოგადო მოღვაწეს, იბოლიტე პეტრეს ძე
ვართაგავას დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდა.

ამ ფაქტს საქართველოს რესპუბლიკის პრესა სათანადოდ გამოეხმაურა,
განსაკუთრებით კი გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“. აქ, ამ გაზეთში
(იმავე წლის 16 მარტის ნომერში) გამოქვეყნებულ მოკლე, მაგრამ შინაარსი-
ან, მრავლისმთქმელ წერილში — „მხტოვანი კრიტიკოსი“, — პროფესორი
სარგის ცაიშვილი გვიხატავს იუბილარის ვრცელ და საინტერესო, წინააღმდე-
გობებით აღსავსე შემოქმედებითი ცხოვრების გზას, მისი პიროვნებისათვის
საკადრის, ასე ვთქვათ, პოეტურ პორტრეტს, რომელსაც გარკვეული წვლილი
მიუძღვის ქართული კრიტიკული აზროვნების განვითარებასა და თაობათა
აღზრდის კეთილშობილურ საქმეში (გვინდა ვისარგებლოთ შემთხვევით და
აღვნიშნოთ, რომ იბ. ვართაგავას ნამოწაფრები თბილისის სასულიერო სე-



მინარიიდან იყვნენ — გალაკტიონ ტაბიძე, გოგლა ლეონიძე, ილო მოსა-
შვილი...).

ამას ისიც დაერთო, რომ უფროსი „მნათობის“ (იმავე წლის მე-3-ე, მე-4-ე, მე-5-ე ნომრებში, ზედღებდ, ერთმეორის თანმიყოლებით) რედაქციამ დასა-
ტამბა იბ. ვართავაგას საზოგადოებისათვის აქამდის უცნობი მეტად საინტე-
რესო მოგონებანი სათაურით: „ილია, ვაჟა, გიგა ყიფშიძე“. აღნიშნული წე-
რილები, ასე თუ ისე, ცნობილია ჩვენი მკითხველისთვის და ამდენად, მის მი-
მობილვას ჩვენ აქ არ შევუდგებით. ეს წერილიც ერთგვარი სასიამოვნო სი-
ურპრიზი იყო ღრმად მოხუცი კაცისათვის, რომელსაც „საუკუნის გასაღები“
(მისი სიტყვებია) ჯიბეში ედო და, სიბერის გამო, ჯონს და ყაფარჯენს იყო
მინდობილი.

აღნიშნულ მასალებს გასცნობია საქართველოსაგან შორს მყოფი გრი-
გოლ რობაქიძე, ვერ დაუფარავს მათგან მოგვრილი აღფრთოვანება და მაშინ-
ვე მადლიერების გრძნობით გამთბარი წერილი გამოუგზავნია მისი ძველი
ლიტერატურული მოპაექრისათვის.

გრიგოლ რობაქიძის ეს წერილი მთელი მეტოხედი საუკუნის განმავლ-
ბაში, სათუთად ინახებოდა იბ. ვართავაგას საოჯახო არქივში და პირველად
ქვეყნდება:

აი, გრიგოლ რობაქიძის წერილიც:

პატივცემულო ბატონო იბოლიტი გულმზურვალე ხალამი შორეთითგან!
გავიგე: 80 წელი შეგსრულდებათ. გავიგე „ლიტერატურული“ გაზეთითგან,
საცა თქვენზე წერილია მოთავსებული და თანაც თქვენი სურათი. წერილი
ძალიან მხვედრია. ვაკვირდები სურათს: დამშვენებულხარო მოხუცებულობა-
ში. გიცნობდით: ვითარ ფესვებმაგარ დიდ მუხას, ქართულის — მძლავრად
გაშლილი მკლავებით გარემოს რომ ემთავრება. გეტყობათ, სურათზე გატ-
ყობთ: ჯერ კიდევ ფესვებმაგარი ჩანხარო. 100 წლამდე უნდა იცოცხლოთ!
„უნდა“ აქ „მინდას“ ნიშნავს. მჭერა კიდევ: გახსლებთ მანამდე. მერმე კი ბიბ-
ლიურად გადახვალთ ამ „წუთიური“ სოფლითგან ხამარადისობაში. დიდი
ინტერესით და გულდასმით ვკითხულობ თქვენს მოგონებებს „მნათობში“.
ბევრი რამ გაგიკეთებიათ მშობლიურ ლიტერატურაში! აქა-იქ ტყვილად იმ-
დაბლებთ თავს.

იყავით მხნედი!
მ ა რ ჯ ი ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს
თქვენი პატივცემული
გრიგოლ რობაქიძე
1. 5. 1952. ენევა.

თუ როგორი კმაყოფილებით შეხვდა ღრმადმოხუცი კრიტიკოსი შორეუ-
ლი ენევიდან გრიგოლ რობაქიძის მიერ გამოგზავნილ ასე გულთბილ და
მრავლისმთქმელ წერილს, ჩანს მშობლიური სოფლიდან, თბილისში, ჩვენ სა-
ხელზე გამოგზავნილ წერილიდან, რომელიც ერთგვარი კომენტარიცაა ამ
ფაქტისა:

ძვირფასო, ჩემო ავთო!
როგორც მოსალოდნელი იყო, შეგიმორწმებ-შეგიფასებია შნიშვნელობა ენევიდან მოსუ-
ლი გრიგოლ რობაქიძის წერილისაც და ბაბუაშენის სახელისა და ავტორიტეტისაც. მაშინვე
შესდგომიხარ მისი შინაარსის გახმაურებას. კარგად მოქექულხარ, რომ წერილი მიგიტანია
„მნათობის“ რედაქციაში. იპაუტრებს ესაიამოვნებოდით, რასაკვირველია, წერილში „მნათობის“
ხსენება და ჩემი მოგონების დასახელება. „დროშაშიც“ მიგიტანია, ესეც მიზანშეწონილია.
როგორც იწერები, წერილს სენსაცია მოუხდენია. გასაგებიც არის. მისი ავტორს, გრ. რობა-

ქიფ, მთელ საქართველოში ცნობილი იყო და უცხოეთში გადახვეწილი გაცხოველებული თვალყურს ადევნებდა თურმე შრობილურ მწერლობას და საკუთარი აზრ-შეხედულება აქვს შედგენილი მისი დიდი და ჰატარა შვილების შესახებ.

საინტერესო ის არის, რომ მე „ცისფერყანწულთა“, რომელთა ბელადად გრძელად ვთვლი ბაქიძე ითვლებოდა, ლიტერატურის და ხელოვნების საკითხებში არ ვეთანხმებოდი. მაშინვე დი კიდევაც მათ შეედომებეს საჯაროდ წაკითხულ ლექციებში და გაზეთის ფურცლებით გრიგოლ რობაქიძესთან მე მქონდა მწვავე პოლემიკა. მე მისი ახლო ნაცნობიც არ ვყოფილვარ, არამც თუ შეგობარი. და, აი, ეს ადამიანი, რამდენიმე ათეული წლით სამშობლოდან მოწყვეტილ-გადახვეწილი, ირჩევს მოსაწონ ობიექტურობას, სულგრძელობას და თავის მოწინააღმდეგეს შორიდან ეხმაურება, გადამეტებული სიყვარულით და სიმამათით იხსენებს და ხანგრძლივ სიტყვებს უსურვებს. ეს, უსათუოდ, მაღალი კულტურის და ზნეობის მქონე ადამიანის თვისებაა.

1962 წ. 20/5 შენი ბაბუა.

ი. ვართაგავა.

ორიოდე სიტყვა იმის შესახებ, თუ რაში მდგომარეობდა ქართველ სიმბოლისტთა და კრიტიკოს ი. ვართაგავას შორის (ჩვენი საუკუნის 15-20-იან და მის შემდგომ წლებშიც) წარმოებული ლიტერატურული უთანხმოება.

ი. ვართაგავა ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა ძველი თაობის წარმომადგენელი იყო, ძველ ლიტერატურულ ტრადიციებზე აღზრდილი, პუშკინის, ტოლსტოის, ვაჟას, ილიას, აკაკის შემოქმედების მადლს ნაზიარები, მათივე შემოქმედების დიდი თავყანისმცემელი. ამიტომ, არც იყო გასაკვირი, რომ იგი ლიტერატურაში სიმბოლისტური მიმდინარეობის შემოქმედებას იმთავითვე ეჭვით და უნდობლობით შეხვდა და შეურიგებელი ბრძოლა გამოუფუცხდა. არ დაინდო არც ამ მიმდინარეობის საქვეყნოდ აღიარებული ბელადი გრიგოლ რობაქიძე, საერთოდ, „ცისფერყანწულთა“ მთელი ლიტერატურული ორდენი. ამასაც არ დასჯერდა და სიმბოლისტთა თავისებურ შემოქმედებას, მათ ახსნას ორი წერილიც დაუბრისპარა, რომელთაგან პირველი, — „ავადყოფური შემოქმედება“, — გაზეთ „საქართველოს“ 1918 წლის 41-ე და 42-ე ნომრებში დაიბეჭდა მთლიანად, ხოლო მეორე — „წინაპარნი და მამამთავარნი ქართველ ფურცურისტებისა“ — ჟურნალ „განათლების“ 1919 წლის მეორე ნომრის ფურცლები დაეთმო; უფრო მოგვიანებით კი უშუალოდ გრიგოლ რობაქიძის „დიდ შუადღეს“ შეეხო და დაწერა წერილი-ანალიზი, რომელიც 1924 წლითაა დათარიღებული და დღემდე გამოუქვეყნებელ მასალათა რიცხვს მიეკუთვნება...

ბოლოს და ბოლოს რა იყო ისეთი განსაკუთრებული სიმბოლისტ მწერალთა შემოქმედებაში, რომელთაც კრიტიკოსი ასე დაუნდობლად ებრძოდა? ამას ჩვენ ჩვენი საუკუნის 25-იან წლებში ჭიათურის თეატრში ტერენტი გრანელთან ერთი შეხვედრის მაგალითზე ვიტყვით და ამით დავამთავრებთ.

ამ წელს ჭიათურის ლიტერატურის საყვანისმცემლებმა, მასწავლებლის ნიკუშა წერეთლის (ორიენტალისტ ალექსანდრე წერეთლის ძმა) უშუალო ხელმძღვანელობით შეხვედრა მოუწყვეს ტერენტი გრანელს ჭიათურის თეატრში. მანვე, ჭიათურის ცნობილ დიდ ხელოვნებას, იმ დროისათვის განმარტებულ კალმოსანს, იპოლიტე ვართაგავას სთხოვა გამოსულიყო სადამოხზე, რაზედაც მტკიცე უარი მიიღო, უარს კრიტიკოსი გარკვეული მოსაზრებებით ხსნიდა... თუმცა არ გაუვიდა უარი და მაინც ვააკეთა მოხსენება; თუმცა, ერთგვარად, „უფერულადაც“ გამოსვლია თურმე.

იხსენებს რა აღნიშნულ ფაქტს, მოხუცი კრიტიკოსი ერთ თავის მოგვიანებით დაწერილ ნარკვევში ამ ფაქტის გამო შენიშნავს: და არა მხოლოდ ტერენტი გრანელს, მის ერთთავად ნარკოტიკული ნისლით დაბურულ, აბსურდულ და ჩემთვის საერთოდ გაუგებარ პოეზიას, მთელ სიმბოლისტთა დასს

ვესსმოდო დაუნდობლად ან ვამხელდი მათ საჯარო ლექციებსა და გამოსვლებში.

იმ დროისათვის დეკადენტური ანუ ავადმყოფური ხასიათის პოეზიის მიმბაძველობა და ხობტა მოდად იქცა. ისინი რალაც მოჩვენებებს ეძღვნებოდნენ ფეხდაფეხ, სიგიჟეს უხდიდნენ ხარკს და, ამ გაგებით, მათი მიმდევრებიც სულით შეშლილთა შთაბეჭდილებას სტოვებდნენ, მიუხედავად იმისა რომ ამ სკოლის მიმდევართაგან ბევრმა პოეზიისა და პროზის წარერთი ბრწყინვალე ნიმუში დაგვიტოვა.

ამ სკოლის ძირითად ბირთვის ახალგაზრდობა შეადგენდა, თუმცა შედარებით ხნიერებიც არ ამბობდნენ უარს ამ ხალხთან კავშირუროთიერთობაზე.

კრიტიკით კი ერთნაირად აკრიტიკებდა ერთსაც და მეორესაც, ერთნაირის საზომით, მაგრამ ეს როდი სწყინდათ მათ, პირიქით... იცოდნენ, რომ თავს კი არ ესწმოდნენ მათ შემოქმედებას, — ის დიდი სინანული ალაპარაკებდა, რომ ამდენი ნიჭიერი შემოქმედი ამაოდ იხარჯებოდა, ამაოდ კარგავდა დროს და არც რაიმეს არგებდა თავის თავს და არც მშობლიურ ლატერატურას.



რეპაზ დანელია

გაიქრავის ნითელი მღინაკა

ბნელი, ნესტიანი, ბინძური საპყრობილე...

არად ავდებენ ადამიანს, იზინდება მზე და სული, სული — სპეტაკი, მალალი, მშვენიერი... თავისუფლების უბრწყინვალესი სახება ქრება, მაგრამ მხოლოდ წამით, ვარიუჩაყის წითელი მდინარე ჟამი-ჟამ ხმას უფრო იბოხებს.

მეოცე საუკუნის დამდეგი... ჭოლა ლომთათბე...

ადამიანის ნათელი და მხურვალე გული ოდითგან ათას ქარაშოტს გადაწყდომია. მისთვის ყოველთვის — სიხარულისა თუ გაქირვების ეამს, თავისუფლება, სინდისი და პატიონება ყველაფერი იყო.

ჭოლა ლომთათბის შემოქმედება ცოცხალი და უტყუარი სურათია „ლამაზი“ გარდასულისა. პოეტური „მოკლე ფრაზა“ ნება-ნება არაა მიშვებული, ადამიანის სისხლისა და ხორცის შემზარავი შმორი აგიიებს სულსა და გულს, ტვინს, ნერვებს, მთელ სხეულს.

„იგრვეინა კი ზღვამ, გაიწია და გაიზნორა, წელში გასწორდა, შეანჯღრია მძლავრი ფაფარი, იფეთქა ტალღამ და გადაშვვარ ზღვისა ნაპირებს მიაჩქეფა და მიაჩქეფა თავისი წყალი.

შეიძრა არე, ამორავდა მშვიდა ჰაერი, მძლავრმა გრივალმა კიდი-კიდე დაიდრიალა, კვლავ აღდგა ღმერთი, აღიღმერთი შედგარ ბრძოლისა, კვლავ ახმაურდა, ამორავდა უძლევი ძალა“ („ზღვა“).

ამ ნათელი, იმედის ცეცხლით სავსე სტრიქონებით მწერალს „უღალადნია“ 1902 წელს, მაშინ, როცა ბრძოლის, შემართების ღმერთს, ჯერ კიდევ ეძინა.

„მთვარის სხივები ჯერ შორს არის ჩვენს დასშულ გულზე, „კმაყოფილება“ ჯერ თავის სრულ უფლებაშია და სიბინძურეს, ჩვენს გულის სიღრმეში ჩაფლულს, ნანატრს სხივი ოღნევიც არ მინათებია“!..

სიმღერის სევდიან ტონს თავს დასთამაშებს ისფერო ცეცხლი... წკრიალა ჰანგი ადამიანის გვერდით დგება, თავის საქმეს ჩუმად, მარჯვედ აქრთებს.

ჭოლა ლომთათბის „მოთხრობები მეტწილად მაღალპოეტური და „უჩინრად“ ლირიკულია. აქა-იქ გართიმულ სტრიქონებსაც ვაწყვდებით:

„გაძღა ქვეყანა, მან მოიკლა მისი სურვილი და კვლავ გაისმის მის სიერცეზე სიცოცხლის

ბერა, კვლავ იბრძვის კაცი, კვლავ იმარცხებს ერთი მეორეს, კვლავ ზოგს უღიმის, ზოგს კი არა ბედისა წერა“...

ფერადოვანი, მალალი, ხმასრული ნახატი პირდაპირ სწვდება ადამიანის გონებას (იწყება უხეში ფერის კვლევა). „მარტივი ღიმილი“ სისხლისაგან მთლიანად იცლება და ქრება. აქვე, მწერლის მერ კაცობსლებული საგნები, მოვლენები თუ სახეები უწინააგვის ამ მხრივ გამოიჩნევიან (ე. წ. წმინდა პოეტური ნახატი იმარცხებს). სახეთა ფსიქოლოგიური ანბეჭედი (შინაგანი უჩვეულო ტრავმების მეშვეობით) რთულად გვესახება, მაგრამ... მწერლისეული ნახატი იმდენად ემოციური და ფრთხილია, რომ ჩვენს ყურადღებას უცხად და ერთბაშად იმორჩილებს.

ადამიანი ილტვის ნათელი მერმისისაკენ. ჭეირან ვარდოსანიძე (სახარხოხელას წინაშე“), ოცდახუთი წლის ქაბუჯი, იტანს ყოველგვარ ტანჯვას, დაცინვას... მას ხვალ, ან ზეგ ჩამოახრჩობენ. ეს „წინასწარ“ იციის, რადგან მეფის „მალალი“ ხელისუფლების წინააღმდეგ იბრძობდა...

„დაიხ, დამახრჩობენ. გასანთლული ბაწრით დამახრჩობენ მე განთიადისის, საუკუნოთ დამაძინებენ იმ დროს, როცა ყველაფერი იღვიძებს, განთიადზე დამახრჩობენ“...

ჭეირანი — პრინციპული, მტკიცე ნებისყოფის კაცი, შეერთება კი, მაგრამ არ შეიძინევს (ებრძვის განმარტებით თავის თავს და გადასძლევს კიდევ); რომ სიკვდილის ეშინია... მეტოც, იტრულებს:

— სპირიტონ! სპირიტონ!
— მესმის.

— მომილოცე, საკვდილი ოცი წლის კატორღაზე შემიცვალეს მაგ ოხრებმა!“

ეს სიტყვები სულის იღუმალი ძაბილია, გამხნეებდა თავისა, კეთილი ფიქრისა და იმ ამხანაგებისა, რომელნიც დღენიადგ იბრძვიან, რათა სატუსალოს ბნელ, უპაირო სივრცეს გაეკუნენ. არადა რას ნიშნავს ეს?

„გახუთებიდან: „გუშინ, დღის ხუთ საათო ზე, № 1-ის სამხედრო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც ჭეირან ვარდოსანიძეს სიკვდილი ჰქონდა მისჯილი, სისრულეში მოიყვანეს, — ვარდოსანიძე ჩამოახრჩვეს“...

ჭეირან ვარდოსანიძის პიროვნება იმდენად მტოცეა, რომ მოთხოზობის ე. წ. ბნელ ნიუანსს ყოველმხრივ უმიჯრებს საფუძვლს (სახეთა „შიღარკალური“ განათება ხდება), მარად ცოცხალი იმედის სხივი სატუსალოს ბნელ, ძალზე ბნელ სივრცეში აღწევს (ფერნათელი ოცნება ფრთებს სახარხოხელას წინაშე არ ჰკეცავს).

მწერალი გვიხატავს ჭეირანს, როგორც უღრეკ, ძლიერ პიროვნებას... სახარხოხელა. უკანასკნელი წუთები. უნებურად კრთება იგი, აგონდება ნე-

ტარი ბავშვობა, სიჭაბუკე, ღიმილი ნიჭიდან შეუბღიდან, ბავშვად;

„ეპ, ერთი ნეტავი დედაჩემის სივლავზე მიმეყვანა, იქიდან გადამხვდა, იქიდან დამიწება გაზაფხული და ჩემი ქვეყანა, გაზაფხული, ჩემი ქვეყნისთანა გაზაფხული იქნება სადმე ქვეყანაზე! ეპ, იციის თუ არა ჩემმა ქვეყანამ, იციის თუ რა ჭიერ მიყვარს, იციის თუ არა? გაგვგებს თუ არა ოდესმე. ეტყვის თუ არა რაიმეს ამის შესახებ ჩემი უღრეკო საფლავი, ჩემი სახარხოხელა?...

ჭეირან ვარდოსანიძეს თვალნათლივ წარმოდგება არცთუ ისე შორეული წარსული, ის დიფიკული დღე, როცა დედამისმა ბავშვს მუდამოდ მოკუნდა და მწყაზარ თვალტეში სეკვდა და ვარამი ჩაეყინა...

„სისულელე! მიუხედავად ამისა ეს სიმართლეა, მე დამახრჩობენ. ეს სიმართლეა? მოგა მღვდელი, ჭვართი ხელში, ანაფორით მორთული, მოწყენილი სახით მოგა მღვდელი, ჭვართი ხელში მოგა ის, ჭვარტელის მოადგილე, მოგა მღვდელი და მეტყვის: მოეშალე, შვილო, ღმერთის წინაშე წარსადგომათო.

ჭვართი ხელში მოგა მღვდელი და მეტყვის ამის. და მე დამახრჩობენ.

მოგა ექიმი, მოგა ექიმი, მაჯაზე ხელს მოკიდებს, გულს გამისინჯავს და იტყვის — დამახრჩვალა“.

ეს „მგლოდიურა სიცილი“ ფიქრის ლაბირინთებისაკენ მიიწევს, ზას იკვალავს... საგნებსა და მოვლენებს გატრეცილი სახე უფრო და უფრო „უმეჭიდებთ“, მერე კი გაისმის ამაყი ხმა:

„მე არ დაგზოგეთ თქვენ, ამიტომ არც თქვენგან ვთხოვლობთ დაზოგავს...“ „...მე მოვკვდები“... „ეპ, ჭალათო, შხათა კისერი“...

„შეშხალი სული ცაში ადის, სინელესთან ულმობელი ბრძოლა გრძელდება“.

...ჟოლა. ლომთათიძის შემოქმედებაში მალალი მხატვრული ღირსებით გამოირჩევა მოთხრობა „საპყრობილეში“.

ჭართველი ტუსალი მკირიშვილი...

მწერალი საენის მიღმა იხედება; არ იფარება მხოლოდ ციხეში მომხდარი ამბებით. სასწაულია, მაგრამ მოთხრობის გმირი ხშირად ტოვებს დარაჯიან ცხრეკიტულს და იწყებს „თავისუფალი კაცის“ ცხოვრებას; დადის იმ ქალაქის ქუჩებში, სადაც „...ყველაფერი ჩვეულებრივია. როგორც საზოგადო ქალაქებს, ჩხ-საც ჰყავს ქალაქისთავი, პოლიციისტერი, ბოქალუბი, როგორც ყველგან, იქაც არშეუბნენ, უცხადებენ ერთმანეთს სიყვარულს, ცოლები ატყუებენ კმრებს, კმრები ცოლებს, ვაჭრები მუშტრებს, მღვდლები მრევლს და მრევლი კიდევ ერთმანეთს. როგორც ყველგან, იქაც ხშირად ხდება, რომ სიყვარული კანონიერი ქორწილით თავდება (ათუ ქალი ჰქვითი დახვდება, ახალგაზრ-

და ვერ გაქცევა“ — ამბობენ №-ში, მაგრამ ხდება ისიც, რომ შეყვარებულები ვერ ითმენენ, სანამ მღვდელი აკურთხებდეს მათ კაეშირს, აკრძალულ სიამოვნებას ეძლევიან, რის შედეგად „ტარილი“ აუცილებლად უარს ეუბნება თავის „ნესტანს“ და თავის აქტივებს შემდეგი შეურყეველი, მამა-პაპისაგან გადმოცემულ და ქეშმარიტად აღიარებული საბუთით ამართლებს: „— თუ შევადინე, ვინ არის თავდები, რომ სხვა არ შევადგენს, თუ მინდო, სხვასაც ენდობა... მტერს ასეთი კოლი!“

ასეთი გულცივი, უხამსი, უცნაური და ბოროტი სული ბუღობს ქალაქში. ნათელია, თუ რა უბედურება იტრილებდა ამ „კეთილი ქალაქის“ სატუსალოში.

მოთხრობაში გარდასახული ყველა ბატარა თუ დიდი ამბავი მცირიშვილის გარშემო იყრის თავს, იხსნება რკალი, ვხვდებით: მცირიშვილი არად ავდებს არც ციხის უფროსს, არც ზედამხედველს, არც ქალათს... სისაცოლოდ გამოიყურება მის მიერ გაბიაპრუებული სუენი — მატყურა, გაიძვრა ადამიანი:

„— შენ კატორღელი ხარ, ყოველფე ღირსება ზნელი.“

— ორჯერ ახდენდნენ ამდენხანს ღირსებას, მაგრამ დახადებდნენ არ ჰქონია, — ვაძლევ პასუხს.

— სტარუჩი! ჩქარა ბორკილები! შემდეგ კარცერში ერთი კვირით, შე შენ გასწავლი ქუთას!

— რას მასწავლი, რაც თვითონ არ გაბადია! ზედამხედველი ზონიშვილი, რომელსაც მეტსახელად „სპილენძის ბაბუას“, „პაპაშას“ ეძახიან, სატუსალოს „ერთგული კაცია“. ადამიანი ველურდება, კარგავს ფორმას და შინაარსს..

„— რათა პაპაშა, რათ მეძახი ძაღს?... შე შენსავით კარგის მეტი არავინ არ მსურს... თუ ღმერთმა მომასწორო რეგოლუტია, ბირველ ფანარზე ჩამოგადებ სატუსალოს წინ... ავაშალებ, პაპაშა!“

პყრობილის „კეთილი ირონიაში“ იმედის სხივი გამოიკრის, სახე და მოვლენა იძაბება და რქვეფრება..

საპყრობილე. ქალები... მწერალი ე. წ. ხმაინარან ფანტაზიას „ამუქებს“, რაც ნახატის დინამიურ მხარეს ამკეთრება, აღიერებს („ულომაზესი“ ქალღიმი პყრობილთა გულებს წამით არ სტოვებენ... „ფერთა თამაში“ არაა მოჩვენებითი, უნიათო და უინტერესო).

მცირიშვილი, მძიმე სენით შეპყრობილი, არა და არ ეცემა, მას სურს დააჯეროს თავი, რომ „არ ღირს სიცოცხლე, არ ღირს წამება“... მაგრამ მისი უღრავი სული მაინც ძლიერია.

კატორღელები — კოლია, იგივე ნიკოლაი დროზდოვი, სულაკოვი, იურკა... მათგან თავისი რთული პიროვნებით გამოირჩევა დროზდოვი, შიშის მისეული შეგრძნება დამაჯერებელ სახეს ატარებს. მას ხომ ერთხელ უკვე უღალატეს..

შესაძლოა, ხვალ სახარხოზელაზეც ჩამოვაკონწი-
ალონ (დროზდოვი ილტვის, რომ საპყრობილეს მერმე ადამიანებს გაქცეს და უღრავი უღრავი აფეროს თავი)...

„მიდიან! მიდიან! მიდიან ტანჯული ადამიანი-
ბი, რომ ისე იტანჯონ, ისე გადაიტანონ ბედის ჩარბის მითარბები, მიდიან და ისევე ჰგონიანთ, მიაქვთ თან ჩემი სიცოცხლის ნაწილი, ჩემი სულის, ჩემი გულის ნაგლეჯები“...

ქოლა ლომთათიძე ე. წ. დაბაბული შინაგანი ხილვით სავანის „მცირე ჩრდილსაც“ სახელდახელოდ სწვდება. სეველიანი სიმღერის ჰანგა აკრთობს და აფრთხობს სივრცის სიმყუდროვეს, დადის ქარისა და სხივის კვლადაკვალ..

„— ქრისტე აღსდგა, ქრისტე აღსდგა!“ — ისმის ჩემი და ფერმაღალი ხმა, გვეცხადება ჭეირან ვარდოსანიძე, მცირიშვილი... ქრება ცოდვილი სახე, ქრება და იმედის მწიფე ნათელი ცის გასწვრივ თამაშობს.

არავინ ისე დამამცირებლად არ მოქმედებს ადამიანის სულზე, ნერვებზე, მთელ სხეულზე, როგორც მისდამი ავდებული დამოკიდებულება, დაკინება... ამ ვითარების უტყუარი სურათია „დავითი“ (მწერალი ამბის გარდასახვისას მთავარ ადვილს უთმობს სახის შინაგან ფერს)... ნიადაგამომზაბი, გულცივი ადამიანების მსხვერპლი ხდება დავითი (ზამთრის სუსხიანი ქარაშორტი მის სხეულს საშუღამოდ აქვავებებს):

„მოწვევები გამოცვიდნენ ბაღში. საამურად თოვდა. ქალაქში გაცხარებული ზარების რეკვა იყო ატეხილი, აბლო სოფლებიდან თოვსი ხმა ისმოდა. ყველაფერი მხარულობდა, მხოლოდ დავითი იღვა მარტოდ-მარტო თოვლში და პირი ზევით, ცისკენ ჰქონდა მიჭეული, თითქოს პასუხს ელის დაძახილვით“.

სკოლის დირექტორი ყურსაც არ ათხოვებს ამ შემზარავ ფაქტს (გულცივიობის კარნავალი გრძელდება).

მოთხრობა „ძე კაცისა“ მოყვასისადმი სითხოთი და სიყვარულით გვამახსოვრებს თავს: „გზა, გზა დიდებულ ადამიანს, რომელიც გუშინ იყო მიაიშნი, დღეს ადამიანია და ხვალ კი ვინ იცის რამოდენად გაიზრდება, რად იქცევა... გზა ადამიანს!“

ამგვარი გულისშემძვრელი ხმები ისმის ქოლა ლომთათიძის მოთხრობიდან.

ქოლა ლომთათიძის მოთხრობები „ერთსახოვანი“ და „ერთფეროვანია“... თითქმის ერთი და იგივე ამბეს ასე ლამაზად, გულშიამწვდომად გარდასახვა და გაცოცხლება მალალი და ქეშმარიტი ნიჭის ნაყოფია.

ბნელი, ნესტიანი, ბინძური საპყრობილე... —

ადამიანი — მშენიერებისა და სისპეტაკის მეუფე, ქედს არ იღრქეს, იბრძვის, იბრძვის და იბრძვის!.. კარგად, ძალიან კარგად ესმის მას — ადამიანს, გარიტრების წითელი მდინარის უცნაური ხმაური!



ჰსარჯი ფსოველი

ფურცლები

გონიერების დეფიციტი, უაზრო სიჭიუტე, „ძალიად სიბრძნე“ მრავალი ბოროტებისა და სიბეჭავის მიზეზია. დღეს გონი თითქოს უხედაა, მაგრამ... მოვეუსმინოთ ვიეთ-ფეხეელის: „ვიტყვი, რაც იქნება — იქნება, დაე მლანძღონ, ისევე მოქალაქეობრივი სიამაისის გამოჩენა სკობიან გაჩუმებას, მხოლოდ ვეცდები ისეთი აზრი ვახსენო, კლანჭი არსიდან გამოედვას, ყველა პარტია მსოფიადლიერო, ყველა, თუ გული-გულში დამემდურება, აშკარად მინც ვერ გაბედოს ჩემი ლანძღვა და შეურაცხყოფა. ეს გაბლაუთ: აზრი ქვეყნის ხსენება.

ნუთუ ეს არ კიარა, რომ ყველა პარტიამ ეს იწამოს და ამ აზრის ქვეშ მოუყაროს თავი თავს? ან იქნებ აკლია ამ აზრს განმარტება? აკლიაო? დიდაც რომ აკლია და ვიდრე აქ არის ძალის თავი დამარხული, კიდევ ამის გამო არის, რომ ერთმანეთს გაზეთები სწყეწენ, ცხვირ-პირს აჭამენ: ქვეყნის ხსენა ერთს ასე ესმის, მეორეს ისე. რაღა? რისთვისაა ეს? ნუთუ ძალიან ძნელი გაგება უნდა აზრს ქვეყნის ხსენისას?.. არა, ბევრს კარგადაც ესმის, კარგადაც გრძნობს, მაგრამ ძალიად თვალებს და გონებას იბრმავეებს, სჭირს პარტიული სიჭიუტე, რომელ-ზედაც პერბერტ სპენსერი ამბობს, რომ ეს სიჭიუტე დიდად აფერხებს ქვეყნის კეთილდღეობასაო. სპენსერის ხსენება ან კი რა სპირობა, სხვა რამდენი გონიერი კაცი ამბობს და ფიქრობს ამასვე. დიად, გონიერი, ბოლო გონიერი ჩვენში... გონიერება ჩვენში... ჰმ...“

ადამიანურა გონის გონიერტულა გზით წარმართვის, სულიერი თავისუფლების გაღვიძებასა და მის აღზრდას როცა ვერ ახერხებს სკოლა და საზოგადოება, მიშინ ის თავისთავს ანგრეკს, თავის მრწამსსა და ხატს შლის ყოველი ადამიანის გულისგულში და ამით საბედისწერო განაჩენს იზზადებს.

მთელი თაობები გადაულახავი, გაურღვეველი სიძნელების პირობებში აღიზარდნენ. მათს ცხოვრებას, მათს ხასიათს, პროფესიას, საქმეს აზნია ერთგვაროვანი, სწორახაზოვანი აღზრდის კვალი, შორეული ანარეული, რამაც საკმაოდ შეასუსტა ზენონირობის საწყისი, მისი ფუძე.

გაცნობიერებული ზნეობრივი კომპრომისი თითქოს ჩვენი ცხოვრების თანამდევ, მოუცილებელ ნაწილად იქცა, გახდა მისი უმთავრესი მახასიათებელი, მისი შინაარსის ძირეული კომპონენტი. არ მოიძებნება უნებლიე ქრთამის ამდები, უნებლიე ქურდი, უნებლიე წუნის მკეთებელი...

ვაკუუმის უძძიძესი შეგრძნება, ჩაკეტილი გარემო, ზრახვების განუხორციელებლობა არა მარტო ახერხებს, არამედ ართმევს ყოფიერების საზრისს, რწმენის და კულტურული საზოგადოების ნაცვლად ჰქმნის უსახურ ჭოგს: ჯოგურ გარემოს, ჯოგურ ინსტიტუტს... „ერს დაიხერხებს მხოლოდ მონობა... როცა მას საკუთარი ნებას, ძალ-ღონის გამოჩენის საშუალება მოესპობა“ — წერს ვიეთ-ფეხეელი. თავისუფალი სულის მეორე დიდი ქომაგი ვიგეკანანდა უფრო მძიმე სურათსა ხატავს: „იმ წამსვე, — დაქარგავს თუ არა კაცი ან ერი საკუთარი თავის რწმენას, — სიყვდილი მოდის“...

რა განაპირობებს ამ საშინელს, გაუგონარ წამიერობას, რა ქმნის ტრაგედიის, გარდუვალი კატასტროფის ამ სათავსს?.. პიროვნული მარცხი? ბედისწერის სიმუხთლე?.. მაგრამ უმთავრესი და უპირველესი ხომ საზოგადოებრივი გარემოა; კაცობრიული, ადამიანური ურთიერთობები...

სამყაროს ვანშირებელი მილიტარისტული სუნთქვა პერმანენტული შიშის გარემოცვაში

ამწყვედევს ადამიანს, ერთგება ჯიღოსნურ მოლო-
ბილში. და ის ხედება, რომ წესისგეული არსა-
ით არაა. აქ იწყება გაუცხოების ტრაგიკული ფა-
ზა, როცა ადამიანი თავის თავს აღარა ჰგავს. ის
მეექვანება ფსევრისაკენ და გვეკლნება გელური
ზრახვების იარაღად. მზუზე გამოდის ურთულესი
დროის პირშმო: მგელი... და ჩნდება ეჭვი ადა-
მიანთა ცივილიზაციის სიმრუდეზე...

არის საკითხები, რომელთა მოუგვარებლობა,
გაუთვალისწინებლობა და გადაუჭრელობა პირ-
დაპირ თუ არაპირდაპირ თრგუნავს სიკეთის
მარცვალს; არის მიზეზებიც, რომლებიც ზრდიან
სტლიერი ვაკუუმის, სივოროვის შეგრძნებას.
მოვიყვან ერთ-ერთს: ჩვენში, განსაკუთრებით
თბილისში არც თუ მცირე რაოდენობითაა
დაწესებულებები, ქარხანა თუ ფაბრიკა, სადაც
არც რაიმე დოკუმენტაციას აწარმოებენ ქარ-
თულად და ზოგჯერ არც წარწერებია მშობ-
ლიურ ენაზე... იბადება კითხვა: რატომ არ იცის
რესპუბლიკის სახელმწიფო ენა მისმა არაქარ-
თველმა მკვიდრმა? ის ხომ ამ მიწაზე დაიბადა,
აქ აიღვა ფეხი, აქ ამოიღვა ენა, ცხოვრობს ქარ-
თველთა შორის და ა. შ... ქართულის ცოდნა განა-
რუსული ან რომელიმე სხვა ენის საზიანთ შე-
დეგებს მოიტანს? ამ კითხვების მიღმა დამალუ-
ლი რეალობანი ბევრ გაუგებრობას ქმნიან და
მათი ხელოვნური მიჩქმალვა, საჯაროობისათვის
მათი არიდება ხშირად ამძაფრებს და ზოგჯერ
ამაზინჯებს კიდევ განსად პატრიოტულ სულის-
კეთებას, იწყებს შოვინიზმისა და კუთხურობის
ამოტივტივებს, მის გააფთრებას.

ფშავში გამეგონია: ყველა ადგილს თავისი
მგელი ჰყავსო. ეს არის ადგილის მგელი, რომ-
მელსაც თავისი ზღვარდადებული სამოქმედო
და სანიდრო სივრცე აქვს. მოხეტიალე მგე-
ლი იქ ვერ გაჟაჰანებს. „ადგილის მგელი“
აქტიურობაზეა დამოკიდებული ამ ადგილის
ეკოლოგიური წონასწორობა, ნადირის სიუხ-
ვე და სიჭანსადე; „ადგილის მგელი“ ის ამო-
რიგენია, რომლის ზეგავლენითაც ჩამოყალიბ-
და ესა თუ ის გარემო, დამკვიდრდა ბუნების
ცხოვრების წესი და რიგი.

ერების შერწყმის, ეროვნული ნიშნებისა და
ენების წაშლის მოწოდინე ყოველი თეორია
უნდა აღიქვათ, როგორც ბუნების წინააღმ-

დეგ მიმართული საშინელი აქცია. თვით ყვე-
ლაზე მცირე ეროვნების წაშლისა და რიგე-
ლიმე დიდ ერთან მისი შერწყმის ფაქტი კა-
ტასტროფული დარტყმა იქნება ბუნების
მკერდზე: ყოველი გამჭარლი ერი და ენა შე-
უხორციებელ ჰრილობად დაიხრდება სამყაროს.

ადამიანთა დაცემა, მათი ზნეობრივი გადა-
გვარება უზარმაზარი შენელებული კატასტ-
როფაა, ბუნების ყველაზე წმინდა მარცვლის
დალუპვაა; რალაც დიადი და შეუცვლელი იფ-
ლითება ბუნების წიაღში: ადამიანში, მის ში-
ნაგან არსებობაში, ხასიათში. დაცემის ფაბრი-
კელესი ნიშანია ეროვნული ენისა და ხასია-
თის თავისებურებების ბზარი; კაცის დაცემის
უკიდურესი წერტილი მშობლიური ენის არ-
ცოდნაა. ეს არის კატასტროფის ამოგვა. ამის
მერე მოდის დაცემის სხვა ნიშნები...

რომელიმე ჯიშის ბალახის ან ხაგისს რომე-
ლიმე ჯიშის გადაშენება კატასტროფის ტოლ-
ფასია. ეს მოვლენა ძირს უთხრის ყოველივე
მიწიერს, რაც უშუალოდ მის მუზობლობაში
ვითარდებოდა, იქმნებოდა; ერთი კატასტრო-
ფა განაპირობებს ეკოლოგიური კატასტროფე-
ბის ჯაჭვს. ჩნდება ამოუცვები ნაბრალბი...
ახლა წარმოვიდგინოთ ერების გაქრობის სუ-
რათი. სამყაროს უზარმაზარი დანაკლისი. კა-
ტასტროფა პლანეტარული. გენოფონდის გა-
ლარიბება და გაქრობა... წარმოვიდგინოთ,
რომ მხოლოდ ერთი ჯიშის მცენარე დარჩა
დედამიწაზე. სხეები გაქრნენ, გადაგვარდნენ,
იმ ერთს შეერწყნენ.. რა ერთფეროვანი და
გაუსაძლისი სანახაი იქნება მაშინ ჩვენი მთა-
ბარი, ჩვენი ულამაზესი მინდორ-გელი!

ბუნების წინააღმდეგ მიმართულია საუკუნის
ღანაშულობები: ამორიგენების გადასახლე-
ბები, რეზერვაციები, კოლონიები და ა. შ...
ერთი ხალხის ძალადობა მეორის მიმართ, რა
სახის ძალადობაც არ უნდა იყოს ის, უმშიმე-
სი ეკოლოგიური კატასტროფაა, იმ ღვთიერი
და გამორჩეული მარცვლის ხელყოფა, რომ-
ელიც ბუნების უპირველესი შედეგია, მისი
სრულყოფილების გამოხატულება.

ტექნოლოგიური დროის იერში კაცთა
მოდგმაზე, გარემოზე, თვით სხვა პლანეტა-
ზე... მალე კოსმოსური ჯარისის სასაფლაოე-

ბად იტყვიან სამყაროს უწმინდესი ადგი-
ლები: მთვარე, მარსი და ა. შ. ... ფანტასტიკა
ბომ ზეალინდელი დღის ტყალობაა.

უმძიმესი ეკოლოგიური დანაშაული: როცა
სხვადასხვა ენის, სხვადასხვა ხასიათის, სხვა-
დასხვა მიწა-წყლის, სხვადასხვა წეს-ჩვეულებ-
ებისა და რწმენის ადამიანები რაღაც ერთი
ამოჩენილებული მიმართულებით მიდიან და,
თანაც, ერთგვაროვნად — მიდიან, ერთი გზით,
ერთნაირი საშუალებებით — ბუნების ღვთი-
ური თვისების — მრავალსახოვნების ზღუდო-
ფაა.

უძრობა განუქრნელი ისტორიული სწე-
ულებია, რამაც უზარმაზარი იმპერიები გამო-
ფიტა და დასცა. ამ სენის გარდუფალი საში-
ნელებანი იწვევს რომაელებმა, მონგოლებმა,
ბიზანტიელებმა, ოსმალებმა...

ყველა ისტორიულ კანონზომიერებას ასე
თუ ისე მსგავსი შედეგი მოსდევს. ამ სენს
მოჰყვა ძველი რომის, ლათინური სისხლისა
და ენის ანულირება... ამავე სენმა მონგოლუ-
რი სისხლი დაწრიდა...

ბუნება რომ ერთი ტენდენციისა იყოს, მა-
შინ სულ აწოგვხდოდა გუასამოსი ერთფე-
როვნება. ლიტერატურაში კი ასე ხდება: ბუ-
ნებით მომადლებულ მრავალმხრივ ნიჭს მწერ-
ლისას თითქოს მაქალაქუნასავით დასწოლია
ერთფეროვნების დრუბელი. როგორც ჩანს,
ჩვენ რეალისტები არა ვართ, თორემ რას უნ-
და შეეწეროს ერთი მიმართულებით, ერთ ლი-
ანდადზე სვლა, თითქოს სხვა უამრავი გზები
არ იყოს, თითქოს უალტერნატივო სამყარო-
ში დავიბადეთ.

ლიტერატურულ ეთიკის რღვევაა, როცა
მწერალი მეორე მწერალს შტრაბ მიიჩნევს
მისი განსხვავებული შეხედულებების გამო;
როცა თავისთვის სასურველი ფონის შექმნის
მიზნით მკვანი მწერალი ექომაგება უნიკობას,
ხოლო ნიჭიერებას ბარიერებს უქმნის.

არ არის დასაძალი: ათეული წლების გან-
მავლობაში ჩვენ შინა ემიგრაციაში ვიყავით.
და თუ დადგა ეპოქა, როცა სიმართლემ უნდა
იხეიძოს: ამ სიმართლის სახელით თუ ქირ-
თულ ლიტერატურას უბრუნდებიან უმიზნე-
ზოდ უარყოფილი სახელები ჭორჭიძის, ზო-
ბაქიძის, ნოზაძის, წერეთლის და სხვების, მათ
კვალდაკვალ შინა ემიგრანტების წიგნებიც
უნდა გამოიყოს, უნდა აღსდგეს ლიტერატუ-
რული სამართლიანობა. სხვაგვარად საჭაროთ-
ბა და დემოკრატია მხოლოდ ჩხრიალა სათამა-
შოს დაეშვება... ძველია ჩვენში ისეთი
მწერლის დაქებნა, ვისაც თავის დროზე რე-
დაქციებმა ან წიგნი ან ცალკეული ნაწარ-
მოებები არ დაუბრუნეს — გაბედულების,

სიმართლის, ძიების, ექსპერიმენტის გზით. ამ
წიგნებმა უნდა იხილონ დღის სინათლე.

ეხლა ხშირად გაისმის საგანგებო კითხვა:
მწერალთა რიგები კატასტროფულად გაიზარ-
და (მთელს საბჭოთა კავშირში ათი ათასამდე
მწერალთა კავშირის წევრია). რა ხდება ჩვენ-
თან? აქ ძალზე გაძნელებულია მწერალთა კავ-
შირში მიღება, მაგრამ წვერთა რიცხვი შინს
საკმაოდ სოლიდურია. მწერლობაში რაოდე-
ნობრიობა არაფერს ნიშნავს. მწერალთა კავ-
შირის წევრი და მწერალი ხშირად იდენტუ-
რი ცნებები არ არის. მოქმედი მწერალი ჩვენს
კავშირში ძალზე ცოტაა: სამი-ოთხი ათეული.
როგორც ვხედავთ, ჩვენთან საგანგაშო მხო-
ლოდ ის არის, რომ ძალზე ცოტა მწერალი
გვყავს.

პრესტიჟულ ლიტერატურულ დაწამდებო-
ბებს ამ ბოლო დროს პრესტიჟული რედკო-
ლეგიებიც მიემატა. გაჩნდა მწერლური ამბი-
ციის დამაყოფილების კიდევ ერთი გზაც...
საკმარისია პატარა ბიულეტენი გამოვიდეს,
რომ უმაღლესი გაჩნდება რედკოლეგიის გრძელი
მწკრივი... რატომ ვწერ ამას? დაბეჭდვით
მგონია, რომ არალიტერატურული, ეფემერუ-
ლი გზით „მიღებული“ კმაყოფილება და თვით-
დაჯერება კლავს შემოქმედებით პოტენციას,
ახშობს მწერალს: პრესტიჟული თანამდებობის
პქონე ბეჭერი მწერალი სწორედ ამის გამო და-
ემსგავსა ჩამქრალ ვულკანს... ძალიან ცოტანი
გადაურჩნენ ბედისწერის ამ უძმიეს განაჩენს,
სატანის ამ იღუმალი ხელის შეხებას.

რუსმა მწერლებმა გამოიანიგარიშეს: საბა-
ჭოთა კავშირში მწერლის საშუალო ყოველ-
თეიური შემოსავალი (პონორარი) ასე მანუ-
თია! ეს მატერიალური სიდუხჭირის უკიდუ-
რესი ზღვარია, მაშინ, როცა მწერლობა ქვე-
ყანას ათეულ მილიონობით შემოსავალს ამა-
ლევს.

ადამიანი უნდა გარდაიქმნასო, ამბობენ
დღეს. რატომ უნდა გარდაიქმნას ადამიანი?
უქველია, რომ გარდაიქმნა რაღაც იმაზე უკეთ-
ესია, რაც გუშინ იყო და რაც დღეს არის,
გარდაქმნის ფორმულა არ არის რთული და
მიუწვდომელი. ის გვეუბნება, რომ ადამიანი
ისევე უნდა დაუბრუნდეს ძველისძველ ადამიან-
ურ სიტყველებს; ისევე უნდა გაიღვიძოს ადა-
მიანურმა, კაცობრიულმა საწყისმა: სინდის-
ნამუსმა, ლეთითომადლებულმა მდგრადობამ,
ინდივიდუალიზმმა... ყველაფერი ნათელია. და

სწორედ აქ იჩენს თავს მრავალმნიშვნელოვანი და პასუხგაუტყემელი კითხვები: რამ შიიყვანა ადამიანი ამგვარ დაცემამდე? რამ გამოიწვია ადამიანურობის დეფიციტი? რამ დაამსგავსა ის ჯოგის იმ წევრს, რომელსაც სიცოცხლის ხალისი გამოლევია და მხოლოდ ინერციით აგრძელებს თავის უღმებლამრ სვლას?

ჩვენთვის არაკვის არ მოუცია ხელშეუხებლობის გარანტიები. ამიტომაც გასაკვირი არაა

უმეტესობის ეჭვი, მათი მომლოდინება: რენახოთ, რა იქნება...
არქივული

არც თუ შორეული წარსულის იმეორებას სურათი: სახელმწიფო, რომელიც სიმართლეს ებრძვის. ქვეყანა, რომელიც თავის შვილებს სიყალბის ქაობში ერეკება... რამდენი ვინმე ეგნო, რამდენი სიცოცხლე გაჭრა, რამდენი აზრი გაუღებურდა იმის გამო, რომ სიმართლეს მითითებდნენ, იმ სიმართლეს, რაც ებლა ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი ხდებოდა...



მუმიან ჯგუზურია

თევზის კუდიმ დაჭერა არ იქნება

ამ ამბავს გასული წლის შემოდგომაზე შეეცნა წარსულ იმერეთში. მასპინძელმა ერთ ბელში კოკა დაოქია, შერეო — ვედრო და წყაროსკან გაქიეთ. წყაროს წყალი ბვიდან უნდ ამოგვტანა. წყლის მიღი ეზოში ჰქონდათ გამოყვანილი, მაგრამ სასმელად მაინც წყაროს წყალს არჩევდნენ. ფერდობი უნდა ჩავევლო, სადაც სიმიინდი ხარობდა.

საცალფეხო ბილიქს შევუყვებით. — ზელმარცხნივ ჩემი სიმიინდია. — მეუბნება მასპინძელი, — ზელმარცხნივ კოლმეურნეობის. მასპინძლის სიმიინდი ათქვერილია და მხარგაშლილი, საშო-ოთხი ტარო ასხია ერთ ძირს. კოლმეურნეობის ყანა ძლივს აჩნია შიწას, სიმიინდს ტაროები არ ასხია, მობიებულთა და ზუხტი.

— ახეა, ძამიკო, ვეხვეწე თავმჯდომარეს, გამიპროვინდ-მეთქი ეს ნაკვეთი, თანაც, ზედაგ ჩემი ნაკვეთის გვერდითაა... არა ქნა; ნახევარი შენ და ნახევარი — მე, მიწა არ მოვიცდებია, წარალი არ გექნება-მეთქი — არ მოვეშვი, მაგრამ, გაგიგონა, ქვა ააგლო და თავი შეუშვარა. და ამა, რა ბედელიც აევსება, ვნახოთ!

ერთმა მიწის მუშამ კოლმეურნეობას აჯობა. ჩემს მასპინძელს არასრული საშუალო სკოლა (შეაღწედი) აქვს დამთავრებული.

— სწავლა ვერ გადავარძელე, ძალიან გვიჭირდა, ისეთი დრო იყო.

თოხი მიწას არ ასვდებო, ნათქვამია და არც ასვდა. ამ ერთი თოხის წყალობით არჩნენ კაცი ოჯახს, შრომა უუვარს და ამბავს არ ეკარგება.

კოლმეურნეობის მხარეზეა უახლესი ტექნიკური აღჭურვილობა: ტრაქტორი, სატვირთო მანქანა, რკინის ფოცბი, ხაუკეთესო სათესლე მარცვალი, სასუქი, სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, ათასი სახის საქანდიფიკო და სადოქტორო დისერტაცია, აგრონომი, ეკონომისტი, ბუღალტერი, დირექტორი, პარტია, კომპაგვირი და პროფკავშირი... მაგრამ კოლმეურნეობის სიმიინდს, მიუხედავად ამისა, ტარო მაინც ვერ გაუყოფთ.

„კარტოფლი დათესეს ვეხებრთელა ფართობზე გასულ წელსწადს, მაგრამ რად ვინდა, რაცა ამოუარეს, კანჭურის ოდენა არ იქნებოდა“.

რა აქამი და გუდქვა უნდა იყოს კოლმეურ-

ნრობის თავდაპირველად, ანაბარა რომ მივადგო
ამხელა ფართობი, სოციალიზმის პრაქტიკიდან
გამომდინარე რომელი ტერმინი უნდა მივსადა-
გოს ასეთი თავდაცვის საქციელს — კონსერვატი-
ზმი, ფორმალისმი, ბიუროკრატიზმი? უხუცეს-
დობაა ეს და შეტი არაფერი, უხუცესობა იდე-
ოლოგია კი არც სორციას სწავს და არც ხელისა.

ახალიზმიდან რადიკალის მაშინდელი პირველი
მდივანის ვერამ შევლამის თაოსნობით დიდ საქ-
მეებს ეყრდნობდა ხაფუძველი, ჩემი თვალით ვნა-
ხი, ჯალუხვთან ერთად როგორი მონღოლებით
შრომობდნენ უნახს და ხალხობრივად სხვადა-
სხვა პროფესიის ადამიანები. შრომობდნენ, რად-
განაც მათ ვარჯის, მოკლებდნენ რომ ვთქვათ, უსა-
იდლო, შრომობდნენ თავისთვის, თავისი ბრიგა-
დასათვის, კომპიუტერობისათვის, რაიონისათვის,
მშენებლობისათვის, თავისურგებელი კაცი არც სხვას
გამოადგება, შრომობდა ხალხი და ვარჯისობი,
რა ღირსებული, რა კაცური აზრი იდო ამგვარ
შრომში.

გლებს თუ ექნა — ქვეყანასაც ექნება, გლებს
თუ გაუჭირდა — ქვეყანასაც გაუჭირდება, გლე-
ხს თუ გადღინდნა — ხაზარი გაიფლდებო,
ხაზარი თუ გაიფლდა — ქალაქელი კაცი ამოი-
სუნთქავს, ქალაქელმა თუ ამოიხუნთქა და წი-
ლიანი გაიშრება — ქვეყანა უკეთესი გახდება...
ერთმანეთშია გადამჭყვევლები ჩვენი ყოფა-ცხოვ-
რება.

ახე დაწყო ვარდაქმნა პატარა რაიონში. დაბ-
რუნდნენ ხალხობრივად დაფორთხილი ადამიანები;
თავ-თავიანთ კარ-მიადამოს მიუბრუნდნენ, თავ-
თავიანთ კერას ღვინო დასათეს ცეცხლად და თავ-თავი-
ანთ წაყვეთებში იწყებს თიხის ტრაილი, ახე იყო
რამდენიმე წელიწადს, მანამდე, ვიდრე გეგმა-
ვალდებულება მყარი იყო, მაგრამ მოხდა ის,
რაც იყო მოსალოდნელი. მარჯვედ მომუშავე
გლებსაც მთავრობამ შეშვენი და შეშვენი
გეგმა გაუზარდა, პეტარზე ამ ცენტრის სი-
მინდო რომ მოიწია, შეშვენი წელიწადს ნი ცენ-
ტრის შეწერა, ნი ცენტრის რამ მოიწია,
შეშვენი წელიწადს კიდევ გაუზარდა გეგმა და...
გლებსაც ხელდას დაადგო თიხი. გეგმის გა-
დგურადით მშრომელ კაცს, მაგრამ მიწას კი —
ვირა. მიწა მიუღამ იმდენი იქნება, რამდენიც
გვაქვს, არც შეტი და არც წაქლები. გლებს რომ
შეტი ფართობი მივცეთ, ვთქვათ, კიდევ ნახევა-
რი პეტარი მიწა რომ მივუწოდოთ, ხიდან, რა
მარჯვიდან უნდა ავიღოთ ეს წაქვეთი? — ტყე-
ები უნდა ვაგებოთ, ჭალა ავაკოთ, მდინარის
პირები მოვადგოთ, ჭაობები ამოვაშროთ, მიწა-
ნარი და ეკად-ბარდი ავცელოთ და მიწას, ცხა-
ლია, ავითვისებთ, მაგრამ იმწამხვე იმდენ რამებს
დავკარგავთ, რისი დავარგვის უფლებაც არა და
არა ვაქვს. ეს ძალზე მარტივი საქმეა და ამ-
გვარ საკითხზე მსჯელობაც არ ღირს, თუმიცა სა-
ცადარია სწორად; — ასეთი მარტივი საკითხის

გადამწყვეტის ასე მარტივად რომ მივუყოფო ჩი-
მი შელს, ვაკეთებ ასეთ რადაცა, რაც სადღეს,
ხო საკითხს რაგონივითადად წავეტრე, მარჯვე
ვლუბავთ სახელით და სამომავლოდ მარჯვე
უკვლავთ რამ, სათქვენად ჩვენი დღევანდელი-
ბა მიღის. მოკლებდნენ რომ ვთქვათ, ხაზარი, დღე-
ვანდელი კვერცი ვკარგავთა ხვალისდელ ქა-
თამს, და ეს ანდაცა, ხაზარობა, ჩვენზე ხალ-
ხის გამოთქვამია.

ცნობილ რუს მწერალს, სერგეი ზოლოტინს
ასეთი საკითხი უფრო მასშტაბურად აქვს წარ-
მოდგენილი და განხილული თავის ხოლო წე-
რილში, რომელიც მიმდინარე წლის „ნაწი სვერ-
დინის“ ფურცლებზეა გამოქვეყნებული. ზოლო-
ტინი წერს, რომ პროეტის შედგენისთანავე, ესა-
თუ ის ხანისებრი ელვის უსწრაფესად შეუდგე-
ბა ხოლო საქმის აღსრულებას. შეადგენენ რომ-
მელიმე დიდი და მძლავრი მდინარის პროეტს,
რომელზედაც უნდა აიგოს ელექტროსადგური
და წამხვე დაიწყებენ განწარმულის სისრულეში
მოყვანას. იწყებენ გვარაბების გათხრას, მდინა-
რის გადგენებას, კაშხლის აღმართვას. მდინარე,
უხსოვარი დროიდან მოკლებული, მოედინება
თავის ნაჩვევ გზაზე, მოხილეთ კალაპატში
და ატრ, უცებ, ვეწი უნდა შეუცვლონ. და-
ვიყოლოთ, მეგობრებო, ვაცალოთ პროეტს დაღ-
ვინება, ნ-მ წელიწადმა გაიაროს, ვიფიქროთ,
ვიმსჯელოთ, რას მოგვეცემს ამა თუ იმ პეის
ამა და ამ ალაგას აგება, ამა თუ იმ წყალსა-
ცვის დაგება და რას დავკარგავთ ამისა და ამის
გამო, მაგრამ, არა! ასე რომ მოიქცნენ, რომ შე-
იძლება ამა თუ იმ პეის აგება ამა და ამ ალა-
გას სულაც მიწაზეუწონელი შეიქნეს და რომ
ჩაუვარდათ კვში ნაცარში მამის ხალ მდი-
ნარი! — პეირობს პატავეშული მწერალი, —
ხომ დაიკარგა ამდენი ხნის ნამუშევარი? და
ამიტომაც არის, რომ მსხვილი ხანისებრივე
უწყებები წინდაწინვე იწყებენ ადგილობრივი
მთავრობისა და მოსახლეობის „მოქრთამვას“.
ადგილობრივი აღმასკომებსა და რაიონებს ისა-
ნი ურიცხვანვ მსხვილსა და ვონების ამარია-
ლებელ ხილიდურ თანხებს, ხოლო ამ ადგილე-
ნის ახლო-მხლო, ხალაც უნდა აიგონ დიდი
ელექტროსადგური, ადგილობრივი მოსახლეობას
გზების კეთილმოწყობას, არხების გაჭრას, სკო-
ლებისა და სხვა დაწესებულებების შეკეთება-

ადგენას მიმდინარე, და შეცხუნებული ხალხი
მიღის იმაზე, რაზედაც არ უნდა წავიდეს.
ზუსტად ასევე მოხდა ჩვენს რესპუბლიკაშიც.
ენგურების ახლო-მხლო სოფლები ვაცილე-
ბით კეთილმოწყობილი შეიქნა იმასთან შედა-
რებით, ვიდრე ეს იყო მშენებლობის წამოწყე-
ბამდე. არა მარტო სასოვადო საკუთრებას
დაიტყო ამგვარი ვანახლება, არამედ — კერძო
საკუთრებასაც. უკეთესი ხანლი დაიდაცა კაცმა,
თავისი კუთო, ენგურების ბეტონისა და ქვა-

დღერდის წყალობით, ერთხართუდიანი, დახალ ბოკონებზე შემოდგმული ოდა-სახლის დაცულად — ორსართულიანი, კაბიტალური შენობა წამოვიდა, და ეს ამბავი, გარკვეულ დროს, ქვეყნის თავდაცვის თავმოსაწონიც კი შეიქმნა. ენგურაშის მშენებლობის დასაბედდ მიდიოდნენ თურმე მაღალი თანამდებობის პირნი; და როცა ერთ-ერთმა მათგანმა გააყვირა, საიდან ასეთი სახლები, უახსუხეს, რომ ეს უველაფერი ენგურაშის საშენი მასაღით იყო აგებული. ნაქურდალი მისალით, რა თქმა უნდა. მერე და რა არის ამასი ცული (მორალი?)? კაცმა სახლი დაიდგა, წიღში გაიშრთა, გაღონიერდა, ცუდს ამასი ვერაფერს ვხედავო, უთქვამს დიდკაცს და, ჩემი აზრით, კეთილი გულით იყო ის სიტყვები ნათქვამი, თუმცა, როგორც გამოიკრა, დროთა განმავლობაში ჩვენს თვალწინ უველაფერმა სახე იცვალა. ვაგლახ, რომ ფიცრული ოდა სახლს შლეკის შენობამ ვერ აჯობა. შლეკის შენობას ობი და ნესტი მოეკიდა, რითაც ასე ცნობილია ბარის სამეგრელო. შლეკმა ჩამოცვინა იწყო, ზავსი და ლევეთი მიუყვება კედელს აღმა-აღმა. და კაცი უკვე ვერ სუნთქავს ქვედა ხართულში, მეორე სართულზე ადის და იქ იდებს ბინას, სამწუხარო ის არის, რომ ენგურაშის მშენებლობა დასასრულს მიუახლოვდა, მეორე სართული კი მოუწყობელი დარჩა, ხაჭირო ხე-ტყე ვერ მოიშარავა, მგვარ მგორე სართული რომ რაგორმე მოაწყოს, ამასობაში ზომ დალმა მისი ღობო და ხაჩრკველი, მისი პირველი სართული? არადა, ნესტი და ობი მაღე მეორე სართულსაც მოეკიდება. საყვირველი ის არის, რომ ასე ადვილად ტყუფდება ხალხი. თუმცა ამასაც, აღბათ, თავისი გარკვეული მიზეზი აქვს, — რაიდა ამხელა მდინარის გადაადგება შესაძლო შეიქნა, რატომ არ შეიძლება ოდა-სახლის შლეკის შენობით შეცვლა? ან კი რა დაუდგება წინ?

მეგრელებს კაცმა ერთ წაშში უთხრა უარსათაღან-ზახადან მომდინარე ადამ-წესებსა და ჩვეულებებს. და ერთხანად გადაწყვიტა გადაუწყვეტო საკითხი, როგორც ერთხანად გადაწყვიტა ვეებერთელა მდინარის საკითხი, ოდა-სახლს თავისი სიღამაზე და შნი ჰქონდა, რაც რა თქმა უნდა, შლეკის შენობას არ ვაჩნია, კაცს რომ თავი არ მოსწონდეს, ქარი არ შეიყრებაო. ეს იშახც მოგვაგონებს, კაცი კარგად იცავს და იხურავს იმითომ, რომ სხვას ღამაზე დაეხანოს, და არა იმითომ, რომ კარგად წიკმულა-დახურული შინ აქდეს მარტლდმარტლი. ის ჩვეულებური, ქველებური ოდა-სახლები ამშვენიება ჩვენს განსაკუთრებულ ეზო-ქარს, ოდის წინა მინდორს, კონიდარსა და შვენარეულს, ხეხილის ბაღებს. ოდა-სახლი ახარება გამვლელი კაცის თვალსა და გულს. შინ მყოფი კაცისათვის არა მანს ოდა-სახლის ჩუქურთმინი აივანი და

ერთი ლავარდანი, რადგანაც ეს უველაფერი სხვისი თვალისთვის არის გამიწმული და გამოყვანილი. ჩვენმა წინაპრებმა იცოდნენ, ხალხმაზე იყო თვალის და სულის წყალობით, ხალხს სახლს, შლეკის შენობასთან შედარებით, უველაფერი უბრალოდ უბრალოდ ვაჩნია. ახლა ამანე საუბარი, როგორც იტყვიან, შორს წაგვიყვანეს, ერთი კი აუცილებლად უნდა ითქვას: შლეკის შენობას დიდე ზიანი მოაქვს ადამიანის განმრთელობისათვის; განსაკუთრებით ისეთ ადგილებში და იმგვარ ბუნებრივ პირობებში, როგორც ბარის სამეგრელო; რისი თქმაც არ შეიძლება, მაგალითად, აღმოსავლეთ საქართველოზე, სადაც ჰაერი მშრალია და ზომიერი.

ოდა-სახლებთან ერთად გაქრა მრავალი ხელობა, რითაც ასე მოქმენდათ თავი ჩვენს წინაპრებს. იშვიათია დღეს ხეო (ხის მოხელე), მე, ბუხრე, მეყურე, მშეთათი მჭედელიც, რაზედაც გაამახავა უურადღებამ იმ რამდენიმე წლის წინათ მწერალმა ნოდარ წულუბსკერმა. შლეკის შენობამ თითქმის უფარგისი და გამოუსადეგარი გახადა ფაცხა და სამწადე — ქარგვალი, და თუკი ვინმეს მინც უღვას დღეს ხაღმე ფაცხა, ეს უკვე ყველ დანიშნულებას კი არ ხსრულებს, არამედ — საქეფო, დროს გახატარებელი ადგილია. ეგრეთ წოდებული, ეგვოტიკა და მეტი არაფერი. შლეკის შენობა დეფ-გმირი აღმოჩნდა. მან გააქრო ქველებური ხაჭახო ნიე-თული და ქაშ-ქურტული. რაც ასე მსუფერებელია შლეკის შენობისათვის. ამჭერად, ისეა დაგვარჩენა, რომ მოვიხანულოთ დედაქალაქში გაშენებული ღია ციხეშია მუზეუმი და დავათვალიეროთ დახვედელი კაცის კარ-მეღამო: მისი ოდა-სახლი, ქარგვალი, ფაცხა და საყოფაცხოვრებო მოხმარების მრავალრიცხოვანი ნივთი.

და, ერთხანად, სულ რამდენიმე წლის განმავლობაში ეს უველაფერი გაქრა. გაქრა ქვარსა და ილორში, ლიხა და წაღენქანაში, წედაეწერსა და ჰკაღდაშე-კორცხელსა და რაყეში, ჰალახა და სახეროში. გაქრა მწვობელი რაიონების სოფლებშიც.

აქ, ვანრახს, არ ვეხები ენგურაშის ახლო-მახლო წამოქრილ ეკოლოგიურ საკითხებს, — ფლორასა და ფაუნას, არ ვეხები ხეობებს (ენგურაშის მშენებლობამ მრავალრიცხოვანი ხალხი მოიზიდა, მშენებლობა ვასრულდა, ზედის მძიებელი ხალხი ვწას ვაუდგა, სკოლები კი გაუქმდა), არ ვეხები მრავალ დიდმა და წვრილმა საკითხს, რადგანაც ეს შექმნილი ვითარების ზედმეწვერი ცოდნას და გააგებას; ასევე ვანრახს მოითხოვს, რაც ამჭერად ჩვენ შესაძლებლობებს ადებატება.

მაგრამ ელექტროენერგია ზომ გვინდა? — იკითხავს კაცი. ხილდან უნდა მივიღოთ ხაჭირო ელექტროენერგია? საამისო პასუხი მზად არ მქონდა, რომ იმ ხანებში ვეწვიე ერთ მოზულე-

ბული ქვარელ მწუკმის, საუკუნის მითხნებულ ჯოგო მანიას, და აი, რა მითხრა:

— ჩვენს ხოფელს, ჩვენი მაგანის დონე განათებდა, ხაბა. თქვენს ზუგდიდს — თქვენი ჩხოუშის ბები, ხოხს — ხოხისწყალია, წალენჯიხას — ჭანისწყალია, და ასე მოგვარდებოდა ეს ამხავი. თავვი, მდინარეზე რომ ჩადის, კუჭის დონეზე ხვამს წყალს, და კაცმა რომ თავისი კუჭის ზომი იცოდეს, რა გასაკვირია?.. ადრე ასე იყო, ხაბა, ყველაფერი თავისი საკუთარი სახელი ერქვა. ეგერ რომ მდინარის ტოტი ჩამოდის, გუდუქს ტობა ერქვა, ეგერ რომ წისქვილი იდგა — მათეს წისქვილი, ეგერ რომ მერხერი ტუე ჩანს, ისეთი გაუვალელი იყო ამ მშენებლობის დაწყებამდე. შაშვი კურკანტელს ვერ გაიტანდა, — ფანიას ტუე ერქვა. ახლა კი საერთო გაქვთ ყველაფერი ახალითობას. ენგურაშენს კი მქვია, ხაბა. შავრამ, როგორც გავიგე, არც ჭვარს ეკუთვნის ახლა ეს ადგილი და არც ზუგდიდს, ან იწასაც ეკუთვნის და ამასაც, რა ვიცი მე, ყველასია და იმითომ. ვისთა ახლა, ეგერ რომ ჩანს ფერმა?

— კოლმეურნეობისა, ცხადია.

— ზოდა, ამას ვაშობ, ადრე ძიკი კვარაცხელიას მქონდა თავისი ბაკუთარა ფერმა. ჯოგო მყავდა საკუთარი. ათასი სული საქონელი მყავდა ძიკი კვარაცხელიას. და რამდენი ხელი საქონელი მყავთ იმ ფერმაში? ასი ხელი საქონელი თუ ეყოლებათ. მა, დიდი-დიდი, ასოცი სული საქონელი. და რამდენი ადამიანი უვლის?

ჯოგო მანიაშ საუბარი თუ წამოიწყო, როგორც მდინარეზე წყალი, ისე ენას მისას სიტყვა არ დაეღუვა, მაგრამ მაინც უნდა გამოვთხოვო ამ ხანწაულ ბერიკაცს და გავუდგე ჭჯახ, თუმცა, სადაც უნდა ვიყო, მისი ზოვიერთი გამონათქვამი უცბო ამოტვიტვდება ცნობიერებადან და მთელი სივრცე-სივრცით საჩინო ხდება ჩვენი სადღეისო ყოფა-ცხოვრების ავან-ჩაყანი.

— ამინდს დაჰყვებოდა ძიკი კვარაცხელია, — ამბობს — საქონელმა თვითონ უნდა მოაპოვოს თავისი საკვები. წამოთროხით კურიახს სანახებში მყავდა საქონელი გაშვებული, წაფხულაობით — მთაში.

ამას წინათ რომ მოვიხსნებოდა ჩემი წყნობი ბერიკაცი, გარდაქმნაზე ჩამოვუდგე სიტყვა. ამ სიტყვის წინარსი კარგად არ მესმის, მითხრა, მაგრამ ერთი კი გავიგე, დღევანდელი მთავრობა, ალბათ, იმისთვის ზრუნავს, რომ ყველაფერი თავიდანვე ისე მოგვარდეს, შეშლავთში გარდასაქმნელი არ გავიხდეს. ხომ ვაგზონია, ხაბა, ხალხური გამოანათქვამი, თევზის ქუდით დავერა არ იქნება.

სიმართლე გამოცდილებას მხარეზეა.

ერთ პატარა რაიონში დანერგილი წესი და მეთოდი ახლა მთელ საბჭოეთში ვრცელდება. არა ახალური ექსპერიმენტი, არამედ მისი თაოსნისა და დამფუძნებლის ჯურამ მგელაძის მეთოდი.

გარდაქმნის ერთ-ერთი მთავარი და მაცოცხლებელი ძარღვი ის არის, რომ საგანსა და მოვლენას დაერქვას თავისი ნამდვილი სახელი. პირიქცეობამ აიღო თავის თავზე ძნელი რაღაც რაზედაც ადრე მხოლოდ იცნებოდა თუ შეიძლება. ზუსტად დიავნოვის დახმა, გარდაქმნისათვის აუცილებელი გახდა, თბილისი კი არ დაარხნდა, როგორც ვასწავლის ახტორიის სახელმძღვანელო, არამედ დიავნოვისა ანა და ამ პირიქცეობამ, დღეს ჩვენ თამაშად შეგვაძლია ვთქვათ, რომ გარდაქმნას ასე საქვეყნო და ხაყველთაო მასშტაბი შეეცა ჩვენი ქვეყნის მეთაურის მ. ს. გორბაჩოვის პირადი თაოსნობითა და შეცადიერობით.

დღეს, ყოველმა პირიქცეობამ უნდა ავოს სასუბი თავის ნამოქმედარზე და არ გადააბრალოს ხალხს და ქვეყანას ამა თუ იმ საკითხის მოგვარებლობა, ქვეყანა მუდამ ისეთია და ახეთი იქნება, როგორც ვართ და ვიქნებით ჩვენ, იოლია ქვეყნის გაილვა, ძნელია საქმის წამოწყება და თავის მოხმა, მისა ხალხის სახიკეთოდ და სახარტებლოდ წარმართვა. ავადმყოფმა არ უნდა დაუმალოს არც თავს და არც ექიმს სატკივარი, რათა ხწორად წარიმართოს მუხრანლობა. ჩვენ გულახდილად უნდა ვთქვათ, თუ რანი ვიყავით და რანი ვართ, რათა შესაძლებელი გახდეს უკეთესი მერხისის შექმნა.



დავით თაყაიძე

„რეცენზიის ებილოგი“ თუ რეკვიემი?

(ბასაუბრება სოსო სიხუასთან)

თქვენი „ეპილოგის“ ერთი ნაწილი გამოწვეულია ჩემს მიერ რედაქციაში წარდგენილი პირველი საპასუხო წერილის შემცირებით, რის გამოც ზოგიერთი თქვენი ადრინდელი შენიშვნა პასუხატულებელი დარჩა და, ვასაგებია, რომ კვლავ იმეორებთ მათ, მაგრამ საკვირველია, რომ ჯერ კიდევ არ გაქვთ გაცნობიერებული არაცნობიერის პრობლემა, ეერ ანსხვავებით „სიღრმის ფსიქოლოგიას“ მისაღები ფსიქოანალიზური მეცნიერული მეთოდისაგან.

„ეპილოგში“, თქვენი პირველი წერილისაგან განსხვავებით, იგრძნობა მეტი სიფრთხილე მაცდუნებელი ფრაზის თეორიისადმი; უკვე იშვიათად ხმარობთ ცნებას „ლიბიდოსის კომპლექსი“, რომელიც თქვენს წიგნსა და „რეცენზიაში“ უნივერსალურ პეცნიერულ მოძღვრებად მიგაჩნდათ. ახლა ამ ცნების მაგიერ ხშირად იყენებთ ტერმინს — „ფსიქოანალიზური“ მეთოდს. ეს თათქოს მისასაღმებელია; შეცნობრება უარს არ ამბობს ფსიქოანალიზური სკოლის პრინციპებზე, მაგრამ როგორც ჩემს „პასუხშიც“ აღვნიშნავდი, „საბჭოთა ფსიქოანალიზური სკოლის პრინციპება“. განსხვავდება ფრაიდის ფსიქოანალიზური მოძღვრებისაგან. ფსიქოანალიზური პრინციპები, რომლებსაც თქვენ იყრდნობათ, არამეცნიერულია, იგი ფრაიდის „სიღრმის ფსიქოლოგიიდან“ მომდინარეობს და თქვენ სწორედ ეს შეგნიშნეთ... (სხვათა შორის თქვენს „ეპილოგში“ ცნება „არაცნობიერი“ არ გეხებდება, ნუთუ არსად დაგჭირდათ, თუ უარი თქვენთ მასზე?... ცნებაზე „არაცნობიერი“ ისე, როგორც „ფსიქოანალიზური“ მეთოდზე, შეცნობრება არასოდეს იტყვის უარს. ოღონდ უნდა ვიცოდეთ, რომ ეს არ ნიშნავს წინასწარ დაპროგნარაზებულ „მამათა და შვილთა“ ბრძოლას, რომელსაც „ლიბიდოსის კომპლექსი“ უკავში-

რებენ). თქვენი მსჯელობა კი „ფსიქოანალიზური მეთოდზე“ უფრო მთხერბებული საფარია „ლიბიდოსის კომპლექსის“, როგორც მეთოდოლოგიური მოდელის, გადასარჩენად, ე. ი. კ. გამსახურდიას პროზის სტრუქტურის თქვენიული ინტერპრეტაციის რეაბილიტაციოსათვის. ჩანს გადაჭრით არ ემიჯნებით ფრაიდის „ლიბიდოსის კომპლექსის“ მოდელს (თქვენ შეცადეთ კიდევ მის თეორიულ დასაბუთებას), ამდენად გინდათ დარჩეთ თქვენს ძველ შეხედულებებზე.

ერთგან წერთ: თუ ინცესტი და მამის მკვლელობა აღიარა „ლიბიდოსის კომპლექსი“ სხვა რაღაა, ან როგორღა მსჯელობენ ფსიქოანალიზის გავლენის შესახებ ჯ. ჯოისის, თ. მანის... ცალკეულ ნაწარმოებებზე. რა თქმა უნდა, „ინცესტი“ და „მამის მკვლელობა“ „ლიბიდოსის კომპლექსის“ ძირითადი ნიშნებია. ამასთან ფსიქოანალიზის გავლენაზეც მართებულად მსჯელობენ ჯ. ჯოისის, თ. მანისა და სხვა მწერალთა ნაწარმოებებზე, მათ შორის საბჭოთა მწერლების ქმნილებებზეც. რა თქმა უნდა, შეიძლება კონსტანტინე გამსახურდიას და სხვა ქართველი მწერლების შემოქმედების ფსიქოანალიზური პრინციპებით შესწავლა, მაგრამ ჯერ ერთი, „ინცესტისა“ და „მამის მკვლელობის“ ძიება „მთავარს პროტიცეაში“ ხელოვნურია, მეორეც, „ლიბიდოსის კომპლექსის“ მოდელი არ შეიძლება მეთოდოლოგიურ პრინციპად გამოვიყენოთ. ჩვენ მზარს ევბერთ არა ფრაიდისეულ ფსიქოანალიზური მეთოდს, ანუ „სიღრმის ფსიქოლოგიას“, არამედ საბჭოური (და არა მხოლოდ საბჭოური) ფსიქოანალიზური სკოლის პრინციპებს, მხოლოდ თქვენ — ფრაიდის ფსიქოანალიზური სკოლის მართულების დამცველი — როგორც ჩანს, საბჭოთა ფსიქოანალიზური სკოლის პრინციპებს არ იზიარებთ.

ამაშია ჩვენი უთანხმოება.

თქვენი მხარე ახრებდა „ოლიღობის კომპლექსის“ მოღველით გურამ ფანჭვიძის „სპირორალის“ ანალიზიც ისე წარმართეთ, რომ შეეცადეთ დაგეგმეკიევიანთ „მარადიული ოლიღობის კომპლექსის“ არსებობა“, „სექსუალური ლტოლვა“, „ინცესტის კომპლექსი“. „ამდენად, — დასკვნით თქვენ, — ვთორგამეკორინთელი ზღვბა „ოლიღობის კომპლექსის“ შეყვარობაში შევიღის მკვლეღი და დინადბიტრფიადღებით აღგზნებული“.

ახლა მოვუსმინოთ რომანის ავტორს: „ინგა შეუყვარდა არა რამაჰ კორინთელს, — წერს გ. ფანჭვიძე, — არამედ პიბრიდს რამაჰ კორინთელი+დავით გიორგაძე“.

რამაჰ კორინთელი აღარ არსებობს, რადგან აღარ აზრდენებს... აკადემიკოსი დავით გიორგაძეც აღარ არსებობს.. სხეუღისა და ტვირღს, გენისა და ინტელექტის ურთიფრთმომქედღებამ შექმნა სრულიად ახალი პიროვნება. ფიგ ვიღაც მესამე კაცია“. აქედან დასკვნა: „ინგა არ შეუყვარებია არც რამაჰ კორინთელს, არც აკადემიკოს დავით გიორგაძეს. ფიგ შეიყვარა ვიღაც მესამე პიროვნებაჰ, რომელიც თავისთავად არის ანოზალია“. (ხაზგასმა ყვეღგან ჩემია — დ. თ.), ამდენად ინცესტის საკითხი დამძას შორის არც დასამის (იხ. „კრიტიკა“, 1987, №3, გვ. 77).

60-70-იან წლებში ზოგიერთმა ქართველმა კრიტიკოსმა, მართლაც მიმართა „ოლიღობის კომპლექსს“, როგორც მანევრს, როგორც მპაროვაცირბეღ იარაღს ცხოვერბესა და მწერლობაში კანონიზებული რუტინისა და უფრობის წინაღმდეგ, კონფლიქტური სიტუაციების გასასწენღად, აზრის გასაღვიძებღად, ჩენი ზალბისა და ერის გაატიურბებისათვის და არა იმიტომ, რომ იწამა „ოლიღობის კომპლექსის“ მეთოდოლოგიურა პრინციპი, მგავალითად. მწერალთა კავშირში გამართულ ერთერთ ღისკუსიანზე გ. ასათიანმა დამოღმარბევი იუმორით თქვა: გაკვირბებული ვარ, რომ ყვეღაფერი მოგეწონს, ყვეღაფერს ტაშს ვუკრავთ. ნუთუ არაფერი გეაწუხებს?... ეგრობაში... საფრანგეთში, ინგლისში ახლგაზრდების გამოსკვღებია, მამათა და შეიღათა ბრბოღაა გაჩაღებულიო... ეს და აგრეთვე ბევრასთვის ცნობიღი „ოლიღობის კომპლექსის“ მონღღლო, ვფიქრობ, ბიძღის მიმკეში გახდა მამინ ზოგიერთი კრიტიკოსისათვის იმ მიზნით, რომ რამდენადღე მინც დავერღვიათ ირგვღეღ გამეფებული „მეუღღრობა“, მაგრამ მათ არასოდღს უცღღიათ „ოლიღობის კომპლექსის“, როგორც მეცნიერული მოძღვრბების, თეორიული დასაბუთბება... თქვენც კი „პროფინციღლის საბეკითით“ იიტაცებთ იგი, „გამოიჩიქნეთ“ მისი თეორიები და შეეცადეთ, ხეღახლა მოგეწოდღებისთ ჩენთვის, როგორც სიახლე, მიგნება... ცდიღობთ თავი შეღაფროთ ღვეღ სტუტრუა-

სა და ავაცი მაქრამის ავტობიოტექტეს „ბრბოღებიც მართლაც მოითხოვენ „მბორღის პოტსკემა“ პრევეღი რეღაქციის აღვეღბაში მაგრამა უნდა გვახსოვღს, რომ ისრეღღეკიეფრბეღეღაში გამოამღინაბრბეღენ არა ფროიდის „ოლიღობის კომპლექსიდან“, არამედ თვით ცხოვერბიდან, გაშაფრბული გღასობრბეღიღოლოგიური ბრბოღის სინამღვიღიდან. ანუ შემბბეღვაში აქცენტი გადატანიღი ექნება გბოქისათვის ღამბასიათბეღი სოციოღურ-პოღიტიკური ბრბოღის სიმწკვეღეზე; გ. გარეჩიღაძე კი მიუთითბეღ „მამას მკვლეღი“ შეტაფორაზე“ და ფროიდისეული ფსიქოანალიზური პრინციპისადმი, თქვენგან განსხვავბით, კრიტიკულიცა: „რაც შეეხბეღი საყუთრევიღობისათ მათს, — წერს გ. გარეჩიღაძე, — და ფროიდის ძონღწაფიღას, უმბეღლბეღი მამადაპირა დაღბა. ს. აგვრინციევის ამოსავალ კონცეფციად მითის პოტიკა იქიც“, ხოლო კობა ინეღაშვიღს არ შეუღწუხბეღია თავი „ოლიღობის კომპლექსის“ მოღღღის მეთოდოლოგიურ დასაბუთბებაზე.

ასეთია ფაქტბი.

მე-11 პუნქტში თქვენ ცდიღობთ შეითხვეღი ღიარწმუნობთ იმაში, რომ ბროფ. ვღადიბერ ნორაკიღის წიგნიდან არ გაღმგოფწრბითათ ცალკეული ფრაზბი და სფეციფიკური ცნებბი კ. გამსახურღას დასახასიათბეღლად. ციღსაც სწამბთ პატივეკებულ მეცნიერს: „თავად ვღ. ნორაკიღის მსგვლობა არის ბერბეღრაზბი ვ. კრეჩმერის ნაშრომისა «Строение тела и характер». — წიგთ თქვენ. სინამღვიღელში კი ვღ. ნორაკიძე აბღღენს ვ. კრეჩმერის შეზღღელბებათა გაღმოცემას და გვაბღღვს მის კრიტიკას (ეს „პერიფრაზი“ რიღიქ). ამასთან, რადგან თქვენ ვღ. ნორაკიღის სტრიქონბბი მოგაქვთ სიტყვა-სიტყვით თქვენს წერბიღში (როგორც ეს უკვე მივეთითე საბასუბო წერბიღში), ცხადია, ვღ. ნორაკიღის სიტყვებბი ბრტყალბეში უნდა ჩაგვგეთ (წინ კი ორწერტიღი ღაგღსგათ) და იმავე გვერდზე (73-ზე) უნდა მიგეთითბინათ (ე. კრეჩმერი სხვა სიკეთბზე გაქვთ მიითთებული. აე. კრეჩმერში შეისწავღა 27 კლასიკოსი ფიღოსოფოსი, — წიგთ თქვენ. — არც ერთი მათგანი არ აღმონღდა „პიეჩიკურა აგბბუღების სწეღი აღამიანა“).

არასოდღს მომსკელია აზრად თარამისათვის „ეკსპოზოლოტი“ მეწოდღბინა. პირბით, თამის ტრაგედიის მიზნუღად მიმამჩნია, რომ იგთ უნებღიღედ საშობოღო მიწას მოსწყვიტღს და მისი შეზღღელბებბი, ხასიათი ჩამოყალიბბა „სხვის მიწაზე“. ქართუღის მკოღღე ჩემი ტქტსტეღბად არ გამოიტანს თქვენუღ ღისკენას. მე ვწერ: „თარამის სიკვეღლი — ეს უპირბეღღეს ყოვღისა, არის გარკვეღული

მომუხებდნენ სიკვდილი, ფეოდალური დორპაციისა და მისი იდეოლოგიის ისტორიული ბედი, მაგრამ პარადოქსად არაფერ ჩაგვიტვლის, თუ ვიტყვით, რომ თარაშ ემზავრის ბედი — ეს არის კონსპიროციის, სამშობლო მიწისაგან მოწყვეტილი ახალგაზრდის ტიპური ბედი, მისი ცხოვრების ლოგიკური დასასრული. ე. ი. აქცენტირებაზე ბედზე ვახდენ და თარაშის ტრაგედიის მიზეზს ვხედავ არა მასში, არამედ მის ბედში. იმაში, რომ იგი საკუთარ ნადავლს მოწყვეტილი აღმოჩნდა. აქი თვით თარაშშიც უჩივის „ბედს“ (აქ მე სიტყვა „ბედს“ საგანგებოდ ვუსვამ ხაზს). „მე რომ ბედი მქონოდა, — ამბობს იგი, — უტოვებოდა გულბეწვი არ მომიხდებოდა“; ედვინსონს უკანვე ამონერწყვას „სხვის ქვეყანაში მადელოლი ზედმეტი ხაზროლი“ (ხაზგასმა ჩემია — დ. თ.).

ბედი, საზოგადოდ, პიროვნების სურვილზე არ არის დამოკიდებული. სიტყვა „ბედი“ კართულის მცოდნისათვის არ ნიშნავს საკუთარი სურვილით ან დამსახურებით ჩადენილ ქმედებას. ასე რომ იყოს, ყველა ადამიანის ბედი შესაბამისი იქნებოდა მისივე ბუნების და გმედებისა. სტლხან-საბა სიტყვა „ბედს“ ასე განმარტავს: „ყვალად კაცი ვინმე ბოროტის ღირსი რა ღმერთთან შეიწყვალოს და შეუცვალოს ბოროტი ამთილად, ესმეტიბრთი სანახლად ბაძირ ეწოდებინს“ ან: „ბოროტსა ღად ბოროტისა ვიღ მოუღიროს ღმერთთან ამთილი, მას უწოდენ ბედსა ყვალბოძითა ღმერთსათა“, ე. ი. როცა განგებ სიბოროტის წილ სიკეთეს მიაგებს და პირობით, სიკეთის წილ — სიბოროტეს, გრიბოღოვაც, როცა თავისი გენიალური კომედიის ფინალში გმირს ათქმევინებს: „მედმა მუხთალმა ასე განავთ: ბრინჯებს ბაძირ ბაძირ თამის სიბრძნავით და ბაძირანებს — ვანი ბაძირსაბანს“ — განა ანალოგიური მაგალითი არაა? განა ჩაცკი (ეს გონიერი პიროვნება) დამნაშავეა იმაში, რომ მსხვერპლად გარბის და ცისქვეშეთში ერთ მყუდრო ადგილს ეძებს ღვინილი გარბობის შესაფარებლად?!

რა თქმა უნდა, არა!
ამ შემთხვევაშიც მწერალი „ბედის“ დაუწესებურებელ ბუნებაზე მიგვიანხნებს, ე. ი. მატრიოტს შეიძლება განგებამ არგუნოს კოსმოსპოლიტის ბედი და პირიქით.
ამდენად, არც უნდა ელოდოთ ჩემგან ვაბტიციო თარაშის „კოსმოსპოლიტობა“.

შეკითხებით: კაც ზემბაია რატომ „იბრუნებს სოციალიზმის გზას?“, მაგრამ რომ სრული სახით მოგეტანათ ჩემი წინადაც ციტატი, ალბათ, ეგ შეკითხვა არ დაგებადებოდათ. ჩემი წიგნის 151-ე გვერდზე ვკითხულობთ: „სოციალურად კაც ზემბაია საშუალო გლეხია, რომელიც ისტორიულად მისი „თრბუნებთვაგებების“ გამო ღარიბ გლეხობასთან ერთად ირ-

ჩეკ სოციალიზმის გზას“. მართლაც, კაც გაითვალისწინებს საშუალო გლეხის „თრბუნებებს“ (ეს ცნება ისე პოპულარტულია, რომ საშუალო სკოლის მოსწავლემ იცნაქ მისივე ეს დებულება — საშუალო გლეხის „თრბუნებებს“). ფება ღარიბ გლეხობასთან კავშირში — სადაც ერთ არ შეიძლება იყოს. შირს რომ არ წავიყოფო, განა ასლან მარგვედაძისა და გიგა სალანდიას ბუნება ამაზედ არ მიგვითითებს?

ახლა „მთავარი გმირისა“ და „ცენტრალური პერსონაჟის“ შესახებ.
ჯერ ერთი, თქვენ თვითონვე ხმარობთ ორივე ცნებას „მთავარ გმირსა“ და „ცენტრალურ პერსონაჟს“. ამდენად მეც მაქვს უფლება ამ ცნებების გამოყენებისა. ამასთან თუ თქვენ ამ ორ ცნებას („მთავარს“ და „ცენტრალურ პერსონაჟს“) ხმარობთ, როგორც სინონიმს, მე (და არა მხოლოდ მე) მათ სხვადასხვა მნიშვნელობით ვიყენებთ. თქვენ წერთ: „თითქმის გიორგი მეფეა ცენტრალური პერსონაჟი. არსაკიდე საკვალად გვიან ჩავრთვის თბრობას მაგრამ ის (არსაკიდე — დ. თ.) ბრის მბმირთმეული რომანის მთავარი იდეისა“. თქვენც დაგვირდათ გამოყენებინათ სიტყვები: „მტვირთველი რომანის მთავარი იდეისა“. დიახ, ნაწარმოებში გვხვდებიან მოქმედი პირობები, რომლებიც არიან „მტვირთველი რომანის მთავარი იდეისა“ და გვხვდებიან ისეთი პერსონაჟებიც, რომლებსაც ნაწარმოების სახეთა სისტემაში თუმცა ცენტრალური ადგილი უკავიათ, მაგრამ არ არიან „მტვირთველი რომანის მთავარი იდეისა“. ზოგჯერ მათ შორის სხვაობა არც არის (იმ შემთხვევაში, თუ სიტყვა სისტემაში გმირს ცენტრალური ადგილი უჭირავს და კიდევ „არის მტვირთველი რომანის მთავარი იდეისა“), მაგრამ არის შემთხვევა, როცა ერთია „რომანის მთავარი იდეის მტვირთველი“, ხოლო სახეთა სისტემაში შუორეს უკავია ცენტრალური ადგილი. „მთავარის მოტაცებამიცი“, ეფიქრობ, ასეა.

„მთავარის მოტაცებამიცი“, თქვენი სიტყვით, რომ ვთქვათ, „მტვირთველი რომანის მთავარი იდეისა აბის არზაყან ზემბაია, ხოლო მის სახეთა სისტემაში ცენტრალური ადგილი უკავია თარაშ ემზავრს. ამდენად, პარკელი — არზაყან ზემბაია რომანის გმირია, ხოლო ზემორზე — თარაშ ემზავრი — ნაწარმოების ცენტრალური პერსონაჟია.

ე. ი. თქვენს კითხვაზე: „რატომაა არზაყანის „მთავარი გმირი?“, ვიპასუხებთ: გმირში ვგულისხმობთ „განსაკუთრებულ მონიშნს, ხასიათსა და სხვა თვისებებს მქონე ადამიანს. ისეთ ადამიანს, რომელიც აქვს დიდი მნიშანი და მტკიცე ხასიათი ამ მონიშნის მისდწევად ბრძოლისათვის, რომელიც ატარებს რაიმე საზოგადოებრივ იდეას, თავდადებით თბრბვის მის განსაზოციელებლად“. სწორედ ასეთად ვიგ-

ვაჩიას „შეთვირის მოტაცებაში“ არზაყან ზეპანბია, რომელიც „მტერთფელია რომანის მთავარი იდეისა“. ამას კი ვერ ვიტყვით თარაშზე, თუმცა ცნობილია, რომ იგი თვით ავტორის „სულის ნაწილია“ და მკითხველიც დიდი თანაგრძნობით ეკიდება მას.

ერთხელ კიდევ წერთ: „რატომ არ ასახელებთ თუნდაც ერთ ქართველ რევოლუციონისტ „კრიტიკოსსა“. ჩემს პასუხს, რომელიც ეხება თვით ტერმინის განმარტებას, დაემატებ, რომ თქვენს მიერ „რეცენზირებულ“ წიგნში ლაპარაკია საზოგადოდ „საერთაშორისო რევოლუციონიზმის ატმოსფეროზე“, ესთეტიკური-მხატვრული ბრინკაების მორიგ გადასინჯვარეველიაზე“. მითითებული მაქვს კონკრეტული მაგალითები (გვარებიც) რუსული მწერლობიდან. ჩემი მოსაზრების განსამტკიცებლად მომაქვს ი. აბაშიძის სიტყვა, რომელიც წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის ტრიბუნლიდან: „ამ ბოლო ხანებში, — თქვა მან, — როცა ბურჟუაზიულმა იდეოლოგიამ განსაკუთრებული გააფთრებით შემოუტია ჩვენს საბჭოთა ლიტერატურის რიგებს, არამარტო უცხოეთიდან, არამედ ზოგადად დემოკრატიული ქვეყნიდანაც კი და, სამწუხაროდ, თვით ჩვენს ქვეყანაში ზოგიერთი ლიტერატურული ორგანიზაციებიდანაც, საქართველოს მწერლობა კვლავ აღმოჩნდა მალალიდურ ღონეზე“.

კრიტიკის სექციის დაჭედილობების საკითხის გადაწყვეტა, ალბათ, შთამბეჭდის საქმეა. ყოველ შემთხვევაში, კრიტიკა მიისწრაფვის ავტორშიმისაყენ და რამდენადაც ლიტერატურის მცოდნეობის დარგია, იგი მეცნიერებას უნდა მიეკუთვნოს. „კრიტიკა მეცნიერებაა! — წერდა ჭერ კიდევ პუშკინი (ის რომ კრიტიკა მწერლობის ნაწილია, ეს არ ეწინააღმდეგება მის არც მეცნიერულ და არც შემოქმედებით ბუნებას. ერთი ცხადია: კრიტიკას, როგორც დარგს, მეცნიერული საზომებით თუ მივუდგებით, მაშინ ბეგრის, მათ შორის თქვენი წერილები „მიზანი და შედეგი“ და „რეცენზიის ეპილოგი“, როგორც განამეცნიერული, არ დაბეჭდებოდა. აქვე დავსქენ, რომ ამ ცოტა ხნის წინ სარგის ციხვილიძე საკითხი დააყენა საქართველოში კრიტიკის ასოციაციის ჩამოყალიბების თაობაზე, ისე როგორც ეს აბის ეგროპაში. ამგვარად, თუ გაითვალისწინებთ თანამედროვე სალიტერატურო კრიტიკის მდგომარეობას და ზოგიერთი კრიტიკოსისა და მეცნიერის მოსაზრებას, ჩემს წიგნში წამოჭრილი საკითხი, კრიტიკის ავტორშიმისა, კანონზომიერია.

თქვენ არასწორად გვსმით „სიმბოლოზმის“ არსი, ან გალაკტიონის პოეზიის ბუნება. არა

მგონია გამოჩნდეს მეორე ლიტერატურისა მკოდნე, რომელიც თქვენს „სიმბოლოზმის წარღვევა... გალაკტიონისა“. თქვენ სხვა შემთხვევაშიც წერთ „სიმბოლოზტი გალაკტიონისა“ რაც ჩემი და არა მხოლოდ ჩემი ღონა რწმენით, უხეში შეცდომაა, სხვა საკითხია, როგორც ჩემს საპასუხო წერილში ვწერდი, „რომ პოეტმა განიცადა ამ სკოლის ეგროპულ-რუსული სიმბოლოზმის გავლენა მხატვრული თვალსაზრისით“.

გურამ ასათიანი გალაკტიონის შემოქმედებაში დიდი სიფრთხილით ცდილობდა გამოეყუ „სიმბოლოზტი პერიოდში“ (1913-1920 წწ.), ამასთან დაკავშირებით მკვლევარის სიცოცხლეში გამოქვეყნდა კიდევ ჩემი წერილი და თუ ჩემი დამოკიდებულება ნამდვილად განიტრეტებთ ამ საკითხთან, გავაყენებ ჩემს წერილებს წიგნში „კრიტიკის ბუნება“, რაც შეეხება თქვენეულ „დასკენას“: „ცისფერი ყანაწი“ სიმბოლოზმის სინონიმი ჰგონიაო, არავინ დაგიყურებთ და ერთხელ კიდევ შელახავს თქვენს ავტორიტეტს...

„ეპილოგის“ მე-3, მე-4 პუნქტებში მხოლოდ იმეორებთ რეცენზიაში დაუსაბუთებელ შენიშვნებს და არც ერთი ახალი არგუმენტი არ მოგაქვთ.

თქვენი ნებაა, დარჩით თქვენს მოსაზრებებზე... მაგრამ მაინც გირჩევთ, ჩაუყვირდეთ ჩემს მიერ მოითხოვულ სამეცნიერო ლიტერატურას; დიდ ილიას კი დამსახურებას არავინ წაართმევს... როცა ბნი ს. ზუციშვილი წერს: „ნდ-იანი წლებიდან დაიწყო რეალისტური ლიტერატურული კრიტიკა, რომელსაც ბაფუფილი ჩაუყვარა ილია ჭავჭავაძემ“, ან როცა ჯ. ჭუმბურიძე მითითებებს: „ილიან განსაზღვრა ახალი, რეალისტური ესთეტიკისა და სალიტერატურო კრიტიკის პრინციპები“, განარაიმეს ართმევენ ილიას??? (ხაზგასმა ჩემია — დ. თ.).

საინტერესოა რა პრინციპით. ბელმძღვანელობთ ან ვის ეყრდნობა თქვენი მოსაზრება?... ის, რომ ბელინსკი უზარმაზარი სახელია რუსული ლიტერატურულ-კრიტიკული აზრის განვითარებაში, განა იგი რუსული კრიტიკული აზრის ფუძემდებელია?

რუსტე მეცნიერები ბელინსკამდე თითქმის საუკუნით ადრე იწყებენ რუსული ლიტერატურულ-კრიტიკული აზრის ისტორიას და უკავშირებენ ვ. კ. ტრუდაკოვსკის სახელს (1703-1769); ისინი კრიტიკული აზრის ისტორიას, ბუნებრივია, განიხილავენ ისტორიულ განვითარებაში და მეთითებენ სხვადასხვა ეტაპებზე, მაგალითად, პუშკინის წინანდელს, ბელინსკის პერიოდს, დობროლუბოვისა და ა. შ.

ამიტომ, როცა ვლაპარაკობთ არჩილზე, როგორც ლიტერატურის კრიტიკოსზე, შორს

უნდა ვიყოთ იმ აზრისგან, რომ მისი კრიტიკული პრინციპები და კრიტიკული აზროვნების მასშტაბი ტოლფასია ილია ჭავჭავაძის კრიტიკული აზროვნებისა (ეს არც მოეთხოვება არჩილს). მაგრამ იმის უფლება როდი გვაქვს, რომ ხაზი გადავუსვათ მის კრიტიკულ-ლიტერატურულ შეხედულებებს და ჯეროვანი არ მივაგოთ, როგორც ქართული კრიტიკული აზრის დამწყვეტს, მის შესაძირკველს; ე. ი. საფუძვლის ჩამყრელს. „პირველები უკვდავნი არიან!“ (ბელინსკი)

გასაკვირი ისაა, რომ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, კითხვასაც სვამთ: რატომ გვიჩვენია სიმართლის ძიებასა და თქმას, სიმართლისკენ სავალი გზების გამორუღებაო?

მართლაც, რატომ გვიჩვენიათ „სავალი გზების გამორუღება“?

თქვენი „უპილოვის“ მე-7 პუნქტიც რაიმე დამატებით განმარტებას არ მოითხოვს (იხ. ჩემი პასუხი). თუ ჩემმა პასუხმა არ დაგაკმაყოფილათ, მაშინ საჭირო იყო ჩემი მოსაზრების კონკრეტული კრიტიკა, რაც ჩანს თქვენგანგან შეწყლით.

თქვენ მიზანშეწონილად არ მიგაჩნიათ, რომ ჩვენი მწერლობისა და სალიტერატურო კრიტიკის თანამედროვე ანუ მიმდინარე პერიოდში ცალკე გამოეყოფოთ „სამოცდაათწლიან“ მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ „მომდინარე“ ნარე პერიოდი ითვლის 30 წელს (50-იანი წლების შეახნიდან) და 70-იანი წლების ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში ნამდვილად იწყება მნიშვნელოვანი ძვრები (იხ. თქვენს მიერ რეცენზირებული წიგნის 225-266 გვ. გვ.), ვფიქრობ, არ შეგმცდარავარ. უოველ შემთხვევაში, ეს ჩემი მოსაზრებაა და სავალდებულო არ არის მისი გაზიარება.

„მიმდინარე პერიოდს“ კიდევ რაღა „პერიოდი“ უნდა პქონდეს! — დასკვნით თქვენ და აქვე ყოველად მოულოდნელად შესძახებთ: „ასე რომ ჩემი ლანძღვათა და განუსჯელი ციტირებებით არაფერი მტკიცდებაო“.

უნდა შეგახსენოთ, რომ თქვენგან განსხვავებით, არც ერთი ჩემი მოტანილი ციტატა არ არის გაყალბებული და თუ თქვენი ნაწერების ციტაცია „გაგლანძღათ“ (ესეც თქვენი სიტყვაა) ჩემი ბრალი როდია.



ჩინე კალანდია

სიღვენი შავი გღვის ფონზე

გადავწყვიტე, — ჩემი „რიგითი“ ლექსების წერის უამრავი გადავადგილო და ოთარ მიქაძის ლექსების ახალი წიგნის („აივანი ზღვაურ-ში“, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ 1986 წ.) წაკითხვით მიღებული პირველი შთაბეჭდილებანი გაგიზიაროთ.

საოცარია სიტყვის ინერცია! სიტყვა გადიფრონდება და შემდეგ, როგორც იტყვიან, გვიანდა არის...

ასე რომ არ იყოს, რაღა დროს ახალი წიგნია, როდესაც აღნიშნული კრებული „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა და შეგ შესული ლექსები პოეტის ადრე გამოქვეყნებულ ოთხ სხვადასხვა წიგნში („თოვლის ვარდები“, — გამომცემლობა „ალაშარა“, 1968 წ., „ლირიკა“, — „ალაშარა“, 1973 წ., „ვერხვის შრიალ-ში“, „ნაკადული“, 1976 წ. და „გაციკროვნება“, — „მერანი“, 1981 წ.) გახლავთ დასტამბული. ანდა, რომელი პირველი შთაბეჭდილებანი, როდესაც თითქმის სამი ათეული წელია, რაც ოთარ მიქაძის პოეზიის ერთერთი პირველი მსმენელი (პოეტს უყვარს ვიწრო წრეში ლექსების წაკითხვა) და მკითხველი ვარ.

ოთარ მიქაძის ამ წიგნში შეტანილ ლექსებს თარიღები არა აქვს, მაგრამ კარგად ვიცი, რომ 1980-81 წლებს ლექსებებს („პურის თაველი ეთამაშება ქარს“, „აივანი ზღვაურში“, „ვღგე-ვარ პირისპირ ქართან“, „ორი ვარსკვლავი“, „ოპ. ის დილა, ვით სიზმარი საამო...“, „გაციკროვნება“ და „თბილისი“) გვერდით 1952-53 წლებში დაწერილი ლექსებიცაა; მაგალითად: „რა უხანოა ყრმობის სიზმარი...“, „ჩემი თეთრი დარიალი“, „სამაია“, „დაირა და მთეარე“, „ღრუბლები რომ ერთმანეთში არიე-დართა“, „ადრები“, „სერენადა“ და მრავალი სხვა.

ოთარ მიქაძე მრავალსაუკუნოვანი ქართული

პოეზიის, მისი ცხოვრების ხის, ანუ უბერებელი ტრადიციის მარადმზარდი ფესვებიდან აღმოცენებული პოეტია და „აივანი ზღვაურში“ ამ კანონზომიერების თავისებური გაგრძელება-გამოვლინებაა.

პოეზიის სავანი მარად უცვლელია. რადგანაც იგი თავად მოიცავს პოეზიას, ხოლო მისდამი მიმართება განწყობილების მიხედვით სხვადასხვაგვარია.

თითოეული პოეტი ახალი კუთხით წარმოაჩენს პოეზიის საგანს, „ქვაში ჩამალულ ცეცხლის“ თუ ფოთოლცვენის უსასრულო განშორების მიღმა უსმენს საყუთარ „პოლონებს“.

იმ დღეებში, როდესაც ო. მიქაძის პოეზიის გასაღებზე ვფიქრობდი, თვალი ჩავკარი გამოჩენილი კოლუმბიელი მწერლის ვაბრიელ გარსია მარკესის ცნობილი რომანის „პატრიარქის შემოდგომის“ რუსულ ენაზე მთარგმნელის — კარლოს შერმანის წერილის „სხვისი ზღაწერას საიდუმლო“ ერთ-ერთ აბზაცს: „...ორიგინალის რამდენჯერმე წაკითხვის შემდეგ, ვგრძნობდი კარგა ხნის წინათ ნაცნობი ხმის რიტმიკას, მაგრამ ვერ შევძელი გამეხსენებინა, — ვის ეკუთვნოდა იგი. ერთხელ იმ ადგილამდე მივედი, სადაც „ჩემო გენერალ“ მეუღლის დეინებულე თხოვნით თეატრს ეწვევა და თავის ცხოვრებაში პირველად უსმენს ნამდვილ პოეტს — ამ ქვეყანაში ჩამოსულ ნიკარაგუელ რუბენ დარიოს... უნებურად წიგნის თაროსთან მივედი, მოვძებნე და გადავშალე რუბენ დარიოს გაყვითლებული ტომი და ვნახე... თითქმის „შემოდგომის...“ დასასრულს მარკესის მიერ ეითომცდა შემთხვევით „გამოწვილი“ გასაღები! დიახ, დიდი პოეტის ხმა ცხოვრობდა ახალი, ფარული ცხოვრებით, და თავისი სუნთქვით განსაზღვრავდა გარსია მარკესის განსაცვიფრებელი პროზის რიტმიკულ ნახატს“.

ქ. შერშინის „მთავრულბოთი აღსარება“ სიმულტანო ფაქტზე მიგვანიშნებს: პოეტის ლექსის მუსიკალური რიტმი იქცა პროზაიკოსის რომანის მამოძრავებელ ძალად, თითქოსდა უწყაურ, მაგრამ სწორედ ამ რომანისათვის აუცილებელ წამბარად და რიტმმა პროზის „სტატიკური მდგომარეობა“ პოეტური მდინარებით წაიყვანა.

ოთარ შერშინის პოეზიის მუსიკა პეროვანი სიმულტანო და სინაზით გამოირჩევა, როგორც პეპელას ფრენა ყვავილებით მოჩითულ მინორზე. პოეტის თითოეული სტრაქონი მუსიკალურ ბგერათა სილალითა და სიგრცისეული თრთოლა-ცხცავით იჭრება ჩვენს ცნობიერებაში. მისი ლექსი უაღრესად პლასტიურია და ტალღისებური, წრიული მოძრაობით გვირბოვს პოეტურ ხილვების სიღრმეებისაკენ. ასეთ ღრს სენება ხიბლავს უნატიფესი ლგებო (ბგერების გადამა-შეკავსებება ერთ მუსიკალურ ფრაზად). რომელსაც ევფონიით მდიდარი ლგების ელერადობა განაპირობებს.

კრებულში ხშირად გვხვდება XX საუკუნის მიწურულს „სამუზეუმო ექსპონატები“ გადაქცეული ქნარი — ჩანგი — ებანი, სალაშურა, დედუტი, საზი, დაირა, გიტარა, მაგრამ თანდათან უფრო ვრწმუნდებით ოდესღაც ოლიმპოზე მდგარი საკრავების მარადიულობაში — მუსიკაში, პოეზიაში და ფერწერაში... თანაც გვახსენდება პოლ ვერლენის ცნობილი სტრაქონი: „მუსიკა უპირველეს ყოვლისა“ და ქართულ პოეზიაში აღერ ნათქვამი: „სპარსთა ენისა სიტკომამ მსურება მუსიკობანი“.

ოთარ შერშინის თავისებური სმენით, ხილვითა და აღქმით რომანტიკული სულის პოეტია. მისი პოეტური მოსვენება — სიყვითის, სილაშაზისა და სიყვარულის აღმოჩენასა და წარმოჩინებაში ეძიებს „სულის სიმშვიდეს“.

რომანტიკული სვლა ჩანს ლექსების სათაურებშიც: „კოშკი ძეგლში“, „წინადადის ვარდი“, „უფლისწულის მოლოდინში“, „თოლიები“, „ლაყვარდები ტბათა“, „ციხეური საყურე“, „თოვლის ვარდები“, „მოჭადობა“, „სალაშურა“, „შთაგონება“ და „გაციხროვნება“.

ქართული პოეტური ტრადიციის ერთგული ო. შერშინის თავისი საუკეთესო ლექსებით იღვწის იმისათვის, რომ უკვე დაქანონებულ თვალთახედვას საკუთარი სინაზის სიხვი შემატოს და ახალი, მხოლოდ მის მიერ დინაზული, კუთხით განათოს პოეზიის საგანი, რათა კიდევ ერთხელ გვაზიაროს „შეჩერებული წამის“ წარუვალ მშვენიერებას.

იგი ვულგარდინედ მუშაობს ცნობილი პოეტური ფორმების განახლებაზე და მისი ძიებანი ორიგინალური ფორმის ლექსებს გვთავაზობენ: „სწორი აღვის ზე“. „ცისარტყელას ტრით“, „აიგანი ზღაურში“, „აფრები“, „თოლი-

ები“, გასოვს ვინორება?“, „გიტარა“, „საყურადა“, „სილურჩევი ცისა“, „რომანსი“, „ციხეური საყურე“ (ლექსი ვალის რიტმზეა აგებული და პლასტიკურად გამოხატავს წყვედრის ქაღალდის მქელისო ცეკვის, ამიტომაც ბუნებრივად სიტყვების გამოვლება, რაც ახალ რიტმს აპირობებს: „ირწყვა დარბაზი... ნილაბი — ნილაბი, ნილაბი — ნილაბი“) და „ოქროს ზოლი“, კრებულში შეესულია, აგრეთვე, კლასიკური ფორმის სონეტი „იმედი“, კომბინირებული ტრიოლეტი „ორი ვარსკლავი“ და ორი სექსტინა.

ცნობილია, რომ სექსტინა ლექსის ერთერთი ურთულესი ფორმაა და მისი წარმოშობა დანტესა და პეტრარკას სახელგანთქანა დაკავშირებული. რუსეთში სექსტინას წერდნენ ლ. მიი, ვ. ბრიუსოვი და მ. კუშმინი, ხოლო პირველი ქართული სექსტინა კოლაუ ნადირაძის ყალბა ეკუთვნის.

თანამედროვე ამერიკელი პოეტი ჯონ აშბერი ამბობს, რომ „სექსტინას წერა — ესაა ველოსიპედით, დაღმართზე დაშვება, რაცა ფეხის ტერფები კი არ ატრიალებენ პედალებს, არამედ ფეხის ტერფებს აწვებთან პედალები და პოეტი გამოუცნობ სამყაროში მიფრინავს“.

ოთარ შერშინის არ არის ახმურიანი პოეტისა და ყეთილ სიწმინეს“ მიყურადებულ ხშირად ამუშავებს უკვე ნაცნობ თემებს, ქმნის საკუთარ გარიატებს, რამაც ისეთი მცდარი აზრაც წარმოშვა: გალაკტიონის გავლენა აქვსო და ა. შ.

უნდა ითქვას, რომ ყოველგვარ გავლენის ორი მხარე აქვს — დადებითი და უარყოფითი. ეს უპანსკენელი წარმოჩინდება იმ შემთხვევაში, როდესაც თანამედროვე პოეტს არა აქვს წინაპრებისგან განსხვავებული ხედვის წერტილი და არ ძალუბს არსებულის გათავისება, ახალი ელემენტი გამედღრება.

ცნობილია, რომ გოყვამდეც არსებობდა „ფაუსტი“. მოკლე ლიტერატურულ ენციკლოპედიაში ჩამოთვლილია 15-20 მწერალი, რომლებმაც გოყვამდე და მის შემდეგაც დაამუშავეს აღნიშნული გერმანული ხალხური ლეგენდა.

ნ. ზოშენკო წერს: „ეს ტერმინი — „სწველი საგნები“ დიუბუასაგან ვისესხე“ („მზის ამოსვლის წინ“).

გარდა ამისა, აუცილებელია აღინიშნოს, რომ XX საუკუნის ქართული პოეზია მეტ-ნაკლებად გალაკტიონის შემოქმედების წარევი ტრიალებს და, როგორც ვ. ჯავახიძე ამბობს: „გალაკტიონის შემდეგ ქართული პოეზია წავიდა და მიდის გალაკტიონის გზით“. თუ ამ განუხადებს აქსიომად მივიღებთ, მაშინ, მართლაც, ვერც ერთი თანამედროვე ქართველი პოეტი ვერ უარყოფს გალაკტიონ ტაბიძის კეთილ შემოქმედებით გავლენას და ეს არცაა საძიებნისა.

ოთარ მიქაძე დიდბანს მუშაობს ათითავულ ლექსზე, ხვეწს ამი თუ იმ სტროფის, სტროქონისა თუ სიტყვის საბოლოო ვარიანტს. საწყისი წერტილისკენ მოგვიანებით მიბრუნება შეიძლებოდა პოეტის ახარებად ჩავვეთვალა, რომ არ არსებობდეს არასასიამოვნო ფაქტი, ე. წ. „მეცარი“ და ფრთხილ რედაქტორების უბოძნო ჩარევით იერშეცვლილი ლექსები, სტროფები თუ სტროქონები.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ტრადიციულ ლექსებს არ უხდება სტრიქონების გადატეხვა, წიგნის პოლიგრაფიული დონეც არაა მაღალი, ეს მაშინ, როდესაც მის ავტორს, როგორც პოლიგრაფისტს ბევრი კეთილი საქმე აქვს გაკეთებული.

ოთარ მიქაძის — პოეტისა და პირველების ერთ-ერთი მთავარი ღირსება ისაა, რომ იგი პოეზიის ტოცხლობს. სიცოცხლეში ჭვრეტებით, კირს შეგობარ პოეტზე ორიოდე სიტყვის თქმა. გულთბილ სიტყვას ვგულისხმობ, თორემ ავი სიტყვა, დროებით, ნებისმიერ „ჩხელს“ გადასწონის, — მით უმეტეს ზურგს უკან... და განა საიპრო არაა გვახსოვდეს მთავარი რამ? — სხვათა აღიარებით კი არ გვაკლდება, როგორც შემოქმედსა და ადამიანს, არამედ გვემატება, რადგანაც საკუთარ ციქნა პატივმოყვარეობაზე ამღლებულნი ვსდებით და ჩვენი შინაგანი განწყობენდა ახალ ხიმაღლეთა უჩინარი საფეხურებია.

ოთარ მიქაძის პოეზიის კითხვის თაშს ერთი დიდებული წიგნის სტრუქტურები მახსენდება: „ერთდელ ჩუქან ჩეოუს დაგისხმრა, რომ იგი პეპელაა, მხიარულად მოფარფატე პეპელა. გამოიღვიძა, და ვერ შეშალა გაეგო: ჩეოუს დაე-სიხმრა, რომ ის პეპელა იყო, თუ პეპელა დაე-სიხმრა, რომ იგია ჩეოუ...“ („ჩუქან(ცხი“).

ქუშვარცი პოეზია შემოქმედისაგან აშვარ გარდასვლა-გარდასახვასაც მოითხოვს. განსაკუთრებით ლირიკულ-ინტიმური პოეზია, ხოლო ო. მიქაძე თავისი შემოქმედებითი მრწამსით წმინდა ლირიკოსი პოეტია. აი, მაგალითად:

ცრემლიან ბავით ნაამბორევი
მზეზე ატირდნენ თოვლის ვარდები,
გათავდა ბრუნვა თნორი მორცვის,
მზეზე ატირდნენ თოვლის ვარდები.
ცრემლიან ბავით ნაამბორევი
მზეზე ატირდნენ თოვლის ვარდები,
მაგარამ ვუმორდებით ერთიმეორეს
და იმდერევიან კვლავ დაეყვარდები.

(„თოვლის ვარდები“)

ამ პატარა ნაწყვეტშიც ნათლად ჩანს სუფთა და წკარავა ლექსის მდინარება და სულში სხივთა ციმციმის ფონზე ისმის ლირიკულ-ინტიმური ბგერების თრთოლა.

ოთარ მიქაძე ცხოვრების ჩრდილოვან მხარეებს თითქმის არ აცქერავ ყურადღებას და ამ „დაუნახობაში“ იგი თანდათან სრულყოფის საკუთარ სახეს და პარამონიული პოეტური სიმყაროს ახალ კონტურებს წარმოაჩენს.

სწორედ ეს პარამონია წარმოშობს ლირიკულ პოეზიას, ლექსებს, რომლებიც ადამიანის სულის სილამაზეს ემსახურებიან, რადგანაც „ყოფნა ღირს მარტო მშვენიერების გულისთვის“ (სოკრატე).

ოთარ მიქაძის ლექსებში ხშირად ჩანს ქართული ლანდშაფტები, აი, თუნდაც, რამდენიმე ზუსტი შტრიხით დახატული ქართლის პანორამა:

აბჯღევიდა რა ნანგრევი ცახის
ქარის და ნიხლის დატრიალებით,
გამოჩნდნენ მთები ქართლის და ლიხის,
კაკახიონის და თრიალეთის.
(„მზე და პირიშვე“)

პოეტი ლექსის კეთილმშენებლისთვის ხშირად მიმართავს თანხმობანთა სამუქლებს (დოტ, ბებ, ჯჩქ, გქ და ა. შ., რითაც მიიღება შეთანხმებული ბგერწერა), შედგენილ, თრმუხლიან რითმებს (დარიალის ქართან — და რიალი ქართა, გამოღმა რიყე — გამზმარი ბე). „ქარი“ — „ქარი“ თუ „ქართან“ — „ქართან“ მთარული რითმებიცა, ხოლო ო. მიქაძის შვეტ შედგენილი რითმები ნისეულია და თანაც საინტერესო, რითმა მის ლექსში უბრალო სამკაული კი არა, მთლიანი სიტყვიერი ქსოვილის განუყოფელი ნაწილია.

ოთარ მიქაძეს, როგორც ზღვისპირელ პოეტს, მრავალი ლექსი აქვს ზღვის თემაზე. წერლის სათაურზე რომ ვფიქრობდი, რუსი პოეტგვანა სილუეტები გამახსენდა, განსაკუთრებით კი, — ანდრეი ბელის სილუეტები: პოეტი კათედრასთან დგას და ლექსს კითხულობს. საოცარია პოეტის პლასტიკა...

„აივანი ზღვაურში“ დიდბანს იწერებოდა და 1988 წელს გამოიცა, მე დიდბანს გკითხულობდი ამ წიგნს და კკითხულობ ახლაც.

„გასრულდა ესე ამბავი...“ და ვხედავ: შავი ზღვის გადასახედ აივანზე გარკვევით მოჩანს პოეტის სილუეტი. იგი ლექსს კითხულობს. რო. მეუ ლექსს?.. მე „აფრები“ მაგონდება: „გახაფხულე იყო ოდეს, ჩრდილთა ვანფენით ირწეოდნენ, ირხეოდნენ ლურჯი აფრები. იბერადნენ ქართთ ფილტვებს, ზღვის გამაფრება შინთან ერთად დაივიწყეს ლურჯმა აფრებმა. ახლა თოვს და იმ მოქცევას, სხვას კი არაფერს კვლავ იგონებს, შლის ოცნებას და იმ მერთალ აფრებს სიზმარით გაიხსენებს, სიზმრად გაფრენილთ; მნატრელია ზღვა ისევე ლურჯი აფრების, სანაპიროს ათოვს, ჟოვს და სხივთა გან-

მფენი აპრილი ზომ ისევ მოვა ლურჯი აფრებით, თეთრ ქარებს კი ჰქონდეთ მანამ სივრცე საფრენად და ღრუბლები აფრიალონ გრძელ აფრებად. დაბრუნების აკორდებით კვლავ, თანამბრებო, გელით, ვისაც აგონდებით, ლურჯო აფრებო“.

დღეს, როცა ხშირად ლაპარაკობენ ლექსის ტექნიკის ამდლებზე და სხვა „მიღწევებზე“, მინდა აღვნიშნო, რომ ეს ლექსი 1952 წელს არის დაწერილი (მაშინ ავტორი 18 წლისა იყო).

საინტერესოა, აგრეთვე, რომ ეს ლექსი აგებულია ქართული ბრუნების მიხედვით, ხოლო მისი სპირალური ბგერა აფრების რხევას გამოხატავს გრაფიკულად.

ზღვა, როგორც სტიქია, ავიც არის და კეთილიც, ოთარ მიქაძე თავისი ბუნებით თილი ზღვის“ პოეტიკა. მისი გზა კი ტყეების ბილიკებზე და ვერცხლისფრად დასერილ სულის ცილვატერებზე გადის.

პოეტის ყოველი კრებული გულისხმიერი მკითხველის განწყობილების პარამონიულობას, აზრის გასხვივებასა და სულის განწყენდას ემსახურება, განწყენდას — ყოველდღიურობის ნარიყისგან, რაც ასე ხშირად გვიშლის ხელს პოეზიის აღქმის ეასს.

ჩემი ღრმა რწმენით ოთარ მიქაძის ლექსების წიგნს ეს კეთილშობილური მისია აკისრია.



ამთხანდელ ჩხაბიძე

„როგორ გატყუებთ ჩემი იარა“

დაღის თბილისის ქუჩებში კაცი, რომლის ყოველი ნერვი პოეზიით სუნთქავს, რომლის თითოეული ძარღვი პოეზიის ბანკითაა გაფლენილი (ყოველგვარი გადამეტების გარეშე გვაქვს ამის თქმის უფლება!).

მავანთათვის იგი „გამაღიზიანებლად ენაკვიმატია“, ზოგთათვის მისი „უხვტრების წესია“ მიუღებელი... აღბათ, ამაშიც არის რაღაც პარადოქსული, მაგრამ, თუკი სინამდვილეს თვალღებში შევხედავთ, ყველაფერს თავისი ახსნა მოიძებნება:

როგორ გატყუებთ ჩემი იერი, უზრუნველობის მსუბუქი ლანდი... გგონივართ ლალი და ბედნიერი, სულ მხიარული... სულ დარღიმანდი...

ელდარ კერძეაძე სხვაგვარი ხმით მოვიდა ქართულ პოეზიაში, თავისებური სათქმელი

მოიტანა, განსხვავებული ჩუმი ტკივილი; ასაკით იგი „სამოცდაათიანელთა“ თაობის წარმომადგენელია, მაგრამ „სამოცდაათიანელთა“ შეზოკმედების ანალიზისას, მისი გვარი იშვიათად მოიხსენიება. რატომ? — აღბათ, ამას აქვს თავისი ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზები, რომლის ახსნა ამჟამად ჩვენი წერილის მიზანს არ შეადგენს.

ელდარ კერძეაძის პოეზია იმ ნიჟაგზე დგას, რომელსაც ქართული, ეროვნული, ტრადიციული პოეზია ჰქვია და პოეტსაც ხელოვნური ვერსიფიკაციული ძიებითაც დიდად არ შეუწუხებია თავი. თუმცა შედაღს მეორე მხარეც აქვს: ეს იმას როდი ნიშნავს, რომ პოეტი არ ეტებდა ახალ გამომსახველობით ფორმებს, მაგრამ ძირითადად ამას სათქმელის ხარჯზე ახერხებდა. უბრალო გემშარიტებია: პოეზიაში სათქმელი წარმომადგენლის ფორმას და არა პირიქით. მისთვის ლექსი საკუთარი არსებობის ეს ნაწილია, რომელიც სინჯრონულადაა დაკავშირებული ყოველდღიური ცხოვრების არითმიასთან, მის ამდგრად რიტმთან, ავადმყოფურ ხმაუ-

ჩხა თუ ტანზე სუბსინდამურულ დუშილთან:

ჩართული ვარ
ქალკის
ნერვიულ სისტემაში,
ცნობრება გაბდა
ცნაღზე უცხადესი.
საემარისია იმდენი
ლოღობა და თამაში,
გაჰირდა თანდათან
ღაწერა ლევისს.
მოღის სიბრძნე,
სიბრძნე —
უკვე სიბერეა,
მრავალდებიან საფლავის პირსკვები,
რეალშიმს ვეღარ ვიგვირებ,
რომანტიკული ცნაფერა ოცნებით.

ჩიო იქცევს შინც უურადლებას ელღარ კერძეჟაის პოეზია? ვიდრე ამის ახსნას შევუდგებოდეთ, გვიანდა ორიოდ წუთით წარსულში გადავიხედეთ.

ორავისთვის არაა დანახალი, რომ არც თუ ისე დიდი ხნის წინათ, ამრეზით უცქერდნენ იმგვარ პოეზიას, სადაც ფიგურირებდა ადამიანის პიროვნული თვისებების რღვევა გამოვლინებად კი. „ქარბაღულ“ სიტყვებად ითვლებოდა: „ტიკვილი“, „სევდა“, „სიკვდილი“, „გაუცხობება“... ზემოხსენებულ „გაბარბული“ და ტაშ-შანდურის ხმაზე „სიტყვებულო“ ლექსი. გამოდგომდა „ერთ-ტომეულები“... „სამტომეულები“... „ჩრეულები“, სადაც კვებულაფერი „ჩიგზე“ იყო და ამ წიგნების რედაქტორებსაც მძიმე სამსახურელი უფანდებოდით. სამაგიროდ, მოგვიცათ ლხენა, თუკი სადმე „სხვაშირი“ სტრიქონი გაიჭაჟნებდა!..

დღეს, თითქოსდა, ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ დანახალი როდია, რომ არც ისე იოლი ამოსაძირკვია განუყოფლობის ის ზე, რომელიც წლებით იდგამდა აფსუვებს ღრმა ნიადაგში.

აღბათ, ზემოთქმულიდან გამომდინარეცაა, რომ მკითხველს პოეზიაზე საკმაოდ გაუცხოვდა ვული; აღბათ, ამიტომაც იყო, რომ მკითხველს აღარ სჩეროდა პოეტისა. შემოქმედო და ეპოქა. — ი, ის ძირითადი საკითხი, რომელიც ნებისმიერ დროს ადლებებდა ნებისმიერ ხელოვანს. საუფალაოა, რომ სიტყვამ „ეპოქა“ სხვაშირი უღრმადობა შეიძინა, რომ გაუფრთხილდა ამ სიტყვის ნამდვილი აზრი. ფაქტურად, ხომ ამ სიტყვაში დროსა და სივრცეში გადაწყვეტილი ის ფაქტობრივი სამუარო იგულისხმება, რომელთანაც ურთიერთობა გვიწევს ჩვენ — ადამიანებს. შემოქმედო-პიროვნება და ეპოქა-სამუარო — ეს ორი რგოლია იმ შექრული ქაჭვისა, რომლიდანაც ერთ-ერთის ამოვლება მთლიანად ქაჭვს გაარღვევს. რთულია

შეათ ურთიერთდამოკიდებულების საკითხიც. ზე უნდა ვანგისაღვლო ეპოქაში ჩემი ადრეული და არა პირიქით. ეპოქამ — განმსაზღვროს მე; „მე უნდა შევიღე ეპოქასთან და არა უპოქა მოვიღებს ჩემთან“... ამის შესახებ საუბარი საკმაოდ შორს წავიყუევანს, მაგრამ დღევანდელ პირობებში საჭმე შემდეგნაირად წარმართა: გაქრა. სადაც უხეშ დამოკიდებულებაში ჩაიკარგა პიროვნული „მე“. გამოხავალი მხოლოდ ერთია: ვაჟო და ვადილო იხ, ვინც ჩემზე ძლიერი აღმოჩნდა, მაგრამ როდემდე?.. ეს ჩემი სუბიექტური მოსაზრება გახლავთ მხოლოდ და მხოლოდ და მინდა კეთილად გამოვთ: იქნებ სწორედ ამის მიზეზია, რომ ბოლოდროინდელ ქართულ მწერლობაში იშვიათად გვხვდება ისეთი ნაწარმოებები, სადაც ურადლება გამაზვილებული იქნება სუბიექტზე, როგორც პიროვნებაზე, როგორც ინდივიდზე...

ეტუზა ლიტერატორებზე აღრე ამას პოლიტიკოსები მიხვდნენ, რადგან მკაფიოდ აუღერდა მოწოდება: „ადამიანის ფაქტორი“.

ელღარ კერძეჟამე შემოქმედო იმ მცირე რიცხვს მიეკუთვნება, ვინც ეპოქისა და პიროვნულის ამგვარ სასტიკ შეგინბში დაუშარცხებულ, მაგრამ აბჯარდაღეწილი გამოვიდა. მისმა პოეზიამ შეინარჩუნა თვითმყოფადობა; მისი შემოქმედება საკუთარ თავზე დაწერილი დღიურის ფრაგმენტებია, რომლის თითოეული სტრიქონი სისხლშია ამოვლებული, მაგრამ სწორედ ამითაა ხანტურებსო, რადგანაც პოეტის ცხოვრებისეული ცხოვს ტემპირიტი ახახვია.

სტრიქონთა კაბით
ზეცისკენ ვოლტვი
და საეუ მთვარეს
შუბლით გვებო,
სავსე მავს გული,
სავსე მავს ფოლტვი
შენი ხმებით და
შენი ლექსებით...

ეს სტრიქონები უფადიმერ მიაკოვცისადმი მიძღვნილი. უფადიმერ მიაკოვცისეული ხმის პოეტი ქართულ პოეზიაში იშვიათობაა. შეიძლება ჩათვადოს ელღარ კერძეჟამე მიააკოვცის, ახე ვთქვათ, „მიმდევრადე“ — აჟ კითხვაზე პასუხის გაცემა ძნელია; ადრინდელი ლექსებიდან შეიძლება მართლაც გავიჩინდეს ამგვარი ფიქრის საბაბი, მაგრამ უფრო მოგვიანებით დაწერილ სტრიქონებში იგი მკვეთრად დაცილებულია იმ ოხტატს, რომლის „ხმებითა და ლექსებით ნახარდოები ფილტვები“, შემდგომში, ქართული პეტრის სიხსუბუკით ავსებია.

„მიაკოვცისეული“ უღრმადობა კი ნამდვილად აქვს ე. კერძეჟაის ლექსებს და ეს გამოწვეულია, ვთქვათ, არა ეპიგონობით, არამედ იმ

ნადავს წვეწის გამოხატობა, რომელშიც თავის დროზე მაიაკოვსკიც გამოყვება.

რამდენი პოეტი
თქვენს დამორჩილებას
ამოდ ეცადა,
ლამაზი ქალი ხართ
ქალბატონო — ესტრადა...

სიკეთე
სიკეთეს მოპყვება, —
მხოლოდ ამიტომ,
რომ არსებობს
ღ ვ ი ღ ვ ა,
ღვიღვა
არასოდეს მოყვდები!



ელდარ კერძევაძე ნამდვილად არ არის „ესტრადის“ პოეტი. მას ეწაწლება ის იაფფასიანი ხმაური, რომელიც „ესტრადის“ იზგვლივ გაჟღერებულია. ძნელია ამდენ ყუყუნსა და ორომიტრიალში შეინარჩუნო შეურყვნელი სული, ძნელია არ გაიუიღო და არ გამოიცვალო შინაგანად; ეს არის ბრძოლა შეიძლება იმაზეც ძლიერი, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს, ვაგრამ სწორედ ამაში უნდა ვეძებოთ ჭეშმარიტების მარცვალი. ზოგჯერ დადუმებაც საკიროა, რადგან იქ, სადაც ყველა ყვირის, შენს ხმას ვერავის ვერ გააგონებ. პირიქით, დუმილი ზნირად ათასი ვულკანის ამოფრქვევასაც ძლიერია. ელდარ კერძევაძის პოეზია მუდმივი პაექრობაა დუმილსა და ხმაურს შორის:

დუმილი მუდამ რაღაცას ნიშნავს,
ხმაური ზოგჯერ ნიშნავს არაფერს,
ბედნიერი ვარ, ან არა მიშავს, —
როცა დუმილი მალაპარაკებს.
ფერებს და ბგერებს დაკვირვებულს,
ბელმეცარული არ მსურა დავბრუნდე,
ვერ წარმოიდგენთ, თუ როგორ ვწუხვარ,
როცა ხმაური შირჩევს დავდუმდე...

მეტწილად კი პოეტი ვერ ურიგდება ამ „დადუმებას“ და მაშინ მისი ხმა მკვეთრ ტონებს იძენს. მისთვის ჭეშმარიტი აღაშინის ცხოვრება იმ აღმაშინის ცხოვრებაა, რომელიც ჭვეყანაზე უნიღბოდ დადის, რადგან ბოლოს და ბოლოს ყოველდღიურ ბროტებს შეუძლებელია არ მოეგლოს, რადგანაც ბროტება თავის თავში დამარცხების პოტენციალს ატარებს მუდამ:

კაცი
რომელიც არ იცნობს ნიღბს, —
თუმც იცის, —
უნიღბოდ ცხოვრება
რა არის,
ასეთ კაცს
სახელი დავარქვი
ღ ვ ი ღ ვ ა,
ასეთი კაცი
ჩემი ძმა არი.
ბროტება
ბროტებას მიპყდა,

„მე ვარ ღვივი, მე ვარ ღვივი შენი ნაცარქეკიასი“ — წერს ერთგან ელდარ კერძევაძე. პარადოქსულია, მაგრამ ჭეშმარიტებაა, რომ ღვივიანდელ ღვივს „ნაცარქეკიების“ ნაცარი უფრო მეტად ფასობს, ვიდრე სხვისი ძვირფასი ლითონი. ძნელია ბრძოლა მათთან, რადგან მათ მხარებაა ცბიერება, ფლიდობა, საზოგადოებრივი მდგომარეობა, ქონებრივი უთანასწორობა... მაგრამ, ბოლოს და ბოლოს ხომ არსებობს რაღაც საზომი ხინდისსა, დონისა, ბრძოლის მეთოდებისა... „ნაცარქეკიას“ და „ღვივის“ ურთიერთდამოკიდებულების ერთგვარი ინტერპრეტაცია ე. კერძევაძის სხვა ლექსიც „ვერაფერი გავიგე“: „უფროსი ნაცარქეკია: — ღლირი მხარზე გაიღდე... რა აუვირებს ამ საწყალს ვერაფერი გავიგე. სასახლე აიშენა, ჩემთვის ქოხი ავიგე. მაინც მე შემტერება, — ვერაფერი გავიგე.. მოსვლა ვერ მოვასწარი, — უკვე უნდა წავიდე... ღმერთო, შენ მაატე, — ვერაფერი გავიგე“. პოეტის ღმერთიანი, ტყვედგარეული სტრიქონები მკითხველს ბევრ რამზე ჩააფიქრებს და ამავე დროს გამოსავლის ძიების აუცილებლობისკენაც მიანიშნებს: „არავითარი გართობა, არავითარი დათმობა, სულში ყოფილის დაღწობა — ოდენ. ეს ბრძოლა და თავდადება მზადებაა და მზადება, ის წუთი რომ მობრძანდება, იმის იმედი გქონდეს“. ამგვარივე რწმენითაა გამთბარი ერთ-ერთი, უსათაურო პატარა ლექსიც:

ასეთ ხასიათზე თუ დაგაბედი,
წარბსაც ვერ შემიბარი,
სიკვილი...

ელდარ კერძევაძის ლექსებში პატრიოტული თემათიკას არც თუ ისე დიდი ადგილი აქვს დამოხილი და ამას თავისებური გამართლებაც აქვს... ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ამგვარი ლექსები მოკლებულია პოპულარობას, იაფფასიან ბრწყინვალეობას. ბოლო დროს პატრიოტული თემათიკით გატაცება მავანთათვის საკმაოდ სარფიან საქმედ იქცა. ერის მტკივნეულ სიმუხს ჭუჭყიანი თითები რომ არ უნდა შეეცხოთ. ეს ყველასათვის ცნობილია, მაგრამ დღეს დღეისობით ხომ ისეთებიც მოგვმარადუნენ (და არა მარტო მწერლობაში), რომლებიც დღით მუშტებს დაიბრაუნებენ მკერდზე, შუადღით კი ხელეხს სპირტიანი წყლით დაიბანენ. ერთგვნი ნერვი დღეს, როდესაც მრავალი პრობლემა შეიშვალა დაგვიდგა თვალწინ

— გამოსახარებელი და სამეურთაობის, ბოლომდე დატოვებული და შახ თავისებური მიდგომა ქი-რდება — ტყვეანური და ფრთხილი.

„ფიქრით, აზრით, ოცნებით, შეუცვლელ იმ-ედებით, შრომით, ღვაწლით, სახელით, აზრდებ-ბი და ბევრდები, მზე იქიდან ამოდის საითაც იხედები, საქართველოც, ოდითგან ღვთის ღი-მილი თინდები“. — წერს ე. კერძევაძე ლექს-ში „მამულს“.

„ქინძისხავეთ დავებზე ადგილს — სიდა-ნაც ახლა მსოფლიოს ეხედავი“

ეს საქართველოა რაოდენ გულსაკლავია ის ფიქრი, რომ „მსოფლიოს რუკაზე“ საქართველო-ს „ქინძისხავეისოდენა“ ადგილი უკავია და იმასაც, ათასგორკარამგადატანილს მრავალი ხა-ლღებისო გადასაწყვეტი თუ გადაუწყვეტი სა-შისრობება დამოკლეს მანქალით დამუქრე-ბია... მრავალი პრობლემა კი, ჩვენ — ამ მიწის „პატრონებმა“ ხელოვნურად შევქმენით: შეებნება ეს საქართველოს მითინთვის დაცარიელებულს, ძირსადაც დიდი ქალაქების ხარჭზე მოსახლე-ობის არასწორ ღვიფრენციაციას თუ იმ უამ-რავი წყულისავეის გაჩენას, რომელმაც საგრძ-ნობლად შეცვალა საქართველოს კლიმატი და რომლის სავალალო შედეგებაც საქუთარ თავ-ზე ყაწწნიეთ. „იქ, სადაც სიონის წყალსაცავია გაშენებული, ადრე სოფლები იყო. ერთ-ერთი მათგანი, — ხაუარაულყო, ჩემი მშობლიური სო-ფელია“ — პოეტის ერთ-ერთი ლექსის ეს შე-სავალი გვაძრწუნებს და ბევრ რამეზეც ჩავა-ფიქრებს: „ცხვარეჭაშია, მასხადური, ერწო, იო-რი... ჩემი სოფელი... სოფლის გულში ვებება ცაცხვი და ცაცხვის ჩრდილში შეუუუული პა-ტარა სახლი, ფიქრი, ოცნება, სიხარული, ცრე-მლი, სიცილი — წყალს დაუფარავს. რენებებს ჩემსას ახლა თევზები ინაწილებენ...“

ელდარ კერძევაძის ლექსებში წარსული ღღე-ვანდღღობანავით შემოდის, პოეტისთვის არ არსებობს დღევანდელია წარსულის გარეშე და წარსული დღევანდლობის ვარსებ, ამიტო-მაც ხამართლიანად მივყაჩნია მის მიერ დასმუ-ლი კითხვა: „თავი წაგაგეთ... რისთვის და ვის-თვის? დასტურ, რომ ღმერთი არა გვყოლია, ამგვარი უოყნის თუ არ ვართ ღირსნი, — მაშ სხვა გზა რატომ ვერ ვებოძვინა?... („სოლომონ დოდაშვილის მონოლოგი“); „შენ შენი ტიან-შანი, მას მისი მახინი ბრწყინვალე, შე ჩემი მყინვარი“ — თითქოსდა შორითი მიმდგარ არჩდილს ესაუბრება იგი; მაგრამ ვაი, რომ ახე არასოდენ უოფილა. საქართველოზე უოველ-თვის იყო მობეჭენილი ხარბი და მშვიერი თვალბ უწარმავარი ციკლოპისა... როგორც ზემოთ აღ-ვნიშნეთ, პრობლემები დღესაც ბევრია და თა-ვხატები. ხელოვანი, რომელიც დროის მიღმა ცხოვრობს, ვერასოდენ შეტყმნის ფსაულის. „ერის სინდისის ძარღვი“ უოველთვის უნდა კრთოდეს მამულის ოღნავ ამოოხვრატეც კი.

საქართველოსთვის ერთ-ერთ საშისრობება „და-კარის“ პრობლემა წარმოადგენს: პრობლემა უოველგვარ პოლიტიკურ ხარჭულს მოკლედული (თუკი არსებობს ასეთი ცნება). ეს საქართვე-ლოში ტურიზმის შემოქრია. ხუთწილიოხამდე საქართველო (სამხანგვარმილიონანი ქართვე-ლებით) უოველწინურად მილიონახევარ ტუ-რისტს იღებს. მომავალში, როგორც ამბობენ ეს რიცხვი გაიზარდება და მაშინ, როგორც პო-ეტი ამბობს: „შვეიცრია, ლამაზია, საოცარია, — როგორც ამბობენ, — შვეიცარია... ტბები, კორდები, მთა-გორები, თეთრი ალაბები, გაღა-რეული ჩანჩქერები და ღაუფარდები, უკეთესს ქვეყნად, ერთი სიტყვით რას ინატრებდი... მა-გრამ: უსამშობლოთა სამშობლოა, — ცისფე-რი მხარე, სხვათა მანგებით მიდიდარია; მისი მანგები, სხვათა სიმდიდრით მიდიდარია მისი მანკები, თვალს არავის წვაგვს მშობლიური კე-რისის კვამლი... ღმერთო, ნურასდროს გაგვიმე-ტებს იხე ძალიან, მამული ჩვენი დავმსგავსოს შვეიცარიას“.

ელდარ კერძევაძის პოეზიის ერთ-ერთ ძლიერ, საინტერესო მხარეს წინი ინტიმური ლირიკა წარმოადგენს. ამგვარ ლირიკას არ მყავს კო-ნკრეტუზებული სახე — უფრო ზოგადისკენ იხრება, მაგრამ ამ ზოგადის გათვითცნობიერე-ბა მკითხველში შეფარდებითი კონკრეტულს-ბის აღქმას იწვევს.

შენი ტურების ლინდავებზე
ვაღიარებინა ექსპრესივით
შენმა სიცალმა
და ყველა ჩემი ქათინური
თან გაიყოლა.


დღეს ინტიმურ ლირიკას ნაკლებად წყალო-ბენ და, საერთოდ, ცოტას წერენ სუვარულს-რის არის ეს გამოწვეული? — იქნებ, იმთ-რომ შეიცვალა ურთიერთაქროდებულია „მომო საამენის“ ორ „სახესხვაობას“ შორის? იქნებ, ესეც ცივილიზაციის უწარმავარ ნახტომს მოყოლილ მრავალ სენთა შორის ერთ-ერთი ავადმოსახსენებელი სენია? იხადება საშინელი კითხვა: ვინ იცის დარჩება ადგილი სიუვარუ-ლისთვის XXI საუკუნეში? — ამაზე პასუხის გაცემა ჩვენს ძალას აღემატება, მაგრამ ფაქ-ტი ერთია: მოზღვავეა დანგრეული ოჯახების რიცხვი; მართა საქართველოში მათი რაოდე-ნობა შემამფოთებლად დიდია. და ეს ხდება იმ ქვეყანაში, სადაც „პატრული, პროფავშირუ-ლი და კომეავშირული ორავინაციება ოჯახე-ბის განმტკიცებისათვის ხაქმად შრომატევად სამუშაოს ატარებენ“. ეს მარტო ჩვენთან რო-დია ასე: მსოფლიოში, თითქმის ყველაგან, მხგავს შემოხვევებთან გვაქვს ადგილი. იქნებთა

ათასი უბნად აღებული „კომუნები“, ხალცი სიუ-
ვარულის თვისი უფლებას ქადაგებენ. ეს, ალბათ,
არც უკლებილად კაპიტალიზმისა“ უხერხულო სინ-
ტისი ბრალია.. მოვლენის ძირის-ძირები საკ-
მაოდ ღრმადია ჩასული ბენეიკი დედაშიწის წი-
აღში და მისი ამოძირკვაც, შესაძლებელია თუ
არა, ღმერთმა უწყისი ფაქტები კი დასაძებნენ,
რომ მამაკაცთა და დედაკაცთა ურთიერთობა-
ში ღრმა „ზარია“ გაჩენილი და მისი ამოცხება
არც თუ ისე იოლია. ნუ დაიწყებულა იმგვარ-
ად „სატანისაგან, რაჟმ სიყვარული, მხოლო-
ოდენ, პოეტების ავადმუცურა ფანტაზიის სა-
გნად გაღიკცეს. ისე კი, ამაზე დაფიქრება ნა-
მდვილად საჭიროა, თორემ ლამისა საკუთარი
თავი შეგვაწიროს მწერაგადაცხებულ წიგნი-
ლთა უაზრო გამონედვამ, ანგარებით შექმნილი
ოქანების საცოდლობამ, იმ ბავშვების სიბრა-
ღულმა, რომელია სხეულებში დედის და მა-
მისაგან მიიჭებულნი არც ერთი გენი არ ჭაჭა-
ნებს სიყვარულისა:

„დადობარ, როგორც სხვები დადიან, ცხოვრობ,
მუშაობ და ბავშვებს უფლი.. მუდღე შენი,
ცხადზე ცხადია ოქანს ეკუთვნის სულით და
გულით... და ცხოვრობ ასე, მიღის მდინარე,
რომელსაც არ აქვს ორი ნაპირი, ჭოჭობეთა
ის, რაც წინ არი, — უღვთოდ მართალი და
პირდაპირი. ცივ სარეცელზე მარად მღვიძარმა
წარსული მთვარედ ცაზე დაბჯიდე, ვერ დაი-
წყებდ დაუვიწყარი, როცა გათხოვდი, — მაშინ
დაქვრივდი“ („ქვრივი“).

ახეთი „ქვრივი დედაკაცები“ დღეს მრავლა-
დაა, მაგრამ საპირისპიროდ გვხვდებიან „ქვრი-
ვი მამაკაცები“, რომელთა არსებობაც არა-
ნაკლები ტანჯვის ნიშანს ატარებს. „ოდეს ის
სიზმარი ქრება, ოდეს თამაშს დაგზამთავრებთ —
სხვა ქალების გეჭვია ქვრივი, სხვათა უდიდეს
დავატარებთ... და სხვაგვარი დგება დარი, და
სხვაგვარი გვათბობს სითბო, და რაღაცა გვჩრ-
ბა გარეთ, ქვითინებს და პასუხს ითხოვს“...
ღიბს, ის „რაღაცა“, რომლისთვისაც პოეტს
პირდაპირი სახელი არ დაურქმევია, კემარო-
ტად ითხოვს პასუხს ჩვენგან, მაგრამ შეგვიძ-
ლია კი პასუხის გაცემა? რაც უფრო და უფრო
ჩავუღრმავდებით ამ შეკითხვას, მით უფრო გა-
მაცვეთილად ერთი უცნაური სურათი დაგვიდ-
გება თვალწინ: შორბენლები სხვადასხვა მხარეს
გარბიან, ფინიშის ხაზი შუაშია. გადაკვეთენ კი
ოდესმე ისინი ამ ხაზს?

მინდა მკითხველმა სწორად გაიგოს: როდე-
საც ელდარ კერძევაძის ინტიმურ ლირიკაზე
ვსაუბრობთ, გვსურს ხაზი გავუხვათ ამგვარი
ლირიკის სულ სხვაგვარ შეფერილობას. აღრი-
ნდელი — მრავალგზის აღქმული — ვ ა რ დ ი ს-
ფ რ ი, აქ რუხმა ნაცრისფერმა შეცვალა. პო-
ეტი მთელი სიმძაფრით გვაფრთხილებს იმ სა-
შინაობის შესახებ, რაც უახლოეს მომავალში
შეიძლება რეალობად იქცეს. ამავე დროს იგი



არც ფიზიკლი,
არც ძალიან მთვარალი,
რუსთაველზე მიგდობდი გვიან,
უცებ ქალი..
ო, ნანატრი ქალი...
დანარჩენი თქვენთვის მომინდვია...

ელდარ კერძევაძის ინტიმური ლირიკა დაწ-
ვეულია ცალმხრივობისაგან. იგი არამარტო
გვიჩვენებს, არამედ მთელი სისასხით განგვა-
ცდევინებს აღამიანურ გრძნობათაგან ყველაზე
უდიდესის ღვთიურ სიღამაზესა და მშვენიერე-
ხას:

ქალი და ქალი,
ქალი წყალი,
ქალი სინათლე,
ქალი ჰერო,
ქალი, მართლაც, საოცარია.
მე ერთ-ერთ მთვარეს
უნდა შევხვდე დღეს რუსთაველზე
და მიხარია!..

ელდარ კერძევაძის პოეზიის მრავალთმეიანო-
ბა არ შეიძლება თვითონუნად ჩათვალოს. სწო-
რედ ამით არის მისი შემოქმედება საინტერე-
სო. მისთვის ძვირფასია ყოველივე ის, რსაც
საკუთარია და სისხლბორცეულია. პოეტის ბო-
ლოდროინდელ დექსებს პუბლიცისტური ელემ-
რადობის ნიშნები აშკარად ამჩნევია და ამას
თავისებური გამართლებაც აქვს. აღამიანი არ-
არაობა უნდა იყოს, რომ არ ვაღელვებდეს ის,
რაც ჩვენს თვალწინ ხდება. ამ კონკრეტულ შე-
მთხვევაში ეს ჩვენს ირგვლივ არსებული სამყარო-
ს, დედაშიწის ბედს შეეხება. უზარმაზარ
ქაოსში ვიღაცის თუ რაღაცის მიერ აგდებული
ხურთის ფრენის ტრაექტორია მკვეთრი ზიგზა-
გებით ტოკებს თავის კვალს და შესაძლოა ეს
კვლიც სულ მალე თვალთახედვის მიღმა აღ-
მოჩნდეს.

მთელი მსოფლიო მოიარა
წუხელ დედაშიწამ
და დილით მიინც
ჩემს ქალაქში
ჩემს ფანჯრებთან
გაჩერდა.

სავალალოა, რომ ერთი მუჟა „პოლიტიკო-
სების“ თუ „ზემშლავნი“ სახელმწიფოების ბე-
ღის ანაბარადა მიგდებული პლანეტის ყოფნა-

არყოფნის საკითხი. განსაუხებია ამ დროს პოეტის გულისტკივილით ნათქვამი სტრიქონებიც: „ემ, ოხრად გვიჩება მიწა მშობელი... რინი პულ-სარი, რინი კვაწარი“ ვლადი ფიჭკოს მისცეს ნობელი, — გამოიგონა რადაც სახარი. ფებქვეშ გვეყლება მიწა მშობელი, ქარებს ელიან ცეც-ხლის ზურთები, ხარხარებს ღანდი მეთვისტო-ფელის და ღილაკებზე შრთიან თითები“. ექ, სადაც ღმერთი დაგვეყრებს თავზე, უოველ-თვის ჩასაფრებულა მეთვისტოფელის ღიმილაც და მათ ჭილილში ბევრი რამ წვრილმანი უკა-ნა პლანზე გადადის. შეიძლება, ერთ მშვენიერ დღეს:

„ვისაც ოდესმე უცხოვრია დედამიწაზე, — თავად ადამის და ევას ჩათვლით, — წამომდ-გარიუენე უველანი ერთად, ჩამოვარდნულ მწეხს ჰქიდებდნენ ცაზე.“ („ასოციაცია“)

საშინალებაა ამის გაფიქრებაც კი მაგრამ რა უნდა ექნათ, თუკი რეალური ხაფრთხე თვალ-წინ დაგვდგომა, თუკი წარმოსახულიდან შე-ხაძლებლობაძდე ერთი ნაბიჯიდაა? არავის არა აქვს მორალური უფლება ამ დროს თავისი ხათქმელი არ თქვას, გაჩუმება არჩიოს. ხელო-ვნება ის მძღავრი იარაღია, რომელიც ამ „სა-თქმელს“ ყველაზე დიდ ძალას შესძენს.

მილიარდ ხმებით
და მილიარდ წირვებით
ტრიალებს დედამიწა —
ფირფიტა ვეება.
არ გაჩერებულა
არც ერთხელ წამიერ,
ტრიალებს, ტრიალებს
რამდენი ხანა...
ო, ძალაე სიცოცხლის,
ო, ძალაე გამჩენის,
ფირფიტა დამპბრეგას
გთხოვ გადაგვიჩინო.
შეგვინდე, შეგვინდე
თუ რამ გაწყენინეთ, —
მის ბოლო სიმღერას
ნუ მოგვანმენინებ.

უშუალო, სითბოთი გამოთბარი სტრიქონები პოეტის ამ ციცილის პუბლიცისტურ უღერადო-ბას მენტ დამაჭრებლობას მატებენ. ეს არაა მო-ღლის გამო გადებული ხარკი, ე. წ. „მშვიდობის წელიწადის“ დროს შეთხზული „საპრემიო“ ლექსები — პოეტის გულწრფელიაბა ამგვარი ფიქრის გაჩენის უოველგვარ საბაბს გვისპობს.

„როდესაც ბავშვი დაიბადება, ქვეყნად გაჩნ-დება მისი საფლავიც და საფლავისკენ, დინჯად და ნელა მიიყავს ხეულთ, როგორც საქლავი“ („და მწამს სიცოცხლის“).

„საფლავისკენ“ სვლას ზოგი ადამიანი მთელი სიცოცხლდე უნდება, ზოგი უცაბედად მიადრეებს

მას. მთავარია კი როგორი გზით მილიხარ, რი-თი ან როგორ იცხოვრე, სად და რანაირად გა-ნისაზღვრა შენი ადგილი ამ სამეურვეშეულს დასაყვამოდ მტანჯველი შეყოხება და მტანჯველ-რად ამაოდ ვებებთ პასუხს მასზე. გაძნელებუ-ლი ურთიერთკონტაქტების, ტექნიკური ევო-ლუციის უღმობელი გაბატონების, ადამიანურ გრძნობათა გაუფასურების და სხვათა და სხვა-თა გამო ინდივიდის ფაქტორი ხშირად მიჩქმა-ლული რჩება.

ქარზეა მომდგარი XXI საუკუნე — ცივი და უღმობელი საუკუნე და ვშიშობ, რომ მისთ-ვის დამახახათებელი იქნება მარტოსულობის შეგრძნება, რომლის ნიშნებიც XX საუკუნის მეორე ნახევარმა ამჟამად გამოკვეთა. ელდარ კერძევაძის პოეზია მარტოსული ადამიანის პოეზიაა.

რა გარემოებებში უწყვეს არსებობა ელდარ კერძევაძის ლირიულ გმირს? მე გგონი ამას ყველაზე უკეთ თავად პოეტისვე სტრიქონები გამოხატავენ:

ჩვეულებრივ,
ძალზე ნათელი,
ხელშესახები სუყველადერი,
გამომღვიდა...

არ დაეუბრე
ტყვივლებამდე თავლებს ვახელის...
ღმერთო მაღალო!
ესე არს ცვალი?...
თუ ცნალი იყო ის ყველაფერა...

ამ „სიწმარ-ცხადის“ რეალური თეატრონის სტენაზე თამაშა როლიდან ამოგდებულის თა-მაშს ჩამოგავს, რადგანაც „პარტიზორები“ საკმაოდ მუხანათურად იქცევიან — არც თუ ისე იშვიათად და არც თუ ისე დანდობილად იმგვარად გაკრავენ ხელს, რომ პირქვე და-ხისხლიანებული ასკდები სტენას — დედამი-წას ანუ ქუჩას, საკუთარი ბინის იატაკს, უო-ველდღიურობას.. არც მოკარნახე უქნია დიდად ღმერთს, გვერდში ამომდგომი კი არავინ ჩანს:

„მომაჯახუნა მეგობარმა ცხვირწინ კარები და მამცნო ჩვენი მეგობრობის გარდაცვალება“ („მეგობრობის ფილოსოფია“).

ზოგჯერ, ერთის წილით მეორე დადის, ერ-თი გვეგონია და სულ სხვა აღმოჩნდება: „ლახ-ვარი დამტებს, როდესაც მიდბრებს: „ამ კაცში ცხოვრობს სულ სხვა კაციო — მეფე კი არა, მეფე კი არა, არამედ... მეფის კარისკაციო“. არც ის გარემოა მთლად „იდეალიზებული“, სადაც პოეტის ლირიულ გმირს უწყვეს ცხოვ-რება; ანუ იმ ქალაქში, სადაც „ერთადერთი შეიმი — ფეხბურთია“. ტყვილიანი ღიმილით შეტყურებს პოეტი თავის ორეულს და ხანდა-ხან სიწმართაც აღმოსდება: „ვერ დავიცავი

ზომიერება ვერც ხილულფილინი, ვერც სიყვარულში, მისხლთა ნაშროვი ბედნიერებაც გამოიკლავს, როგორც ბაღში. ვწევარ და ახლა შეცას გავცქერო, ვინც კი შეყვარდა უკეთეს ვიგონებს და ვარსკვლავებით წვრილად დაწერილს კითხულობს ზემი ბედის სტრიქონებს.

პოეტის ზნობად იგონებს იმ ადამიანებს, რომელთა ამქვეყნიდან წახვლამ მის სულს რაღაც უწმინდები და უღამაზენი მოაკლო. დიდად საკამათო არაა მე მეგონი, რომ ადამიანი დაბერებას მამის იწყებს, როდესაც იგი სიკვდილს პირველად, ცხადად, მის თვალწინ დაინახავს და მის რაობას მთელი ხეგრამ-სიგანით შეიმეცნებს. კუნაში შემთხვევით შეხვედრილი ადამიანი პოეტს გარდაცვლილ მეგობარს აგონებს; მას ეშინია იმ დღესაც, როცა ერთ დღეს ვინმე ჩვეულებრივად, სხვათაშორის შემოვა მასთან სახლში და მოხუცი დედ-მამის სიკვდილის ამბავს შეატყობინებს. პოეტისათვის ქნელია ამაზე წერა, მაგრამ ჩვენი სიცოცხლეც ხომ გაუთავებელი მოლოდინია თავისი შემპირ-წუნებელი უბრალოებით: „ვფა და გვიც. დღეს კი ზურაბი წვეს დადლილი და ფრთებდაშხვრეული, ცრემლით ივსება სევდის უფლაბა, ცივი სისინი მესმის წყეულის... აღარც უმცროსი, აღარც უფროსი, ღვიწი ებრძვიან ღვიწის უოჩები, არ უნდა ვიქნე მე ამ სუფრასთან, ცოტაც მაღროვეთ და მეც მოვრჩები“. არ შეიძლება წუხილის გარეშე წავიკითხოთ ეს სტრიქონებიც:

ბომ ვბრუნდები უძვირფასეს მეგობარს ალაბიდან,
ხომ პატირე ვინც მიყვარდა,
ჩემგან მეტი რაღა გინდა?..

მაგრამ, იქ სადაც სიკვდილია — სიცოცხლესაცა, იქ სადაც ცრემლია — ღიმილიცაა, სადაც ტკივილია — სიხარულია; არ შეიძლება ადამიანმა არწმუნის გარეშე იარსებოს:

ზოგჯერ სიცივე —
სითბოს მიგიერ,
ლაღობი —
როცა გრძობას
ლბინი აქვს, —
მაგრამ სიბოროტება
მინც კარგია,
მაგრამ სიცოცხლე
მინც ტკბილია!

წერილის დასაწყისში ე. კერძეძაძის პოეზიის ვერსიფიკაციული მხარეც ვახსენეთ და გამოვთქვეთ მოსაზრება, რომ იგი ვერსიფიკაციულ დიქციებს დიდ უპირადლებას არ აქცევს. მისთვის ბელმისიწვდომია როგორც კლასიკური

(უმეტესად), ასევე თავისუფალი ლექსის უორმატო. პოეტის ადრეგამოცემულ წიგნებში თვალშისაცემია მცირეფორმიანი ლექსები. კერძულეში თითქმის არსად არ გვხვდნენ „მედიდელბაზმადე გაგრძელებული“ ლექსის „მირჩქმის“ ზოგიერთი სულ რამდენიმე სტრიქონიანია. ამას აქვს თავისი გამართლება და დღევანდელი ინფორმაციით სავსე საუკუნის თავისებური „ხარკია“. სწორედ ამან წარმოშვა ე. წ. „მცირე რომანებიც“. პოეზიაში კი ეს მოვლენა უკვე მტკიცედ აკავებს ადგილს. „ბევრი ინფორმაცია მცირე მოცულობაში“ — ეს აქსიომა „ხვალის“ პოეზიაში ალბათ შეუცვლელად დაკვიდრდება. რამდენჯერ მინახავს მკითხველი, რომელიც ზოგიერთი პოეტის „უსასრულობამდე გაქმითულ, წერტილდაუსმელო“ ლექსს აჩქარებით გადადებს გვერდზე. ზნობად ჩემი თავიც გამომიჭერია ამგვარ „დაწაშულში“.

პოეტის კრებულეში, როგორც ვთქვით, მცირეფორმიანი ლექსები საკმაო რაოდენობითაა. ესაა თავისებური მინიატურები, რომელთაც თავისი მკაფიო დანიშნულება გაჩინათ. ზოგჯერ ისინი პეზაჟის „გაღმომოტურებაა“ („კითარიცა მიღლონი ბედურა ქალაქში შემოფრინდეს უცებ, — აგვისტოს ხვადით ღრუბლის ჩიჩახვები აივსო და გაფრინდა წვიმა“), ხან რომელიმე უცაბედად გაჩენილი კითხვის თავისებური გახსნა:

როგორი იქნებოდა,
რას დასწერდა,
როგორ იცხოვრებდა
პუშკინი, —
თავად რომ მოეკლა დანტესი?

უფრო მეტად კი ასეთი ლექსები „ქადრის შეჩერების“ პოეტიკულ სურვილს ემსახურება და საკმაო წარმატებითაც.

ელდარ კერძეძაძის პოეზიაში მრავალი მხატვრული ხანგვაანხოვების თავს უბრალოებით, ზუსტი მიგნებით, ლაკონურობით: „როგორც პარტურში ღამაში ქალი — ხეთა ხედებით იქნეს ქალაქი ქარის მარას“, „ქვები დუმილის უვადილებია“, „ვიც გამოხრული თავის ქალები, — დიდ გომზე პურია, — კვახის ნაჭრები, ძველებივით დაუხვავებიათ მარცვალ-გაცლილი ტარები და კბილებივით პურია აქა-იქ სიმინდის მარცვლები, ღვინით შეფერული საღვთოთქები ჰგვანან გაჭულტოლ უვადილებს“, „შენი ტანსაცმლის ხარაჩოებში ტაძარვით შენდება ქალის სხეული“, „ამოგხრავია მწუხარე ხმებით შავი ჩიჩახვი — ჩამცხრალი თონე“, „როგორც ქარქაშიდან ამოღებული ხმალი, — ნაპირზე იწვა მიშველი ქალი“, „ვერცხს ჰგავს ზამთარი.. მაღე, სულ მაღე გამოტებს თოვლის თეთრ ნაქუბს — გაზაფხული“ და მრავალი სხვა.

ელდარ კერძეაძის პოეზიაში ამგვარი სტრიქონები ლექსების შთაბეჭდილებაში შეკავშირებას და შედუღებას უწყობს ხელს და იმ ფონს ბჭნის, რომელზედაც სათქმელი უფრო მკაფიოდ და ნათლად ჩანს.

...და დადის თბილისის ქუჩებში კაცი, რომლის ყოველი ნერვი პოეზიით სუნთქავს, რომლის თითოეული ძარღვი პოეზიის ბანჯითაა გაძღვნილი... მავანთათვის იგი „გამაღიზიანებლად ენაკვიმატია“, ზოგთათვის მისი „ცხოვრების წესია“ მიუღებელი... ალბათ, ამაშიც არის რაღაც პარადოქსული, მაგრამ სინამდვილეს თუკი თვალეში შევხედავთ, ყველაფერს თავისი ახსნა მოეძებნება:

მემატება ვალზე ვალი,

ფიქრზე ფიქრი, —
ბეგრზე ბეგრი...
ვხედავ, როგორ წყურავს თვალეში
და ხარხარებს ბელზებეღელს
ვხედავ, როგორ მიაქვთ ქარებს
მტვერი მიწის,
ჩემი მიწის...
ნეტავ საით მიგვეყვანებს
ჩვენი გონება და ნიკი...
საით მიაღერენ ფრთები
ჩვენს აწეწილ სულს და ნერვებს,
რა იქნება,
რა იქნება
მერმის,
მერმის,
მერმის,
— მერმე...

ავთანდილ მებრელიშვილი

გიორგი ნერეთლის საბავშვო პოეზია

გიორგი წერეთლის ლექსები პირველად 50-იან წლებში წაეკითხე გაზეთ „კითხურის მალაროელის“ ფურცლებზე. ლექსები გამოირჩეოდა ფრთიანი იუმორით, სისხარტით და ლაკონურობით. რა თქმაზეც არ უნდა ეწერა პოეტს, გულწრფელობა ახლდა მის ყოველ სტრიქონს.

ჩემი წერილი მიზნად არ ისახავს ცნობილი პოეტის — გიორგი წერეთლის საკმაოდ მდიდარი შემოქმედების განხილვას, მის სრულფასოვან შეფასებას; ამას არც ვაპირებ და ვერც შევძლებ, რადგან ყოველივე ეს პროფესიონალი კრიტიკოსის საქმეა. მე მინდა პოეტს დაბადებიდან სამოც წლისთავთან დაკავშირებით უბრალოდ მივსვალ და ამ პატარა წერილით გულთბილად მივულოცო ეს ღირსსასწავარი თარიღი, რამეთუ, მთელი ოთხი ათეული წელიწადია, მისი, როგორც პოეტის ღმა ახარებს ჩვენს ნორჩ მკითხველს.

მშვენიერი ლირიკული ლექსებით და საბავ-

შვო პოეზიით პოეტი ეხმიანება დღევანდელობას, საყვარელ მამულს, მის წარსულსა და მომავალს.

განსაკუთრებული გულმოდგინებით უმღერის გიორგი წერეთელი პატარებს, მოზარდ თაობას. განსაკუთრებულად იმიტომ, რომ პოეტმა კარგად იცის, თუ რა როლი აკისრია მათთვის განკუთვნილ პოეზიას ჩვენი ერის ზედიზედ დღისთვის.

გიორგი წერეთელი ოცამდე პოეტური კრებულის ავტორია. აქედან უმრავლესობა საბავშვო-საკმაწელოა, რითაც თვალნათლივ ჩანს, რომ პოეტის სიყვარული ყველაზე მეტად ბავშვებისკენაა გადართლი. ამასვე ამტკიცებს გამოცემილობა „ნაკადულის“ მიერ პოეტის საოუბილოდ გამოცემული წიგნი „აბჯარა და ხანჯალა“. აი, როგორ შიმართავს წიგნის ანოტაციაში პოეტი თავის საყვარელ მკითხველებს: „როდესაც დიდებისათვის ვწერ, მაინც სათქვენო ლექსები გამოშლის.

თითოეული ჩემი პატარა ლექსისაგან შეიძლება დიდი ლექსი შექმნილიყო, მაგრამ პატარა ლექსები ვარჩიე, რადგან ვიცი, პატარებს პატარა ლექსები უფრო გაყვარათ...

ბედნიერ კაცად ჩავთვლიდი თავს, თუ ჩემი პატარა წვლილი სულისა და გულის, გონებისა და ენის სრულყოფაში დაგეხმარებოდა. ქვეყანას ხომ სრულყოფილი ადამიანი ჭირდება?.

მართლაც, პატარებს პატარა ლექსები უყვართ, სხარტიც, სიტბოთი და სიყვარულით სავსე, დასაკოცნი სიტყვებით, ეპითეტებით და შედარებებით შემყულო, აი, ისეთი, რომლითაც ეს წიგნი იხსნება და რომელსაც „მზის საგალობელი“ ჰქვია:

**სხვა მხარეზე უფრო ადრე
მხურს შენი ღღე გავათენო,
გაგაღვიძო, გაგაფხიზლო,
გალოცინო, გაქამნართლო...
სანამ წავალ, ჩემი თავი
შემოგვევლოს, საქართველო!**

პოეტს ამ კრებულში ღედისადმი და მამულისადმი მიძღვნილი მრავალი შესანიშნავი ლექსი შეუტანია. საილუსტრაციოდ, მოვიყვანო ლექსი, რომელსაც „ხელბეზი“ ჰქვია: „პირს ვიბანთ, სახემელს მივირთმევთ ჩვენი პატარა ხელებით. კიდევ რად გვინდა ხელები? — ღედიკოს მოვეფერებოთ. რომ გაგიზრდებით ღიღებში, რას გავაკეთებთ ხელებით? ღედა-სამშობლოს უმოგბატავთ ღამაზ-ღამაზი ფერებით“. ამაზე მეტი მისია მოზარდ თაობას არც აქვსარია. მან უნდა იცოდეს ღედისა და მამულის ფასი პირველ ყოვლისა.

„მთავარი საქმე ღამის აკრძალვებია, მზის საქმე — გათენება, მშენებლის — ელსადგურის და სახლების აშენება; პატარების საქმე — ყვავილების გაშენება, ხოლო ყვავილების საქმე საქართველოს დამშვენება ყოფილა. პოეტი ამ ლექსში „ყველას თავისი საქმე აქვს“, რომლის შინაარსიც აქ მოვიყვანეთ, ხაზს უსვამს ღედისა თუ პატარის, სულიერისა თუ უსულის ამ ჭეყვნად მოსვლის, გაჩენის და არსობის უმოთარგეს ვალდებულებას. ადამიანმა უნდა აკეთოს ის, რაც გვეუბრება, რაც შეგვიძლია, რათა ალაშაზო ჭერ შენი თავი, მერე მამული და შენს გარშემო მყოფი. ამის გარეშე ფასი არ აქვს არავის და არაფრის არსებობას. ყოველივე ეს ლექსში ისე თვალშისაცემად და ნათქვამი, რომ შეუძლებელია პატარამ მთელი სისასვით არ აღიქვას და ხელი არ გაიქცეს საქმისაგან. ამ მიზანს ემსახურება პოეტის ლექსებში გაცოცხლებული, მორაკრავე წყაროც, რომელიც მწყურვალს წყაროვალს უქლავს, რწყავს ყანას, ბაღს, ვენას... იგი უმღერის დღეობებს, მის ყველა წესს. წარომ იცის რასაც აკეთებს და ისიც იცის, რომ ამით სამშობლოს ამშვენებს. სხვა ლე-

ქსში რომელსაც „სიმღერა“ ჰქვია, პოეტი პირდაპირ ეუბნება პატარებს: „პირველად რომ ფეხი დადგი, გზა იწყება იმ ველთა. პირველად რომ ამოსულხარ, ის მთა არის პირველი მთა... პირველად რომ ფეხი ჩადგი, ზღვა იწყება იმ ველთა... შენ ტირილით დაიბადე, ღედა გზრდიდა სიმღერითა... მამულს უნდა უბუღებულო, რომ გაჩუქა, იმ ღედათა... სიმღერასაც და სამშობლოსაც შეიღვი ატებობს სიმღერითა“. „მამულს უნდა უბუღებულო, რომ გაჩუქა იმ ღედათა... მოზარდმა, აქ, არ შეიძლება მართო საღამურზე გადაიტანოს ყურადღება, სრულიად ადვილი მისახვედრია პოეტის მინიშნება, რომ ღედა და სამშობლო ჩუქნას ახალშობილს ყველაფერს: სიცოცხლეს, ძალას, სიყვარულსა და ერთგულებას შეგრძენებას, რომელიც მომავალში მამულს უნდა მოხმარდეს.

„ვისაც თავის და-ძმა უყვარს, მეგობარსაც შეიყვარებსო“, „ვიინაც ღედის ფასი იცის, სხვის ღედასაც დაფასებს“. „გიონდაც იცის კახაბერი, გინდაც ერეკვას ანატოლი... ყველა ფერის, ყველა ერის შეიყვარე თანატოლი!“ — დასძენს ბოლოს პოეტი.

ადამიანს არა მარტო თავისი და თავისიანი უნდა უყვარდეს და პატივს სცემდეს, არამედ სხვა ხალხიც, მათი მამულიც, მათი ენა და კულტურაც; ძმობა და მეგობრობა, ურთიერთსიყვარული და პატივისცემა ღედს უმოთარგენი, ურომლისოდაც დაზრება ბედნიერებისა და ნეტარების ის წყარო, რომელსაც მშვიდობა ჰქვია.

გთორავი წერეთელს შესაშურად აქვს დახატული წელიწადის ოთხი დრო: გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა და ზამთარი. აი, როგორ გადმოგვცემს პოეტი გაზაფხულისპირის სურათს ლექსში — „გაზაფხულის მზე“.

**მზე მოდგა,
თოვლი გააღწო,
უხმო ფოთლებს და ყვავილებს,
მერცხლები შემოიფისა
სახლის კედლებს და აივნებს...
დაიწყო ბუდის შენება,
პატარების აბუღბუღება,
გამოიღვიძა სხივებით
წამათარად მამულს ბუნება.**

პოეტის გაწაფული კალამი ზამთარსაც ღიღებულად ხატავს: „ცა მსვავსია ღიდი საცრის, თოელი — ფჰვილიას, მამა — ვარცლის, ცა ცრის, ცა ცრის, ცა ცრის, ცა ცრის და ძირს ცვივა ფერე ვარცის... საცრავოდ, საგუნდაოდ ცა უგზავნის ამ თოვლს ყმარვალს“.

ცხოველებზე და ფრინველებზე დაწერილი მრავალი ლექსი შეუტანია საიუბილეო კრებულში პოეტს, რომელთაც რა თქმა უნდა, გადა-

ტანით მნიშვნელობაც აქვს. საინტერესოდ იკითხება ლექსი: „ბაბუის, სიტყვა გამართლდა“:

დორი აგროვებს ფოთოლსო,
აღბათ ამაღამ მოთოვსო,
— შივეშველათო — ბაბუამ —
შიგ გამოვცანი გოდორსო.
გოგუცამ ცოცხით ცოცხოსო,
ცაცუნამ ფოცხით ფოცხოსო,
ხანუტამ ზიფოს ხალთითო,
თათამ აგროვოს კალთითო...
დაღამებამდე ვშველოდით, —
დორამ ბუნაგი გამართა,
იმ დაშემ მართლაც მოთოვა,
ბაბუას სიტყვა გამართლდა.

აი, როგორ ამრომა ბაბუამ ბავშვები და არ შეიძლება თვალწინ არ დაუდგეს, მკითხველს ბავშვების მხიარული სახეები, მათი ფაციფუცი, ფოთლით სავსე ეზოს რომ ასუფთავენ, და ბაბუას ეშმაკური ღმილი.

შრომისა და სწავლის თემა ერთ-ერთ წამყვან თემად ითვლება ვიორგი წერეთლის შემოქმედებაში. დიდი სიყვარულით წერს პოეტი გამარჯე და ბეჭით ბავშვებზე. არ იშურებს ლამაზ ფერებს მათი საქმიანობის და სიბეჯითის დასახატავად, უხმობს შრომისა და სწავლისაკენ. ლექსში — „გაგვახარე“ ასე მიმართავს იგი თავის პატარა გმირს: „რომ ქვეყანას რამე არგო, გაიხარდე მალე, კარგო. შენზე ზრუნვა და ამავე უქმად რომ არ დაგეკარგოს, — ემ მარჯვენა დაგეხმარე, იხარე და გაგვახარე. შენით უნდა ამყობდეს გამოღრე და გაღმა მხარე“.

სოფლად შრავლიანრი თამაშობა არსებობს, რომელთა დანიშნულება პატარების გართობაც არის და შრომის შეჩვევაც. აი, როგორ აღწერს პოეტი ერთ ასეთ თამაშობას ლექსში — „მეურამ“: „ხალის ღეროებისგან გაუკეთე ურემი, გამოვაბი ტაბიკებს ძაფის აბურებში; გამოეწერე თახისკან პაწაწინა ხარები, — თუ დაგვირდეს, მამიკო, თქვი და მოგვხმარები“.

გამარჯე და ბეჯითი ბავშვების გვერდით ზარმაცს და უქნარასაც შეხვდებით. პოეტი ყველას თავისას მიუზღავს: კარგებს აქებებს, ზარმაცებს სუსხავს. სიზარმაცე ხომ ყველაზე ცუდი სენია, იგი ბავშვობაშივე უნდა აფაცილოთ მოზარდს, თორემ დიდობაში თუ გაჰყვა, თვითონაც დაიტანება და სხვასაც არ დააქრის ხერხი — არც შრომამში ივარგებს, არც სწავლაში; შეეჩვევა პარაზიტულ ყოფა-ცხოვრებას, რითაც ზიანის ნეტს არაფერს მოუტანს არც თავს, არც სოზოგადობას. პოეტი პირდაპირ მაინც არ უთითებს ზარმაც ბავშვზე, ლექსი ზღაპარივით იწყება და მთავრდება: „იყო და არა იყო რა, იყო ზარმაცა ჩიკორა; სკოლაში როცა წავიდა, ჯობით დასკირდა მიყოლა. სამწყემსურში რომ წავიდა, ზარი დაჰკარგა ნიკო-“

რა. სათონად როცა წავიდა, მთელ დეტს ჩიკორაში იგორა... არც აქეთ იყო, არც — იქით, იყო... და არა იყო რა“.

ხშირია შემთხვევები როცა ბავშვები წამყვალ იარაღებით დაუკითხავად თამაშობენ, რაც ბევრჯერ საველადოდ მთავრდება. პოეტი ამ თემასაც ჩაუფიქრებია და მშვენიერი ლექსიც დაუწერია, რომელსაც „ფოცხი“ ჰქვია: „გოგი, არა გრცხვენია, ფოცხი განა ცხენია? კბილები არ ჩაემტერესა, — მინდერის საეარტელოა“.

ყველაფერი, რაც ადამიანს შეუქმნია სამუშაო იარაღის სახით, კარგ მოვლა-პატრონობასაც ითხოვს.

მრავალჯერ მომხსენია ბავშვებისაგან წაკითხული ლექსი „ქნუტების ფეხბურთი“:

თეთრ ბურთს დასდევს ფართიფურთით
ორი კატის ათი კნუტი.
ჩქით ზუთი, აქით ზუთი
გაიტაცეს თათით ბურთი.
სადღაც გაქრა მათი ბურთი,
თურმე იყო ბატიხუტი.
შეეითხეთ კატუნებს,
ხომ არ შეაკნატუნეს?

ამ ლექსის წაკითხვისას პატარები ხიზბითებენ, იცინიან, დიდებს ეღიმიებთ. ყოველივე ეს კი ასე განსაღია და ძალდაუტანებელი, როგორც თვითონ ლექსის სტრიქონები და შინაარსი. მრავალი ასეთი შინაარსის ლექსია აღნიშნულ კრებულში, ხალისით, დიმილ-სიცილით რომ იკითხება. მცირე მოცულობის წერაღმში ყველა მათგანის ჩამოთვლა შეუძლებელია — მხოლოდ ბინის მქონებ ლექს ამ წიგნში ვერ გამოლევთ. ასეთ ლექსებად მიმაჩნია: „ესკისა და ხიზბითა“, „ქნუტების ფეხბურთი“, „ჩიტრიკია“, „ახარა და ხანჯალა“, „საკერა“, „ფიწალა და ნიხაბა“ და მრავალი სხვა.

წიგნი პოლოგრაფულადაც საკმაოდ მაღალ დონეზეა დასტამბული ილია ჭავჭავაძის სახელობის წიგნის ფაბრიკაში. მატყვარ საპრეტყე ცინციატის არ დაუშურება თავისი ნიჭი, უნარი და შემოქმედებითი გამოცდილება, რათა გემოვნებით მოეხატა ყველაზე საყვარელი მკითხველისათვის განკუთვნილი ეს ნეტად საინტერესო წიგნი.

ეს კრებული იმის ნიმუშია, თუ როგორ უნდა გამოიყენო წიგნები ბავშვებისათვის. საწყენია მხოლოდ წიგნის მცირე ტირაჟი, თხუთმეტი ათასი ცალი ასეთი დიდებული წიგნისათვის ძალიან ცოტაა. ირჯერ მეტიც კი ვერ დააკმაყოფილებდა საბავშვო პოეზიის თავგანისმტემლებს.

პოეტის ორმოცწლიანი შრომა, ფიქრი, ძილისიტხვა გამართლებულია, მისი ლექსები ფასდაუდებელ სამსახურს უწყევს ჩვენს პატარებს.



„რასა სწავრო პიკაროს სსიპვო“

ახე ეწოდება 1987 წელს გამოცემილი „მე-რანის“ მიერ გამოქვეყნებულ თედო ბეჟიშვილის პოეტურ კრებულს.

სარეცენზიო კრებულში ბევრი ისეთი ახალი ლექსია, რომელიც უხანაოოდ იმსახურებს ეურადლებას. ახეთი, მავალითად, „დამწვადობება“ (ანუ ხაკედოლის წინ ხათქელი ლექსი), აქ „წუთისოფლის“ ტრადიციული გაგება მათულის ხიყვარულთანაა შენივთული და ძლიერ ემოციურ შემოქმედებას ახდენს მკითხველზე:

როდესაც მსურდა მწვანე მებელი,
მაშინ გადაჰქანა ყვითლად კორდები,
უკებ ვით კლდიდან გადაჩეხილი,
ნამულის ცაო, ისე გწორდები.
მივდივარ..
მორჩა ყოფნის ზღაბარი,
ჩამოღვენილა ცრემლად სანთლები.
ხველაზე სანდო თავშესაფარში —
შენი გულისკენ მოგემართები.
გაღისსენ მკერდი და ჩამიტოლე,
შენი მკერდიდან ვარ აწყვეტილი.
რომ ვიგრძნო წამით, როგორ გამოვე,
ჩოცა დაევა ყოფნას წერტილი.

პოეტი თანამედროვე ყოფა-ცხოვრების უარყოფითი მოვლენების პირუთვნელი მსაქუდიცაა და მოქალაქეობრივი პახუნისმგებლობის მქადაგებელიც („მომკლა ამდენმა თანხობამ, ამდენმა წელში მოხრამ, ამდენმა ვინჩარობამ, ამდენმა გულში ოხვრამ... თუ მუდამ მუხლზე იხოხე, მათხოვრად, მტრების კარად, მტრისას ამნაირ სიცოცხლეს, ყოფნა გერჩივოს მკვდარად“).

თედო ბეჟიშვილის პოეტური და მოქალაქეობრივი მრწამსი გასწუყფილია. იგი დღევანდელი დღით ხუნთქავს. მისი ლქრები ტრევილიანია. ხედავს, რომ ზოგიერთმა მაღალი გულვანი შეწოიფლო და იქიდან გულგრილად იცქირება, ახოხოქრებულა ზღვა (გ. ი. ცხოვრება) აღამოანებს (ნავებს) უფსქრულისკენ მიწეიდება („ზღვა კი ნავს უხმოდ უფსქრულისაკენ მიწეიდება“). „ტკიბილ ჰმითათვის“ ქართული პოეტი „ვერც დღეს მოიცილის“, რადგან „მიწას თუ კარგავ — რა აზრი აქვს ცაში წურებამ?“ ამიტომ —

მამ მხნედ გასწიე
ყოველდღიურ ცხოვრების უღელს,
იგი სიტყვისაც და სექსისაც თხოულობს
ლაღად!
ქვეყნის ტკივალსა და ოცნებას კარი
გაულე:
და როგორც დროშას — ხელი ისე
მოკიდლე კალამს.

ყოველდღიური ცხოვრების მოდარაქე პოეტს ხალხის გულში უნდა ედოს ბინა და იქიდან იღებდეს შთაგონების წყაროს („იდე, ხალხის გულში სიყვარულის ჩაუწვი ღუზა ცხოვრების კლდეებს ჩამოსტებე ლექსის ფიქალი, პოეტის მუწავც“). ახეთი ნათელი მრწამსი უღებს ხარხრულად პოეტის მთელ შემოქმედებას, ამიტომ მისთვის გამორიცხულია „ლექსების წერა — ხალადობოდ, თავშესაქვევად“. ლექსი გულისტკივილი უნდა იყოს, ნისლად ქცეული წინამართის ქავრი და ქვითინი („გულის ალალი ნამით ნახანო, ჩემო ოცნება, ჩემო დღიონო, ნისლო, ქარების გადმონატანო, მაშის ქავრო და დედის ქვითინო“). პოეტი გმობს პირადულ წრახვებასა და აზოციებს აყოლილ თანამოკალმეებს, ხაქვეყნო საქმისათვის გულციობახა და ინდიფერენტოზმს.

საქმეს საქვეყნოს პირადული ზრახვევი
სძალავს,
როცა თავისას, ვადრიაღებთ დროშას თუ
აღამს,
მამებს არ ანსოვთ, დაეიწყნით შეიღებოს
ზრახვა..
ამოაქვს ღვარძლი წინა-უკუმო ნათესს და
წახნავს.
ხოლო შეიღები, გულმოსულნი, მამებს
ვაბრილებთ, —
ღზა თუ მიადგა პირშეუქრავ, საშიშ
ნამარლებს.

„ქართლის კირის“ ეს დღევანდელი ხატკეობრი, მართლაც, თვალნათლივ წარმოაჩენს იმ შეცდომებს („წინა-უკუმო ნათესს და ნახნავს“), რახაც ადგილი ქონდა ჩვენს ცხოვრქეში და რომლის დაძლევას ამჟამად უდადგის, რეოდულური ძალიხმევის მნიშვნელობა გმოიჭება. პოეტი ვაყვს არადილისა და მისი გმირების

(განსაკუთრებით ალაზას) გამოხმობით ხადღეი-სო ტკივილებზე ანაბედიებს მკითხველთა ყუ-რადლებას. ცდილობს ალაღინოს გაწვევითი დროთა კავშირი, რის გარეშეც სამომავლო წინ-ვლა შეუძლებელია. ამ რუბრიკას („ჭაღა, მდინ-არე და გაზაფხული“) ეპიგრაფად ვაჟას სტრი-ქონები უძღვის — „კიდევაც ვნახავ გაზაფხულს“; რომელშიც თ. ბეჭიშვილის პოეტური მრწამსის ძირითადი მიზანდასახულებაცაა გაშუღანებული. ანაგვის ხახეში, ტრადიციულად და დღესაც, თვის ცხოვრებაა ასოცირებული. იგი წოგჯერ უზარმაზარი „რუხი მცურავით“ (ე. ი. გველი-ვით) მისდევს ხეობებს და ანგრევს უველაფერს („მისდევს ხეობას ვეებერთელა, რუხი მცურავი, ხან დამდოვრდება, ხან ანაზღად აიგრაგნება და კლდე-ღრბებში სულ არ უყირის გეზის გაგნება. ახე უოფილა, ასეთია მდინარის სული, მდინარეა თუ თვითონ ცხოვრება“). მდინარის „დაუღაგე-ხულ... დიად წებსრავს“ ვერავინ შეცვლის. პოე-ტი კრძალვით ებაახება მარად მდინე და დაუ-დეგარ არავცხ, რომ გაივოს, თუ რაა მის დი-ნებაში დამაღული („როც კვლავ ვამილოთ დოფა-ვინაბოთ, შენი დინებით რაც დაფარულა“). პო-ეტს აინტერესებს — „ნეტავ თუ გახსოვს, ვინც ჩავლილია, ანდა, თუ იცი, ვინ ჩავლიან?“ აი, ჩვენება: „რუხეთიდან მოდის ილია, რომ წულელს ქვეუნისა შეახოს ხელი“, მაგრამ გაიარა წლებმა და „შეჩერდა გული ბორბლის ხელით... ეს იყო

წამი ასვის წყუელი, ტკივილი, რომელს ვე-რახოდენ ჩამოვბანს ტრემლი“. გამომნდა ალა-ზა. „გამოუსხლტა ტალღებს ანაზღად, თითქოს კლდეები განათდა ელვით“. ბეობა გალაშქდა; რადგან ალაზა „დალოცვილი გაზაფხულივით ნაწი და მძლავრი იყო. ალაზას ეტალონური კეთილ-შობილება დღეს არავის ახსოვს. პოეტი შეშ-ფოთებულია: („ვინდა გვეტიროს, ნუთუ აღარ დაგვენახვები? ნუთუ იმდენად ჩაინაყლა ჩვენი წრახვები, რომ შარტოოდენ ხსოვნის ფსკერზე უნდა გექებოთ? გაზაფხულია, რად არ უცავილს დაქრეც, ალაზავ? კლდის თავს პირისმხე რომ გვიღიმიოს, შენი სულია“).

წარსულის ფეხვების მოძიება, ალაზას გამოს-მობა პოეტს სჭირდება მოშავლის სანაშნოდ, მამულის ნიცოცხლის განახლებლად („განა წარ-ხულის მწარე სურათებს — მე ამ წულის პირას ვეძებ მოშავლს. მამაულს ნიცოცხლეს ვინც გა-უწათებს, იმთ დავეძებ, აქ მიტომა ვარ“). მას აინტერესებს, თუ „ვის აივანზე აივებს ხუდებს, შორით შეტყბალი რომ მოფრინდება?“ ანდა, „მამა-მამათა ხანთლით გაშურულ, ამ ჩაშავებულ, ჩაშლილ ნიშებთან, ხვალ ვინ გამართავს ღბინს და ერიაშულს, აქაურობას ვინ მიშინედავს?“ ასეთი მოქალქეობრივი ტკივილებითაა გაჭე-რებული თედო ბეჭიშვილის ხარეცენიო კრებუ-ლი და მას ქართული პოეზიის უველა მოყვარუ-ლი, დარწმუნებულა ვარ, ინტერესით წაჰკითხავს.

ლუიზა ბოჩოვა

შემოქვედებითი ალაველოვის გზაზე

დღევანდელი დღე საკეთარ სიტყვას ით-ხოვს ლირიკაში. ცხოვრება სავსეა გადახალი-სების, აღმავლობის მოლოდინით. ადამიანის ბუნება ვერ ეგუება რუტინას, უმოქმედობას ვერც ცხოვრებაში, ვერც — შემოქმედებაში. ახალი ტენდენციების შემჩნევა და მხარდაჭე-რა ყოველთვის იყო და იქნება შემოქმედები-თი მოღვაწეობის მისწრაფება და ღვაწლი. სასიხარტლოა, რომ ახალმა იდეებმა თავი

იჩინა თანამედროვე ქართულ ლირიკაში და ახალგაზრდა პოეტები, შესაძლოა, განსაკუთ-რებული მკაფიობითაც გამოხატავენ მიმდინა-რე პროცესის თავისებურებებს. ამაზე მეტყ-ველებს, სხვათაშორის, დათო მალრამის ამა-ლი ლექსების კრებული „მარტულა“. იგი, უწი-ნარესად, გვიჩვენებს, რომ საზოგადოებას დვიძებს, მოქმედებს, სიბლუებისკენ იწმარფ-ვის.

სიახლეები, ამჯერად, იქნებ, იმდენად ლი-
ტერატურული ხასიათისა არ იყოს, რამდენა-
დაც — აზრობრივი, მაგრამ მათ შორის ხომ
პრინციპული განსხვავება არ არის. ისინი
კრთმანათს ავსებენ, ხელს უწყობენ ურთი-
ერთგაღრმავებაში.

ამ ლექსების კრებულში არის დღეული,
ემოციების მგზნებაარება, უხეში კემმარტიტება,
ზოგჯერ, დაუღვარი ფრაზებიც, რაც შეუდამ
შთანბეჭდავია გონებისათვის.

დ. მალრაძის ლექსებში მონატავია გაშების,
სადაც უარყოფილია ჩვეულებრივი საფეხუ-
რები, თანმიმდევრული აზრი გაცხოველებუ-
ლია ლაიონურობით და ამაღლებულია პოე-
ტური შედარებით:

**უკვე დარტყენ ტბეთის ზარტყმა
და შიშოშივენ სავალ გზის მანძილს,
შენ დარტყვე ეხ აღსარებად
ცხენის ძაუზე გამოხშულ კაცოს...
რომ გავტყერ ზეგანს, როგორც შინდია,
რომ გულში დექსის ცუცხლი შინთია,
ხულშიაც დექსის ცუცხლი შინთია,
სადაც კი მთვარეს ჩაუყვინთია,
სადაც კი დასტვენს ზოღზე ნიბლია,
მე ყველგან შენი სუნთქვა მიგრძენია.**

პოეტი წერს აუჩქარებლად, თუმცა, მღელ-
ვარედ. ოხზავს ექსტაზით და ყველაფერი, რა-
საც კმნის, გულიდან მოდის.

**ქარი აფთარივით შეღმუის სამრეკლოს,
რტყვენ ზარები...
რომ წამოაჩოქონ ამა წუთისოფლით
მოდლილი მგზაურები,
უფრო მგზნებარებით
ასჯის მგზნებარებით
რტყვენ ზარები.**

შემოქმედებითი სწრაფვა ინსტინქტია, ნა-
ტურა — ენება. პოეტის ძალა დაფუძნებულია
ინდივიდის ცოცხალ, განუყოფელ ერთეულ-
თან. ლირიკული განწყობა მამინაა, როცა შთა-
მაგონებელი მოძახილი გვემის: „დაუთმე ყო-
ველს და დამთე ყოველივე... რტყვენ ზარები,
ილატე, ილატე, მუხლები მიწას მიაციეთე...“

სადაც ვერ მიყვავართ ლოგიკას, მხსნელად
გვეკვინება პოეტური ინტუიცია. იგრძნობა
მახვილი თვალა, ნათელი ფიქრი.

არავის ძალუძს, იწინასწარმეტყველოს პო-
ეტის აზრთა მსგელობა, მწყავი: დრმა, მდი-
დარი ასოციაციები:

**ორღობებშია
ენუკატურად
გაშეულა
ღამე...
და როცა ბინდმა
საურმე გზა შთანთქა მთლიანად,
ცაცხვის ფოთლებში
პაემანზე
შოვიდა
მთვარე.**

ქომინ-ქომინო

ხომაც არ დაიგვანა.

დ. მალრაძეს უყვარს სიტყვათა რტყვა, რით-
მების გადასროლა, საუცხოო საბითიმებში
თა ოდენობისაც გადამაღავს, რიტმისაც და აწყ-
ქმნება სტროფთა მრულოდნელი პარმონია.

დეკორაციად მზის სხივები შეენის:

**გაღწე თრთოდუ აბრილი, —
სუნთქვა თამარ შევისა,
მე კი ლოკვით დალილია
მიგლიოდი ხერთვისთან...**

პოეტს უქმარობის გრძნობა გენჯნის ლექსის
დამთავრებისის. საღი, მართალი გრძნობა, რაც
თავისებურ, მწყავე მეღანქოლიაში ვლინდება,
აიქულებს თავის თავში განმარტოდეს. პატა-
რა, შეუშინვეული სინამდვილის დეტალი აქ-
ლევს ლექსს დამაქრებულ სიტოკულეს და
არა სხვათა ფრესკებიდან აღებული შტრიხე-
ბი. შემოქმედებით შემართებასა დი გამბედიო-
ბას აცხოველებს გულითაღობა, ნათელი ინ-
ტონაცია:

**რამდენჯერაც კი ძველი ლექსი
გამოვიგლოჯე,**

**იმდენჯერ დაგქვრივდი.
რალაც გათავდა.**

**ვით შაოსანი ქვრივი შიღის
ხატრფოს საფლავთან,
ისე,
ხო, ისე ვფურცლავ ზოღზე
ჩავლილ სტრიქონებს.**

ლექსი დღესასწაულია თუ განცდათა მარუ-
ლა აგებულოა ისე სწორად, რომ სხვაგვარად
წარმოდგენაც კი შეუძლებელია. მშენიარებმა
ძიებებს მონამოგარია.

რთულია, წარმოისახო, მზე ტანზე როგორ
იხვეს ბერების ჩოხას. როგორ აბრწობს მამა-
ლი დეზეშიმ აბრილის მთვარეს, ან, მამლის
ყვილეში ჩაბრუნელი ცისკლის სოჯლის ბოლო-
ში როგორ უფრთხიან მგლები. თანაც, ასახო
ისე, რომ ვიგრძნო და გავიგონო სიჩუქე. არის
სამყაროში უამრავი შესანიშნავი მოკლენა,
რაც უფრო მოვლოდნელი, მით უფრო შესა-
ნიშნავი, მით უფრო ძნელი გადმოსაცემი.

ტამარში, ქვაში, მთვარეში, გაზაფხულში,
თითოეულ ყვავილში ვგრძნობთ ინდივიდუა-
ლურ თვისებებს, პიროვნებას, ხასიათს. ასე
აბედებთან ბუნების პოეტური სურათები:
**ტაღლა ტაღლას ეხეთქება შჩივანი, ტაღლის
წვერზე შემოქვდარა თოლია. ანდა: ყაყაოებ-
ში მოქანცული თვლემდა ხაღამო.**

ეს არის არა იმდენად პეიზაჟი, რამდენადაც
მისი ემოციური სახე, მონაცემთი გარინდები-
დან, გაქვავების წამი, პოეტური თავშეკავების
პომენტს, შეჩერებული მოძრაობა. იგი გვაძა-
რებს არა ლოგიკურ, არამედ ფსიქოლოგიურ
იმპულსებს. მწყობრი სურათის ძიება, რომელ-
შიც ყოფიერების ფაქტები პარადოქსულობას

ქართველს, უფრო ინტენსიური და ნაყოფიერი, როცა ცნობიერებაში განმტკიცდება სამყაროს უსახლდრო სივრცის შეგრძნება, წინააღმდეგობრივი მოვლენების განპიროვნებულადაა. პოეტი ისწრაფვის, სახის მიღმა წარმოაჩინოს არსი, გაღატანითი, გადახვეული, განაყენებული აზრი:

ის ჩურჩული ჩამოჰქონდათ
მთებიდან ქარებს
და ტალღებში მიმჭადრიყო
მოგძრო ჰილოფთან,
გაჯაგრულ შკერდზე
ორდენივით ცილა
მთვარე,
თავს იწონებდა უღვაშით
და ოქროპირობდა.

ეს აღქმა ვიზუალურია, აღქმის იქით დგას გონებაპერტითი სახე. განყენებული ზედვა ცოცხლებს და ამითვეა გააზლებული. მთავარია არამართი ის, როგორ შეიქმნა, არამედ რისგან შეიქმნა, რისთვის, ვისთვის და ვის მიერ.

პოეტი ყოველ არსს იცნობს და თითქოს მათი სისხლით მონათესავეა, გულდაჭერებით უდგამს სულს, როგორც იღუმალ, ისე, ქვეყნიურ შეგრძნებებს.

ღამე ნაცემია მათარაზეთ,
საფეთქელს თოფის ღულა მიბჭენია,
მგონი, ლუქმა ვხდელი ყაჩაღების,
მირჩევნია...
ქარმა შემოარტყა ფრთები მთვარეს,
სადღაც დრუმბლიანად გარცყა,
სისხამი დაღვინდათ, მომანარეს
ქარებმა.

იგი გაურბის მზამხარულ მასალას. თავად აწყობს ქვეყნის, თვით აგებს გზას, ესწრაფვის, შეგატყობინოს, გაგვაგებინოს, დაგვარწმუნოს ბუროის კუთხის დანახვის უნარში. ჩანს აღამიანი, ჰქვიანი, მოაბროვნე, რომელიც დროდადრო მადლდება ბედისწერაზე, რათა დინახოს სამყარო, როგორც არის, როგორც იქნება. პოეტის გონების საღაროს გულშორდინედ უგროვებია შთაბეჭდილებები იმ დრომდე, სანამ დაიწყებდა მათ გამოშვებულებას: „მოჩილა გიშრისთვალა, ცვარნამიან დილას ლოკავს“, — ვკითხულობთ ერთგან. სხვა შემთხვევაში: „მუხმან შეუთო ერცხლი განთიადს, წვიმამ დაათრო გზა წიწამურის“.

მის ლექსებში აზრი ყოველთვის შექსუბუქებულია სახეში, მეტაფორულია, უხვად, ბარბანად მოკაზმული პოეტური შედარებებით, მთულოდნელი, მახვილგონივრული, ხშირად, პარადოქსული. ვდაჯვარ მეტებთან, მოჩურჩულე მტკვარს ვატან ფიქრებს... ანდა: მატარალს ფერი აქვს ციხ...

პოეტი დასდევს თავის სულიერ აზრდის, მისი მეობა განაგრძობს სრბოლას სულის სფეროში.

როგორც და მარად ახალ ამოცანებს უსახავს თავის თავს.

სიცოცხლე ჩემი — სხივის მოწყვეტა
და სიყვარული დაუსაბამო
განა ცტებლია? —
სისხლი მოწყვეთავს,
თვალთავან ჩემთა, სიცოცხლის გამო.

პოეტი, რომელმაც ეს სტრიქონები დაწერა, ამყობა ლექსის ნაწილები დამოუკიდებლად კი არ არსებობენ, არამედ — სტრუქტურაში. აქაი ახალი ზედვა, ახალი წმინაობა.

გამოსახავს რა თავის თავს, ამ კრებულში პოეტი ყოველ ლექსში საკეთარი სახის განახლებულ ხატს ქმნის.

ფორმა?... ალბათ, არაა ფორმის გადაქცევა შინაარსად, დაძლევა შინაარსისა ახალი ფორმით, გამაუჩინელით. ასე არ ქრება თეთრ ლაშქებში დაისი — აღმავლობა, ფორმა არსებობს, როგორც დაძლევა და გადაღობვა.

მეხიზმრა —
ღამით,
რომ თოვდა, —
ტრიალ მინდორში, ეული
იდეტი. —
მხრებზე გუყარა
თმა გიშრისფერი, ზეულის,
მე ენქელები მომქონდა,
ინხან გამოჩრეული...
თან ბედაური მოგვჯარე,
შენ შემომხედე მცინარემ,
ყვრიმალზე კოცნა მოგვარე, —
გავითამაზდი მძინარე...

პოეზიაში ყოველი სიტყვა უნდა ფასობდეს, განიცდებოდეს. ეს საგსება და ზესაგსება, რომელიც მზა სულიდან ჩქეფს, პოეტმა უნდა დაინაწილოს, რათა თვითონაც კარგად დაინახოს და სხვებსაც დაგვანახოს. დათო მდრამეს სიტყვა შინაგანად აქვს განცდილი და ეს უბიძგებს ახალ სახეებს, ახალ აზრებს. სიტყვა მხატვრული ფერიცვალობის ამოუწურავ შესაძლებლობებს მოიცავს: „მარტყოფის ცეცხლზე ცახცახება მთვარე... მკერდზე ვიჩერებ ფრთაშლილ ქარებს“, „ჩრდ შეარიგეს დილა სიკვდილთან, მერე ქვლები გადაუხადეს“, „სოფლის ბოლოზე ჩამოწვა შიში“, „ტალღებში უკვე ჩანდა ცისკარი“, „ნივამა დარდი წაიყოლია, სისხამი ღამეს ამოსდებს აღვრს“...

დათო მდრამე არასოდეს თხზავს წარმოსახვის ხარჯზე, არ ქმნის სამყაროს რეალური სამყაროს მიღმა და არც ლიტონი სინამდვილით კმაყოფილებდა.

მიირწევა ქარავანი
და ზურგზე ცოდასავით წამოუკიდია
გება კუში.

ეს სიტყვები არაა პოეტის მოულოდნელი აფეთქების ნაყოფი. იგი იმ სათქმელის აღ-

მოთქმავა, რომელსაც პოეტის გულში ღრმად გაუღდამს ფესვები.

სახე თავის თავში მოძრაობას შეიცავს. განმეორებები უბრალოდ განმეორებები კი არაა, არამედ სახის განვითარებაა, რომელიც სიუჟეტურ დამრღვევას აღწევს. სახე არა მარტო საგნის დამოხატვაა, არამედ სახის წარმოდგენაცაა მოძრაობაში ცნობიერებას მემკვიდრით.

დუშებიანო მამალო,
ამბარტავანო მამალო,
გვირგვინიანო მამალო,
სარდლების შთაშობავალო,
ამ ეზო-კარის არსენავ,
ვინც კი აუჯად ვახსენავ,
ჩაპკორტნე, დედა უტაირე,
დღე გაუთენე ჭირისა,
დაქვივლე მამა-პაპურად,
სოფლად მომყვანო დილისა,
იარე, ღმერთმა გაკურთხოს...
მამულში მყავხარ თილისმად.

ყოველი სიტყვა ცოცხალი სხეულის ფიზიკური შეგრძნება. პოეტის მოწოდება იწყება სვედით: ესაა სულიერი წყურვილი, ახალი ხედვა და ხმა:

იმ ძველებურ ხახლში,
ვანის ჩუქურთმისანი მოაჯირით,
წევს ხიტუვის მახვში,
ენმანება:
თეთრა გიორგი თეთრ ცხენს
მოაჯირითებს.

ნისკარტიდან შოგონავს,
წვეთები სისხლის,
მწვანეა მოლი,
ცისფერია ოცნება,
რუხია წისლი...
ქაღარა სედა
ღრუბელივით ცაზე მიგორავს,
იგალოზე,
იგალოზე, ჩიორავ...

ავტორის საუკეთესო ლექსს გასაღებს ვერ მოარგებ. ქმნის რა სახეს, პოეტა დასაკვირვებლად არ ირჩევს კონკრეტულ ადამიანს, არ აფიქსირებს ფსიქოანალიტიკოსის მსგავსად, ინდივიდის სიტყვებსა და მოქმედებას: მწყემსხნი თბებიან კოცონთან, მთვარემ დაუვიწყარა წყალშიო, ქალავ, ო, რარიგ მომწონხარ, სტრიქონს გიზღარათავ თმაშიო.

აქ, გარდა ოსტატურად შესრულებული სურათისა, ამაღლებულია პოეტის მისწრაფება, შექმნას პარალელური მხატვრული სახე.

პოეტი ხედავს, რასაც სხვებიც ვხედავთ, მაგრამ მასზე დაყრდნობით, იმასაც ხედავს, რასაც ყველა ვერ ვხედავთ.

უჩებთან რომ ამიფრინდა მწყერიო,
შე გაჟუშვი,
გულმა დაიტოვა.

სულის რეალობა აქ მეთოდია, ხერხია, წარ-

მოსახოს საგნები მხატვრული თანმიმდევრობით.

ფიქრობს რა საყოველთაოზე, პოეტი არ იფიქრებს ინდივიდუალურს, სახასისთვის. ტორიას ქმნის ადამიანის ნება. ქმნის მას ყოველწუთითერად, ყველგან. ამ ლექსებში ვპოულობთ ისტორიის ზენობრივ გაკვეთილებს:

ხეტიაცხოველი ვანა მარტო სილაშაზე,
რწმენა ჩვენი,
უფრო მეტიც —
სიხსნი ქართულა.
ათასჭერ ნანახს,
შაინც ახალს, მუდამ საცდართ —
გრემს და იყალოთს,
ქალაუბანს.
შხიას და ღარსას,
და მთლად ქართველთა საყდართა და
ყველა ხალოცავს
ხული უბერე, თუ კაცი ხარ,
ზადხულ და ზამთარ.

ავტორს უნდოდა ლექსს ელაპარაკნა და, როცა ეს ზღუდე გადალახულია, მას სურს, ლექსმა ავტორს კიდევ.

შორს მღერის მიწა, სიმღერა ახლოს ისმის, ყელს ეხჩინება და, როცა ვწუდებით სიწმინადეს, რომელიც პოეზიის დედა-ნერვია, ახლგებურად ეღერს ახრი:

დიდგორიდან კრწანისამდე —
საკაღფეხო ბილიკით —
მოდინოდა სიამაჟით,
ბრძოლითა და ქალაქით.
მუდამ დარდი დაგვეტობოდა,
მუდამ გსდევდა ხალისი,
გადმოლაზე დიდგორი და
წინ გეწერა კრწანისი.

მარადიულად თან გსდევს სიყვარული, ეშვი, სიკვდილის შიში. რატომ? ვანა რეალური ცხოვრება არაა იმდენად მდიდარი, რომ სულს სიმშვიდე მოგვანიჭოს? ჩვენს ავტორს აქვს თავისი პოლიტიკური პრძილა და, საეკარისად ვნებიანიც:

ეფლაბუცება საქართველოს
ხენი ხიერიო.
შურით შეძრულმა საქურთხმა
სხვაც არ აცხოვრა,
არ შოერიდა გულმნელი და პირსამიერი
არცა მოყვარეს,
არც წინაპარს,
არცა მაცხოვარს.

პოეტი სასოწარკვეთას მოუცავს, იგი ცხოვრებას თავს წაადგა, როგორც სიკვდილი და იღიბებს, როგორც შრილობა. უმღერის, რასაც განიცდის ყველა, რასაც სამშობლო პატრუს სცემს: დღუბულ შეილებს, სიხარულს, სიყვარულს, ვალდებულებას, დიდებას. მონაწილეობს ცხოვრებაში, რომელსაც აღწერს, აქედან მიმდინარეობს ყოველი სიტყვის ხმაო-

ნობის სიწრფელე. გგონია. ღია სარკმლიდან რელიურ ქვეყანაში იცქირები.

მიიღო ხსოვნამ მსუბუქი ბიძგი და იწყება წარსულის მიხანსწრაფული რეკონსტრუქცია:

გვახსოვს!
დაგვაჩა ღმერთმა,
ბევრჯერ დაგვტოვა მარტო
და სამებნელი გაგვიხადა
ჭერი წვიმაში,
როს მოუღია ჭვრის შონახტერს
თაღები ფართოდ, —
მითხარ რა უნდა შოთახ ხაფლავს
პალესტინაში.

ილიას შუბლა
გახეთქილი დუშს შთაწმინდაზე,
მუხის ფოთოლი დაგდება ვითომ
სალბუნად!

„შური“ მინიატურული პოემების წესითაღ გამართული, ტრადიციული ქანრების მაგისტრალიდან განრიდებით, გამსკვაღულია ქართლის ცხოვრებით. იღუმალი და ძლიერი ზალა აცოცხლებს მას. პოეტს აინტერესებს არა იპდენად. ცალკეულ ადამიანთა ფსიქოლოგი-

ური ანალიზი, რამდენადაც სულაღრა გრძელდება მასისა.


ადამიანი მოქმედების ჯამია.
ლექსები ჰკრავენ წრეს, აზრები ნერვულ
თითქოს საბედისწერაო სიტყვები იყვნენ,
იხუვლე შენ, ჩემო არაგვო, აქ შეუვარებულთა
თა ზეები მუვაჟიან!

პოეტი დაფინებით მიემართება განგებისაკენ შეკითხვით: რაშია სამყაროს აზრი?

ღმერთი კი შეუღწეველია. ალბათ, იმიტომაც ეკითხება, რომ იცის, პასუხს ვერ შეიღებს. სიუვარულშიც ხომ ასეა: იქ იწყება, სადაც არ ელი. იქნებ, მისტიკურის მშეენიერებაც იმაში მდგომარეობს?

მაგ ნაფუხურის მე ვარ მკოცნელი,
შენი იკვდერის მე ვარ მლოცველი,
სისხლი ეღვრებათ ვარდებს მოცელილს
და ამ ვარდების
დედოფალს გელი...

აზრობრივი დეტალი სივრცეს აფართოებს. მიღის დრო, რომელსაც დასასრული არ აქვს. განაგრძობს მარადიულ სიცოცხლეს პოეზია, როგორც ღვთაებრივი სულის ემანაცია, იღუმალთან ზიარება.



ალექსანდრე სიგუზა

დრო და თანამედროვენი

არიან ადამიანები, გინც ფარდის შიღმა დგანან და ჩუმად, უხმაუროდ ეწვიან ლიტერატურულ-შემოქმედებით მოღვაწეობას, ზოგი კი ადრე მიდის ჩვენგან და ლიტერატურის ისტორიას რჩება მათი დაუმთავრებელი, პოეტური სტრიქონები მაჟულისა და სამშობლოს სიყვარულზე. სწორედ მათზე, ჩვენი ეპოქის ნიჭიერ ადამიანებზე, გველაპარაკება ასე ნათლად და დაბაჟრებლად თავის ნაწერებში, აპოლონ ჟორდანია.* პუბლიცისტიკა ბევრი ისეთი რამ დინახა მათ შემოქმედებასა და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში, რასაც უზარალო შკითხველი ვერ შენიშნავს.

წიგნის შესავალ ნაწილში შესანიშნავად ჩანს ავტორის დიდი სიყვარული სამშობლოსადმი და რწმენა იმისა, რომ „სჯობს მონობაში გადიდგაცბულს, თავისუფლების ძებნაში მკედარი“. სწორედ ამ იდეას შესწირეს თავი მე-19 საუკუნის დიდმა მოღვაწეებმა: ილია შიშკაფაძემ, აკაკი წერეთელმა და მათმა მომდევრებმა, მათ ვისაც ჩვენი ეროვნული დროში დიდი ბრძოლითა და ვაჟაკობით, საუკუნეების მანძილზე, შტკიცედ ვაჟა ხელში. ვისაც მუდამ ახსოვდა, ილიას ლექთ ღუნის გამწარებული მოთქმა: „ჩვენი თავნი ჩვენადვე ვაყუდნენს“ და აკაკის ლაღადისი:

**დე ყველამ იბეღნიეროს
თავის სამშობლოში, თავის მხარეში,
რომ მოძნე იყოს ერთი მეორის
და არა მონა, უმა და ფარეში!**

მაგრამ შემდეგში, ეს ერთგული იდეა გაიზარა და სულ სხვა ინტერპრეტაცია მიიღო, დიას, ამ ეროვნული იდეის დამახინჯების წინაღმდეგ იყო მიმართული ახალგაზრდა მწერლის, კონსტანტინე გამსახურდიას, შემდეგი სტრიქონები: „საქმე ის კი არ არის, პატარა კაცი იყო და დიდ სამშობლოს ეძებდე, საქმე

ის არის, დიდი კაცი იყო და პატარა სამშობლო გიყვარდეს“.

აპოლონ ჟორდანის წიგნში ფიგურირებენ ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი მწერლები, მხატვრები, რეჟისორები... სიმონ ჩიქოვანი, პავლე ინგოროყვა, ლადო გულიაშვილი, კოტე შარჭანიშვილი, გიორგი ჩიტიაი... ავტორი საინტერესოდ წარმოაჩენს მათ ერთგულ დეაწლსა და ამაგს, მაგრამ ძირითადად, იგი თავის წიგნს უძღვნის, როგორც ილია იტყოდა, ამ ჩემს მოღვაწეებს, რომლებიც ნაკლებად ხმაურობდნენ, მაგრამ ჩვენი ერისათვის საინტერესო საქმეებს აკეთებდნენ.

აპოლონ ჟორდანია წიგნში „დრო და თანამედროვენი“ ტაქტიანად მსჯელობს სულხან ჟორდანის წერილზე, რომელიც სერგი დანელიას წიგნს — „ვაჟა ფშაველა და ქართველი ერი“ ეხება. ის ვინც ქართულ ლიტერატურას, ხელოვნებას და ფილოსოფიურ აზროვნებას პირუთვნელად და ჩუმად ემსახურება, მან უსათუოდ ყურადღება უნდა გამახვილოს წიგნის საინტერესო და ღრმა შინაარსის შემკვეთ სათაურზე: „ვაჟა ფშაველა და ქართველი ერი“ და ეს პატარა წიგნი იმ სიყვარულით უნდა წაიკითხოს, რა სიყვარულითაც იგია დაწერილი. სწორედ ამ სიყვარულმა და ვაჟის პოეზიის ღრმა ფილოსოფიურმა ცოდნამ ათქმევინა პროფესორ სერგი დანელიას: „გოეთე გერმანიის გენიოსია, ვაჟა საქართველოს გენიოსია“, „მართო ვაჟს ნაწერების გასაცნობად უნდა უსწავლათ დასავლეთის მეცნიერებს ქართული ენა, ვინაიდან ეს ნაწერები **ფენომენალური** მოვლენაა მთელ მსოფლიო ლიტერატურაში“. არ ვიცი, რა უნდა ეთქვა და დაეწერა ავტორს ვაჟზე ამაზე მეტი ან კი სხვა რა ეპითეტებით შეეძლო შეემკო პოეტის შემოქმედება. თამამად შეიძლება ითქვას, რომ სერგი დანელიას წიგნი „ვაჟა ფშაველა და ქართველი ერი“ ჯერ კიდევ კარგად არაა წაიკითხული და გავიხილი. ეს თხზულება ჩვენ უნდა დაკვირვებით წაიკით-

* აპოლონ ჟორდანია. დრო და თანამედროვენი. „მერანი“.

ხმა და გაეგოთ „ვაჟა ფშაველა და ქართველი ერის შორს მიმავალი ფილოსოფიური გზები“.

აპოლონ უორდანიამ, თავის წერილში, ბრწყინვალე სტრიქონები უძღვნა ცნობილ მწერალსა და გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეს, ნიკოლო მიწიშვილს. ნიკოლო მიწიშვილისადმი მიძღვნილი წერილის წყაფვებამ, მართლაც დიდი სიამოვნება მომანიჭა — ჟურნალის, წიგნების განმავლობაში მასთან ვაჭირობი „სახელმწიფო გამოცემლობაში“ (სახელგამში) მხატვრული ლიტერატურის განყოფილებაში, რომლის ხელმძღვანელი და დამაარსებელიც თვითონ იყო. ეს დამაღვინებელი, ევროპულად ჩაცმული, საოცარი ენერჯის და რაგინზატორული ნიჭის მქონე კაცი, უსაზღვროდ იყო შეყვარებული თავის სამშობლოზე. ერთი საუბრის დროს ვახტანგ კოტეტიშვილმა ნიკოლო მიწიშვილი მთის ანკარა წყაროს წყაფა. ეს იყო ნიკოლო მიწიშვილის პირველების შესანიშნავი დეხასიათება.

ნიკოლო მიწიშვილმა სიგვის მომგვრელი, მგარბობიარე სტრიქონები უძღვნა ჩვენს ერის ტრაგედიას, მტრების თარეშა და ხალხის აწიოკებას, რომელიც საუკუნეების განმავლობაში გრძელდებოდა, ხან აღმოსავლეთიდან, ხან დასავლეთიდან, ხან კი ჩრდილოეთიდან:

**მამინ გაეწიე ცხიკენ ცერებზე,
გავმართები, გულს გავაქორებ
და ხაქართველიც მზიან სერებზე,
ცრემლიან თვალზეს გაღვავაგორებ.**

ამ სტრიქონებში ზვენ გვეხმის ილიას და აკაეის, ვაჟის და ეახებვის მოთქმა-გონებდა. ამ სტრიქონების გავრძელება პოეტის შესანიშნავი პუბლიცისტური წერილი: „ფიქტრები საქართველოზე“, რომელიც არასოდეს დაკარგავს თავის დიდ მნიშვნელობას ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის. აპოლონ უორდანიამ კარგად შენიშნა პოეტის ლიტერატურულ-პუბლიცისტურ მოღვაწეობაში ამ წერილის მნიშვნელობა და ხაზი გაუსვა იმას: თუ რა აწუხებდა, რა აწვალებდა პოეტს — მამულოშვილს.

ნიკოლო მიწიშვილი არა მარტო შესანიშნავი პოეტი იყო, არამედ, საზოგადო მოღვაწეც. იგი მუდამ იმას ესწრაფებოდა, რომ სამშობლოსათვის, ქვეყნისათვის რაღაც ახალი გაეკეთებინა, რომ ჩვენს ქვეყანა ეკონომიკურად და კულტურულად წინ წასულიყო. როდესაც ნი. მიწიშვილი სახელმწიფო გამოცემლობის მხატვრული ლიტერატურის განყოფილებას ხელმძღვანელობდა, მამინ, მისი დაეკლებით, კონსტანტინე გამსახტრდიამ დაწერა „გოეთეს ცხოვრების რომანი“. მინვე დაიწყო ვახტანგ კოტეტიშვილის „ხალხური პოეზიის“ გამოცემა. თვით სახოკის სახოვად მოეშუადგმანა გამოსაცემად „დეკამერონი“, მასვე სახოვად მოეტანა გამოცემლობაში „მოგონებათა წიგ-

ნი — „ეკომბრში“, ვალერიან გუნდის შემდორებულად დაწერა მოგონებები ილიას, აკაეისზე, ვაჟაზე, ალექსანდრე ყაზბეგზე და ჩვენს გამოჩენილ თეატრალურ მოღვაწეებსა და მწერლებს და დაწერა ქართული თეატრის ისტორია; გერონტი ქიქოძეს სიხოვა დაწერა ვრცელმანოვრავია ნიკო ნიკოლაძის შესახებ და დამავალა 30 თამაზზე ზელშეკრულება გამეფორმებინა მასთან. მინვე დაიწყო საშუალო მწერლობის ანთოლოგიის გამოცემა.

ვიც სავა გაბესკირიის ახლოს იცნობდა, როგორც ევრნალისტსა და მოქალაქეს, მის უსათუოდ არ დაავიწყდება წიგნში მოთავსებული გულობილი, ღრმა პატივისცემით დაწერილი სტრიქონები, უწყინარ და გულმართალ სავა გაბესკირიაზე.


სავა გაბესკირია ახლოს იყო ჩვენს გამოჩენილ მწერლებთან: შალვა დადიანთან, კონსტანტინე გამსახტრდიასთან, ლეო ქიანელთან, ნიკოლო მიწიშვილთან, კოტე მარჯანიშვილთან, ტერენტი გრანელთან, სანდრო ცირეკიძესთან, დავით განეჩილიძესთან და სხვებთან. კოტე მარჯანიშვილმა სავა გაბესკირიას ბოგრაფია გაამდიდრა, როცა ახალგაზრდა ევრნალისტისასეთა შენაარისი წერილი მიწიშვილს:

„ჩემო ძვირჯასო სავა! მართალია, დროს მცირე მონაკვეთია რაც გიცნობთ, მაგრამ ესეც მოვისწარი გამოშვიდობებისას შეგებოდი ბინა თქვენი სუფთა სული და თეატრისადმი ახალგაზრდული ერთუზიანბი.

ისე მომიხდა მოსკოვში წასვლა, რომ ვერ მოვასწარი გამოშვიდობებისას შეგებოდი თქვენსა და სხვათა ჩემსკენ მელობრულად გამოწვდილ ხელებს. ვერ ვითხარით მადლობა კაცს, რომელმაც ასე ბევრი რამ გააკეთებ პირადიდ ჩემთვისაც. მადლობას გცხდით თეატრისადმი იმ მხურვალე და წრფელი დამოკიდებულებისათვის, რომელიც იგრძნობოდა თქვენს ყოველ სიტყვასა და საქციელში. არ გამოირაზდეთ, თუ თდესმე რაიმე განწყენიანზე ასეთი ვარ, როგორც იტყვიან, თავმუნუებელი. მეგობრულად გვხვევით და მხარად გართმევთ ხელს.

გადიეით ჩემი ამბორი ბესოს, ვარლამს და ვეველა იმამ, ვისაც ჟურ კიდეე ახსაეს ბუზულუნა ბებერი“. „სავა გაბესკირიასთან საქმარისი იყო ერთი შეხვედრა, ერთი გამოსაუბრება, რომ გაგეგო მისს სულის სისქეცავე და მშვენიერება“. ეს სიტყვებიც დიდ რევისორს კოტე მარჯანიშვილს ეკუთვნის. მარტო ამ წერილის გამო ღირდა სავა გაბესკირიის შესახებ წერილის დაწერა: აპოლონ უორდანიამ ცოცხლად დაგვიხატა სავა გაბესკირიას სახე, მისი უმწიველო პიროვნება.

აპოლონ უორდანიას წიგნში სხვა საინტერესო წერილებიცაა მოთავსებული. მკითხველებს ვუჩივ წიკითხონ ეს წიგნი, რომელიც უთუოდ ინიხავს გარდასულ დროთა ამბებს.



კაცი კოოპერატივი

„ერთი ძელი დაცუნეულებდა“ — ასე იწყება სულხან-საბას ერთი იგავი. ის მელა შუა საუკუნეებიდან ჩვენს დროშიც გადმოცუნეულდა. ჩვენ ვერ ვამჩნევდით, თორემ სულ ჩვენს გვერდით დაფუსფუსებდა, ყურს გვიგდებდა, ხუმრობით თუ ხუმრობაგაშვებით ნათქვამს უბის წიგნაკში იწერდა და იმან-სოვრებდა, ხანდახან არენაზეც გამოჩნდებოდა, თავისი მწირი გონების შესაფერს რამეს იტყოდა და თვალეში შეგვეციცინებდა, ხომ ხედავთ, უნიჭო ვარო.

დავუშვით შეცდომა და რამდენჯერმე გავუღიმეთ, როგორც საწყალობელ კაცს. ეს ღიმილი დათმობად ჩათვალა და ერთ მშვენიერ დღეს დავედრეჯა; თქვენს შორის პატარა ადგილი მომეცით, ნათესაებს მინდა ვაჩვენო, რომ მეც ნახირ-ნახირსა ვარო. დავუშვით მეორე დიდი შეცდომა და ჭინჭრაქა მერცხლებში ვავრით. ადგილი ზომ ვაკვავა, მალე საკანდიდატო დისერტაციაც მოაკვარახინა და ამით დაამთავრა მეცნიერული მუშაობა. კანდიდატობა შე მხოლოდ მისაღებ გამოცდებში მონაწილეობისათვის მჭირდებოდა. ისე, დოცენტობას რა თავში ვიხლიო.

საჭირო კაცი ვახდა. საქმიანი იერით და დიდი პორთფელით გადი-გამოდის. თვითონ მშვენიერად იცის, რომ ფუჟე კაცია, უნაყოფო მეცნიერი, უკბილო პუბლიცისტი და აყვია მოქალაქე, მაგრამ ხალხს თვალში ნაცარს აყრის, აქაოდა შემომხედეთ, მეც მარაქაში ვერევიო. ხანდახან, როცა ბედაურები ნამდვილი საქმით არიან გართული, მიიხედ-მოიხედავს და ტრიბუნაზეც აიპარება. მისი მსმენელები, ძირითადად, სიყრმის ასაკის ყმაწვილები და საქმით დაღლილი დიასახლისები არიან. მეორე დღეს თავისი დიდი ჩანთით ქალაქში დადის და ხელმოწერებს აკროვებს, ხომ მოვეწონათ ჩემი გამოსვლაო. უდანაშაულო ბავშვები და გულჩვილი დიასახლისები უდასტურებენ; მართლაც მჭერმეტყველი ხარო.

სინამდვილეში მის ლაპარაკს რომ ყური უგდოთ, სირცხვილით გაწითლებით. თვით როდი წითლდება. ვაწითლების უნარი ამ ოცდახუთი წლის წინათ დაჰკარგა.

დაცუნეულებს ახლა ჩვენს შორის კაცი-ობობა, კაც-კოოპერატივი, „ყოვლისშემძლე“, ყოვლისმოქმედი, ყოვლისშემბედავი.

არზა-საჩივარი გაქვთ დასაწერა? მზად არის, სათანადო გასამრჯელოს საფასურად სამსახური გავიწიოთ. არ გინდათ პრესაში თქვენი გვარი გამოა-

ჩინოვნი? მხად არის, სხვის ნათქვამ-ნათხრევს ხელი მოაწეროს. აბითურთიერების პატრონობა გნებავთ? ოქრო გამოსდის ხელიდან.

არ იღლება შელა. დაცუნცულებს, დაყუნსულებს. ხან რედაქტორებს გამოუგონებს თავს, ხან მთარგმნელობას დაიბრალებს, ხან კრიტიკოსს, ხან გრამატიკოსი. გარემოების შესაფერისად იცის დაროკება.

სირცხვილის გრძნობა, გაწითლება მეთქი შორს არის მისგან, ამიტომაც სრულებითაც არ შერცხვა, როცა მწერალთა კავშირის წევრობა გაუტყავეს. ახლა ჩვენს შორის რომ დაჯდება, თავს მაღლა ასწევს და პრეზიდენტს მიჩერდება. შემომხედეთ, რა ყურადღებით გისმენთო. სწორედ იმ დროს უტრიალებს ბნელი, მელური აზრები თავში. ვერ ამჩნევს, როგორ შემოეცლება ირგვლივ ნამდვილი მწერლები, ე, მანდ, სურათი არავინ გადაგვიღოს და მელას მეგობრები არ ვეგონოთო.

რაც არ შეუძლია, სწორედ იმას ჰკიდებს ხელს. რაქი შუბლის ძარღვი კარგა ხანია გაიწყვიტა, თავისი საეჭვოდ განაზებული ხმით ყველაფრის „დამტკიცება“ შეუძლია. დრო მოვა, თავის მიერ მოქსოვილ ცილისწამებათა ბადეში თვითონვე გაებმება და მერე გვიან იქნება.

ჯერ კი დაცუნცულებს მელი ჩვენს შორის.

გენა რაზინა



— სუსტი ლექსია, ახლა ეს რომ დაგიბეჭდოთ, შემოგვეჩვენო და სულს ამოგვხლი
— ერთი ფიქრთა ვარ მოსული ამ კმეყნად...

მხატვარი ნ. ფორჩხიძე
თემა ნ. ბარათაისი

სტუმრად

- ვინ მღერის ასე შეცდომით?
- ჩემი ცოლი.
- ვგონებ, აკომპანიმენტია არასწორი.
- აკომპანიატორიც თვითონაა.

უპირი

ცნობილ ავსტრიელ კომიკოსს ბეკმანს დიდი უპირები ჰქონდა, რაც ზოგიერთ თავხედ უურნალისტს ხუმრობის საბაბს აძლევდა.

- თქვენი უპირები ადამიანისათვის ძალიან დიდია.
- მართალი ბრძანდებით, — თქვა ბეკმანმა აუღელვებლად — მე მართლაც ისეთი უპირები მაქვს, რომელიც ადამიანისათვის ძალიან დიდია. მაგრამ ისიც დამატებთ, რომ თქვენი უპირები ძალიან პატარაა ვირისათვის.

ინელი

კორნელიუსი სუსტი მსახიობი იყო, რასაც კოლეგები ხშირად აგრძნობინებდნენ. კორნელიუსმა დირექტორთან იჩივლა. ამ უკანასკნელმა მას მხარზე ხელი მოუთათუნა და უთხრა: — დიას, ჩემო ძვირფასო, სამწუხაროდ, ასეთებიც არიან მსახიობები, გინაროდეთ, რომ თქვენ შარტო არა ხართ!

საზინანო

არც თუ დიდი ხნის წინათ ჰკითხეს ცნობილ ნიუ-იორკელ თვალის ექიმს, შექმლო თუ არა ტელევიზორს გამოეწვია თვალის დაზიანება ბავშვებში. — არა —, უპასუხა ექიმმა, — არავითარი სარწმუნო ცნობა არ არსებობს, რომ ჩვენი ტელევიზორი სულის გარდა სხვა რაიმეს აზიანებდეს!

პოეტი

- დიდი ხანია ლექსებს წერთ?
- პირველი ლექსი თხუთმეტი წლის წინათ დავწერე!
- ამჟამად რაზე მუშაობთ?
- მეორე ლექსზე.

ცვლილება

„ვესტსაიგელში“ ერთმა კაცმა სტატია მიიტანა. მთავარმა რედაქტორმა წაიკითხა და თქვა: — ვწუხვარ. სტატია არ შეეფერება ჩვენი გაზეთის პროფილს.

— საწინელებია, — უპასუხა კაცმა, — მე ხომ ის თქვენი პირველი ნომრიდან გადავიწერე.

ვინ უფრო ხაპინანია

ერთი ცნობილი გერმანელი პოეტი მიდიოდა პარკში. გზაზე, რომლის სიგანეც მხოლოდ ერთ ადამიანს დაიტევდა, შემოხვდა ერთი კრტიკოსი, რომელსაც მიხი ნაწარმოები მკაცრად ჰქონდა გაკრიტიკებული. როდესაც მოსერიანები პირისპირ წარდგნენ, კრტიკოსმა ქედმაღლურად თქვა: — მე სულელებს გზას არ ვუთმობ.

- მე კი, მიუგო პოეტმა და ღიმილით გადააგანწე.



ერთხელ, ერთმა ცაობაღმა ინგლისელმა პოეტმა გაზეთში წაიკითხა ლექსი, რომელსაც მისი გვარი ჰქონდა მიწერილი. განრიხსებულნი გაემართა რედაქციაში და რედაქტორს უსაუბრა ვიდურა: — ისეც არ იყო, ლექსი საშინლად არ ვარგა!

— ჩვენც ასე ვფიქრობდით, — უპასუხა რედაქტორმა, — მაგრამ იმიტომ დაგაბეჭდინეთ, რომ თქვენი გვეგონა.

პრტიკის პრტიკა

ერთი ლიტერატურული კრიტიკოსის ბაღის კარებზე ჰკიდია აბრა: „ბრაზიანი ძაღლი“. ვიღაცამ ფანქრით დაამატა: „ღიბ, მაგრამ უპრინციპო“.

შესაშარისი სანოგალოპრტივი წრე

ერთი ახალგაზრდა ავტორი თეატრის ღირქტორს მაგიდაზე უდებს მის პირველ დრამას და უხსნის:

— ჩემს პიესაში მოქმედება ხდება ერთ-ერთ პატარა სოფელში.

— იცით, რა, — პასუხობს ღირქტორი, იმის შემდეგ, რაც მან რამდენიმე გვერდი გადაიკითხა, — უმჯობესია, იქ დადგმეინოთ.

მოდურად

— საუვარელო, — იკითხა თეატრისაკენ მიმავალმა ახალგაზრდა ქალმა, — ქული სწორად მახურავს?

— კი, როგორც იქნა! — უპასუხა ქმარმა მოუთმენლად — იჩქარე, უკვე ძალიან გვიანია!

— ვწუხვარ — თქვა ქალმა ნაზად, მაგრამ ენერგიულად, — მაშინ მე ერთხელ კიდევ უნდა მივბრუნდე. ეს ქული სწორად არ უნდა გეხუროს!

გერმანულიდან თარგმნა
ი. რინკი-შვილმა

ბირაგი შემთბაპრე

ბავრთხილება ლანდკრა პრტიკოსს

(მაჯამა)

კრიტიკოსი სხვის გალანძღვას თუ კვლავ წაგნად გამოსცემს, — მის ავტორი გალანძღული ამ გალანძღვის გამო სცემს.

ფსავლოპრტიკოსის „ტომეგი“

ტომეებს „კრიტიკის“ ვეგბა ტომეებს, თუმც კრიტიკაში კვალს ვერა ტომეებს.

— რომანი უშეცდომო და
სუფთა ნაწერი გახლავთ,
ჩემს პირად მდივნად მიგიღებთ
და გავაფორმებთ ახლავ.



მთქმელს...

ერთი კინორეჟისორი
ეკითხება ავტორს:
— გააღრმავეთ ის სცენარი,
ამზანაგო პლატონ?
და პასუხად მედღიდური
ბარიტონი ისმის —
შახტში გადავიტანეთ
მოქმედება მისი.

ზოთა ამირანაშვილი



- რას დასმინან ამ ლოვს?
- რეალისტის მუშაობი არიან, ლეჰსს ამზადებენ დასაბუბად.

მხატვარი ზ. ფორჩხიძე
თემა ნ. ბართაიასი

ნორიგე რედაქტორი ნოდარ გრიგალაშვილი, მხატვარი ვახტანგ რურუა, ტექნიკური რედაქტორი პუბლიკისტი, კორექტორი ნანა ცირაშვილი.

ავტორთა ხელმოწერები: სტატია არ უნდა აღემატებოდეს 25 გვერდს (ორ ინტერვალზე გადაბეჭდილი I პირი). რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ნაბარდა წარმოებას 23. 05. 88 წ., ხელმოწერილია საბეჭდად 16. 08. 88 წ., ზომა 70×108/16 ჭაღილი № 1; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 12, ნაბეჭდი თაბახი 9,5, პირობითი საღებავგატარება 13,3.

უე 06812

შეკვ. № 1386

ტირაჟი 10 000

ფასი 85 კაპ.

გამომცემლობა „მერანი“ რუსთაველის 42. თბილისი 1988.
საქ. კვ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის, 14

КРИТИКА
АЛЬМАНАХ СОЮЗА ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ

№ 4 (71)

1988

Ордена Трудового Красного Знамени типография издательства
ЦК КП Грузии, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.